

116 /  
1896 /2

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღაპრო  
საზღაპრო  
საზღაპრო

# საქართველო

თავისუფალი ქურონალი

წელიწადი მუდამ

№ X

თბილისი, 1896



ტფილისი

საქართველოს საბჭოთაო საგარეო საზღვაო საზღაპრო საზღაპრო საზღაპრო

1896

კაქ



# მ ლ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მესამე

№ X

თბილისი, 1896

436  
29594



ტფილისი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

1896






5 8 5 6 1 6

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1896 г.

1896. 10. 16. 585616





შ ი ნ ა ა რ ს ი

	ბპ*
I „...მხრები-ღა ავიჩიჩი!...“—(ეტიუდი) შ. ანაკრისტიანე- ლისა . . . . .	1
II მუხა.—ლექსი შ. ძღვიძელისა . . . . .	29
III ზღვაი-ქაჯის ისტორია.—ნაწილი პირველი ერკმან- შატრანისა თარგმანი ი. მაჭავაცხაძისა. . . . .	33
IV ხევისკაცი სიმღერები.—ივ. ბუჭუქაძის-მიერ შე- კრებილი . . . . .	60
V დედა.—მოთხრობა ბელისა თარგმანი ელ. მამულაშვი- ლისა . . . . .	61
VI * * * ლექსი (პლემევიძის) გრ. აბაშიძისა . . . . .	97
VII აჩრდილნი.—ფანტაზია ვლ. გ. კარაქუჩაძისა თარ- გმანი ი. გომელაშვილისა . . . . .	99
VIII ბოლშაკოვის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი და წამებულნი.—ისტორიული მიმოხილვა ი. დ. ივან- იანიძისა. თარგმანი თ. ს—ასა . . . . .	1
IX უამაშულოდ დაბრუნება ხიზნებისა.—წერილი ივან- იანიძისა . . . . .	47
X სათუხრამეო ანუ კასპის ზღვის იმიერ ქვეყანა.—წარ- სული და აწყობ. ხუციაშვილისა . . . . .	64
XI „განდავილი“ თ.ილ. ზავთაშვილისა.—კრიტიკული ეტი- უდი. კატა აბაშიძისა . . . . .	83



XII ბუნებარივი სამოღვაწეობი შთაბრძნობისა.—ქ-ნ მ. მანასკე-  
ნისა თარგმანი ი. მ—ანისა (დასასრული). . . . . 99

XIII პროვინციის ცხოვრება, აფხაზეთი.—სოხუმის ქალა-  
ქის არჩევნები თ. სახეჯიასა . . . . . 110

XIV ბიბლიოგრაფია.—Разборъ учебныхъ руководствъ по рус-  
скому языку—Якова Гогобашвили. Тифлисъ 1896 г. цѣна 50  
коп. (გარჩევა რუსულის ენის შესასწავლად შედგენილი სახელ-  
მძღვანელოებისა.—იაკობ გოგებაშვილისა, ტფილისი ფასი ათი  
შაური.) S—სა . . . . . 121

XV განცხადებანი

დამატება:

XVI საქართველოს სიძველენი . . . . . 241—256



„...მხრებში-ღა ავიჩქვით!...“

(მტული)

„...გადასცემ-გადმოსცემო“ — მწერ — „და აბღა-უბღა, გადასკუბდას — მომითხრობო...“ სამართლიანად მისაყვედურებ, ძმაო ვარლამ. მართლადაც, წინა წერილში მოვდექი და გავიძახიდი: ვიტანჯები... სული მეხუთება... არიქა წყალი...“ და სხვას არაფერს. რამ გამოიწვია ის სულის კვეთება?... რამ მიმიყვანა ამ ზომამდის?... ამაზედ კრინტიც არ დამიძრავს... გაუგებარი იქმნებოდა მაშ რა! „არ მეკიჟინება, ძმაო, წინანდელი წერილი, რადგანაც ის შედეგი იყო დიდის ხნობით შეგუბებული ტანჯვის გადმონახეთქისა. ხომ კარგად იცი, როცა წყალი გადმოჰხეთქავს და წინ ვაკე ადგილი უძევს, ათას ტოტად გაიყოფა, განაწილდება და უგზო-უკვლოდ გაიფანტება?! მეც ისე დამემართა. ვაგუბე, ვაგუბე ხმის ამოუღებლივ ჩემი ტანჯვა და, როდესაც უკიდურესობამდის მიაღწია, ჩემდა უნებურად გადმოჰხეთქა, აქა-იქა დაიქსაქსა და თავი თავს ველარ მოგუყარე. აი ამისთვის იყო ისე გაუგებარი. ჯერ ეხლაც ვერ შემიკრებია, ვერ დამილაგებია და აბა მაშინ რაღა იქმნებოდა. არ ვიცი, ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ თუ არა, ყველაფერს ნათლად დაგანახებე თუ არა, თუმცა კი ჩემი განზრახვა და სურვილი ეს არის. ნამეტნავად, მინდა, ყველაფერი ნათლად დაგანახეო, რადგანაც ხოლოდ მაშინ მიმიხვდები. გეყურება, მინდა მიმიხვდე-მეთქი და თანამიგრძნო...“

„არა! ეხლა არ ვეძებ თანაგრძნობას. ამისთვის არ გწერ: თანამიგრძნობ თუ არა — სულ ერთია. მე გამოთქმა მომინდა.“

შენმა სიტყვებმა: „გამომქლავნება ტანჯვას გაგინახვერბსო!“ ისე ამაკანკალეს, როგორც მშიერ კაცს ყველი და პურის დანახვა. მე მგონია, მარტო გამომქლავნებაა საკმარი, რომ ტანჯვა შემიმსუბუქდეს, და იმას კი აღარ დავსდევ, გამკიცხავ, თუ თანამიგრძნობ.

ერთი ესკია, შენა სიტყვები: „მე გამოუსადეგარ წერილების და ბარათების კალათას დამამკზავსეს: ვინც არა მგონია, თავის დარდს და ვარამს მესვრის და მიმატოვებს, თითქოს მუვალე ვიყო ყველას მოვუსმინო და მისი საიდუმლო მე ვატაროვო“ მაგონდება და ცოტა არ იყოს მადუმებს. მით უმეტესად არ მეხეჩხება გამოთქმა, რომ ჩემი მტანჯველი საგანი ზოგადი არ არის, სხვისთვის სულ უმნიშვნელოა; მხოლოდ მე შემეხება და გრძობაზედ არის აშენებული. აბა, რა სასიამოვნო იქმნება შენთვის ამისთანა დროს ამის მოსმენა! ვის რად ესიამოვნება ეხლა ჩემი, ვილაც მოხელის, კერძო ტანჯვა მოისმინოს, როდესაც ყველა, თითქმის მთელი საქართველო გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს ბანკის საქმეს, ადევნებს კი არა, მხურვალე მონაწილეობას იღებს ჭავჭავაძისა და მაჩაბლის ერთმანეთის თავ-პირის მტკრევაში?!...

„დარწმუნებული ვარ, შენც მხურვალე მონაწილეობას იღებ და ჩემ „აბლა-უბლა“-ს მოსასმენად, წაკითხვისთვის დრო აღარ გექმნება.

„მაგრამ, ვარლამ, გეფიცები ძმობას, გწერ მხოლოდ იმისთვის, რომ შენვე მახედვინებ; შენვე მეუბნები წერილით: „უეჭველად მომწერე, რა გტანჯავსო...“

„იმედია, რადგანაც შენვე მთხოვე, წაკითხავ და არ დამცინებ, არ გამკიცხავ, როდესაც ჩაკითხავ ბოლომდის, რომ ამისთანა დროს, რაღაც გრძობებზედ, სიყვარულზედ გწერ...“

„ეს კი მინდა გითხრა, რომ რანაირი დროც უნდა იყოს, თუ გატაცებული ხარო ერთ საგნით, შენი არსება შეუპყვრია ამ საგანს, ლურსმანივით ტვინში ჩაგსმია და ყოველ წუთს თავის არსებობას გაგრძობინებს, მერწმუნე, მაშინ, ჭავჭავაძისა და მაჩაბლის მკვერ-მეტყველოა? ა კი არა, ქვეყანაც რომ ინგრეოდეს, თავს არ მოგაფხანვინებს...“



„ეს ხომ სულ ერთია, რანაირი ხასიათისაც უნდა იყვეს საგანი! ყველაზედ უფრო ძნელი ის საგანია, რომელიც გრძობაზედ არის დაფუძნებული. მაშინ ნამდვილ მონად გარდიქმნები. კაცი თავიდანვე უნდა ეცადოს, რომ ამ წერტილამდის არ მიადწვეინოს და, თუ მიადწვეინა, მაშინ, დამეთანხმე, გასაკიციხი არ არის...“

„მიჰხვდი?.. ახ, რანაირად მინდა მიხვდე... შეიგნო!.. მხოლოდ მაშინ თანამიგრძობ და...“

„გავაბი!... მინდოდა, კალმის ადებისათანავე დამეწყო საგანზედ ლაპარაკი და მე კი, ვინ იცის, რაებს არა ვჩმახავ!... მიზეზი ისევ ის არის. გონება ვერ მომიკრეფია და ვერ დამიწყია...“

„პირ და პირ მოგწერ: ამ ორი თვის შემდეგ ჯვარს ვიწერ...“

„აი მიზეზი, აი ის გარემოება, რაც მე სულს მიხუთავს, რაც სამსაღას მასმევს და მკლავს...“

„გიკვირს განა?!. თვალ-წინ მეხატება შენი განცვიფრებული სახე და შენი წაბუტბუტება: „გავიყებულა, სხვა მოუთმენლად მოელის ამ ნეტარ წუთს, და ის კი რას გაიძახის.“ მკაფიოდ მეყურება...“

„დიად, სხვა მოუთმენლად მოელის, და მე კი მტანჯავს. რაც ახლოვდება ეს წუთი, მით უფრო ტანჯვა მიცხოვლდება.“

„რა არის ამის მიზეზი?!“

„არ ვიცი! ვიცი, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ. ყველაფერს თავიდან მოგწერ, მოგწერ უტყუარ ამბავს და მერე შენ თითონ დასკვენ. მაშ ვგრე:“

I

„ბედმა თუ უბედობამ ამ ორის წლის წინად, როგორც იცი, ქ. ქ... მარგუნა საცხოვრებლად. ნაცნობი არავინ იყო ჩემი და თვისი ხომ სულ არავინ.“

მატარებელი უახლოვდებოდა. მე სარკმელს არ ვშორდებოდი, ისე გამიტაცა ბუნებამ: ტყე, ველი, ხევი, დელე, მინ-



დორი გაფურჩქენილი წუთი-სოფელივით მიჰქროდა ჩემ თვალ-წინ და მხოლოდ ერთს, ნაზის სიმშვენიერის შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემში; მინდოდა დავმხოზიყავ და დავკონებოდი, ამ ნაზ სიმშვენიერეს, მაგრამ შეუძლებელი იყო; მატარებელი დაგა-დღუვით მიგზულავდა, და სურვილი სურვილად რჩებოდა...

მატარებელიდან სიგნალი მისცეს. მივუახლოვდით სადგურ რიონს.

„რაღა მრჩებოდა?—სულ ერთი ეამი ან ეამ ნახევარი. სადგური საესე იყო ხალხით. აქ შეჰხედებოდით თაეადს, აზნაურს და გლესს. ყველანი კი წარმტაცის ზრდილობითი მიხვრამოხვრისანი იყვნენ; ტკბილად, გენაცვალობით მოსაუბრენი...

„ახ, რომ შემეძლოს, ყველას გადავებვიო, და გულში ჩავიკრა-მეთქი!—ვიძახდი უსიტყვოდ და გაფაციცებით ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი იმერეთის ძეთ.

„ბედნიერად ვრაცხდი ჩემ თავს, რომ ბედმა ამ ხალხის შუა მარგუნა ცხოვრება. მინდოდა ჩქარა მივსულვიყავ, დავბინავებულიყავ, რომ სულით და ხორციით მივსვენებოდი იმ ზრდილ საზოგადოებას, ჩემ საუკეთესო მოძმეთ...

„მაგრამ... არ ვიცი, მე ვიყავ დამნაშავე, თუ საზოგადოება? მალე, სულ მალე მივატოვე და ჩემს ოთახს და ბუნებას დავუმეგობრდი. მგონი, მე ვიყავი დამნაშავე. მე პატარაობიდანვე განმარტოებას ვეძებდი და ეხლაც განვმარტოვდი. ყოველთვის ბუნებას ვიმეგობრებდი, ეხლაც ბუნებას მივესვენე და ხშირად, ძალიან ხშირად რიონის პირას დამეს ვუთთვდი: ვსცდილობდი, შემესწავლა იმისი ენა და გამეგო საიდუმლო მისი შოთხრობა, მაგრამ, როდესაც კი ვიტყვოდი: „აი, ეხლა კი მივხვდი, ეხლა კი დავიბრენ გონების თვალით, ყოველ იმის საიდუმლოების ჯურღმულს, ეხლა ყოველივე ცხადი იქმნება ჩემთვის“—და გადავხედავდი მჩქეფარე ტალღებს, რომ გულ-დასმით ყოველივე ამომეკითხნა, მაშინვე უარეს წყვდიადით მოიცოდა, მოერღვეოდა ძირი და ქვევით, ქვევით საბნელით მოცულ უფსკრულს მიქანავდა, და უფრო გამოურკვეველ, ჩახვეულ, მიუხარებელ და თვალ-მიუწლომელ საიდუმლოებად მრჩებოდა...



— „არ გადაპვარდეთ!..— შემომესმა ნაზი, გულ-მტკიცე-ლობითი ხმა, როდესაც მე ნაპირას წამოწოლილი რიონის მჩქეფარე ტალღებს დავცქეროდი და თან-და-თან წინ ვიწვედი, რომ უფსკრულ გაქანებულ რიონის ძირისთვის თვალი მიმეყოლებინა.

„ავიხედე, ზევით და...“

„ახ!.. ჩამავალი მზე ზურგიდან მოჰქცეოდა და მთლად სხივებში გაეხვია თმა გაშლილი ასული, მეტად მშვენიერი არსება, რომელიც დადვრემილის სახით შემომცქეროდა და, თითქოს, საყვედურს მეუბნებოდა...“

„— ვინა ხარ, მშვენიერო, მოხვედი სითა, ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური, მოფრინდი სითა?..“ — ვახ. ორბელიანის სიტყვებით, \*) ჩემდა უნებურად დავეკითხე და მუხლ შოდრეკით ხელები გავუწოდე. „ჩამავალი მზის სხივები კი ასულის სხეულიდან უკუქცეულნი ისრებივით იფანტებოდნენ და ისე მეჩვენებოდნენ, თითქოს, ასულია სხივოსანი და ის არის წყარო ამ სხივებისა...“

„განცვიფრებული ვიდექ მუხლ-მოდრეკით და ხელებ გაწდომილი შვცქეროდი უცხო არსებას...“

„— ყმაწვილო, ფეხზედ ადექით!..— ღიმილით მითხრა და ხელი წამავლო.“

„მეც ავყევი. შევხედე მზეს და მოჩვენება განქრა.“

„ჩემ გვერდით იღვა მეტად მშვენიერი გულჩინა, რომელიც რამდენჯერმე შემხედვებია ქუჩაში, და კიდევაც ვიცოდი იმისი ბინა, რადგანაც პირველ შეხვედრაზედ ისე წარიტაცა თავის სიმშვენიერებით ჩემი სული და გული, რომ ჩუმად მივყევი და დავინახსომე ომისი ბინა...“

„გამეხარდა, რომ ეს გულჩინა იყო და არა ციური არსება, რადგანაც ციური ცისკენვე გასწევდა, და ეს კი ქვეყნად იქმნებოდა, და მეც შემთხვევა მექმნებოდა დავმტკბარიყავი ამის სიმშვენიერებით.“

\*) „იმელი“ პოემა ვახ. ორბელიანისა.

დიად, გამეხარდა, რადგანაც მიუწოდომელ არსებად ვრაცხდი, და ეხლა კი თავის ფეხით მოვიდა ჩემთან და ასე თანაგრძნობა გამოიჩინა.

„— გულჩინა, ნუ თუ თქვენა ხართ?!—დავეკითხე, როდესაც განცვიფრებიდან გამოვერკვიე.

„— რა იყო, არ მომელოდით?!. მე აქ დაესეირნობდი. უეცრივ დაგინახეთ ნახევრად გადაკიდებული. შემეშინდა, გამოვიქეცი, ისე მოვრბოდი, რომ *ქარმა ქული მომგლიჯა და აი თმაც გამეწეწა*...—დარცხვენით, თითქოს ბოდვის მოხდით ჩილაპარაკა და თავი დახარა...

„— ვმადლომ შემთხვევას, რომ...

„— წავიდეთ! აგერ მზეც ჩავიდა. გამაცილეთ!..—ალარ დამასრულებინა სიტყვა გულჩინამ და გაბრუნდა ქალაქისკენ...

„— განა შეიძლება ამით გათავდეს ჩვენი ნაცნობობა?!—დავეკითხე, როდესაც სახლს მივუახლოვდით და უნდა გამოვშევიდებოდი.

— რათა, ხშირად შევხვდებით!..

„ცოტა არ იყოს, უსაზოგადოებამ შემაწუხა. ხშირად, განმარტოებით როდესაც ვიყავი, ჩემის გარემოებით არ ვიყავ კმაყოფილი. ხშირად კი არა, თითქმის ყოველ წამს ეულობას ვგრძნობდი, და ჩემი არსება თხოულობდა სულით და ხორციით შეერთებას, დაკავშირებას ისე, რომ ორნი ერთ არსებად ვყოფილიყავით. წინადაც ეს მემართებოდა, როდესაც ჯერ არ გამეწყვიტა კავშირი საზოგადოებასთან. იმათი სული, გული არ მაკმაყოფილებდნენ და მეც... იქმნებოდა ესაღ იყო მიზეზი, რომ ვავშორდი საზოგადოებას...

„— მაშ ნებას მაძლევთ, ვიცნობდეთ ერთმანეთს?..—სიხარულით, სულ მოულოდნელის სიხარულით დავეკითხე გულჩინას.

მევე გამიკვირდა ჩემი სიხარულისა და დარცხვენით თავი ჩაეღუნე, რომ არ შეენიშნა.

„— ნებას კი არა, გთხოვთ კიდევაც, დაახლოვებით გავიცნოთ ერთმანეთი.—მითხრა და ხელი გამომიწოდა.



მე მინდოდა მეთქვა: „ცოტახანს ბულვარში გავეჩალოთ მეტქი,“ მაგრამ გავჩუმდი და ხელი გავუწოდე.

„ბულვარის მოგონებაზედ ტანში ჟრუანტელმა დამიარა და, მეგონა, გულჩინას ბულვარის ხსენებით შეურაცყოფას მივაყენებ-მეთქი. ამის გამო ჩემდა უნებურად ენა ჩამივარდა და გამოვემშვიდობე.

„შენი რა ვიცი, და მე კი, ბულვარი რაღაც უტვინოების ბუდედ, სამაჰან კლო ადგილად მიმაჩნია.

„ჩემზედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა და, არ ვიცი, რამდენად მართალია; იქმნება ესცდებოდე, არ დავინიებებ...“

„დავბრუნდი სახლში. მთელ ღამეს გულჩინა სხივებში გავეული მედგა თვალ-წინ, და არა მჯეროდა, თუ ყოველივე ზეით აღწერილი ამბავი ცხადლივ მოხდა...“

„ერთი კვირა გავიდა, და მე გულჩინა ველარ ვნახე... რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე იმის სახლს, მაგრამ ტყუილად, გულჩინას თვალიც ვერ მოვკარი...“

„ქვესკნელს ჩავარდა, თუ ცაში აფრინდა“ —გავეძახოდი და გონს ვერ მოვდიოდი...“

„მზის ჩასვლისას ხომ, ყოველთვის რიონის სტუმარი ვიყავ და იქ გულჩინასაც მოველოდი...“

„რად მემართებოდა ეს?!.. რა იყო მიზეზი, რომ ასე გაიტაცა ჩემი გონება, რომ რიონის რისხვა-გმინვა აღარ მეყურებოდა და იმის ბაასისთვის ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ყური არ დამიგდია?!. არ ვიცი...“

„ყოველ წამს, როდესაც კი ნაცნობ რიონის პირას ვიყავი, გადავეკიდებოდი ხოლმე, რამდენადაც კი შესაძლო იყო, წყლისკენ ვიწვედი, თითქო გულ-მოდგინედ თვალს ვადევნებო, მაგრამ ყური და თვალი სხვაგნით მქონდა.

„ან ეხლა და ან ეხლა გაისმის იმისი ხმა და ისევ ისე სხივებში გახვეული თვალ-წინ წარმომიდგება.“ —ვფიქრობდი, მაგრამ ამაოდ. გულჩინა თითქოს სამუდამოდ განქრა ჩემთვის...“

„აა!..“ —ბავშვური სიხარულით წამოვიძახე და ტოკვა დავიწყე, როდესაც მეორე კვირას რიონისკენ მოვდიოდი და შორი-ახლოს გულჩინას თვალი მოვკარი.

„არ მინდოდა, რომ გულჩინას შეემჩნია, და ამისთვის თავი შევიმაგრე; ვითომ არც კი ვხედავდი, ისე წავედი იმისკენ.

— თავის დასადრწობად ხომ არ მიღიხართ რიონისკენ?!

— შემაყენა გულჩინამ, როდესაც თავ-ჩაშეებულნი დავუპირდაპირდი.

„— ახ, ვერ შეგამჩნივით!..— ვითომ შეკრთომით წამოვიდახე და შემდეგ ხელის გაწლომით კითხვაზედ ვუპასუხე: „იმედია, თქვენ დამიხსნით.

„— დიდის სიამოვნებით, მაგრამ თქვენ კი გულცივი ჰყოფილხართ.

— როგორ?!

— ერთი კვირა მეტი ავად იყავი და თქვენ ერთხელაც არ მიკითხეთ...

— თქვენ ავად იყავით?!

— რას გაიკვირვებ?..

— გავიკვირვე კი არა...

— რატომ არ დაათავებთ?

— გულჩინავ!— უეცრივ კილო ჩემ უნებურად შემეცვალა, და აკანკალებულის ხმით დავიწყე: „რომ მცოდნოდა, ვინ თავმკვდარი არა გნახავდათ, გინდათ კეტით გამოვეგდეთ თქვენებს. ხომ თქვენები არ მიცნობენ? ამას არ დავერიდებოდი... არ მოვერიდებოდი მხოლოდ ერთის პირობით, თუ კი თქვენ საწყენად არ დაგრჩებოდათ.

— საწყენად რომ დამრჩენოდა, არ გისაყვედურებდით.

„არ მახსოვს როგორ მოხდა, რომ ამ ლაპარაკში წაესულევიყავით და ნაცნობ რიონის-პირს წავადექით, მაშინ-ღა მივიხედ-მოვიხედე და ძლიერ გამიკვირდა. არა ნაკლებ გულჩინას უკვირდა.

— თვით განგებამ წამოგვიყვანა აქეთ, რომ ის ნეტარი ჩვენება გამიმეორდეს!— წამოვიდახე და ალერსით შევხედე გულჩინას.

— თქვენ უნდა კლდეს გადაეკიდოთ, რომ ჩვენებამ თავისი სახე მიიღოს.



— ამ წუთსავე!—წამოვიძახე და საჩქაროდ კლდის ქვეშაშობი  
რას მიველი, რომ გადავიღებ-ულიყავ.

— რას სულელობთ!..—ისე გულ-მტკივნელობით წამოი-  
ძახა და საჩქაროდ ხელი დამიჭირა, რომ მე სულ დავიბნიდე,  
თვალები სიხარულის წყლით ამეგსო და...

„მადლობის გადახდის ნიშნად უნებურად ხელი ისე მო-  
ვეუჭირე, რომ იმისმა თითებმა ჩემ თითებ შუა ღრუბანი გა-  
მოსცა.

„უთუოდ ძალიან ეტკინა თითები, რომ გულჩინა წელში  
გადიხარა და ოღნავ შეჰკივლა...

— მაპატივეთ, მაპატივეთ!.. დაბნევით წამოვიძახე, როდეს-  
საც შეჰკივლა, და თითებს ოღნავ სრესა დავუწყე, რომ შეყე-  
ნებული სისხლი მოძრაობაში მომეყვანა.

— გაპატივებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელს მომიჩ-  
რენტ.—მითხრა გულჩინამ.

— როგორ?..

— თუ კი ტკენა იცით, მორჩენაც უნდა იცოდეთ...

— ვიცოი, მაგრამ...—არეგულად ვუთხარი ცოტა ხნის სიჩუ-  
ვის შემდეგ.

— მაგრამ რა?..

— მაგრამ ისა, რომ ამ საშუალებებისათვის ვერ მიმიმართავს.

— რა საშუალებაა?..—დამიყინა გულჩინამ.

— ბავშვი რომ იტკენს რასმე, მაშინ ნამტკიენ ადგილს  
დედა ან ძიძა რას უშერება?!—დავეკითხე და თან ხელს ზევით  
ვეწევოდი.

— ოჰ, ჩემო ძიძავ, მომიჩრინე ხელი!..—სლუკუნით მომ-  
მართა იმან.

— მოვიჩრა ეხლა, ჩემო პატარავ, ხომ აღარა გტკივა?..  
ვეკითხებოდი, როგორც ძიძა და თან ნამტკიენ ხელს ვუკოც-  
ნიდი.

— ჰო, ჰო!..

„მე მეორე ხელსაც დავუწყე კოცნა, მაგრამ გულჩინამ  
უკან გასწია და ღიმილით შემომძახა:

— ძიძავ, ეგ ხელიც ხომ არა მტკივა?..

— განა არ შეიძლება, გატკინოთ!

— ეჰე!..—თავი გაიქნიე-გამოიქნია და ხელი მხარზედ დამა-  
 ღო, რომ ახლოს არ მივეჭვი.

„ასე ვიდექით ღიდ ხანს. ვგრძნობდი იმის ხელის სითბოს  
 მხარზედ და ელვასავით ტანში მივლიდა. დამასუსტა, შოშქანცა  
 ამ სითბომ, ნეტარმა სითბომ. მგონი ესევე ემართებოდა იმასაც,  
 რომ ფერი თან-და-თან ეცვლებოდა, რაც სიმშვენიერეს უათ-  
 კეცებდა, და პირ შემცქერს გონებას მზდიდა...“

„ქუხდაა, მრისხანებდაა რიონი?.. ესროდაა თავის ტალ-  
 ლებს იმ კლდეს, რომელზედაც ჩვენ გადახვეულები და ჩაკო-  
 ნებულები ვიდექით?..“

„არა გვეყურებოდა-რა. სააქაოს იმ წამს ჩვენთვის მხო-  
 ლოდ ერთი, დიადი გრძნობა შეადგენდა, რომლითაც ორივენი  
 ვიყავით გამსჭვალულნი. ერთ არსებად ვიყავით გარდაქცეულნი  
 და ამისთვის ნეტარნი.“

„ოხ, რა ნეტარებაა, როდესაც გგონია მაინც, რომ შენი  
 არსება მეორეს შაუერთე, და ორნი ერთ არსებათ ხართ გარ-  
 დაქმნილი, რომ „შენ“ „ის“ ხარ და „ის“ კიდევ „შენ“!..“

## II

სწორედ ასეც მომივიდა. მეგონა, მხოლოდ მეგონა, რომ  
 გულჩინაც იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მე. ეს იყო, პირველი  
 და უკანასკნელი. მხოლოდ მაშინ გამოვცადე ნეტარება და  
 იმისთვის, რომ მწამდა; გულჩინაც იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მე.

„სულ ერთი წუთის შემდეგ გამოიფხიზლოდა...“

„— გულჩინავ, მიყვარხარ, მიყვარხარ და შენ კიდევ კითხ-  
 ვას არ გაძღვე: „გიყვარვარ, თუ არა, რადგანაც შენი მოქ-  
 მედება უსიტყვოდ მიმტკიცებს.— ვუთხარი მე, როდესაც ტუჩი-  
 ტუჩს გავაშორეთ და ხელი-ხელს ჩაკიდებულები აღგზნებით  
 ერთ-მანეთს შევსცქეროდით.“

„— გიხარინათ?!. მე არ მინდოდა გამეგებინა თქვენთვის  
 ჩემი გრძნობა, მაგრამ ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ ვერ“

დავმალავთ და კაცებიც ამით ჰსარგებლობთ. — დაღონებით მიიხრა გულჩინამ და თავი ძირს ჩაჰკიდა.

— როგორ?!

— შეურაც-ყოფას მიაყენებთ და მერე ეტყვიან: „უკაც-რავად, კი არ მიყვარდით, გამიტაცევიან“—ო. ამით გაათავებთ და მიატოვებთ ქალს.

— მე მაინც ვერ მიგიხვდით!!.

— თქვენც სხვებს ჰგვანებიხართ და ამისთვის მეუბნებით: „მე მაინც ვერ მიგიხვდითო.“

— მაშ რა უნდა მეთქვა, გულჩინავ, გარკვევით მითხარით?!—სიტყვა გავაწყვეტინე და ხელი-ხელს უფრო მოვუქირევი.

— არაფერი, წავიდეთ!...—მოკლელ მიპასუხა და გზას გაუდგა.

„მეც ამოვუდექე გვერდით და გაჩუმებული გავყევი.

„რა უნდოდა ეთქვა: „შენც სხვებს ჰგვანებიხარო... მაგას არ მეტყოდითო...“

„ვეფიქრობდი და მაინც ვერ მივხვედრილიყავ... „ხომ არა ეწყინა-რა?“ ვეკითხებოდი ჩემს თავს და მევე ვაძლევდი პასუხს: რა უნდა სწყენოდა... ხოლოდ ნეტარებას იგრძნობდა, როგორც მე, და ისევე ბედნიერად უნდა სთვლიდეს თავს, როგორც მე....

— გიყვარვარ?!... მე დიდი ხანია თვალს გადავწვებდი, მომწონდი ძალიან, მაგრამ ვერ ვბედავდი შენს გაცნობას. მეშინოდა...

— გულჩინავ!...—იმის სიტყვებით სანთელისავეით დამდნარ-მა წამოვიძახე და ლმობიერად დავუწყე მზერა.

— მაშ გიყვარვარ?! ჰა, ჰა?...

— ჩემო გაიოზ, ჯვარს როდის დაეწერთ?—თვალის კაკლების გადატრიალებით დამეკითხა და თავი დახარა....

„გამომთხიზლოდა. თითქოს ციე წყალში ჩამაყურყუმელავესო, ისე იმოქმედეს იმისმა სიტყვებმა. ეხლა კი მიხვდით, რას ჰნიშნავდნენ იმის სიტყვები: „თქვენც სხვებს ჰგვანებიხართ და...“

„შეწყინა, საშინლად მეწყინა. გულჩინა მე არ მეკუთვნოდა და



იმ წამსაც კი, როცა მეგონა: „ჩემი არსება იმის არსებასთან შედარებით დგენდა და იმისი კიდევ ჩემსას“, მე არ მკუთნებია. უთვალთ-მაქცია.

„ტყუილია?! ჰა?... განა გულწრფელი გრძნობა იკითხავს ჯვარის-წერას?!“

„ჯვარის-წერა და ყოველი მაგვარი ჩვეულება და წესი თავის თავად, შეუძნეველად მოპყვება გულწრფელ სიყვარულს.“

„უეცრივ, როგორც გწერ, გამოფხიზლდი და დავინახე ჩვეულებრივი ქალი, გასათხოვარი, რომელიც ცდილობს ბადე-ში გააბას საცოლვე. ამ ქალს გულჩინა ერქვა და არაფრით არ განირჩევოდა მარიამებისგან, კატობებისგან, ნინო-ელენეებისგან. იმის კითხვამდის კი გულჩინა სულ სხვა არსება მეგონა. მეგონა, გულჩინას შეეძლო სიყვარული, სიყვარული უანგარო, გულწრფელი. მაგრამ... აი სწორედ ეს „მაგრამ“, რომელიც, საცა არა მგონია, გამოინასკვება, გადამელობა წინ და შემაყენა და მაშინვე არ მოვკურცხლევ, რომ გულჩინა შორს, შორს დამეტოვებინა, რომ იმისი აჩრდილიც კი აღარ დამენახა...“

„— გაიოზ, მაგრე რად დაჰლონდი?!“

— მე?... არა, დალონებული არა ვარ!... — დაბნევით ვუბასუხებ და თვალი მოვარიდევ.

— ეიცო, ეიცო... განა ტყუილად გითხარი წელიან: „შენც სხვებსა ჰგევაზ მეთქი...“

— მე?... არა, და არა!... ნუ გგონია, მე უარს ვამბობდე. ჩემი მოქმედება ცხადად გაჩვენებთ ჩემს განზრახვას და აქ სიტყვებს რაღა ადგილი აქვთ.

— ყველა მაგრე იძახის და ბოლოს კი გეუბნებიან: „როდის გითხარი: „შევირთავო“!...“

„— ყველა, ყველა!...“ გეყურება, ვარლამ, რა მითხრა გულჩინამ, „ყველაო“... ხა, ხა, ხა!... მეორე საბუთი მომცა, მოვშორებოდი, მაგრამ მე კიდევ აი რა ეუბასუხებ:

— გულჩინავ, ყველა მაგას გაიძახის და მე კი არა. მე საქმე მწამს და არა სიტყვა... გამიგონე, შენ მომწონხარ და რომ არ მომწონებოდი, ისე თავ-დავიწყებოდა არც მოგეკცევოდი...“

— რა ვუყოთ მერე, რომ...

— ისა, რომ მე შენზედ ჯვარს დავიწერ და...

— გაიოზ, ოჰ, რა მიყვარხარ!...— ალტაცებით (რა ვიცი ალტაცებით წამოიძახა, თუ არა. გარეგნობით კი ყოველი იმისი კუნთების მოძრაობა ალტაცებასა ჰნიშნავდა) წამოიძახა და ლიპილით თვალები მომაპყრა.

— გულჩინავ, არა გკითხავ: „გინდივარ თუ არა, რადგანაც შენი მოქმედება შენს სიტყვებზედ მჭევრმეტყველად მიმტკიცებს. ჩვენ ერთმანერთისანი ვართ. ამ წუთს მაინც. გთხოვ, ჯერ ჩვენ შორის დარჩეს... იქნება რა მოხდეს. შეიძლება ცუდი მხრით გავიცნოთ ერთმანერთი, შეიძლება საძაგელი კაცი აღმოვჩნდე და მოისურვო თავიდან მოშორება. ეს უფრო ადვილი იქნება მაშინ, როდესაც არავის ეცოდინება. ხომ იცი, ეხლავე რომ გამოვაცხადოთ დანიშვნა, უფრო ძნელი იქმნება ჩვენი განშორება, საზოგადოებისა მოგვერიდება.“

— რა კარგი რამა ხარ, ჩემო გაიოზ!...

### III

„გულჩინა ამის შემდეგ ჩემად ითვლება. ის ყოველთვის მეუბნება: „ჩემო გაიოზ, მე ხომ შენი ვარ და შენიო.“ გეყურება, „შენი ვარო“? მართლა ჩემია?.. იმისი სიტყვები ნამდვილია?!. აი რა არის მიზეზი, რომ ვიტანჯვი, რომ სული მეზუთვის. არ ვიცი, ჩემია თუ არა.“

„კანონიერად კი ჩემია. ეს უტყუარია, რომ მე ცოლად გამომყვება და ჯვარსაც დავიწერთ. დღესაც რომ ვუთხარა; „წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ“, ის მაშინვე გამომყვება და ჯვარს ვადიწერს...“

„თითქმის დამთანხმდა, თითქმის კი არა, მომიწონა კიდევაც, როდესაც მე ვუთხარი: „ჯერ ჩვენ შორის იყვეს-მეთქი“, მაგრამ, წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება, როდესაც შევიტყე, რომ მეორე დღესვე მთელმა ქუთაისმა იცოდა.“

„ვინ შეატყობინა ეს ამბავი?...”

„რასაკვირველია, გულჩინამ. იმის მეტი ვინ იტყოდა, როდესაც სხვამ არავინ იცოდა!

„რამ აიძულა გაქვეყნება?!.

„არ ვიცი. იქნება, როგორც ვფიქრობ, გულჩინამ შემეტყო გამოცვლა და ისიც კარგად გაიგო, რომ საზოგადოების ხმისა მერიდება და აალაპარაკა ხალხი, რომ განშორების საშუალება მოესპო, შევებორკე...

„გულჩინა მეტის-მეტად ლამაზია, კეკლუცია, იმაზე ცუდი არა მსმენია-რა, იმას ყველა სიხარულით ცოლად შეირთავს, და რად მოინდომებდა ჩემს შებორკვას?.. რად?..

„იქნება, მართლა გულწრფელად ვუყვარდე და სიხარულით სხვებს ახარა თავისი ბედნიერება?!..

„ხა, ხა, ხა, ხა, სიხარულით ახარა მეთქი! რა ნახა ჩემში რომ შემიყვარა?.. არა, არა და არა. იმას არ ვუყვარვარ.

„ეტყობა, ყოველი იმისი ნაბიჯი იმას მიმტკიცებს, რომ იმას არ ვუყვარვარ, რომ იმას ჩემი პატივისცემაც არა აქვს.

„მე რომ გულჩინა გავიცანი, ქვეყანაზედ იმის მეტს ველარავის ვხედავდი. მინდოდა ყოველ წამს, ყოველ წუთს იმის გვერდით ვმჯდარვიყავ და მარტო იმისთვის მემზირნა.

„თუ კი მე მემართებოდა ეს, რატომ იმას არა. რატომ ის კი არა სცდილობდა და არა სცდილობს, როგორც მე, რომ ჩემთან ერთად ყოფნის შემთხვევა მოიპოვოს.

„რამდენ ღამეს მითევია იმის სარკმლილ ახლო, რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია, რომ თვალი მაინც მომეკრა, მაგრამ ამაოდ ის ან ავადმყოფობას მოიგონებდა და ან კიდევ მშობლებს მიაწერდა, რომ ისენი უშლიან.

„გეყურება, მშობლები უშლიან? ის კაი მშობლები, რატომ სხვებთან სიარულს არ უშლიან, რომ შუა ღამემდის ნაცნობ ოჯახში არის ხალმე და იქიდან ხან ვინ გამოაცილებს და ხან ვინ.

„არა, მშობლები კი არა, თითონ არ უნდოდა ჩემთან სიარული.

„როდესაც ვკითხავდი, რატომა ხდება ესე, ის აი რა პასუხს მძღვედა: „ჩვენზედ ისეც ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად რომ ვიაროთ, მაშინ ხომ სულ აგვიკლებენ. მშობლებიც ამისთვის მიშლიან... ღმერთმა კი ნუ ჰქმნას, და შენ რომ აღარ შემირთო, მაშინ...“

გეყურება, რას მეუბნებოდა წინაღ?.. განა ნამდვილი სიყვარული, გულ-წრფელი სიყვარული ასე ილაპარაკებს?!..

„ეს კითხვა წინადაც მებადებოდა, მაგრამ მე გულჩინას მაინც ვამართლებდი.

„იქმნება მართლა ვუყვარვარ და საწყალი ვერ ჰბედავს თავის გრძობის გამომჟღავნებას, გამოქვეყნებას...“ გავიფიქრებდი ხოლმე, მაგრამ ამავე დროს შხამივით სხვა წინააღმდეგი აზრი გულს მიშხამავდა. „ჰო, თუ სხვებთან ვერ ჰბედავს და ეკრძალება, როდესაც მარტოკანი ვართ, მაშინ რალა, ემართება...“

„აუუსრულე თხოვნა. დავიცვი წესი და იმის მშობლებს გამოვუცხადე.

„გულჩინას ამის შემდეგ ყოველ დღე ვხედავ და ერთი დღე რომ არ მივიდე, მაშინვე კაცს მახლებს წერილით და დამეკითხება, რა მიზეზით არ მიველი იმასთან.

„არა, ვარლამ, უეცრივ რა ძვირფასი გავხდი?.. წინადაკვირებები გადიოდა, არ ვავონდებოდი, და ეხლა კი ყოველ დღე მკითხულობს...“

„ერთხელ ვუთხარი და ძალიან იწყინა. ერთი კვირა აღარ მიველი და წერილიც აღარ მომწერა, აღარ იკითხა ჩემი ამბავი.

„მეწყინა. მიველი და ვუსაყვედურე.

„— მაკვირვებს შენი საქციელი!..— მითხრა ჩემ საყვედურზედ: — წერილსა გწერ, გწყინს, არ მოგწერ და იმაზედაც მისაყვედურებ.

„მართლაც სულელობა მომდის. მაგრამ, ვარლამ, შენ გულ ახლით გწერ და მინდა მიმიხვდე კიდევაც.

„სულელობაა, მაგრამ რომ გაარკვიო, სულელობა არ არის...“

„იმის წერილებისა, ბარათების კითხვა მამბრაზებდა და მამბრაზებს იმისთვის, რომ შიგ ვერ ვბოვებ იმას, რასაც ეძებ. მინდა შევიტყუო: გულწრფელად ვუყვარვარ, თუ არა და აი ამას ვერა ვბოვებ. ყველაფერი სწერია შიგ, ყველაფერი, მაგრამ მე მაინც არა მჯერა, არა, და არა. ყველაფერი სწერია, მაგრამ მაინც რაღაც აკლია და ეს „რაღაც“ სტრიქონების შუიდან ამოიჭვრიტება და მამბრაზებს. აი ერთი ნიმუში იმ მრავალ ბარათებისა, რომლებსაც, არ ვიცი, ისე მოკრძალებით ვინახავ და ისევე მოკრძალებით ვკითხულობ:

„განა შეიძლება, ჩემო გაიოზ, ეგრე გულ-გრილობა, რომ დღეს არ მოხეველ და არა ჰნახე შენთვის მკვდარი საფლავამდის შენი გულჩინა? ჩემო თვალის სინათლევ, დღეს უეჭველად მოდი თორემ, თორემ, ხომ იცი, აღარ, გაკოცნინებ...“

„ხომ ამოიკითხე, ჩემო ვარლამ?.. მე „თვალის სინათლევცა“ ვარ, ჩემთვის „მკვდარიც“ არის, მაგრამ ეს ყველაფერი „სიტყვებია, სიტყვები და სიტყვები“...

„ახ, ნეტავი იმის სიტყვებს შინაარსი ჰქონდეს, ვიყვე ამაში დარწმუნებული და მაშინ, მაშინ თუნდაც ლუკმა-რუკმა ამკუწონ, სიხარულით, ღიმილით მივეგებები სიკვდილს და თან გულჩინას სახეს ჩავიტან, იმის არსებით შეივსება ჩემი არსება; ჩემი არსება იმის არსებათ გარდაიქმნება...

„მამბრაზებს იმისი ბარათები, მტანჯავს, მაგრამ ამავე დროს მასიამოვნებს კიდევაც, და მინდა, რომ სულ ვიკითხო, ყოველ დღე მომდიოდეს იმისგან ბარათები.

„ამისთვის არის, რომ ისიცა მწყინს, როდესაც იმისგან წერილები არ მომდის...

„თუ დარწმუნებული ხარ,—იტყვი: რატომ უარს არ ეუბნები და თავს რად იტანჯავო“...

„კიდევაც ეგ არის, რომ დარწმუნებული არა ვარ. დარწმუნებული რომ ვიყვე, გეფიცები, უარის თქმა არ დამეთაკილებოდა, სიხარულით უარს ვეტყოდი და სამუდამოდ გავშორდებოდი. კიდევაც ეგ არის, რომ დარწმუნებული არა ვარ, და ამის გამო უარს არ ვეუბნები...“



„რად მინდა, რომ მარტო მე მიყვარდეს და იმას კი ჩემი ცოლ-ქმრობის იდეალი ვგ არ არის, რომ მე მიყვარდეს და იმას კი არა, ან იმას ვუყვარდე და მე არა.“

„არა. ცოლქმარნი „ერთ ხორც და ერთ სულად“ უნდა იყვნენ, ორივეს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ...“

„დღე, მითხრას: არ მიყვარხარო და მეც თავს არ მოვიკლავ, არ ჩაეცვივდები, რომ შემიყვაროს.“

„განა არ შეიძლება, ისე მიყვარდეს, შორით, დაუახლოებლივა?“

„კიდევაც ამისთვის გწერ ყოველისფერს გულ-ახლით, რომ დამეხმარო და შემატყობინო: ვუყვარე თუ არა, გულწრფელია იმისი სიყვარული თუ არა? რომ გულწრფელად ვუყვარდე და ჩემ უარის თქმაზედ აუტებოს რამე თავის თავს, ან თუნდაც ცოტაოდნად მაინც იტანჯოს, ხომ ველარ ვიცოცხლებ და, თუ ვიცოცხლე, სიცოცხლე ჯოჯოხეთად გარდამექმნა?!“

„ბევრჯერ გარდავსწყვიტე უარის თქმა, წერილები წერილებზედ დიმიწერია, მაგრამ მიმიფხრეწია და ნაფხრეწების მთელი ხროვა დამიყენებია, რადგანაც წერილებით უარის თქმა უხერხულად მიმიჩნევა და ისევ პირადად გამოცხადება მირჩენია, მაგრამ... მაგრამ, როდესაც მივდივარ მომზადებული, წინააღმდეგ აფორიაქებული და სიტყვა დამზადებული, გულჩინა კარებში მომეგებება და ტკბილად ლერსით, თითქოს ცოტათი საყვედურითაც შეხამებულ სიტყვებით მომმართავს: „ჩემო ტეტიავ, კიდევ გამჩვერით მოხვედიო?!“

„საკმარისია ეს სიტყვები, რომ ჩემი დამზადებული სიტყვა გააქარწყლოს, გააქროს, დამამუნჯოს და მომაჯადოვოს.“

„ენა აღარ მემორჩილება ხოლმე და მხოლოდ უსიტყვოდ ვკოცნი და ვკოცნი, თითქოს ამ კოცნით მსურდეს ჩაეპრო ის ცეცხლი, რა ცეცხლიც გულში მიბრიალებს და დავახმო ყოველივე გულჩინას წინააღმდეგი აზრი...“

„როინი რას შეედრება, რასა?! როინი შეედრება გულჩინას თვალებს. გულჩინას თვალებს...“

469  
936

საქართველოს  
პარლამენტის  
სამართლებრივი  
სამსახური





რიონის ტალღებს ჩავკირკიტებდი და ვცდილობდი იმის საიდუმლოს ამოცნობას, ესლა გულჩინას თვალებს ვაცეცდები, მაგრამ სადაა... სადა!... წყვილიაღია ჩემთვის იმისი ბუნება. იოტის ოღენაც ვერა შემიტყვია-რა...

„ვარლამ, გენაცვა ვარლამ, დავიბენი, თავ-ბრუ მესხმის. ველარა გამიგია-რა. დამიხსენი...“

შენი გააოზი.

23 მაისს—96 წ.

ქ. ქ....

#### IV

წავიკითხე ბოლომდის. ერთხელ კი არა, ორჯელაც, მაგრამ ვერა გავიგე-რა და, აბა რა პასუხს მივწერდი, თუმცა კი მინდოდა. მიმეწერა რამ, რადგანაც გაიოზი ჩემი კარგი მეგობარია, და იმისი ტანჯვა ჩემ ტანჯვად მიმაჩნდა.

თავი გავიქნიე-გამოვიქნიე, მხრები ავიჩეხე და წერილი გადავდე იმ განზრახვით, რომ ერთი კიდეე წამეკითხა და შემდეგ ისე მიმეწერა პასუხი. მაგრამ, რაკი გადავდე წერილი, ხელში აღარ ამიღია. ერთი ორ ღღეს კიდეე მახსოვდა და მერე კი სულ გადამავიწყდა, რადგანაც ისე ვიყავი გართული „ბანკობიანობით“, რომ წერილი კა არა, პურის ქამაც მავიწყდე ბოდა...

საზოგადო თუ კერძო კრებებზედ დასწრებამ, ისე გამაძეძა, რომ ბანკის გარდა ქვეყანაზედ არსებობდა კიდეე რამ თუ არა, აღარ ვიცოდი. ორნი ერთმანეთს რომ შევხვედრილიყავით, მაშინვე იღია და ვანოზედ დავიწყებდით ბაასს და ლანძღვა-კრულვით ვიხსენიებდით მოწინააღმდეგეს, თუ ორი ვენი ერთის მომხრენი ვიყავით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი წავცვივოდით და თითქმის ყელში ვსწვდებოდით ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვყოფილიყავით...

აბა ამისთანა გამწვავებულ ღროს გაიოზი რაღას მომაგონებოდა, გინდაც გაიოზი ჩემ ბუნებად ყოფილიყოს? იქმნება სულაც არ მომგონებოდა და მიმევიწყნა, რომ თითონვე არ მოგვონებინა.



სწორედ იმ დღეს, რა დღესაც უკანასკნელი კრება გა-  
თავდა და შინ დავბრუნდით, კოტა ხნის შემდეგ მოსამსახურემ  
ვინაობის ბარათი შემომიტანა.

დავხედე და მაშინვე კარებისკენ გავქანდი.

— არა გრცხვენიან, ბიჭო, ჩემთან რომ ბარათებით მო-  
დინხარ?!— ვეუბნებოდი და თან ვეხვევოდი.

— რა ვქმნა, ბიჭო მკითხა: „ვინა ხარო,“ და მეც ბარათი  
შემოგიგზავნე.— დაღვრემით მიპასუხა გაიოზმა და წინ გამიძ-  
ლოლა.

ძალიან მეწყინა, რომ პირ-და-პირ ჩემთან არ მოვიდა და  
სასტუმროში ჩამომხდარიყო.

გაიოზი და მე ერთად შევიზარდენით, განუშორებლები  
ვიყავით და ძალიანაც გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი ყოველივე  
წინაღ განუყოფელი იყო და ეხლა კი პირდაპირ ჩემთან არ  
მოვიდა.

სულ ჩამფუფქა ამ გარემოებამ, მაგრამ კი ვერა ვუთხარი-  
რა სასაყვედუროდ, რადგანაც მომაგონდა იმისი წერილი და  
ამ დრომდის უპასუხლობა...

გაიოზს კოტათი მორიდება უყვარდა მაშინვე და ეხლა მი-  
ზეზი ჰქონდა უფრო მომრიდებოდა. ისეთი საიდუმლო მანდო,  
ისეთ წუთს დამეკითხა და რჩევას მთხოვდა და, რასაკვირველია,  
ჩემი უყურადღებობა რომ დაინახა, მომერიდებოდა.

— ძმობას გეფიცები, — დავიწყე სულ უადგილოდ თავის  
მართლებას: განზრახ...

— კმარა, კმარა, ჩემო ვარლამ. ვიცი რაც გინდა სთქვა-  
მე სულაც ფიქრად არ მომხვლია გისაყვედურო რამ და გაგამ-  
ტყუვნო, რომ პასუხი არ მომწერე.

— მაშ რას ნიშნავს, რომ პირდაპირ ჩემთან არ მოხველი  
და ეს ვინაობის ბარათი?!..

— ვინაობის ბარათზედ წელან გიპასუხე და მეორეზედ კი  
ეხლა გეტყვი: პირდაპირ შენთან იმისთვის არ მოველი, რომ,  
ვფიქრობდი; იქმნება შინ არ დამიხვდეს და აქა-იქ ხეტიალს კი  
სასტუმროში ჩამოხდომა ვარჩივე.



— მაშ ეხლა ჩემთან გადმოხვალ, ჰა?!..—გადავეხვი და ვაკოცე.

— რასაკვირველია.

— რა გადასწყვეტი?....—ჩემდა უნებურად შევეკითხე და მაშინვე კი ენას ვიკბინე...

— რაც გადაწყვეტილი მქონდა: ჯვარს დავიწვრ მარია-მობის თვის გასულს, მეტის-მეტი სისულელე მომიდიოდა, რომ ვცდილობდი შემეტყო, გულ-წრფელად ვუყვარვარ თუ არა, ეხლა დავრწმუნდი, მართლაც რომ ვუყვარდე, ეს ჩემთვის გაუგებარი იქმნება. უფრო დიდი სისულელე ჩავიდინე, რომ შენ რჩევას გთხოვდი...

— აკი არ გემღურებიო...

— მე მაინც მაგას ვიტყვი, რომ არ გემღურები; როგორ დაგემღურო როდესაც შენ არ შეგეძლო რაიმე პასუხი მოგეცა?.. ქალს სრულებით არ იცნობ და, აბა, როგორ მიპასუხებდი ჩემ კითხვაზედ...

— დიდი ხნის გაჭიმული ნერვები—ვანაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ—მომიდუნდა, მომიჩლოუნგდა. რამდენად მწვავე იყო ეს კითხვა ჩემთვის, იმდენად ეხლა უმნიშვნელოა. ხომ სულ ერთია?!. ხელი ჩავიქნიე და ამ ხელის ჩაქნევას ჩემი ნერვებიც ჩავატანე. ეს ერთი კვირაა სულ მოშვებული ვარ და, რაც უნდა შევიტყო გულჩინას შესახებ, მაინც „სულ ერთი“ იქმნება...

ბევრი რამ მინდოდა მეკითხნა, ბევრი რამ გაუგებარი, დაუმთავრებელი იყო წერილში, მაგრამ ველარა ვბედავდი, რადგანაც ვატყობდი, რომ მოგონება, გამოკითხვა ძალიან შეაწუხებდა, თუმცა კი იძახდა: „სულ ერთიაო“.

ამისათვის გამოვცვალე ბაასის საგანი და ქუთაისისა, იმერეთის ჭირ-ბოროტზედ ჩამოვუგდე ლაპარაკი...

—...თქვენ თეატრის დარბაზი გქონდათ, როგორც შენ იძახი და ვაზეთებშიაც იწერებოდნენ, ენის მოსაქავებელ ადგილად, ქუთათურებს უფრო მუდმივი ადგილი აქეთ. ეს—ბულვარი და იქავე ბულვარის ახლო—ფრიალ შესანიშნავი რესტო-

რანი. ამ რესტორანის არსებობა შენ არ გეცოდინება. ეს სულ მოკლე ხანში გააღეს...

გადი ბულვარში, უფრო სადილისა და ვახშმის დროს, რესტორანში შედი და იქ შეიტყობ ქუთაისის ინტელიგენციის ჭირ-ბოროტს. მოხუცი, ახალგაზდა იქ იყრის თავს და...

ძნელად ასაწერია, რა ცხარე ბაასს ჰმართავენ, რა აღზნებით შლიან და იქნევენ ხელებს, თვალებს აკვესებენ, და იმათ ბაგეთაგან გადმოსჩქეფს, გადმოხუის სიტყვები, რა სიძლიერით ესვრიან ერთმანეთს დანაჩანგალს და ჭურჭელს კი არა, ბოკლსა, დარვინსა, სპენსერსა, კარლ მარქსსა და სხვ. და სხვ. და ამგვარად მსოფლიო კითხვებს არჩევენ, სახელმწიფოებს ერთმანეთს ახლიან და...

კმაყოფილნი თავიანთ თავისა ემშვიდობებიან ერთმანეთს და ისვენებენ იმისთვის, რომ, ხა-ხა-ხა-ხა, მეორე დღესაც შეიყარნენ და კიდევ დარვინი, ბოკლი, სპენსერი, კარლ მარქსი უფრო ძლიერად ესროლონ ერთმანეთს!...

ერთი კვირა გავიდა, რაც გაიოზი მესტუმრა. ყოველ დღე დიდ ბაასს გავმართავდით ხოლმე. თითქმის სულ გადავაბრუნეთ მთელი ქვეყნიერობა, მხოლოდ ერთ საგანს არ შევხებივართ. ეს—რაც გაიოზს აწუხებდა. ვატყობდი, რომ გაიოზი ერიდებოდა, და მე ხომ უფრო მოვერდებოდი.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად შევიტყე, რომ ის თავის გამოსაცდელად გამოპრიდებოდა ქუთაისს.

ახლოს რომ იყო,—მითხრა ისე გაიოზმა:—იქნება იმისთვის ვირეალი.—მინდა ერთ თვეს მაინც შორს დავყო, ჩაეუკვირდე ჩემ გრძობასა. წერილიც არ მინდა მივწერო და არც იმისაგან მინდა მივიღო. ამისთვის ადრესიც არ დავუტოვეო...

თუმცა ესა სთქვა, მაგრამ შევატყე, რომ მეორე დღესვე წერილი სადღაც გაგზავნა და მოუთმენლად პასუხს ელოდა. დაბრუნდებოდა სახლში თუ არა, მაშინვე მოსამსახურეს მიჰმართავდა: „წერილი ხომ არა მოსულა რაო... ხომ კარგად იცი ჩემი გვარი და სახელი? უკან არ გააბრუნო, თუ აქ მოიტანეს.“



წერილების დამტარებელსაც უთხარი: „გაიოზ კერაშვილის სახელზედ წერილი აქ მოიტანოსო...“

გაიოზი შინ არ იყო, როდესაც წერილი მოიტანეს. იმ დღეს გვიანაც დაბრუნდა. წერილი მე გამოვართვი. მინდოდა თვალ-ყური მედევნებინა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ამ წერილის მიღება და წაკითხვა.

მოვიდა თუ არა, იკითხა: „წერილი ხომ არ მოსულაო?..“

— როგორ არა, აი. — ვუპასუხე მოსამსახურის მაგივრად და გადავეცი.

ხელების კანკალით თვალზე გაბრწყინვალეულმა გამომგლიჯა ხელიდან და მაშინვე თავი გადუხია. შტემშელს, ადრესს არც კი დაჰხედა, თითქოს უკვე იცოდა, — საიდანაც და ვისი მოწერილიც იყო...

„აჰ!...“ — წამოიძახა უეცრივ წერილი გადაშალა თუ არა და საჩქაროდ წერილის ბოლოს დაჰხედა — პირი სახის კუნთები აუთამაშდა, ტანი შეერყა, და უეცრივ სარკმელთან მდგომ სავარძელში ჩაეშვა.

ნახევრობამდის არც კი ჩაეკითხნა წერილი, რომ ხარხართ წამოვარდა:

— ვარლამ, ... ვარლამ, ... ვარლამ!.. — ყვიროდა უთავბოლოდ და თან მეხვეოდა, მკოცნიდა, მატრიალებდა და გიჟსავით ხარხარებდა.

— რა იყო, რა მოგივიდა?!... — ვეკითხებოდი, მაგრამ პასუხს არ მაძლევდა. ის ისევ ხარხარებდა, მკოცნიდა, მჯმუჯნიდა და გაუგებრად გაიძახდა: „ვარლამ... გულჩინა... დავრწმუნდი“-ო.

მე კიდევაც შემეშინდა. „ხომ არ გადაირია“-მეთქი, — ვფიქრობდი და ვცდილობდი, როგორმე დამემშვიდებინა... ძლივს როდის დამშვიდდა და მაშინ-ღა მიპასუხა რიგიანად:

— აი, წაიკითხე და შეიტყობ, რამაც გამახარა ასე. ვერ წარმოიდგენ, ვარლამ, რა ლოდი მომწყდა გულიდან, და რანირად თავისუფლად სუნთქვა დავიწყე!.. ვმადლობ... ვმად-

ლობ შეცდომას... კაცის გულ-მაფიწყობას... წერილი გამოვართვი და ხმა-მაღლივ კითხვა დავიწყე:

„ჩემი გონებიდან განუშორებელი, პოლიევკტ, ნეტავი ეხლა აქ იყვე...“

— ვის წერილს მაკითხებ?!— შემკრთალმა მიემართე გაიოზს და წერილის კითხვა შევსწყვიტე.

— წაიკითხე, წაიკითხე და შეიტყობ, ვისასაც, ნუ გეშინიან.

„...ამ ზაფხულს ხომ შეგეძლო მოსვლა.— განვავარძე კითხვა: „შარშან ზაფხულს რა ცუდად გაგატარებინე დრო, რომ წლებულ აღარ მოისურვე მოსვლა. წელს უფრო უკეთესად, უკეთესად კი არა, ნეტარებით გავატარებდით დროს.“

„მაგრამ ისწავლე, ისწავლე და ყველაზედ უმჯობესი კაცი გამიადი. ეს ერთი ზამთარი-ღა იქმნები მანდ. არა უშავს რა. როგორც იქმნება უშენოდ გავსძლებ, გავიჭირებ თავს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამუდამოდ ჩემი იყვე, ჩემს გვერდით დარჩე. მე მაშინ უკვე კმრიაანი ვიქმნები. შენ ქუთაისში იშოვი აღგიღოს და... ახ, რა ნეტარებაში ვიქმნებით!.. ნეტავი ჩქარა დადგეს ის ნეტარი წუთი!..“

„ჩემი ტეტია ისევ ისე ბურტყუნებს, იჩმუჩნება საცოდავად, მაგრამ რას იზამს? ისე მყავს გაბმული, რომ თავს ვერ დაიხსნის.“

„გუშინ მივიღე წერილი. ის ეხლა თბილისშია. აი რასა მწერს:

„...ეხლა ხომ ჩვენ ერთმანეთისა ვიქმნებით, ხომ კარგად იცი, ამ მოკლე ხანში ჯვარს დავიწერთ?!... მაშეხლა მაინც მითხარი შენი წარსული. იქმნება იმის გაგებით მაინც დავრწმუნდე, გულწრფელად გიყვარვარ, თუ არა...“

გულჩინავ, შენ ყოველთვის მარწმუნებ, ყოველთვის მეუბნები, რომ გიყვარვარ, მე მიზეზიც არა მაქვს, რომ არ ვერწმუნო, მაგრამ, რა ვიცი, რატომ არა ვრწმუნდები?

გენაცვა, გულჩინო, ამისრულე ეს მცირედი თხოვნა... აი, სულ ამას ჩივის, ეს გაჰხდომია სატირლად.

ბეჩა, რომელი თავხედი ქალწული გადუხსნის თავის საქმროს გულს და ყველაფერს უამბობს. ეს როგორ არ უნდა იცოდნენ ყმაწვილებმა, რომ ამგვარ კითხვებს იძლევიან. მეტის მეტი გულ-უბრყვილობაა, არა, პოლიევკტ?

ისეთ აბლა-უბდას ვწერ იმის კითხვაზედ პასუხად, რომ, მგონი, ვერც თავი გაუგოს და ვერც ბოლო...

ნეტავი შენ ცოლქმრობის წინააღმდეგი არ იყვე; რომ იმისთვის ხელი მეკრა და თავიდან მომეშორებინა. სწორედ გითხრა, მომწყინდა კიდევაც იმის ბურტყუნი.

ან კიდევ მე გეთანხმებოდე და ეგეთი რწმენა მქონდეს. შენ რომ ქალი იყვე, მაშინ დამეთანხმებოდე, რომ ჩვენ დროში კანონიერი ქმარი ქალისთვის აუცილებელია.

ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ, რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდებლივ ვისიყვარულოდ...“

ველარ დავათავე კითხეა, ისე ავლეღდი, და წერილი იქით ვისროლე...

— ეი, ძმობილო, ეგრე ნუ ისვრი ჩემს მხსნელს.— გამეხუმრა გაიოზი და წერილი აიღო.

მე გაიოზზედ ჯავრი მომივიდა, რომ ის ასე ხუმრობს ამ დროს...

— კი, მხსნელია, მაგრამ მე ვერ გამიგია, ამ წერილს შენთან რა ადგილი აქვს?..

— ადვილი ასახსნელია. გულჩინას ორი წერილი— ჩემთან და პოლიევკტთან ერთ დროს დაუწერია და კონვერტები შეჭშლია... და, აი, ამ უბრალო შეცდომას რა შედეგი მოჰყვა. მგონი, ჩემი სიცოცხლე რომ ამის ამოცნობაში გამეტარებინა, ესე თვალ-ნათლივ ვერ დავრწმუნდებოდი.

გაიოზი ლაპარაკობდა და მე კი აღელვებული ოთახში დავდიოდი.

— ჰხედავ, ეარლამ, იქ ქალწულები რა ცბიერებას იჩენენ?!

— ვხედავ, ვხედავ, იმასაც ვხედავ, რომ როდესაც საქმროები ტყობილობენ ამ ცბიერებას, ხარხარს იწყებენ!...

— შენ მართალი ხარ, ჩემო ვარლამ! — სიცილით მიპასუხა და ხელი გადამხვია.

— ეხლა რას აპირობ?...

— აი რას ვაპირობ. — მიპასუხა და გულჩინას წერილს ბოლოში მიაწერა:

„ეს წერილი შეცდომით ჩემთან გამოგიგზავნია. მე გავუგზავნიდი პოლიევკტს, მაგრამ სჯობია, შენვე გაუგზავნო“. გაიოზი.

ქალს თავხარი დაეცემოდა ამას რომ წაიკითხავდა. მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი და მხრები-ღა ავიჩქე.

▼

დადუმდა გაიოზი. რაც წერილი ბოლოში მიწერით გულჩინას გაუგზავნა, ხმა აღარ ამოუღია. რამდენჯერ შევეკითხე, რამდენი ვეცადე საბაასოდ გამომეწვია, მაგრამ ჩემი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ყოველ ჩემ კითხვაზედ ან სულ არას მიპასუხებდა, და ან კიდევ დაბნევით, უაზროდ თავს ჩამიქნევდა, ხელებს გამისავსავებდა.

აღარც ჭამა-სმა იყო იმისთვის. ჩამოხმა...

საითაც უნდა ხელი გამეშვირა, ხმის ამოუღებლივ წამომყვებოდა.

მეც ვისარგებლე ამითა და ერთ ხუთშაბათ საღამოს მუშტაიდისკენ წავიყვანე. ვიცოდი, ამ საღამოს ხალხი მრავლად იქმნებოდა და ამისთვის ვიფიქრე, იქნება ხალხის სიმრავლემ გამოაფხიზლოს-მეთქი.

მშვენიერი საღამოც იყო. თუმცა დღის სიციხის ბული ისევ ტრიალებდა, მაგრამ მაინც თავისუფლად სუნთქვა შეიძლებოდა.

აუარებელი ხალხი მიეშურებოდა ცხენმიგნულათი, თუ ისე ეტლებით. ჩვენც დავიჭირეთ ეტლი და ჩქარა მუშტაიდში მტკვრის პირას ახლო მოედანზედ ფანატურის გარს შემორტყმულ ხალხის მოძრავ რკალში ჩაყვებით.

მგონი, ამოდენა აუარებელ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხში მარტო მე და გაიოზი ვიყავით გაწამებულები, თორემ სხვა ყველა მხიარულებდა, იცინოდა, ცხარედ ბაასობდა.

არ ვიცი, გაიოზი რაზედ ფიქრობდა, და მე კი ფიქრით არაზედ ვფიქრობდი, მხოლოდ ყურს ვუგდებდი უცნაურ, თითქოს ფუტკრის სკიდან გამონაცემ, ხალხის გუგუნს.

ფანჩატურის ქვეშ კი ამოფარებულიყო გურულ ტანისამოსით მორთული პატარა მემუსიკეთა გუნდი, რომელიც დრო გამოშვებით საკრავებს ხმას აღებინებდა...

არ ვიცი, სხვაზედ რა შთაბეჭდილებას ახდენდა; საფიქრებელია, კარგს, რადგანაც დიდის აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, როდესაც რომელიმე პიესას დაასრულებდა გუნდი.

ჩემზედ კი ძალიან ცუდს.—პატარა მემუსიკეთა დაკრული პიესა არც სულს და არც გულს არ ეხებოდა; იმათი მოქანცული სახე კი—სულსა და გულს მიწამლავდა, და ერთს-ღა ვნატრობდი, ჩქარა წასულიყვნენ და დაეძინათ ამ ბავშვებს...

— ვარლამ, წავიდეთ იქით, აგერ, აი იმ ბნელ ხეივანსაკენ!...— მომმართა გაიოზმა და მკლავში ხელი წამავლო.

გამეხარდა. პირველად ამოიღო ხმა ხარხარ-სიცილის შემდეგ. სიხარულით გამოველ მოძრავ რკლიდან, რომელიც უკვე შეთხლებულიყო, და მტკვრის პირა ხეივან-ხეივანს მძიმე ნაბიჯით წავედით...

„...გეხსოვება, იქაც, ფერმაშიაც, არის ამ გვარი ბნელი ხეივანი. ხშირად მე და გულჩინა დავდიოდით და... ახ!..“

სახე საცოდავად დაექმუნა, და ტანი შეერყა. შუბლზედ ოდნავ ხელი გადასო და მტკვრის პირას პატარა ფანჩატურიდან გამომავალ წყვილ ქალ-ვაჟისკენ მიიშვირა თითი.

— აგერ ისე, როგორც ეგენი, მკლავებ გაყრილნი, ერთმანეთზედ მიყრდომილნი გაჩუმებულები ვისხედით. ხომ იქაც არის მაგეთი ფანჩატური რიონის პირას. აქ მაღალი კლდიანი კიდეა, იქ კი დაბალი, მაგრამ სასიამოვნო, რიონის გმობა მკაფიოდ მოისმის.



„ჩვენც ვგრე ფეხის ხმას ვუსხლტოდით. გვინდოდა მარტოკანი ვყოფილიყავით.

„არა, არა, არა!.. იმას არა სდომებია, მარტო მე მინდოდა, მე... მეგონა კი...“

„რა კარგი იყო, ვარლამ, რომ ვსცდებოდდი, ვსტყუვდებოდი. ნეტავი იმათ, ვინც სცდება და ვისაც ჰგონია, რომ ერთ ხორცად და ერთ სულად არიან!.. აგერ ისინიც, რომ მიდიან, ბედნიერები არიან. ბედნიერები არიან, რომ სტყუვდებიან და ჰგონიათ, მარტო ჰგონიათ. იმათ გულში რომ ჩაიხედო, ხომ შეგეშინდება, ხომ დაინახავ იმათ ცბიერებას... იქაც, მოედანზედაც ხომ ჰნახე, როგორ ეჭუკჭუკებოდნენ ერთმანეთს, როგორ ლმოზიერად უმზერდნენ?! ხომ სულ ტყუილი თვალების ტრიალია, ხომ ატყუებენ ერთმანეთს?! არა? ჰა?!“

„მარტო ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგება...“

„აბა ჩაუკვირდი. მიჰხვდი?!“

ჩვენ ფანჩატურის ქვეშ დავსხედით. მეთორმეტე ეამი იყო მემუსიკეთ შესწყვიტეს დაკვრა. ხალხის ხმაც მისწყდა. მტკვარი-ღა ბუტბუტებდა და მოსთქვამდა გაუგებარ ენით თავის მწუხარებას...

„...ბევრი არ ჰღალატობს საქმით, აღსრულებაში არ მოიყვანს თავის განზრახვას, მაგრამ განზრახვით კი, აბა ჩაუკვირდი, ვინ არ განიზრახავს?!“

„თუ კი განიზრახა, უკვე უღალატა, მოჰშორდა, ჩამოეცალა, განმარტოვდა. ორნი ერთ არსებად აღარ არიან. ეს კი ყოველ წუთს, ყოველ წამს ხდება. კაცი თუ ქალი, ორივენი ჰღალატობენ. საქმით თუ არა, განზრახვით მაინც. განზრახვით ღალატი და საქმით ორივე ერთია. ორივე ღალატია და არაფრით განსხვავდება. „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმასა მას, მუნვე იმრუშა...“\*) საცა ღალატია, იქ ერთობას ადგილი არა აქვს. ვერა, ვერა! კაცი მარტოდ იბადება და მარტოობა, ეულოობა სიკვდილამდის თანა სდევს...“

\*) სახარ. მათ. თ. V, მუხ. 28.

„ნეტავი იმას, ვინც ამას არა ჰგონობს. ის ბედნიერია...  
 «რა არის ამისი მიზეზი? რად არის ადამიანი დევნილი?..

ვინ დასწყევლა?...

„ვინ? ვინ?... ვილა ვინ, თითონ... ადამიანი ყოველისფერს  
 მოიმოქმედებს, მაგრამ გულწრფელად კი არასფერს. გულწრფე-  
 ლობა კი ნიადაგია ყოველივე ბედნიერებისა...

„რა ვიცი. ეხლა შენ თითქოს გულმოდგინეთ მისმენ, თი-  
 თქოს მეთანხმები კიდევაც, მაგრამ რა საბუთი მაქვს, რომ გერ-  
 წმუნო?!... იქმნება იცინი კიდევაც, სულელადაც მსახავ. რა  
 ვიცი. მოქმედობდა როდისმე ადამიანი გულწრფელად?... არ  
 ვიცი. ეხლა კი, ჩვენ დროს, არა, არ მოქმედობს, თუმცა კი  
 ყოველთვის ამას ამტკიცებს სიტყვით.

„ახ, რა სამწუხაროა ხოლმე, როდესაც ჰხედავთ, რომ კა-  
 ცი თავსა და პირს იმტვრევს, გულსა და მკერდს ხელს იბრა-  
 გუნებს და გარწმუნებს, რომ ის გულწრფელია!...

„შე თუ გაზეთებიდან ვტყობულობდი, შენ პირდაპირ ის-  
 მენდი ბანკისათვის მებრძოლთა და წამებულთ სიტყვებს. არ  
 გეყურებოდა, როგორ ორივე მხარეს „სამშობლო“, მისი სარ-  
 გებლობა პირს ეკერათ?

„რა ვიფიქრო?!.. გულწრფელები არიან?!.. ჰა?!.. მითხარი:  
 მართლა სამშობლოს სარგებლობა ამოქმედებდა მათ თუ სხვა  
 რამ?...“

მეწყინა. მეც შემეხებოდა ეს განკიცხვა, მაგრამ რა მეპა-  
 სუხნა? პასუხის მაგიერად მხრები-ლა ავიჩიჩე.

შ. აზაკვისაძე

6 ღვინობისთვის 96 წელს.

მ უ ხ ა

(ეუფლენი ი. ს. ვოგებაშვილს)

როდესაც სეკდა მწკება  
სულის და გულის შემობეჭად,  
და ცრემლსა ღვრიან თვალები  
ნაკადულ შეუშრობეჭად,

სშირად გავდივარ მინდორზე  
და უგზო-უგეგლოდ ვუიალებ,  
დაღლილ-დაქანცულ თვალებსა  
შორს ველში დავაჯიანლებ.

იქ ერთი ბერი მუხა დგას  
მარტოდ მარტოკა ეულად  
გულ-დინჯი, დაფიქრებული,  
გამომწირალი გრძნეულად;

ვიცი მისს გულში მრავალი  
ბოდმა-კარამი ტრიალებს,  
მაგრამ იმ ნაღველს ადვილად  
ანაკის გაუწიარებს.

მხოლოდ როდესაც ვარშემო  
ველი ჩუმიდება, წუნარდება,  
ფრინველი, მწერი, ნადირი:  
გულისა ძილში ვარდება,

მუნა კლდეს ესაუბრება  
 მუნა მოსუცი, ხნიერი;  
 იცის კლდე ფელიდა არ არის  
 და სსკებისაჲთი ცბიერი.

— კლდეო, შენა ხარ მოწამე  
 ჩემის სინოცნლის დენისა,  
 ჩემის წარსულის აე-გარგის,  
 ვარამისა და ღსენისა;

გახსოვს, როგორი ტყე მქონდა  
 გარშემორტყმული მცველად?  
 შუაში დიდი მინდორი  
 ფარითოდ გაშლილი გეჴლდა!

რა არ ხარობდა აქ ტურფად,  
 იმ დროს ბედს ვინა ჩიოდა?  
 შიგ საარაკო სინოცნლე  
 სდუღდა და გადმოდიოდა!

როდესაც ღალი ირემი  
 ზმუილს მართავდა ჭალებში,  
 მე ცეცხლი სისარულისა  
 აძენთებოდა თვალებში;

ვიცოდი სატრფოს ეძახდა  
 ჩემსაკენ ეშურებოდა,  
 აქ ისეუბებდნენ ჩეროში  
 ვიდრე არ აგრილდებოდა.

თან მოჴეუებოდა მას შველი  
 და სსვა ნადირი მრავალი,  
 აქ უნდა გადაშლილიყო  
 მათი თავ-განდასსვალი.

ესღა სადღაა უკელა ეს?  
 გაჭქრა, წაკიდა ყოველი,  
 გარს ჭია-ღუა მარტუია...  
 რაღა სიკეთეს მოკვდი!

ტეე-ჭაღა შემომაკაიეს,  
 მეც არ მარხენენ შტოებსა,  
 რკოთი რომ ღარებს ხმლობენ,  
 ფოთლებს უყრიან სხობებსა.

მაგრამ არ ტუღება ჯერ გული,  
 წარსულ ამბავთა მთხრობელი,  
 გასაღდა, მომავალს ელის  
 კვლავ იმედ-გაუჭრობელი.

— «შენს მოხუცებულს გულ-მკერდზე  
 ბეერჟელ გვინახავს იარა,  
 თავს გრგინვით ელვა-ქუსილმა  
 ათასჯერ გადაგვიარა;

უკელამ გიმტეუნა, გამუხთღა,  
 კინც სამხედ დაგეზიარა,  
 მაგრამ ის დარჩი, რაც იყავ  
 შენ არა დაგკლებია-რა!

კისაც ჭკონისარ უძღური  
 და გაჭქეეს ჭია-ღუსა,  
 მალე მოიყვან ცნობასე  
 კიდევ ასწავლი ჭკეუსა.

დეე მას ჭქონდეს გულს შიში,  
 კინც ღაჩარია, მსდაღია,  
 კინც თვის ხან-მოკლე სიცოცხლე  
 უზრუნველობით გაღია.

ჩემს გულში ღრმად გაქვს გადაშული,  
 მოხუცებულა, ფესვები,  
 ვისაც რა სურდეს ისა ჰქმნას,  
 თუნდ დაიღესონ ეშვები,

—

რას დაგაკლებენ?.. ულორტები  
 იბარტყენ, დაიზრდებიან,  
 ტანს აიურიან ჭალა-ტყედა  
 გარშემო დაგადგებიან.

—

გვლავ აჭყვავდება სინონსლე  
 შენ შორის ედემურადა,  
 ტირიფი, წაბლი და რცხილა  
 გადაგესვევიან მშურადა.

—

გვლავ მოიზრდილებს შენს ჭკეშა  
 ლაღი ირეში ჩხიანი,  
 ჭურციკი, ჭისკი, კანჯარი  
 და შველი სანდომიანი.

შ. მღვიმელი





# მღისი-პაჩის ისტორია

ნაწილი პირველი

1789

ერკმან-შატრანის\*)

## I

ბევრს დაუწერია იმ კურთხეული დროის ამბავი, როდესაც 1789-ში ხალხი და მოქალაქენი კეთილშობილთ გაუმკლავდნენ. ბევრს დაუწერია, მაგრამ ისინი სწავლულები იყვნენ, წარჩინებულნი და წუთი-სოფელს ზემოდან დაჰყურებდნენ, ბატონ-კაცურად; მე კი ერთი მოხუცებული გლეხი-კაცი გახლავართ და ჩემებურად, მდაბიურად მოგიტხოვრებ ჩვენს საქმეებს; უმთავრესი ის არის კაცმა საკუთარ საქმეს მოუაროს; რაც ჩემი თვალთ მინახავს, განა რომ მეცოდინება და რაც ვიცი, ის უნდა გამოვიყენო კიდევ.

მოგეხსენებათ, 1789 წლამდე ფალსბურგის საბატონოზედ ხუთი სოფელი იყო მიწერილი: ვილშბერგი, მიტტელბრონი, ლუტცელბურგი, ჰალტენჰაუზენი და ჰაცელბურგი. ისიც გეცოდინებათ, რომ მოქალაქენი და ვილშბერგელები და ჰაცელბურგელები თავისუფალნი იყვნენ და დანარჩენი სამი სოფლის მცხოვრებნი, კაცი თუ ქალი, ყმები იყვნენ და საბატონო მიწაწყალს ვერსად წაუვიდოდნენ, მანამ მოურავისაგან ნებას არ აიღებდნენ.

მოურავის ხელთ იყო ჩვენი ბედ-იღბალი, ის იყო ჩვენი მსაჯული, ჩვენი ბატონი და პატრონი; მოურავს ნება ჰქონდა

---

\*) Ereckmann-Chatrion: Histoire d'un paysan.



განესაჯა ადამიანი და მისი საქციელი, დაესაჯა იგი და წამებაც კი მიეყენებინა.

დამნაშავეს სამამასახლისოსთან მიიყვანდნენ ხოლმე, ეხლა იქ სკოლა გახლავთ, და დაუწყებდნენ კითხვას; ვაი იმის ბრალი, თუ გაჯიუტდებოდა და არ გამოტყდებოდა: ისეთი ხმით აღრიალებდნენ გზირი და ჯალათი, რომ საბრალოს ყვირილი მოედანზედ ჩამოდიოდა. მერე, ბაზრობა დღეს, საღრჩობელას ამართავენ ზედ შუა მოედანზედ, დიდი მუხების გვერდით და ჯალათს მიუგდებდნენ—ახლა შენ იციო. იმანაც მართლა და კარგად იცოდა თავის საქმე: საწყალ კაცს თოკს რომ გადუგდებდა კისერზედ, თითონაც მხრებზედ შეაჯდებოდა—ცოცხალი არ გადაარჩესო.

გულ-ქვა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ იმ ღროში ავი გაებედნა რამე.

ფალსბურგს საბაჟო ჰქონდა. ამ საბაჟოს ვერავინ ასცდებოდა და რაც უნდა ყოფილიყო—შალი, მატყლი თუ სხვა რამ ამ გვარი—ურემზედ მანეთს გვახდევინებდნენ. ფიცარზედ, ბოძზედ, სარზედ, მარგილზედ ურემზედ აბაზა იყო გადასახადი; აბრეშუმზედ, ხავერდზედ, ძვირფას მაუღზედ—თუქმანს გვართმევდნენ; საპალნიან ცხენზედ ორი შაური იყო; ხურჯინიან კაცზედ—ნახევარ შაური; სახედარის საპალნე თევზედ—ათი შაური, ერბოზედ, კვერცხზედ, ყველზედ სახედარის საპალნეზედ—ექვსი შაური. თითო ქვა მარილზედ—სამი შაური, ერთ კოდ პურზედ ან ქერზედ—სამი შაური, ღორზედ და ცხვარზედ—ნახევარ შაური და სხვ.

ისე რომ ქალაქელი კაცი ვერც საქმელ-სასმელს იყიდდა, ვერც ტანსაცმელს შეიძენდა, მანამ მებატონეს თავისას არ მიართმევდა: საბაჟო, რასაკვირველია, მებატონესი იყო.

საბაჟოს დავახწევდით თავს და შიგ ქალაქში უფარესი მოგველოდა: ყველა შედუქნე, ყველა მოვაჭრე, შიგ ფალსბურგში იქნებოდა თუ სოფელში საღმე, ვალდებული იყო ყოველ ნაყიდ ან გაყიდულ რუმბ ღვინოზედ ექვსი თუნგი საბატონოდ გადაედვა. მამულს იყიდდა ვინმე, ან სახლ-კარს, ას თუმანზედ



ხუთი ბატონისთვის უნდა მიერთშია; მემკვიდრეობა დარჩებოდა ვისმეს, ას თუმანზედ ხუთი ბატონისა იყო. რამდენიც უნდა გაყიდულიყო პური, ქერი, სიმინდი და სხვ. ჭირნახული ქალაქის მოედანზედ, კოდზედ ნახევარ შაური ბატონისა იყო.

წელიწადში სამჯერ—სააღდგომოდ, საშობაოდ და საახალწლოდ მოედნის ქირას აგროვებდნენ ბატონის სასარგებლოდ.

ქირას გვახდევინებდნენ აგრედვე მოედანის და სასწორისას. ათ ლიტრაზედ შაური უნდა მიგვერთშია.

საჩივარს დავიწყებლით რამეს და სულ ტყავს გაგვაძრობდნენ: მოურავთან ვიჩივლებდით, ჯარიმას გადაგვახდევინებდა; ბატონს ვეახლებოდით, კარის-კაცნი უვარესს გვიშვრებოდნენ. საქონელს გავრეკლით სადმე, საძოვარს გადაგვახდევინებდნენ; ღორს გავიჩენდით, ბატონის ტყეში კრკოსა სჭამსო, ტყის ქაჩას გვართმევდნენ, შეშას გამოვიტანდით ტყიდან—საღბაშს გადაგვახდევინებდნენ; ხელობას ვისწავლიდით რამეს, ბატონის მუშა უნდა ვყოფილიყავით. მამულს ხომ თავისი ღალადო—ყოველი მოსავლის მეთადი: ამ მეთადიდან ორი წილი ბატონისა იყო და მესამედი ბერებისა. გარდა ამისა პურზედ კიდევ ცალკე გვართმევდნენ ღალას—მეთადისავე; ეს ბერებისთვის იყო დაწესებული, მაგრამ ბატონს შეშურებოდა და წაერთშია—ეკლესიას ჩემი თავი მიჩვენიაო.

და ახლა, თუ გნებავთ გაიგოთ—როგორ დამომნაეებინა იმოდენა ხალხი ჩვენს ბატონს და როგორ მიესია საწყალ მუშა კაცისთვის თავის მოურავები, გზირები, ჯალათები და კარის-კაცები, ამასაც მოვახსენებთ. ამ ორასი წლის წინად ჩვენი ქვეყანა ხელმწიფეს ერთ ბავარიელ თავადისთვის უწყალობებია. მაშინ თურმე არც სადმე მებატონე ცხოვრობდა, არც მუშა ხალხი და არც გზები იყო; უდაბური ტყე თურმე იყო და თავადიშვილს გროშის ოდენი სარგებლობაც არა ჰქონდა იმოდენა მამულიდან. ადგა და აღზახსში და ღორენში ხმა დააგლო: „ვისაც შრომა უნდა და მკლავიც უჭრის, ჩემს ტყეში დასახლდეს და ბედსა ვწევო: მამულს მივცემ, გარდასახადს არას გამოვართმევ და ისე ვაცხოვრებ, რომ სულ ქუდს ჭერში ისროდესო; ჩემ-



თვის კი არა ვზრუნავ, ჩემი პირადი სარგებლობისთვის... ღმერთმა დამიფაროს! მე ღვთისა და კაცის მომადლიერებას ვცდილობო. საფრანგეთის და ალზას-ლორენის გზები ზედ ფალსბურგ-ზედ გადის; ყოველი მგზავრი, ვაქარი და ხელოსანი—მეურმე, მქედელი, ღურგალი თუ მექურქლე ფალსბურგში უნდა გაჩერდეს და იქვე გაშალოს თავის სავაჭრო, როგორადაც ყოველმა სირაჯმა, ფეიქარმა, მეიარაღემ და სხვ. ჰო და, რადგან ჩემი სულისთვის ვიღწვი და ღვთის სადიდებლადაო, ვინც ფალსბურგში დასახლდება, არც ღალას გადავახდევინებ, არც რამე ხარჯსაო; შენობისთვის მასალას მუქთად ვუწყალობებ; ეკლესიას ავუშენებ, რომ სიტყვა ღვთისა მოისმინონო; სკოლისთვის სახლს ავუგებ, რომ ბავშვებს ქეშმარიტი სარწმუნოება ასწავლონ, რადგან მოზარდი თაობის გონება ხნულია, რომელშიაც შეიძლება იმისთანა საუცხოვო ყვაილი მოვიყვანოთ, რომ მის სუნნელება ცასაც ახარებდეს და დედამიწასაცაო.“

კიდევ ბევრი რამ აღუთქვა თურმე—ისეთ თავისუფლებას დაჰპირებოდა, რომ ეს ამბავი მთელს ქვეყანას მოსდებოდა და საიდან გინდა რომ არ წამოსულიყვნენ ამ სამოთხის-დარ ტყეში დასასახლებლად. სახლები აიშენეს, ტყე გაჩენეს, ახოები გატენეს და დახნეს, გზები გაიყვანეს; ერთი სიტყვით უდაბურ ტყეს ფასი დასდევს. რაც აქამდე უსარგებლოდ ევდო, ახლა ძვირფას მამულად იქცა!

ადგა ი თავადიშვილი და მთელი თავისი მამული—ტყე-ღრე, მიწები და მცხოვრებნი თავიანთი სახლ-კარით და საქონლით ლორენის მებატონეს კი მიჰყიდა!... ორმოცი-ათასი ოქრო თურმე აიღო. რა ექნა? ის მარტო ღვთისა და კაცის მომადლიერებას ცდილობდა და თავის სულისთვის იღვწოდა და არა ჯიბისთვის! მოსახლეთა უმეტესი ნაწილი ლუტერის სჯულისანი იყვნენ, რადგან თავადმა გამოუცხადა—ჩემს მამულში სრული თავისუფლება ექნება ყველა სარწმუნოებასაო; მერე რაკი ამოდენა ოქრო ჩაიჩხრიალა ჯიბეში, სარწმუნოებაც დაავიწყდა და თავის დაპირებაც; და ახალმა ბატონმა—მე ხომ აარაფერს დაგპირებოდაო, თავის კაცები შემოუსია ფალსბურგელებს—აბა, კა-

თოლიკობა მიიღეთ, თორემ ვინც გაკებრდება და თავისებურად ილოცავს ღმერთს, ჩვენი მამულიდან განვდევნით და, რაც კი სარჩო-საბადებელი აქვს ჩვენდა სასარგებლოდ წავართმევთო!

ბევრმა დაუტევა მაშინ ლუტერანობა; ზოგმა კი სარწმუნოება ირჩია და აიყარნენ საწყლები — კაცი, ქალი, ბაღლი და მიდიოდნენ წიაღ-წიალით.

რაკი ამ მხრივ ყველაფერი რიგზედ მოიყვანა, ბატონმა ბრძანება გასცა „ჩემს ერთგულს და გულითად საყვარელ ყმებს ვთხოვ“ ცოტა რამ დახმარება გამიწიონ, რომ ფალსბურგის ციხეები გავამაგროვო. შემოაუსია ხალხს მოურავები და ქუღზედ კაცი გაიყვანეს სამუშაოდ თავიანთ ურმებით და საქონლით. ქალაქს გალავანი შემოაკლეს, საფრანგეთის და გერმანიის მხრივ დიდრონი კარები დაუკეთეს; საშენებლად სულ თლილ ქვასა ხმარობდნენ. მთელს გალავანს გარედან გარშემო წყლით საესე თხრილი შემოუვლეს. შიგ ქალაქში მშენიერი პალატი ააგეს — აქ სასამართლო იქნება, რომ ობოლი და ქვრივ-ოხერი არავინ დასჩაგროსო; ეკლესია ააშენეს — მღვდელი ძმობასა და ერთობას გვიქადაგებსო და ზედ ეკლესიის გვერდით გააკეთეს სახლი მოძღვარისთვის, რომ თვალ-ყური ექიროს თავის სამწყსოზედაო; ბოლოს მოედანი მოაწყეს, რომ ყური ეგდოთ — ვინ რასა ჰყიდდა და ყველაფერზედ გარდასახადი დაედოთ. რაკი ასე კარგად მოაგვარა საქმე, ბატონმა თავის კაცები გამოგზავნა და დაგვადო ხარჯი, ბეგარა, ღალა, კულუხი სხვა-და-სხვა გარდასახადი და ჯარიმა... რაც კი სურდათ, ვინ იყო პატრონი? და მუშაობდა საწყალი ხალხი, მუშაობდა 1583 წლიდან 1789 წლამდე, სულ წელეზედ ფებს იღგავდა და წელეები კი სიმშლით ეწოდა; მუშაობდა საწყალი ხალხი ლორენის მებატონესთვის, მუშაობდა მარტო იმიტომ, რომ ეიდაც გერმანელი თავადისთვის დაპირება დაეჯერებინა და მის მამულში დასახლებულიყო.

ამავე დროს მებატონემ ქალაქში სხვა-და-სხვა ამქრები დააწესა და მით უფრო შეავიწროვა ხალხი. ყველა ხელოსნები ამქრებად შედგნენ და, ვაი იმის ბრალი, ვინც ამქარში არ იყო: ლუკმა პურს ვერ იშოვიდა, რადგან ამქარს გარედ მუშაობის

ნება არა ჰქონდა. ხელოსნები კიდევ ამქარში—ერთმანეთში წინაღვე შეთანხმებოდნენ და იმ ფასს თხოულობდნენ, რაც სურდათ.

ხელობის სწავლას სამს, ოთხს და ხშირად ხუთ წელიწადსაც ანდომებდნენ. მერე ამოდენა ხნის შეგირდობის შემდეგ ოსტატისთვის ფული უნდა მიერთმიათ, თორემ თავის დღეში არ დალოცავდა. და რაკი დაილოცებოდა და ამქარში შევიდოდა, თითონაც ისე იქცევოდა, როგორც მას ექცეოდნენ: სულ ტყავს აძრობდა შეგირდებს.

დღეს რომ ხედავთ, აგეთი კი არ იყო ქალაქი. მართალია ძველი ქუჩები, ძველი თლილი ქვით აგებული შენობები, უცვლელად დარჩა, მაგრამ ერთ სახლსაც ვერსად ნახავდით რომ ცოტაც არის შნოიანი ყოფილიყო. უბრალოდ გაღვსილი სახლები იცოდნენ, წვრილ-წვრილი კარებით და ფანჯრებით. დუქნებს პატარა თაღები ჰქონდა და ზოგან თერძს დაინახავდით თავის ტახტზედ მოკეცილს, ზოგან ფეიქარს, ზოგან ხარაზს...

საზიზღარი რამ იყვნენ მაშინდელი ჯარის კაცნი; ვითომ ქალაქს ამაგრებენო, მაგრამ ნამდვილად კი იმიტომ ჰყავდა მებატონეს, რომ ხალხის აჯანყებისა ეშინოდა. დღეში ერთხელ აქმევდნენ პურს. დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა და ნასუფრალს აგროვებდნენ, რომ უბედურ ჯარის კაცთა საქმელ-სასმელი ჰქონოდათ რამე. ეს ძველი ამბავი კი ნუ გგონიათ: სულ რამდენიმე წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ეს სამარხვინო წესი გადავარდა და 1789 წელიც დადგა.

უბედური იყო ხალხი: გამხდარი, გაყვითლებული, ღარიბ-ლატაკი; ერთი კაბა დედასაც ეცვა, შვილსაც, შვილიშვილსაც; ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც თვალის სინათლეს.

ქუჩას მოკირწლულს სადა ნახავდით და ღამე ფანარი ხომ სიზმრადაც არაეის ენახა. ფანჯრებს შუშის წილ გაქონილი ქალაღლი ეკრა...

ირგვლივ ყველგან სიღარიბე, სიმშლილი... და იქვე ოქრო-მკედით მოსილი ბატონის შვილები, მოურავი და მათი მხლებ-



ლები თავით ფეხამდე ვერცხლითა და ოქროთი შემკულნი, მძიმედ შეიარაღებულნი, თითქო აგერა საომრად მიდიანო.

დამშეული ხალხის კვენსა-გოდება... და იქვე ქუბივით ჩასუქებული ბერები! თითქმის ტიტველნი, უპერანგონი, მეტი ლენისაგან ცხვირპირ აღეწილნი თავიანთ მხიარული ღიღინით, მეტადრე როდესაც სურსათით დატვირთულნი მონასტრისაკენ მიბრძანდებოდნენ. ისე მახსოვს ყველაფერი, თითქო გუშინ იყოვო, და ღმერთს მადლობას ვწირამ: გმადლობ შენ ღმერთო, რომ დაჩაგრულ ხალხს იმდენი გრძნობა და შეძლება მიეცი, რომ წამოიწია და უღელი მოიხსნა. ღმერთო, რა უბედურდნი ვიყავით! განა მარტო ქალაქში, სოფელში უარეს დღეში ვიყავით. ვისაც თავის თვალით არ უნახავს, ვერც კი წარმოიდგენს—რა გაჭირვებაში იყო გლეხი-კაცი. რასაც მოქალაქე იხდიდა, იმასვე ახდევინებდნენ გლეხკაცსაც და გარდა ამისა ათასი ბევარი და ლალა სხვა ედო. განა სოფელს ნახავდით, რომ ან საბატონო, ან საეკლესიო არა ყოფილიყო! ჰო და რომ ვმუშაობდით—ან საბატონოდ ვმუშაობდით, ან საეკლესიოდ. გლეხკაცს თავისთვის მარტო ხრიოკები-ლა რჩებოდა.

მერე ი ხრიოკსაც ისე ვერ მოიხმარებდა საწყალი კაცი, როგორც უნდოდა; სახნავე სახნავად უნდა დარჩენილიყო, საძოვარი საძოვრად; ახალს ხომ ვერაფერს გააჩენდა. საძოვარი რომ მოეხნა, მონასტერს ღალა დააკლდებოდა, სახნავს დასტოვებდა საბალახედ და ბატონს დააკლდებოდა; თუ არა-და შერეკავდა ბატონი თავის საქონელს და მოაძოვებდა. გლეხ-კაცის მიწაში რაღაც ხეხილი იყო, სულ საბატონოდ იყიდებოდა, თითონ ხელს ვერას ახლებდა; იმას მარტო თვალი უნდა სქეროდა და თუ გახმებოდა რამე, სამაგიეროდ ახალი უნდა დაერგა და ეხარებინა. ჭირნახულს აჩრდილებდნენ ეს ხეები, მიწას ასუსტებდნენ, თავიანთ ფესვებით ხვნას აძნელებდნენ, მაგრამ გლეხ-კაცი თევზივით მუნჯად უნდა ყოფილიყო.

ამასთან მებატონეებს ნადირობა უყვარდათ—შესხდებოდნენ ცხენებზედ, გაირეკავდნენ ქორ-მეძებრებს და დაერევოდნენ ყანებს—ისე ააოხრებდნენ, ისე გასთელავდნენ, საცა კი გაივ-

ლიდნენ, გევანებოდა მტერი შემოსევია ქვეყანასაო. გლეხ-კაცს კი აკრძალული ჰქონდა ნადირის მოკვლა: თავის ვენახში რომ კურდღელი მოეკლა — ნადირი ბატონისა იყო — წუთისოფელს გამოასალმებდნენ.

გლეხი-კაცი კი არა, გლეხი-კაცისა საქონელიც კი დევნილი იყო. დილით ჯერ ბატონისა და მონასტრის საქონელზე გავიდოდა მინდორში და მერე, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ, სოფლის ნახირი მისდევდა უკანა და რასაკვირველია მშვიერი რჩებოდა.

ყველა მებატონეს და მონასტერს აუარებელი მტრედი ჰყავდა; კალიასავით მოედებოდნენ მტრედები ყანებს და საწყალ კაცს დღიურის მაგივრად ორი დღისა უნდა ეხნა, თუ უნდოდა რომ ცოლშვილი სიმშლით არ ამოსწყდომოდა.

გარდა ამისა ყოველ გლეხ-კაცს უნდა მიერთმია ბატონისთვის წლის განმავლობაში 15 ჩანახი შვრია, ათი დედალი, სამ-ოცდა-ათხი კვერცხი; სამი დღე თავად უნდა მოხმარებოდა ბატონს, სამ-სამი დღე კიდევ ყოველი თავის შვილის ან საქონლის და ურმის მაგიერ. როგორც კი სასახლიდან ზარის ხმას გაიგონებდა, უნდა ავარდნილიყო და გაეთიბნა ბატონის საბალახე, ბალახი გაეშალა, გაეხმო და თივა ჯაურებად დაედგა, თუ არა და დააწიოკებდნენ, დედა-ბუდიანად აიკლებდნენ; ბატონი რომ შენობას დაიწყებდა რამეს, გლეხ-კაცს თავის საქონლით უნდა მიეზიდნა საჭირო ქვა, ხე-ტყე, კირი. ბატონიც თავის წყალობას არ აკლებდა და, როცა ამუშავებდა, გლეხ-კაცს დღეში ერთ ჭადს აძლევდა და ერთ თაზს ხახვსა.

ეს იყო ბატონ-ყმობა.

იქნება არც კი დამიჯეროთ — სასოფლო თორნე გექონდა, სასოფლო წისქვილი, სასოფლო საწნახელი და ყველას იქ უნდა გვეცხო პური, ყველას იქ უნდა გვეფქვა და გვეწურნა; და რასაკვირველია ქირასაც კარგს გვანდევინებდნენ. იქნება არ დამიჯეროთ, საცა კი საქონელს დავკლავდით — ტყავი ბატონის ჯალათისა იყო; საცა კი საქონელი დავგვეჩებოდა, ან დავგებო-



ცებოდა, ტყავი მაინც იმისი იყო. და ამოდენა გარდასახად ბოლოს მოსდევდა მეათედი, რომელიც ძირს უთხრიდა უიმისოდაც გალატაკებულ გლეხი-კაცის ოჯახს: მოსავლის მეათედი მღვდელს მიჰქონდა. ის არა კმაროდა გლეხ-კაცისთვის რომ თავისი ოფლით იმოდენა ბერებს აცხოვრებდა, არა! მეათედიც გაიღე, შენ მაგდენი რად გინდაო!

ვინ მოსთვლის? ყველა რომ მომაგონდეს, რასაც საწყალი გლეხ-კაცი იხდიდა, მგონი ჩემს დღეშიც ვერ გავათაო.

ისე აწუხებდნენ უბედურს, გეგონებოდათ ბატონმა და სამღვდელოებამ პირობა შეკრეს—გლეხკაცობა ამოვწყვიტოთო და რას არ სჩადიოდნენ, რომ მართლა უკიდურესობამდის მიეყვანათ ი ბედ-შავი ისა!

მაგრამ ეგ კიდევ არა კმარა, გლეხ-კაცს ჯერ ისევ სული უდგასო!

მანამ გერმანიისა იყო ლორენი, საქონლისავით ქედმოხრილნი ვმუშაობდით და იმოდენა სამსახურს მაინც ვერ ავდიოდით: ბატონსაც ვემსახურებოდით, მოურავსაც, ბატონის კაცსაც, მღვდელსაც, ბერსაც, მანოზანსაც. მაგრამ ლორენი რომ საფრანგეთს შეუერთდა, უფარესი დღე დაგვადგა. იმოდენა გაქვირებას კიდევ ახალი ჭირი მოემატა: მეფის სასარგებლოდ დაგვადეს ხარჯი—სამსამი აბაზი თითო შვილზედ და მეოცედი მთელი წლის მოსავლისა; ოღონდ მოსავლიდან ჯერ ბატონი წაიღებდა თავისას, მერე მღვდელი, მერე ბერი და დანარჩენიდან—გლეხის წილიდან მეოცედს კიდევ მეფისთვის გვანდევინებდნენ: მოგეხსენებათ მებატონეები და სამღვდელოება არავითარ ხარჯს არ იხდიდნენ. მერე ხარჯი დაადეს თამბაქოს, და ასე გასინჯეთ მარილსაც კი... ამ ხარჯსაც მარტო ჩვენ ვიხდიდით, თორემ მებატონეს და სამღვდელოებას ვინ რას გაუბედავდა?

კიდევ კარგი რომ საქმეზედ გამოეყენებინათ რაზედმე! ხომ იმოდენა სარჩო შეჰქონდათ მებატონეებს და ბერებს და მონოზნებს—საცა კარგი მამული იყო, იმათი იყო, საცა კარგი მოსავალი იყო, იმათი იყო, ჩვენი მარტო შრომა იყო: უნდა მოგვეხნა, დაგვეთესა, მოგვემკო და ქირნახული კი მებატო-



ნესთეის მიგვერთმია. დიღ, იმას მოგახსენებდით—კიდეც კარგი რომ საქმეზედ მოეხმარებინათ თავის სიმდიდრე—ან გზები გაეყვანათ, ან რუები გაეჭრათ, ან ჭაობი დაეშროთ, ან მამული გაეპატიურებინათ, სკოლები აეშენებინათ და სავადმყოფო სახლები, მაშინ კიდეც ჰო—რალა გვეთქმოდან; მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ თავიანთ თავის და პირადი სიამოვნების გარდა არა სწამდათ რა. ლუი როანელმა იცოდა—ხომ კარდინალი იყო და სულიერი მამა მთელი ქვეყნისა, სავერნში ისეთ ქეიფს ეწეოდა, რომ ერის-კაცს გაუჭირდებან; გადაჰკრავდანუნუას და... მუშაკაცი დასანახავად ეჯავრებოდა და ვაი იმის ბრალი, ვინც ერთი დღის სავალზედ არ აუქცევდა გზასა—მიახვევდა თავის მხლებლებს და სულ ტყავს გააძრობდენ ხოლმე. მებატონეებმა იცოდნენ, მთელი ქვეყნის ხოხობს გაიჩენდნენ; ნაფუზრებს ქეითკირათ შემოპლობავდნენ, ზედ შუშის ქერს დახურავდნენ და თურინჯის ხეებს ინახავდნენ; ბალებს მარმარილოს ნაქანდაკეეებით ამკობდნენ, ყველგან ჩახრუელას მართავდნენ—მეფეს ვერსალში ასე აქვს და ჩვენც უნდა გვექონდესო. ქვეყნის ფულებსა ხარჯავდნენ უნამუსო ქალებზედ. სულ დიბა-ატლასით მორთული დაჰყავდათ ურცხვად, თითქო მაჰმადიანები იყვნენ და ცოლებს ხელსახოცივით იცვლიდნენო. საცა ქვას ფებს წამოჰკრავდით, ბერი წამოგარდებოდა: დამშეული მგლებივით დაწანწალებდნენ სოფელ-სოფელ—ხედავთ, რა გლახაკნი, ღვთის-მოსაენი ვართო, და მონასტერში კი ქვეყნის უწესოებას და გარყვნილებას სჩადიოდნენ. სამართალი იმისი იყო, ვინც მეტს ქრთამს გაიღებდა, მართალი ის იყო, ვინც მეტს დახარჯავდა; ყველგან გარყვნილება, ყველგან გახრწნილება, უსინიღისობა და უღმერთობა! საშინელი დრო იყო! მით უფრო საშინელი, რომ ამოდენა უბედურებას ქვეყანა ვერ გაუძლებდა, თვით გლებ-კაცის ძალით რომ არ აღქურვილიყო მებატონე.

მართლაც, რაკი გლებ-კაცს, ყმაწვილ ბიჭს ჯარში წაიყვანდნენ, ისე დაავიწყდებოდა სოფლური გაჭირვება, თითქო თავის დღეში სიღარიბე არ უნახავსო; დედ-მამასაც კი დაივი-

წყებდნენ ხოლმე; თავის აფიცრების და უმფროსის გარდა აზრისლა იცნობდნენ და მათთვის დედ-მამას-კი არა, ღმერთსაც კი შეებრძოლებოდნენ. მეფე და მებატონეები, რომელნიც ჯარის-კაცებს ინახავდნენ, ქვეყანას ამოაწყვეტინებდნენ, რომ ებრძანებინათ; და ამავე დროს გლეხ-კაცს უფლება არა ჰქონდა—აფიცრობა მიეღო: ვილაც წუბაკ გლეხს ვინ აღირსებდა ეპოლეტებს? სამაგიეროდ მოწყალების თხოვნას არავინ უშლიდა, თუ ბატონის გულისთვის სადმე ბრძოლაში დაიჭრობდა. ამის უფლება კი ყველა ჯარის-კაცსა ჰქონდა. საცა კარგ ბიქს დაინახავდნენ ჯარში წაიყვანდნენ—ზოგს წაიტყუებდნენ სხვა-დასხვა დაპირებით, ზოგს შუა გზაში გააკავებდნენ და ძალად მიათრევდნენ. განა მიწას ხეირიან მუშას შეარჩენდნენ? დაბერდებოდა და—წადი მოწყალეობა ითხოვეო! ჰო და ყველა ზომ ვერ შესძლებს მოწყალეობის თხოვნას? ბევრნი გავარდებოდნენ ხოლმე და ავაზაკობს იწყობდნენ; ერთხელ, მახსოვს, 12 კაცი ჩამოაღრჩეს ფალსბურგში. რა ექნათ? ცუდაობას დაჩვეულნი, ღონე მიხდილნი, ხელმწიფის სამსახურში დაბერებულნი... რა ექნათ, რომ გროში არაეის ეძლეოდა ხაზინიდან?

საშინელი დრო იყო ჩვენი დრო: მებატონეებს და სამღვდელოებას ჰქონდა ყველაფერი და ხალხს კი არაფერი.

## II

მადლობა ღმერთს, წავიდა ის დრო და გლეხკაცმაც წილი დაიღო თავის ნაჭირნახულევში. არც შე ჩამოვრჩი სხვებს უკან და აქედან სამი დღის სავალზედ იციან მოხუცი მიხეილის სახლ-კარიც, გადაჭიმული ხოდაბუნებიც, სამი დღის ზვარიც და გუთნეული ხარ-კამეჩიც.

ბედს ვერ დავემდურები: ჩემი პატარა იაკობი პარიზში პოლიტეხნიკურ სკოლაშია პირველ კურსზედ; ჩემი ქრისტინე მარტენელ ტყის მცველსა ჰყავს; თულიეტა ფორბენსა ჰყავს,—ძან ყოჩალი ბიჭია, ღვთის წინაშე, და კარგი ალაგიცა აქვს; ჩემი მიხეილი, ჩემი იმედი—რა ვქნა უმცროსია და მგონი იმიტომ

მიყვარს ასე ძალიან, — ექიმობას აპირებს; შარშან ნანსში კიდევ დაიჭირა პირველი — ბაშელიეს — ეგზამენი და თუ იშრომა — კაცმა იშრომოს, თორემ შეუძლებელი არა არის — რა.

ამოდენა სიკეთე ერთმა დღემ მომცა, 1789 წელმა. ოთხმოც და ცხრამდე ვინ რას მაღირსებდა? ჩემი დღენი შრომით უნდა გამეტარებინა და ჩემი ნაწვავ-ნადაგი კი ბატონს უნდა წაეღო. ხშირად გავჩერდები ხოლმე შიგ შუა დარბაზში და გაშტერებული შევცქერო აქაურობას, თითქო ჩემი თავისა არა მჯერა. ეს საესე ოჯახი, ეს ჩემი მოხუცებული დედაკაცი თავის წვრილფეხობით; ეს ჩემი გადაყრუებული მურა — იქვე ცეცხლაპირას, ნაღვერდალში წაუყვია ცხვირი და ისე შემომცქერის თითქო წარსულს მაგონებს: გახსოვს რა დღეში ვიყავითო? ეს ჩემი ვაშლები — ბიჭმა ბოძი შეუდგა, ტოტები არ დაემტვრესო; ბაღში ფუტკრის ბზუილი, ეზოში გოგო-ბიჭების მხიარული სიმღერა, კალოზედ ჩვენი ძველი ოროველა; აგერ ძნის ურემი მოაქვთ... რა კარგად გადუტყლაშუნა მეურმე მშოლტი ნიშა ხარს... დიად, ედგევარ შუა დარბაზში ასე ჩაფიქრებული, მაგონდება ჩვენი ძველი მიწური, ქოხი მაინც ყოფილიყო, სორო იყო, რომელშიაც სცხოვრობდა საწყალი მამაჩემი თავის ცოლ-შვილით; უბრალო ორმო იყო მიწაში ჩათხრილი, ფანჯრის წილ სანათური ჰქონდა დატოვებული და ზუზუნით ჩამოდიოდა ქარი, წვიმა და თოვლი. ცეცხლს ავანთებდით — კომლი გვახრჩობდა, არ ავანთებდით და სიცივით გაფიჩხებულნი სიკვდილს შეენატრიდით ღმერთსა. მომაგონდება ხოლმე; ცხონებული მამაჩემი; მომაგონდება საწყალი დედაჩემი; მომაგონდება იმათი გაჭირვებული ცხოვრება, დაუდგრომელი წვადაგვა და სიმშობი; შეუწყვეტელი შრომა — ეგება ბაღლებს მჭადი და ლობიოს შეჭამადი არ დააკლდეთო; მომაგონდება იმათი დაგლეჯილ-დაფლეთილი კონკები; სასოწარკვეთილი, უიმედო, დაჩაგრული, დამცირებული, ყველასაგან შეურაცხყოფილი ადამიანის სახე და თავით-ფეხამდე თრთოლა ამიტანს... და თუ მაყურებელი არავინა მყავს, ცრემლსაც ვეღარ შევიმაგრებ ხოლმე. თან კი ბრაზი მერევა.

განა ჩესს სიკაცხლეში დამავიწყდება, რა დღეში ვყავდით უბედურები! საქონელს უკეთ ეპყრობიან. სისხლსა გვწოდენ. აგერ ოთხმოცი წლის კაცი ვარ, მგონი უნდა დამშვიდებულიყო გული, დაევიწყნა იმოდენი დამცირება, მაგრამ არა, თითქო გუშინ იყო ყველაფერიო—ამიშფოთდება ხოლმე სული და სულ კბილებს ვაკრაჭუნებ. მაგრამ რას იზამთ? ჩვენზე გლებ-კაცის შვილი გამოტყვრება ვინმე და გაზეთში წერას დაიწყებს: „1789 წელმა დაგვღუპა, იმ დრომდე ბედნიერი ვიყავით და მას შემდეგ სულით ხორცამდე დაეილუპენითო; წინად პატიოსნებით სავსე ვიყავით, დულდა და გადმოდიოდა გლებ-კაცის ოჯახი და ახლა კი, სადღაა ძველი დროვო!“ უსინდისონი! ხელში რომ ჩამივარდება ხოლმე იმათი ნაწერი, ცოფიანივით გავვიღებ და, იმ დროს რომ თითონ დამწერს შევხვდებოდე სადმე, მგონი სისხლი შევანთხიო ზედა!

ჩემი მიხეილი მამშვიდებს ხოლმე:

— ნეტავი შენა, პაპა-ჩემო, რა გაჯავრებს? მაგას რომ სწერენ, იმიტომ სწერენ, რომ შესყიდულნი არიან: ხალხი გააბრიყვეთ, იქნება ისევ ძველებურად ბატონ-ყმობა ჩამოვარდესო. რა ქნან, იმათი ხელობაც ეგ არის—ოლონდ ფული დაანახვე და თუნდა თავის თავის ლანძღვას დასწერენ.

ამაზედ მე უფრო ვბრაზდები:

— როგორ თუ ფული დაანახვეო? 92-დან 99-მდე ასობით კაცი დავხვრიტეთ მაგათზედ ერთი ათასად უკეთესები, სულ კეთილშობილი, პატიოსნებით სავსე კაცები! დავხვრიტეთ, იმიტომ, რომ თავის თავს იცავდნენ. და ეგენი რას იცავენ? ეგენი ხომ გლებ-კაცები არიან, ჩვენი ძმები? მაშ ჩვენა გვალაატობენ რაღა? საკუთარ დედ-მამას ჰალაატობენ, საკუთარ ცოლ-შვილს და სამშობლოს, ოლონდ ქისა გავიმსოთო?

მე რომ ხშირად ვკითხულობდე ამ გაზეთებს, ბრაზით გული გამისკდება. ჩემდა საბედნიეროდ ჩემი დედაკაცი ფრთხილად არის და თუ სადმე თვალი მოჰკრა, მაშინადვე ხელიდან წამგლეჯს და დაფხრეწს. მაგრამ რას იზამთ! როგორც ქირს ვერ დაუკეტავთ კარებს, ისე ამგვარ გაზეთებს: რასაც ერიდებით, ყველგან ის დაგვდებათ.



მეც სწორედ ამიტომ მოვიწადინე დამეწერნა გლეხთა კაცის ასტორტა; მინდა ჩვენი წვა-დაგვა ავიწეროთ და მით გავაცრუოთ იმ მოღალატე ვაჭარბატონების გესლიანი სიტყვები. დიდი ხანია ეს განძრახვა მაქვს; ვიცი დიდი შრომა მომეღის, მაგრამ თუ სიკეთე გინდა ქვეყნისა, შრომას არ უნდა გაუბოლოდე. გარდა ამისა მტყუანს სინართლის კარებამდე უნდა მიჰყვე, თორემ ქვეყანას მართალი ეგონება და სიმართლე დაიჩაგრება. ჰო-და გავიკეთებ ჩემს სათვალეებს და ეახსენებ ღმერთსა; წელიწადი ვუჯდები საწერ-კალამს და ამ საქმეს კი დავამთავრებ.

გავერთობი კიდევ. წარსულის და აწმყოს შედარება გამახარებს: სხვა არა იყოს-რა ე თავისუფლება მაინც მოვიპოვეთ. როდი აფჩქარდები, დავიწყებ და თავიდან ბოლომდე სულ რიგზედ ავწერ ყველაფერს; ურიგოდ არა ვარგა-რა.

ახლა კი ვიწყობ.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი ვერაფერს დამაჯერებს, რომ 1789 წლამდე გლეხ-კაცი ბედნიერი იყო. მე მოვესწარ იმ ნეკარ ღრმას, — ეხლა ხომ ამ სიტყვით იხსენიებენ წარსულს ჩვენი მეგაზეთეები — მახსოვს ჩვენი ძველი სოფლები; მახსოვს სასოფლო თორნე, რომელშიც გლეხი-კაცი წელიწადში ერთხელ, მარტო სააღდგომოდ აცხოვრდა შუას; მახსოვს სასოფლო საწინახელი, რომელშიც გლეხი-კაცი სხვისას სწურავდა, ბატონისას და მონასტრისას; მახსოვს თითონ გლეხი-კაცი — ჩამომხმარი, ჩაყვითლებული, ფეხშიშველი, უბერანგოდ შალის ჩოხაში გახვეული; ცოლი უარეს დღეში ჰყავდა! ზამთარ ზაფხულ ერთი და იგივე ტურტლიანი ჯღანები, თითონ უარესად ჭუჭყიანი — ეხლანდელს რომ ენახა ვისმე, იტყოდა ტყის ნადირიაო. იქვე ცარიელი ქადისაგან მუცელ გასიებული ბავშვები დაბობდავდნენ ტალახში შიშველ-ტიტველნი. მე რომ არა ვთქვა, განათვით მებატონეს კი ვერ დავიმოწმებ; ბევრსა ცდილობდნენ, მაგრამ რაც გულის ასარევი იყო, იმათაც გულს ურევდა და აი რასა სწერს ერთი მათგანი: „წვიმისა და მზის ქვეშ შეუსვენებლად მუშაობს უბედური ხალხი, ოფლს იწურავს, წილებზედ ფეხს იღვავს, რომ ქვეყანა გამოჰკვებოს და ნუ თუ თითონ

მუშას სიმშლით უნდა ვკლამდეთო?“ კარგ გუნებაზედ მან-  
დებოდა, ეტყობა, ის ბატონი ეს რომ დასწერა. დასწერა და  
მეორე დღეს აღარც კი ახსოვდა, რაც დასწერა.

საქონელს უკეთ ეკიდება ყოველი ქრისტიანი, ვიდრე უწინ-  
დელ დროში გლეხ-კაცს ეკიდებოდნენ; განა ამის დავიწყება  
შეიძლება? აგერ თვალ-წინ მიდგა ჩვენი სოფლები და, იქნება  
არც კი დამიჯეროთ, ჩემს პატარა ბიჭობაში მოხუცებულები  
ამბობდნენ — უწინ უეარეს დღეში ვიყავითო. მოიგონებდნენ  
ხოლმე სვედების შემოსევას, საფრანგეთის და ლორენის ომსა,  
როდესაც ჩამომხრჩვალნი გლეხ-კაცები მტვევანივით ეკიდნენ ხეებ-  
ზედ; მოიგონებდნენ ხოლმე დიდ-ჭირიანობას, რომელმაც თურ-  
მე მუსრი გაავლო ქვეყანას; ფიცამდნენ, მთელი დღე რომ გე-  
ვლო, სულიერ ადამიანს ვერსად ნახავდიო. მოიგონებდნენ ხოლ-  
მე გვალვას და ქვეყნის დამშევას. მოიგონებდნენ წარსულს მო-  
ხუცებულები და ღმერთს შეპლადებდნენ — ღმერთო გვიხსენ  
ჭირისაგან, ომისაგან და სიმშლიისაგანაო! მაგრამ სიმშლისა-  
გან საწყლები ღმერთმაც ვეღარ იხსნა — ყოველ წელს სიმში-  
ლი იყო. ან რა გააძღობდათ? ჩვენ მაზრაში ოც და რვა მღვდე-  
ლი იყო, 47 მონასტერი ბერებისა და 19 მონაზვნებისა. ახლა  
უმფროსი სამღვდელოება, ახლა მებატონეები და მათი შინა-  
ყმანი! სად მოვიდოდა იმდენი პური, რომ ამათა ჰყოფნოდა?..  
მაშინ ხომ კარტოფილი არ იცოდნენ და ბედშავ გლეხ-კაცს  
მკადის მეტი არა რჩებოდა რა და ისიც იმდენი არა ჰქონდა, რომ  
კუჭი გაეძლო.

გამაძლარი გლეხ-კაცი ძნელი საპოვარი იყო.

რასაცა შრომობდა, სულ ბატონისათვის შრომობდა. უნ-  
და მოეხნა ბატონის ნაფუზარი, დაეთესა, გაეთოხნა, მოერ-  
წყო, მოემკა, მიეტანა, გაელეწნა, გაენიავებინა, პური გაერე-  
ცხა და დაეფქვა; თივა მოეტანა, ვენახი დეებარა, გაემარგლა,  
მოერწყო, შეეყელა, მოეკრიფა, დაეწურა, ქვევრები გაერე-  
ცხა; სულ ბატონის მამულს უნდებოდა, მანამ დრო იყო მუ-  
შაობისა. თავისს ცოლ-შვილისათვის არაფერი! დადგებოდა შე-  
მოდგომა, ბატონი თავისს მოსავალს დააბინავებინებდა თუ არა;



გლებ-კაცი სხვაგან მიდიოდა. მშიერი, ტიტველი შინ ყოფილიყო თუ გარეთ, სულ ერთი არ იყო? გარეთ განიკითხავდა ვინმე მაინც.

მაგრამ ბერებმა ყაყანი მორთეს: თუ კი ქვეყანა მათხოვრობას დაიწყებს, ჩვენ რაღა გვერგებაო! გლებკაცს წიალი აუკრძალეთ, თორემ ჩვენ აქედან ავიყრებით და ქეშმარიტი სარწმუნოება დაილუბებაო! მაშინ ბატონმა მოურავმა და მამასახლისმა ქალაქისამ ბრძანება გასცეს, რომლითაც გლებკაცს აღეკრძალებოდა მათხოვრობა. ბერებმა თავისკენ მიიმხრეს ჯარი და ვაი იმის ბრალი, ვისაც ხელ-გაწვდილს მიასწრებდნენ—საუკუნოდ გამოასალმებდნენ თავის არემარეს; მაგრამ სიმშლილი უფრო მძლავრი ყოფილა, ვიდრე დაპატიმრების შიში და ხშირად მთელი სოფელი მიდიოდა ლუკმა პურის სათხოვნელად.

ღმერთო, რა გვარ ამცირებს ადამიანს სიღარიბე? დიად, სიღარიბე და ცუდი მაგალითი. ყველგან და ყოველთვის მათხოვარს ხედავდა გლებ-კაცი — ბერებს; ზორბა, ახოვანი ბიჭები გადიკიდებდნენ გუდას და დადიოდნენ სოფელ-სოფელ ხელ-გაწვდილნი და ფეხშიშველნი. რა სჭირდათ საიმისო? ერთ ბარის დაკვრაზედ, რომ მოენდომებინათ, დღიურს გადააბრუნებდნენ. მაგრამ არა, დადიოდნენ ასე, ყველას სახლში უფარდებოდნენ და მდაბლად, უსირცხვილოდ მოწყალებას თხოულობდნენ; ხედავდა ამგვარს მაგალითს მშიერ-მწყურვალნი გლები-კაცი და, თუ კი შემძლებელი კადრულობს, მე ხომ თვით ღმერთი მიბრძანებს მოწყალების თხოვნასაო!

საუბედუროდ ერთი რომ თხოულობს, თუნდა მართლად ძალიანაც უჭირდეს, მეორეს უნდა ჰქონდეს რამე, რომ განიკითხოს, ამასთან მოყვასის სიყვარულიც უნდა გაეგებოდეს. სად იყო განკითხვა? ქვეყანა იმას გაიძახდა, რომ ყველა თავისთვის და ღმერთი ყველასთვისაო.

დადგებოდა ზამთარი და ხმა გავარდებოდა: ურმებით პური მიჰქონებიათ ქალაქისკენ, დასცემიან ვილაც მაწანწალები და გაუტარცვავთო. მაშინვე მღევარს გაუყენებდნენ და საქმე



საღრჩობელათი გათავდებოდა, რომელზედაც ხშირად ათობით ერთად აღჩობდნენ დაჭერილებს.

სწორედ იმ საშინელ დროს სცხოვრობდა ერთი საწყალი მუშა-კაცი ცოლით და ექვსი ერთი-ერთმანეთზედ წვრილი შვილით; საწყალი, იმიტომ რომ სულს იქით არა ებათ-რა: გროში ფული არსადა ჰქონდა, ერთი ხელის დადება მამული არ ებადა, სხვა საქონელს ნუ იტყვივთ ქათამი არა ჰყავდა; თავის ხელობის გარდა ცხოვრებისათვის სხვა საღსარი არა ჰქონდა-რა: უნდა ეწნა გოდორი, მოსაკიდი, კალათი, კოკოზა და სხვ... არავითარი იმედი, რომ თითონ თუ არა, შვილებს მაინც უკეთესი დღე მოელოდათ. იმიტომ რომ ასე უნდა ყოფილიყო: ზოგი კეთილშობილად იბადებოდა და ქვეყანა იმისი იყო, ზოგი გლეხ-კაცად იბადებოდა და უკუნითი უკუნისამდღე სხვის მონად და ყმად უნდა დარჩენილიყო.

მამაგონდება ხალხე ჩვენი ოჯახის სიმშლი, ზამთრის გრძელი ღამეები უცეცხლოდ და ულოგინოდ, გულის ფანტკე-ლი—არიქა გზირი მოდის, დაგვაწიოკებს დედა-ბუღიანადაო! მაგრამ დადგებოდა გაზაფხული და დიდი ხნის ყინვების შემდეგ ისევ მზეს ვეღირსებოდით; შემოისროდა ჩვენს მიწურში მზე სტუმრად თავის სხივებს და ნათელს მოჰყენდა ჩვენს ბნელს ორმოს; დაგვივლიდა გათოშნილ ტანში ქვეყნის მაცხოვრებელი სიტბო, დაგვაღიწყადებოდა ჩვენი შავი და ბნელი ყოფა და მაინც სიცოცხლეს შეგხაროდით: გარედ გავიდოდით დილით პატარამდღე და ისეთი სიცილი და მხიარული ყიჟინა გავგქონდა ბაღლებს, თითქო ჩვენზედ ბედნიერი არავინ არისო. რა არის სიყმაწვილე!

ან არა და შორიდან მამაჩემს დაგინახავდით ტყიდან მომავალს. ქუდის ჩაჩი თავს ვერ უფარავს და ქარი უთამაშებს უდროვოდ გათეთრებულს თმას; ზურგზედ უშველებელი კონა წნელი ჰკიდია; წელში თავის წალღუნა გაურქვია. მოდის დაღალულ-დაქანცული, წელში მოხრილი... მაგრამ დაგვინახავს თუ არა, სახე გაუბრწყინდება, პირს ღიმილი მოუვა. ჩვენც გავკურცხლავდით—ვინ წინა და ვინ უკანა მისაგებებლად. გაჩერ-



დებოდა, ერთი ხელით აყუდებულ კონას შეიმაგრებდა და მეორით რეთი გულში ჩაგვიკრავდა სათითაოდ—ჩვენ ხომ ბედნიერნი ვიყავით და იმ წამს იმსაც დავივიწყებდით ხოლმე იმოდენა ვარამს.

რა გულკეთილი რამ იყო! რა ძალიან ვუყვარდით! დედაჩემი? საწყალი დედაჩემი! ჯერ ორმოცი წლისა სად იყო, რომ სულ მთლად გათეთრებულიყო, წელში მოხრილიყო იმოდენა გაჭირვებისაგან, მაგრამ მაინც ყოჩაღად იყო და მთელი დღე ისე დატრიალებდა, ერთს წამს არ შეისვენებდა; ხან ვისა შველოდა და ხან ვისა, ამით მაინც დავებმარო ჩემს წვრილ-შვილსაო. დაღამდებოდა და კიდევ სხვის ჯარას მიუჯდებოდა და სხვის მატყლს ართავდა. იმდენი ვიყავით, ჭამა არ გვინდოდა? ახლა სხვა-და-სხვა ხარჯი და გარდასახადი სთქვით. გასტუმრება არ უნდოდა? ღმერთო, რა მამაცი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავისი დღენი შრომაში გაატაროს და ჯილდოს კი მარტოდ-მარტო საიქიოს ელოდეს?

ეგ კიდევ არაფერი. უბედურებს ერთი კიდევ სხვა ქირი სჭირდათ—საერთო ქირი ყოველი გლეხი-კაცისა. ვალი ჰქონდათ.

ჯერ ისევ ბავშვი ვიყავ, მაგრამ ისე კარგად მახსოვს, თითქო გუშინ იყოფო. მამაჩემი ქალაქს გასაყიდად კალათებს წაიღებდა ბაზრობას და რომ დაბრუნდებოდა, იტყოდა ხოლმე, თანაც ხურჯინიდან ნავაჭრს იღებდა:

— ეს მარილი, ეს ოსპი... მაგრამ გროში აღარსად ჩამრჩა, გროში. ღმერთო, ღმერთო! რა იმედი მქონდა, ცოტა რამ უნდა გადავარჩინო რობენისათვის-მეთქი.

ჩვენი ქვეყნის სისხლის მსმელი იყო ეს რობენი. მიტელობრონში იდგა და ქვეყანა თავისს ბრკყალეებში ჰყავდა გაკაეებული. ერთი საშინელი, დაბალ-დაბალი, სქელი, შუახნის კაცი იყო. გათხლეშილი ცხვირი, მომცრო გრგვალი თვალები, უზარმაზარი პირი და ყურები, ზაფრანის ფერი პირისახე... დადიოდა სოფელ-სოფელ, ყოველთვის ფეხით, ზურგზედ გუდა ეკიდა, ხელში კომბალი, უკან კიდევ უშველებელი ძალი მი-

სდევდა, დადიოდა და თავის ფულების სარგებელს აგროვებდა; კაცი არ იყო, რომ იმისი არა მართებოდა-რა—ზოგს სამი მანეთი, ზოგს ექვსი, ზოგს თუმანი და თუმან ნახევარიც. შევიდოდა სახლში და თუ აღთქმული სარგებელი მზად არ იყო, თავის გულაში ჩაუძახებდა, რასაც კი მოახელებდა: ათიოდე კვერცხი, ერთი ჯამი კარაქი, ერთი ჩარქვა არაყი, კვერეული ყველი—ეს სარგებლის სარგებელი იყო. რა გვექნა? დეე დაგვარბიოს, ოღონდ ნუ გვიჩვილებს და ბოქაულს ნუ შემოგვისევსო.

დღესაც რამდენი უბედურია, რომ ზედ კისერზედ აზის ამგვარი მოვახშე და უღმერთოდ სისხლსა სწოვს. რამდენია უნუგეშო გლეხი-კაცი, რომ თავის ნამუშავარს ერთიანად ვალში აძლევს ვილაც ღმერთზედ ხელადებულს უსინდისოს და ვალს კი არაფერი აკლდება?

ჩვენსა რობენი ვერაფერს იპოვიდა ხოლმე, რომ გულაში ეკრა და ამიტომ არც კი შემოდოდა. კარს მოგვირაკუნებდა და შემოგვიძახებდა:

— პეტრე! ჰაი პეტრე!

წამოხტებოდა მამაჩემი, გავარდებოდა გარეთ და ქუდ-მოხდილი, ძალზედ აკანკალებული თავს დაუკრავდა.

— ბატონო რობენ...

— გამარჯობა შენი!—ვენახი ლამის გამიხმეს, მოდი ერთი ორიოდე დღე მომეხმარე, ერთი კარგად მოვრწყუათ, ჰა?

— გიახლებით, ბატონო რობენ.

— ხვალ დილით?

— დიად, ბატონო რობენ.

რობენი თავის გზას გაუდგებოდა. შემოვიდოდა მამაჩემი შინ მომაკვდავივით ფერმიხდილი და ისევ კალათის წვნას შეუდგებოდა; პირ-მოკუმული, თავჩაქინდრული კრინტს არ დასძრავდა. მეორე დღეს დილა აღრიანად გულაში ერთ ჰადს ჩაიდებდა, ბარს გაიდებდა მხარზედ და რობენის ვენახისკენ გასწევდა.

ილაჯ-გაწყვეტილი დედაჩემი კი ბედს ემღუროდა:

— ნეტამც არ გათენებულიყო ის დღე, როდესაც ჩვენ თხის ყიდვა მოვიწადინეთ. გენაცვალეთ, ამისთანა ჭირი გინახავთ!

ლომის ერთმა თხამ სულ თან არ გადაგვიტანოს! შვილები გვამი-  
 წყდეს, თუ ათჯერ მაინც არ გადაგვეხადნოს ი თხის ფასი! თხაც  
 მოგვიკვდა და ვალიც ვალად გვადევს... არა, ამისთანა უბედუ-  
 რება გინახავთ!...

სასოწარკვეთილი ზევით აღაპყრობდა ხოლმე ხელებს და  
 ღმერთს სამართალსა სთხოვდა.

სალამოზედ მამა-ჩემი ხელცარიელი მიდიოდა შინა. ასე  
 ამუშავებდა რობენი და ერთი-ორი თვით თავს დაანებებდა;  
 მაგრამ დიდი ხნით კი არა: როგორც კი თავისუფლად ამოი-  
 სუნთქავდა საწყალი მამა-ჩემი, მგონი რობენმა თავი დამანებაო  
 და კარებს კი მოუკაკუნებდა:

— პეტრე! ჰა, პეტრე!

იტყვიან—აიმ კაცს სენი სჭირს რამე და გულს უღრღნის  
 და სისხლს უშრობსო. ღარიბი კაცის სენი კიდევ ეს არის—მო-  
 ვახშე, რომელიც ფულს გასესხებს, ვითომ სიკეთესაც გიშვრე-  
 ბა და საუკუნოდ ყურ-მოჭრილ ყმადკი გიხდის: დაგაწვება ის  
 უღმერთო ისა, და გწუწნის წურბელასავით! სიკვდილამდე იმის  
 ხელიდან ვეღარა გიხსნის-რა. მოკვდები და შენს ობოლ ცოლ-  
 შვილს უვარესს უზამს.

განა შემძლიან აგიწეროთ რამდენი ტანჯვა და მწუხა-  
 რება აიტანეს ჩვენებმა ამ რობენისაგან? მოსვენება აღარა  
 ჰქონდათ იმის შიშით, ძილი აღარა ჰქონდათ, ღლითი ღღე  
 ბერდებოდნენ და წელში იხრებოდნენ; ერთად ერთი იმედი-ლა  
 დარჩენოდათ: თუ ერთს რომელსამე კენჭი არერგოვო, ჩვენსას  
 იტყოდნენ ხოლმე, ჯარში სხვის მაგივრად გავგზავნით და აღე-  
 ბულ ფულს ვალში მივცემთო.

ექვსნი ვიყავით, ოთხი ვაჟი და ორი ქალი: ნიკო, ელი-  
 საბედი, მე, კლავდი, მატურინი და პატარა სტეფანე; უკანასკ-  
 ნელი სნეული ბავშვი იყო, დაკვლანჭული ფეხები ჰქონდა  
 და გამხდარი, ჩაყვითლებული იყო; ჩვენ სოფელში საწყალს  
 „პატარა იხვს“ ეძახდნენ, რადგან მართლა იხვივით დაბაჯბაჯებ-  
 და. სხვანი სულ კარგად ვიყავით.

დაგვაცქერდებოდა დედა-ჩემი, ნიკოს, კლავდის და მე და იტყოდა:

— ნუ სწუხარ, ჩემო პეტრე, ისე როგორ ღმერთი გაგვიწყრება, რომ სამივეს ერგოს კენჭი. ერთი მაინც გადაჩრება და მაშინ კი მიფთხილდეს რობენი! ვალს გადაეუხზი თუ არა, ემაგ წალდით ზედ შუაზედ გავუბობ თავსა!

მართლა უბედური უნდა იყოს აღამიანი, რომ ასეთი აზრები მოსდიოდეს. მამა არას უპასუხებდა და ჩვენ კიდევ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნდა დედი-ჩემის სიტყვები. დაწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენ ჩვენი დედ-მამის საკუთრება ვიყავით, როგორც საქონელი. რას იზამთ: უბედურება ისე აუხვივეს ხოლმე კაცს თვალეხსა, რომ სწორედ ველარას ხედავს. 79-მდე მებატონეების და მოქალაქეების გარდა ყველანი ასევე უყურებდნენ თავის შვილებს: ჩვენი საკუთრებაა, როგორც გვინდა ისე მოვიხმართ, საცა გვინდა, იქ ვუკრამთ თავსა, თუნდა ჯარისკაცად მივეყიდით ვისმესაო. ხალხის მტრებს ძალიან მოსწონთ ამგვარი შეხედულება დედ-მამისა: ხედავთ რა ნეტარი დრო ყოფილა, რა ტკბილი განწყობილება ყოფილა მამა-შვილ შუა, რა პატივისმცემელი და მორჩილი ყოფილა უნცროსი უმფროსისაო!

უბედური მამაჩემი იმდენად გულკეთილი და შეგნებული კაცი იყო, რომ თავისდღეში შვილის გაყიდვას არ იფიქრებდა. რამდენჯერ მომხდარა, შუა ზამთარში, როცა სიმშილი ძალიან შეგვაწუხებდა და მოწყალეების სათხოვნელად გაგვისტუმრებდა, ცხარე ცრემლითა ტიროდა ხოლმე. პატარა სტეფანეს თავის დღეში არსად გაუშვებდნენ, მეტადრე ავდარში. დიდი ხანი არც მე მივლია: სულ სამჯერ ოთხჯერ თუ ვყოფილვარ ქალაქში, რადგან რვა წლისა არც კი ვიყავი ჯერა, რომ ნათლია ჩემმა ივანე ლერუმ დამიჭირა მწყემსად. ჩვენი სოფლის ბოლოში ქალაქის გზაზედ დუქანი და გომები ჰქონდა ნათლია ჩემს და სადამოხედ, საქონელს რომ დავაბინავებდი, მარტო მაშინლა მივდიოდი შინა.

დიდი ხნის ამბავს მოგახსენებთ, მაგრამ ისე მახსოვს ყველაფერი, თითქო თვალ წინ მიდგასო: ნათლია ჩემის დუქნის კედელ-

ზედ სამი მტრედი ეხატა და უშველებელი ასოებით ეწერა „სამი მტრედით.“ დუქნის ბანიდან შორს შორს ქალაქი მოჩანდა, თითქო ცაზედ შავი ლაქი დაუსვამთო. დუქნის წინ ეზოში პატარა სამკედლო გვეკონდა და უკან კიდევ დაქანებული საბალახე; შიგ ერთი უზარმაზარი მუხა იდგა და მუხის ძირში კამკამი წყარო. მოჩხრიალებდა წმინდა წყალი, მთელს მიწას გარშემო უვლიდა და ამწვანებდა. მუხა კიდევ საამოდ აჩრდილებდა იქაურობას. ერთხელ ჯარს გაველო და უფროსებს საქეიფოდ მუხის ჩრდილში სკამები გაეკეთებინებინათ და მას შემდეგ, როცა კი ჩვენ სოფელში ჯარი გაჩერდებოდა რამე, უფროსნი ამ მუხის ჩრდილში შეეკცევოდნენ. ისეთი საუცხოვო ადგილი იყო მართლა ეს ჩრდილი თავის წყაროთი, რომ ახლო-მახლო მებატონეები და იმათი ქალები ყოველ კვირა მოდიოდნენ „ტივოლიში“ წყაროს დასალევად და დროს გასატარებლად.

ერთხელ მახსოვს დიდი საზოგადოება შეიყარა საქეიფოდ მუხის ქვეშ. ზემოდ წყაროს სათავეში ბატონი დოზე იდგა—დიდი, გამოჩენილი მებატონე იყო—სავსე ჩარექა ეჭირა ხელში და ლათინურად რაღასაც ბრძანებდა. ქვემოდ ქალები ისხდნენ ბალახზედ თავიანთ ხაბარდებით, ატლასის კაბებით, ატლასისავე ფეხსაცმელით, და გულმოდგინეთ ყურს უგდებდნენ და კისკასებდნენ, თუმცა ლათინურისა არა ესმოდათ—რა. ერთობ კი ცოტას გადაჰკრავდნენ, მერე წამოდგებოდა ვინმე, ქიანურს დაუკრავდა და ვაიმართებოდა ლხინი. წამოდგებოდნენ იმოდენა მებატონეები, სულ დიდი გვარის შვილები, კლაკვნით და ზლაზვნით, ტანისა და ფეხის თამაშით მიბძანდებოდნენ ქალებთან და მდაბლად თავს დაუკრავდნენ და ხელს გაუწოდებდნენ. ქალებიც ერთი პრანჰვა-გრეხით, თვალებისა და ტუჩების ღმეჭით წამოდგებოდნენ, ხელს მისცემდნენ და დაიწყებდნენ ხეტიალს და პრაწიალს; იმდენს იპროწიალებდნენ, მანამ თავბრუ დაეხვევოდათ.

მაშინ უფრო დინჯი, დარბაისლოური ცეკვა იცოდნენ! მოსამსახურენი—მოხუცებული ჯარის-კაცნი და შინა-ყმანი კი სუფრას უმატებდნენ—ეს ქადა-ნაზუქიო, ეს შემწვარი ინდოურებიო, ეს სუკებიო, ეს წითელი ღვინოო.



გარედან კი, მტერიან ქუჩიდან მშვიერი ხალხი შესცქეროდა და პირს ნერწყვი უშრებოდა. უყურებდნენ დამშეული სოფლელები ბატონების ქეიფს, ბატონებისაგან საქმელ-სასმელის გაოხრებას—ღვთის მოცემულს სულ. აქეთ-იქით აქცევდნენ—და გულში ხელს იცემდნენ: აჰ, ნეტავი აიმ სუფრაზედ ერთ წამს დამსვა და მე ვიცი, როგორც გამოვიმსებ ფერდებსაო!

დალამდებოდა და წამოიშლებოდნენ მოქეიფენი, ყმაწვილები ხელს გაუწვდიდნენ ქალებს, ეტლებში ჩასხამდნენ—და ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ.

ვინ არა ყოფილა ნათლიაჩემის მუხის ქვეშ? საცა გამოჩენილი და შემძლებელი კაცი იყო ვინმე, აქ უნდა მოსულიყო დროს გასატარებლად—მებატონეები, აფიცრები, კარდინალები, მსაჯულები, ვინ იცის? სადღა არიან ნეტავი თავიანთი ფქვილ-წყარილი კულულებით? მგონი იმ დროის მოწამედ მელა ვარ ცოცხალი და, მე რომ არ მეხსენებინა, არავინ ახსენებდა ქვეყანაზედ, როგორადაც შარშანდელ შემოდგომის ფოთოლს.

რაკი ნათლიაჩემს დავუდეგ მწყემსად, შიში აღარაფრისა მქონდა: პურს ნათლიაჩემთანა ვჭამდი და ქალამანი უცვეთი მეძლევიდა. რამდენი ჩემი ტოლი ბიჭი შემომნატროდა—ნეტავი მეც დამიჭიროს ვინმე, ე კუქს მაინც გავიძლობო. მეც კი ვცდილობდი ყველაფრით დამეკმაყოფილებინა ნათლიაჩემი და ნათლიჯალაბი ეკატერინე; ასე გასინჯეთ ქარგალ ვალენტინს და მოსამსახურე გოგოს ნიკოლსაც კი სულ თავს ვევლებოდი; ყველა მადლიერი მყავდა. ერთი კი დავეძახნე ვისმე და ჩიტივით მიფრინდებოდი. ხან სამქედლოში საბერველს მაწვეინებდნენ, ხან საბძელზედ ამგზავნიდნენ—საქონელს ჩალა ჩამოუყარეო; კატა რა არის, ნათლიაჩემის კატაც კი მომადლიერებული მყავდა. სუფრის ბოლოს რომ გამოვიჭიმებოდი ხოლმე და სავსე ჯამს შეჭამადს მომიდგამდა დიასახლისი, ზედაც კომბოსტოს წნილს!... პური ხომ თავსაყრელი გვქონდა... არა, ღმერთი არ გამიწყრებოდა, გაბეჯავრებინა ვინმე?! კვირაობით კიდევ სახსნილოს გააკეთებდნენ ხოლმე და ჩემს ნებისად, ძლომამდე მაქმევდნენ ყველაფერს. დამშვიდებული მაინც ვიყავ, სიღარიბე ლუკმას არ მითვლის-მეთქი.

კაცი რომ კარგ ალაგს მოხედეს, ფეხი უნდა მოიკიდოს. ჰო-და როგორც კი ინათლებდა—ზატხულში ოთხ საათზედ და ზამთარში ხუთზედ, მე ნათლია-ჩემის ბოსელთან ვიყავი და კარს ვარაკუნებდი. გომში ჯერ ყველას ეძინა, საქონელი ზარმაცაც იცოხნებოდა. მოჯამაგირე მაშინადვე გაიღვიძებდა და ჯერ ისევ ბნელ ბოსელის კარს გამიღებდა. შევიდოდი, ბოსელიდან სამზარეულოში ავიდოდი, ნაცარს გავექექდი, ნაკვერჩხალს გავაჩაღებდი და ცეცხლს ავანთებდი. და მანამ დედაკაცი ძროხებსა სწველიდა, მე ნიჩაბს ავიღებდი და ლამაზად დავაკრიალებდი ბოსელს. მერე საბძელიდან მგზავრების ცხენებისთვის და საქონელისთვის ბზე გამომქონდა. აღგებოდნენ და გაუკვირდებოდათ, საქონელს მოვლილს რომ ნახავდნენ. ამასობაში მგზავრებიც შეაბამდნენ ხოლმე და მე მდებლად ქულს ვუხდიდი, მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ მეტქი ღმერთმა.

ჩვენი ვაჭარი კაცი ხომ იცით რა არის: ხშირად პასუხს არც კა მალირსებდნენ, ზედაც არ შემომხედავდნენ; მაგრამ ვიცოდი რომ კმაყოფილნი მიდიოდნენ, საყვედურს ვერაფრისას გვეტყოდნენ და მეც მეტი არა მინდოდა-რა.

რომ შემზადდებოდა ყველაფერი, დედაკაცი ერთ ჯამ დოს მომაწოდებდა ან მაწონს, ჩავიყრიდი შიგ პურსა და თვალის დახამხამებაზედ გადავაგორებდი. გულაში კიდევ ერთ პურს ჩამიდებდა, ერთ-ორ თავ ხახვს, ხანდახან ერთ კვერცხსაც ან ერთ ნაქერ ყველს, წამოვავლებდი ხელს ჩემ შოლტს და ვავირეკავდი საქონელს. წინ მოზვრობა მიკუნტრუშებდა, უკან ღინჯად მუშა საქონელი მისდევდა და ისეთი რხევით გამივლიდნენ წინა, რომ ყველას ცალცალკე მივეალერსებოდი ხოლმე.

თუ ქალაქიდან ბორნისკენ საბანაოდ ყოფილხართ როდისმე, ადვილად მიხედებით საით დამყავდა საძოვრად საქონელი: ქაობებში შევრეკავდი და აქა-იქ თუ მოწიწკნიდნენ რასმე. იქ უნდა მიმერეკნა, რადგან უფასოდ სხვაგან არსად გვიშვებდნენ; ტყეში მარიამობისთვის გასვლამდე საქონელს არ გაგვატარებინებდნენ—ტოტები ჯერ ნორჩი აქვს ხეს, ჯერ არ გამაგრებიანო; მარიამობისთვის გასულს კი შევრეკდით ხოლმე

შიგ დამშეულ საქონელს და გაქვს ღვთის წყალობა ისინი მძღვე-  
ბოდნენ. მანამ კი ქაობში, ლაფში უნდა ვყოფილიყავით.

ქალაქელი მეღორეც ხშირად ამორეკდა ხოლმე თავის ღო-  
რებს—მეტადრე სიცხეში; დაერევოდნენ ი ქაობს ღრუტუნით,  
დინგს ტლაპოში ჩაპყოდნენ და ისეთი კმაყოფილება ეტყობო-  
დათ პატარა ვიწრო თვალებში, რომ ჩემდა უნებურად სიცილს  
მგვრიდნენ:—დახე, დახე ღორის სამოთხე ლაფი ყოფილა—მეთქი.

ჩვენი საქონელი კი მთელ არემარეს მოეფინებოდა. გამო-  
ვუდგებოდი, ზოგს შოლტის ტყაცუნით ვაშინებდი, ზოგს ქვით,  
ზოგს კომბალს ვესროდი. ახლა სხვა სოფლის მწყემსებიც  
მოვიდოდნენ:—ერთს ორთავ თვალთ ბრმა ძროხა წამოეყვანა,  
მეორეს ზურგ წამხდარი ცხენი და ერთობ კი ყველა გუდა  
გამოთხეკილი მოდიოდა. კიდევ კარგი, თუ გზაზედ სტაფილოს  
მოახელებდნენ სადმე ან თაღვამს, თუ არა და შოლტის ტყლა-  
შუნი თუ გააძლობდა, თორემ სხვა არა ებადათ—რა. მაგრამ რა?  
სტაფილოსაც შოვნა უნდოდა! ვაი იმის ბრალი, ვისაც მეველე  
მოასწრებდა: კისერზედ ჭინჭარს შემოახვევდნენ და ისე შემო-  
ატარებდნენ მთელი სოფლის ქუჩებში. მაგრამ სიმშვილი უარესი  
იყო. მეორედაც იქნება გადარჩენილიყო, მესამედ კი შიგ შუა  
სოფელში, მოედანზედ, ისიც ბაზრობა დღეს გაატიტვლებდნენ  
და ისე გაწკებლავდნენ, ისე რომ... ისე გავარჯიშებული ჰქონდა  
ჯალათს ხელი, რომ ყოველ დაკვრახედ მართლა ტყავს აძრობდა  
შოლტით. კიდევ დაიჭერდნენ და მაშინ კი ცემის შემდეგ ცი-  
ხეში უკრავდნენ თავსა.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, წამოდგება ვინმე მდიდარი კაცი  
და ლანძღავს ახალს დროებას. ლანძღავს და რა ენით ლანძ-  
ღავს! მე კი უცებ მომაგონდება, რომ ამ ვაებატონის პაპა და  
ბიძა სტაფილოს ქურდობისათვის გაწკებლეს სწორედ იმ დროს,  
რომელსაც ასე შენატრის და სიცილს ველარ ვიკავებ: საკვირველ  
არიან, აღამიანო, საქმენი შენნი!

არა, ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი დრო მეც  
მენანება. ბატონყობა კი არ მენანება თავისი გზირით, მოურა-  
ვით, ჯალათით და ბერებით. ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მენანე-

ბა იმიტომ რომ ყმაწვილი ვიყავ. რა ვუყოთ, რომ მებატონეები არ ვარგოდნენ, ქვეყანა კი წალკოტივით მშვენიერი იყო და! შვევერეგოდი ხოლმე ტყესა, წინ საქონელი მიმიდიოდა, გავერთობოდი; მერე ჩემი ძმა ნიკო მოვიდოდა, კლაფდი, ელისავედი, მატურინი, გუდას წამგლეჯდნენ, პურს ამოიღებდნენ... სულ კი არ შემიჭამდნენ, იცოდნენ რომ ნათლია ჩემს ხუმრობა არ უყვარდა და პირდაპირ სახლში მიექრებოდა: ი ბიჭი მშვიერი რად მოკალითა?!

მე ჩემი გუდითა ვშველოდი, ნიკო თავის მუშტით. განა პატარა ბიჭსა ნახავდით სადმე, რომ წელზედ შურდული არ ჰქონიყო? ისეთ ომს აეუტებდით ხოლმე ერთი სოფლის ბიჭები მეორისას, ისეთ ქვის სროლას აეტებდით, რომ სულ ლაწა-ლუწი გაჰქონდა იჭაურობას. შურდულით რომ ვერას გავხდებოდი, მერე კობლებითაც დავერეგოდი ერთმანეთს. მაგრამ ვის შეეძლო ხელი ეხლო ჩემთვის? მოვარდებოდა ჩვენი ნიკო თავის ცალ ტოტა შალვარით და ჯარის-კაცის უკალით ახალუხით, ფეხშიშველა და თავშიშველა, მივარდებოდა და ბღღვირს აადენდა! ჩვენი სოფლის ბიჭებს ყოველთვის ის მიუძღოდა წინა. ერთი კი შესძახებდა „აბა ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთო!“ და რაც უნდა ბევრი ყოფილიყვნენ წინააღმდეგნი, მაინც სულ კუდით ქვას ასროლინებდა. გადახედავდა ბიჭებს და შესძახებდა:

— თქვენ ეი... ვინც კი ხელს ახლებს მიხასა!... გამიფთხილდეს!.. მეც გაგიყვებით მიყვარდა, ღვთის წინაშე. ცოტა არ იყოს მწყინდა, ხახეს რომ წამართმევდა ხოლმე, მაგრამ რა, ძმა იყო და რა!

ხანდახან საქონელსაც ვაქიდებდით ხოლმე. გადგებოდა განზედ ჩვენი ნიკო და ისეთი ამბავი ჰქონდა, გეგონებოდათ მეორედ მოსვლა არისო.

— არიქათ, ნიშამ აჯობა! ჰა, ყოჩაღ! ჰა, შენი ღმერთის ჭირიმე! ცოტა კიდევ! ცოტა კიდევ!

ბევრი კარგი ხარისათვის მოგვიმტვრევია რქა, ბევრი დავისახიჩრებია.

მზე შეგვაწუხებდა და ჩრდილს მოეძებნით და იქ და-  
ვყრიდით საქონელს. ჩვენც იქვე მივეყრებოდით, საქონელზედვე  
მივდებდით თავსა, ხან რას ვიტყოდით, ხან რასა; ხან სიმღე-  
რას დავძახებდით.

როგორც შებინდებოდა და შინათკენ გავწევდით; ისეთი  
მტვერი ავარდებოდა, გევონებოდათ მტრის ჯარი შემოსევია  
ქვეყანასაო. მიგრეკავდი საქონელს, დავაბინავებდი, ბზეს და-  
ვუყრიდი და სამზარეულოში ავიდოდი. ვახშმად ნათლიაჩემთან  
ვიყავი ხოლმე. ზაფხულში, როცა სამჭედლოში ვშველოდი,  
ხშირად დიდ ვახშმოზამდე დამიგვიანდებოდა; დასაძინებლად კი  
მამიჩემის ქოხს მივატანდი სოფლის მეორე მხარეზედ.

(შემდეგი იქნება)

## ხევსურული სიმღერები

(ივ. ბუკურაულის-მიერ შეგროვილი)

ერეკლე ბატონიშვილი გმირია წინა ემისაო,  
შიგადი გული რკინისა, გარედი საღიკლდისაო,  
რა ცხენსა გარდაჟდებოდა, რა ტურფა ნილი სქაო,  
რახანსა ოში შევიდეს, მეტის-მეტ მამაციაო.

\*  
\* \*

ერეკლე ბატონიშვილი ერთ შატრა კახიაო,  
აღკეთ-აღკეთობასა ცხრა გეცი რაზმი ჩახაო,  
ასი ცხენს გააღახვინა, ორას კარაკს წახვიაო,  
ომსა რად უნდა გძლეება—შუბი ბუდეს გახვიაო.

\*  
\* \*

აკრდა ბატონიშვილი—ერეკლე ნათარღიან,  
შემოიარა არაგვი ფსიტეუს \*) დაღახუნ მთანია.  
ოსაურ ჩაგროგებოდა თეთრი ურჯულს ჯარია.  
ოსაურ გადმოდინარსა საუბრად გაუხდებისა,  
როშკის გორს თეთრი ცისე ღვას ძალზედა შეგვიდგებისა,  
შეგვიდგა, შეგვიდგებოდა, მაგით რა წაგვიხდებისა?..  
ენა კერათ საბაღითუბი მთის კარე გერ მიგვიდგებისა.  
მიუგდა ნადირიშვილი ცისეში შეუდგებისა.  
როშკისა არ გამოუშნა ჩემს როშკას არ შესდგებისა.  
წელთა კმაღია გამჭრელი, თოფს ტყეია მოუხდებისა  
ელმითა სასიკესურთ შეიღებმა სისხლი სიმურსა\*\*) სწვდებისა.

\*) მთის სახელი.  
\*\*) წყილი.



# დ ე ლ ა

მოთხრობა

ბ ე ლ ო ს ი

I

სომედი «მეიკონგია», შინსაიდან გამოვიდა 20 მაისს 1877 წელსა და ადენისკენ წავიდა. გზა-გზა დეკობადა სიაგონში, სინგაპურში და კუნძულ ტეილანდზე; ჩვიდმეტს იენისს სულ ორი კვირის საკაღზედ იდგა მარსელზედ, ორი კვირის შემდეგ ხანგრძლივ მგზავრობას ბელა მოკლებოდა თუმიცა, მართალი რომ ესთქვა, ამ გაჭიანურებულს მგზავრობაზედ არც ერთს მგზავრს არ დაუნივლია. მშვენიერი ტაროსი იდგა და სიცხე შემაწუნებელი არ იყო, — თუმიცა ოცდა ხუთიდან ოცდა ათ გრადუსამდე ადიოდა. დღეში სამას ოცდა ათს მიღს მივიდიოდით. კაპიტანმა ფონმა კარგად იცოდა თავის საქმე და კეთილი გულის კაციც იყო, დანადგენი მოსულენიც კეთილსაიმედონი იყვნენ. ყოველივე ამ გარემოების გამო, ჩვენი მგზავრობა დინჯათა და სსსაიმოვნოდ მიმდინარეობდა.

როგორც კი მზე ამოვიდოდა (ტროპიკთან ნ საათზედ ამოდის), მარდი ჩინელი მანინე ახანოს გაგვიმართავდა სოლმე. ბანაობის შემდეგ ჰურის საჭმელ ოთახში საუზმე ყველასთვის მზად იყო. კიდრე ძლიერ არ ჩამოცხებოდა, ყველას ნება ჰქონდა უბრალო ტანისამოსით ესეირნა გემის კრდოზედ — რვა საათამდინ. რვა საათზედ მივიდიოდით ჩვენს ოთახში ცოტა რამ ტანისამოსის შესაცვლელად მეორე საუზმისთვის, რომელიც ცხრა საათზედ იყო სოლმე, საზოგადოდ ყველასთვის ერთად. ოთახები ჰატარები, მაგრამ ძალიან კარგები კი იყო, დადინჯებულ ჰურის დროს ფანჯარა ღია გვქონდა და ზღვა



ისე ახლოს იყო, რომ შეიძლებოდა სული ჩატყუოთ წყალში! სიამოვნო სანახავია ამ დროს ზღვა! ზღვის ცხოველები სრულიად არ კრძებიან ხომალდის მოძრაობას, სტუნაობენ და შხის სხივებს ეთამაშებიან.

მეორე საუზმის დროს დადგება ხოლმე სიცხე, მაგრამ ზურის საჭმელ ოთახში ისე სავგრძნობელად არა ცხელა, დიდი ქოლგის გამო, რომელიც ჩინელს მოჭყავს მოძრაობაში. საუზმიდან სადილობამდის კარგა დრო გადის. ამის გამო, ზოგი ქალაქის თამაშობს, ზოგი დომინოს და სხვა სათამაშოებს, ზოგნი ლანჩაობენ და ზოგნიც ისვენებენ. სადილი ეჭვს საათზედ იწეობს და ამ დროსთვის ყველამ რიგინად უნდა ჩაიცვას. გათავდა სადილი და დაბნულდა კიდეც, თუძა შვე ეს არის ესლა ჩავიდა; ბინდი არ იცის: როგორც კი ჩავა წითლად გაჯარჯარებული შვე, წითელი ღრუბლები მაშინვე მუქ იფერს დაიჭურს. აქ უნდად ღამდება, — და მშვენიერი ღამე იცის, დღეს არ ჩამორჩება თავისი სილამაზით. მგზავრები დასკიონობენ კრდოზე, ყბდობენ, მღერაინ, თამაშობენ, უკრავენ, ზოგჯერ წარმოდგენებსაც მართავენ; რვა საათზე ჩაი შხად არის, ვისაც უნდა ცივ საუზმეს მოითხოვს, თერთმეტ საათამდის მანც კიდეც თამაშობენ და შემდეგ კი დაიშლებიან, ზოგი თავის ოთახში მიდის დასაძინებლად, ზოგი კრდოზედ რჩება და სავარძელში იძინებს. რა გემრეულად სძინავს ადამიანს, გვერნება ზღვა ნანას გუბნებაო და ღამის გრილი ნიავი, გინდ არ გეძინებოდეს ძილსა გვერის!...

ესე, სრულიად უზრუნველად მიმდინარეობდა დღეები ხომალდ «მეიონგზედ» იენისში 1877 წელსა. მაგრამ ხომალდი უხლოვდება ბაღიან საშიშ ადგილს, სრუტე გვარდაჭურის, რომელიც აფრიკის ბოლოზედ მდებარეობს აღმოსავლეთისკენ. აქ მალაღი სალი კლდეები და საშიში არიან გემებისთვის. წყლის ძლიერს მიმდინარეობას გემი ნაპირთან მიჭყავს და მაშინ იგი დაღუპვას ვერ ასტდება, რადგანაც შეულა არსადან არ შეიძლება. ზანგები, რომლებიც იმ მხარეში ცხოვრობენ, წამსდარს გემს თავის საგუთრებად სთვლიან: ათასობით კაცი და ქალი მიესვეიან ხოლმე გემს და სტარცკვენ რაც კი შესაძლებათ. თუ გემის მოსელენი წინააღმდეგობას გაუწევინ, ყველას შეუბრალებლად ხოცავენ. მანცა და მანც იმ უბედურებს

სიკვდილი არ ასცდებთ; დატოვებულნი უსაჭმელოდ და უტანად მარად ცხარე მზის ქვეშ, რა კეთილს უნდა მოელოდნენ?

«მეიკონგი» მოგზაურები ამ საშიშროებასედა არაფერს ფიქრობდნენ და დამძვიდებულნი მისცურავდნენ განსაცდელის ადგილსაკენ.

მაგრამ ყველანი ერთხანად არ მხიარულობდნენ ამ სომალდსე. იყვნენ ისეთი გზარეობაც, რომელნიც განაზიარებულნი იყვნენ ყველასაგან და სამშობლოში დაბრუნება, ეტუობოდათ ძალიან არ უსაროდათ. დიდი ხნის განმორების შემდეგ კანმა არ იცის, ყოველივე ისევე ისე დასვდება, როგორც დასტოვა თუ არა! ან რამდენი იმედი გაუცრუდებოდა. ვინ იცის, ზოგი იმისთვის წავიდა შორს ქვეყანაში, რომ გამდიდრებულიყო და ესლა კი გაღარბებული ბრუნდება უკან—სრულიად იმედ დაკარგული კეთილ მომავალსე.

«მეიკონგის» მოგზაურთა შორის მეტადრე ერთი ქალი იქნებოდა ყველას ყურადღებას: იგი გამარტოებული დადიოდა, დაღონებული შესედულება ჭქონდა და არაერთხანს მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა. ოცდა ათის წლისა იყო, მაგრამ შესედულება მეტისა ჭქონდა. ეტუობოდა ოდესმე ლამაზი იქნებოდა და ესლაც არა უშავდა-რა, თუმცა წერწეტი ტანი ცოტა არ იყოს მოსროდა და მშვენიერს თვლებში დაღონებულობა ეხატებოდა. მერთაღს და ძალიან გამხდარ სასეზედ ვარკვევით ერჩეოდა სურათი ცხვირი; წმინდა, გამხმარი ტუჩები ჭფარავდა კბილებს, რომლებსაც შერჩენოდათ თავისი სილამაზე. კაბიტანი დიდის ხატეისცემით ექცეოდა ამ ქალს.

ეს ქალი ზირველად არ მოგზაურობდა ამ კაბიტანის გემით; კაბიტანმა იგი ერთხელაც წაიყვანა მარსელიდან სინგაპურში და ამის შემდეგ, როდესაც კი იმ ქალსქში ვაივლიდა, უთუოდ შეივლიდა ხოლმე ამ ქალთან. იგი სინგაპურში სცხოვრობდა ერთ ფრანკთან, რომელიც შეიძლება იმის ქმარი ყოფილიყო. ისინი ამბობდნენ, რომ აქ მდიდარ ნათესავებს დაუბარებინათ და დიდი სიმდიდრის მიცემა აეთქვათ. მაგრამ სიკვდილი სიმდიდრისევე ადრე სწვევოდათ: მისი ქმარი ამ ერთი თვის წინად მომკვდარიყო, და ახადგაზდა ქალი მარტოდ-მარტო მიდიოდა სამშობლოში. ალბად ამის ვამო თუ იყო ისე დაღონებული. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომი ქალი უკან



კი არა, სულ წინ იტყობოდა; შორს, შორს სიერცეში ამტკუნებდა თვალს; სახე უბრწყინდებოდა და ტუნები თითქმის საკონცენტრაციოდ ეკუმშებოდნენ. ნუ თუ ესე მალე დაივიწყა ის ადგილები, სადაც იმდენ ხანს იცხოვრა, სადაც დასტოვა ძვირფასი სათლავი და ახლა იცნებოდა იმ ადგილზედ, სადაც ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო?

ნუ თუ ისინი, ვისთანაც ეხლა მიდიოდა, უფრო ძვირფასნი იყვნენ მკვლარ მკობარზედ?

ჩვიდმეტ იენისს ამეიკონგზედა, საღამომ კვლავინდებურზედ უფრო მხიარულად ჩაიარა, სადილზედ ერთმა მკვარამ ვეკლას შიმშილის ღვინო შესთავაზა, სხვებმაც მიჭბამეს იმას და განხდა სადღეგრძელობის სმა და ღვინო.

როდესაც საზოგადოება ისევ ერთდროე შეიკრიფა, აჭამდის მოკაშკაშე მოვარე, ეხლა მიიბუნდა და ზღვასაც ცუდი შესედულობა ჰქონდა, მაგრამ ამას უურადლებას მაინც არავინ ატყვევდა; ჩვეულებისამებრ თერთმეტ საათამდინ თამაშობდნენ და მდუროდნენ, შემდეგ კი დაიშალნენ იმ განზრახვით, რომ ადრე ამდგარიყვნენ და დამტკბარიყვნენ მშენიერი ნაშრობითა.

თორმეტ საათზედ უნებად მოისმა რაღაც სმაურობა, სომხლდი თითქმის მიამბრ-მიამბრა, — «მეიკონგო» ქვასე შედგა

## II

«მეიკონგო» რომ იმ წამსვე შეჩერებულყოფა, იმისი გადაჩენა შესაძლებელი იქნებოდა.

წელის ჩქარი მიმდინარეობა და ტალღების მოსვლა განათავისუფლებდა მაგრამ საუბედუროდ მალე შეეწებულმა მანქანამ მაინც წინ გაიწია და გემი ქვეს დააჯახა, რის გამოც იგი გვერდზედ გადასწია ნაშრობის ახლა. შეშინებულნი და ნაშინარეუნი ვეკლანი ბანზედ ატოვდნენ; ვინც უფრო გამბედავნი იყვნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ და უნდოდით გაეგოთ დაიღუპებოდა გემი, თუ გადაჩენა გადაეკ შეიძლებოდა. თუმცა ერთს მხარეს ნაშრომი ახლა იყო, მაგრამ იქამდინ როგორ მოსულყოფენ? მას გარს საშინელი წვეტიანი ქვები ერტვა. მეორე მხარეს კი ზღვა იყო. «მეიკონგო» ისე

## დედა

დაგვერდელავდა, რომ ზვირთები ერდოზედ გადადიოდა. სამწუხარო სანახავი იყო ეს მშენებური გემი, რომელიც ამ რამდენიმე საათის წინად სინოცხლით სავსე იყო და ბეჭკულად გადაჩქინილიყო განსაცდელს.

უცხად ერთი საშინელი ხმაურობა მოისმა. უზარმაზარმა ზვირთმა გემის ერთს ნაწილზედ გადაიარა, დაჭყარა და თან შავი რაღაც წაიღო, ვინ იცის იქნება ან დედაკაცი იყო, ან ბავშვი, ან იქნება ორივე ერთად.

«მეიკონგის» კაპიტანმა, კარგად იცოდა, რომ ამ ზვირთს სხვაც მოჭეუბოდა, და ამის გამო უბრძანა თავის აფიცრებს, რომ ბანადან უკუღანი მიწს ჩაეკანათ. თუმცა ეს ბრძანება აღსრულებაში მოიყვანეს, მაგრამ დიდის გაჭირვებით კი, რადგანაც ბევრს არ უნდოდა ერდოს დატოვება, და იქ დაღუპვას უფრო რჩეოდბენ, ვიდრე გემში ცოცხლივ დამარხვას. როდესაც დაწმუნდა კაპიტანი, რომ «მეიკონგის» გადაჩქინა არას გზით აღარ შეიძლებადა, გადასწუვიტა როგორმე გადაერწინა მგზავრები და თავის მოსამსახურენი.

მგზავრები შირველ კლასის ოთახში იყვნენ ყველა ერთად, ას ორმოცდა ათ სულამდანი, რომელთა შორის ოცდა ათი დედა-კაცი იყო და ოცი ბავშვი.

ღმერთო ჩემო, რაწაირ არეულიყვნენ მგზავრები ერთმანეთში! რა ხალხი გინდათ იქ არ იყო! აქ ნახავდით ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს, ჰოლანდელებს, მთლად თავიანთი საუბედუროდ დაღუპული სიმდიდრით.

ზოგნი სულ არც კი იყვნენ ჩაცმულები, მაგრამ კისერზედ შატარა აბეები ეკიდათ, რომლებშიაც ფული ჭქონდათ შენახული... ზოგი მსოფლოდ გადაჩქინაზედ ფიჭრობდა და ტანისამოსის მაგიერად გადასარჩენი ქამარი ჭქონდა შემოკრული. ზოგი დანოქილი ტიროდა ან ლოცულობდა; ზოგი ფესშიშეკლა გამოკარდნილიყო გარედ და გიჟივით თმა გაწეწილი აჭეთ-იჭით დარბოდა. აკერ დედას შემოუხვევია თავის სამი შვილი გარშემო და გულში მაგრამ იკრავს თითქოს ეუბნება: «ჩვენ ერთად დავისოცებით, კერავინ ვერ გაგკავშორებს ერთმანეთს.» ზოგი კაცი ქალებზედ ნაკლებად არ შეშინდა,

ზოგი კი მხნედ იყო და სხვებსაც ამხნეებდა და ამშვიდებდა. ამ დროს კავიტიანი გამოჩნდა კაბეზედ. ყველანი იმას მისცვიდნენ; შესწევდა აღიქოთი და კენესა, საშინელი სინუმი ჩამოვარდა, ყველა ელოდა:—რას იტყოდა კავიტიანი? რას ურჩევდა? როგორ ნუგეშს სცემდა?

კავიტიანი შესდგა გაბის შირველ საფეხურზედ და აუღელვებლად მტკიცედ წარმოთქვა:

— ნურაფრისა ნუ გუეიქრებათ, მეიკონგია არ ჩაიძირება, რადგანაც გლდეებსაც დახდობილი. ქარი თითქოს სცხრება, მანცა და მანცა გაბის მაგარი კედლები მალე ვერ დაიმსხურევა. სუყველას დედამიწაზედ გადაგიყვანთ. მხოლოდ მაშინ ვიფიქროთ, შემდეგისთვის როგორ მოვიჭრეთ. იმედა მალე მოგვეშველებას. გვარდამის სრუტე მდებარეობს ინდოეთის, ჩინეთის და ავსტრალიის გზაზედ. ამ ქვეყნებში მამაკვლამ ან უკან დაბრუნებულმა გემებმა უსათუოდ ამ გზაზედ უნდა გამოიარონ და იმათში ერთიც არას დაკვინსავს და მოგვეშველება. ესლა კი მე ვარ შასუსის მგებელი.

ამ სიტყვებმა, და მტკადრე იმისმა გამოეძაგა ღაბაჩავმა, სრულიად დაამშვიდა იქ მეოფნი. მგზავრები სინარულით ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ესკოდნენ, ყველას ეკონა, რომ ეს არის კადეც გადავრითო. კავიტიანი დაბრუნდა ურდოზე და უბრძანა თავის ხელძვეითს ლეიტენანტ აბაღს\*) ნავი დაემზადებინა და გაგზავნა ნაპირის დასათვარელებლად.

ლეიტენანტმა აბაღმა მამაცად შეასრულა ბრძანება, მაგრამ უკან დაბრუნების დროს ნავი გადაუბრუნდა და თითონ თავისი ხელხით ცურავით მოვიდა გემამდინ. ესლა საქმე ის იყო, რომ გემიდან დედამიწამდინ როგორმე მაგარი თოკი გაებათ და იმით გადასულად მოსულაყვენ. ამ წინანდელზედ უფრო ძნელი მოკვლეობის შესრულება, მიენდო ლეიტენანტ ბუის. როგორც კი ნავი ჩაუშვეს ზღვაში, წყალმა იგი საშინელის სისწრაფით გვერდზედ გაიტანა და ყველას ეკონა დაიღუპა.

\*) ყველა ეს სახელები და ამბავი ნამდვილია. ეს უმცირესობა მოგონილი არ ირის, სამწუხაროდ ნამდვილია, ჩვენ ეს გვიამბო ბატონმა პიკემ, გუბერნატორმა ინდოეთ-ჩინეთისამ, რომელიც იყო წინად ზღვაში მოსიარულე.

ეს ამბავი მოხდა თვისა და ორის დღის შემდეგ, რაც მსაჯულებმა, ათინის ხალხის ყუჩინა-ყრიამულით, გადაუწყვეტეს ფილოსოფოსს სოკრატს სიკვდილით დასჯა იმის გამო, რომ ის უარს ჰყოფდა ღმერთების რწმენას. სოკრატი ათინელთათვის იგივე იყო, რაც ბორა ცხენისათვის. ბორა ჰკბენს ცხენს იმიტომ, რომ ცხენს არ ჩაეძინოს და მხნელ მიდიოდეს თავის გზაზე. ფილოსოფოსი ეუბნებოდა ათინელთ: „მე თქვენი ბორა ვარ, სასტიკად ვკბენ თქვენს სინიღისს, რომ არ ჩავთვლიმოთ. ნუ გძინავს, ნუ გძინავს!.. იფხიზლე, ეძიე ჭეშმარიტება, ათინის ხალხო!..“

აბეზარს მოსულმა ხალხმა გადასწყვეტა მოეშორებინათ თვიდან ეს მოუსვენარი ბორა. ადვილი შესაძლებელია, რომ მამბებლარნი, მელიტი და ანტიპი, ორივენი სტყუოდნენ—ამბობდა განჩინების დადგენის შემდეგ შინისაკენ მიმავალი ხალხი—მაგრამ ყველა ეს რას ნიშნავს და საითკენ მიისწრაფის სოკრატი? ის ჰბადავს ხალხში იკვნეულობას, ძირს უთხრის საუკუნოებით გამაგრებულს და ფესვგამდგარს აზრს, ლაპარაკობს ახალს სათნოებაზედ, რომელსაც მოძებნა და პოვნა უნდა, ქადაგებს ჩვენთვის გაუგებარს და უცნობ ღმერთს.



თავხედს თვით ღმერთების გაუკეთესებაც კი უნდა!.. არა, ჩვენ გვიჩვენია ისევ გულდამშვიდებით დაფუბრუნდეთ ნაცნობ ძველ ღმერთებს! დეე, ხანდისხან იმათ გაამრუდონ სიმაართლის სასწორი, დეე, ხანდისხან განრისხდნენ უსაფუძვლოდ და უპატოოსნო განზრახვით დაუახლოვდნენ მომავლადეთა ცოლებს. მაგრამ განა იმათთან არა სცხოვრობდნენ ჩვენი წინაპარნი დამშვიდებულის სინიღისით? განა ამ ღმერთების დახმარებით არ შეიმოსნენ ისინი ღმერთების ღვაწლით?.. ზხლა კი ოლიმპიელთა სახე მოღრუბლულია და აღრინდელი სათნოებაც შეირყა. ვინ იცის შემდეგში რა იქნება, განა საჭირო არ არის, რომ ამ უპატოოსნო გრძნობას ერთის დაკვრით მოეღოს ბოლო? ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში გალაყვარდებულს საღამოს შინისკენ მიმავალნი ათინის მოქალაქენი. იმათ გადასწყვიტეს მოეკლათ დაუზოგველი ბორა იმ იმედით, რომ ამის შემდეგ ღმერთების სახე ისევ უწინდებულად გამობრწყინდებოდა. მართალია, ხანდისხან იმათ გონების თვალებს წარმოუდგებოდა ხოლმე მშვიდი სახე ახირებულის ფილოსოფოსისა, იგონებდნენ იმას, თუ როგორის ვეკაცობით იტანდა მათთან სოკრატი პოტიღში შრომასა და განსაცდელს, — როგორ იფარავდა იმათ არგინუხის გამარჯვების შემდეგ სარდალთა უსამართლო და შემარცხვენი დასჯისაგან, გარდა ამისა, მოაგონდათ — როგორის გაბედულებით აიმაღლა ხმა მტარვალთა წინააღმდეგ, რომელთაც ათას ხუთასი მოქალაქე ამოხოცეს და საქვეყნოდ იკითხა მოედანზედ — მწყემსებსა და ცხვრებზედ: „ის მეცხვარე უნდა იწოდებოდეს — ამბობდა სოკრატი — კეთილ მწყემსად, რომელიც ამრავლებს და უფლის თავის ცხვარს? თუ, პირიქით, კეთილნი მწყემსნი მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ შეამცირონ ცხვართა რაოდენობა და განფანტონ ისინი. — ხოლო კეთილნი მმართველნი — ასევე მოექცნენ მოქალაქეთ? „გამოვიკვლიოთ, ათინელნო, ეს კითხვა!“ და ერთი უიარაღო ფილოსოფოსის ლიტონი სიტყვით მძლავრ მტარვალებს პირისახე უფითრდებოდათ, ხოლო ქაბუკებს ენთებოდათ თვალეზი ზიზლის ცეცხლით და პატოოსნების რისხვით...

განჩინების დადგენის შემდეგ ყველა შინისაკენ მიმავალს აგონდებოდა ეს ამბავი და გამოურკვეველის ეჭვით ევსებოდა გული: „იქნება ჩვენ აქ შეუწყნარებელი უსამართლობა ჩავიდინეთ?“ მაგრამ ამავე დროს კეთილი ათინელნი ნავთსაყუდარს და ზღვას გაპყურებდნენ. ლურჯს ზღვაზედ კიდევ მოსჩანდა დელოსის სადღესასწაულო ცხვირიანი გემი, რომლის აფრანიც ჩამავალ მზეს გაეწითლებინა. ამ დღეს ნავთსადგურიდან გავიდა გემი, რომელიც მხოლოდ ერთის თვის შემდეგ დაბრუნდებოდა უკან; ამის დაბრუნებამდის კი ათინაში სისხლის დაღვრა შეუძლებელი იყო, — მიუხედავად იმისა ეს სისხლი დამნაშავისა იყო თუ უდანაშაულოსი. თვეში კარგა ბლომად არის დღევები, ხოლო უფრო მეტი — საათები. ეინ შეუშლის ხელს სოფრონისკის შვილს, თუ კი იგი უსამართლოდ არის დასჯილი, — გაიქცეს საპრობილიდან, აუარებელი მეგობრებიც, უეჭველია, ხელს შეუწყობენ!.. განა გაუჭირდებათ შეძლებულს პლატონს, ესხინს და სხ. შეისყიდონ საპრობილის მცველები? მაშინ მოუსვენარი ბორა ათინიდან გადაფრინდება თესალიის ბარბაროსებთან, ან პელოპონესში, ან კიდევ უფრო შორს — ეგეობტეში. ათინელნი მაშინ ველარ გაიგონებენ იმის აბეზარს ლაბარაკს, აღარც მოქალაქეთ დააწვებათ კისერზედ კაცის კვლა და ამ რიგად ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება... აღწერილს სალამოს ბევრი სჯიდა ამგვარად თავის-თავადა, ბევრი აქებდა მდაბიო ხალხს — დემოსს — გელიოსტს? ამისთანავე ისინი გუნებაში თავიანთ თავს ანუ გეშებდნენ იმით, რომ მოუსვენარი ფილოსოფოსი დაიკარგება ათინიდან, ციკუტს გაექცევა ბარბაროსებთან და ამ რიგად თავის თავსაც გაანთავისუფლებს და თავის თანამემამულეებსაც — როგორც თავისის მოშორებით აგრედვე სინიდისის ქენჯნისაგან, რადგანაც უდანაშაულო სისხლი აღარ დაიღვრება.

დიდმა მზემ ოცდა თორმეტჯერ ამოაშუქა ოკეანეს იქიდან და ამღენჯერვე ჩაესვენა; იმ დღემდის კი, როდესაც ათინელთ შესწირეს მსხვერპლად თავიანთს გამოღვიძებულს სინიდისს საზიზლარი ბრალმდებელნი ანიტი და მელიტი, ხოლო

სოკრატს დაუდგეს მოედანზედ ქველი, — დარჩა ოცდა თორმეტი დღით ნაკლები. დელოსიდან დაბრუნებული გემი აფრა ჩამოშვებული და მოწყენილი იღვა ნავთ-სადგურში, თითქო დედა ქალაქის მაგიერა სცხვენიანო. ცაზედ მთვარე არა სჩანდა. შვიი ჯანლით დატვირთული ზღვა ღელავდა, შფოთავდა და გორაკებზედ მბეუტავი ცეცხლები ისე რიგათ ინაბებოდნენ, როგორადაც დარცხვენილი კაცის თვალები.

კეთილ ათინელთა სინიღისი არ შეიბრალოა თვითნება სოკრატმა: „ეხლა ვემშვიდობებით ჩვენ ერთმანეთს! თქვენ მიდიხართ თავთაეიანთს კერასთან, მე კი სასიკვდილოდა ვარ გამზადებული“, — უთხრა სოკრატმა მსაჯულებს განჩინების დადგენის შემდეგ. — „არ ვიცი ჩვენგანს ვის უფრო კარგი კენჭი შეხვდა!“ როდესაც გემის დაბრუნება მოახლოვდა, ბევრმა მოქალაქეთაგანმა იგრძნო რაღაც მწუხარება. ნუ თუ ეს თვითნება მართლა მოკვდება? იმათ დაუწყეს დარცხვენა ესხინს, ფედონს და სხვა სოკრატის ნაცნობთა და მოწაფეთ და ამით აქეზებდნენ თავიანთის მიზნის მისაღწევად. „ნუ თუ, — ეუბნებოდნენ ისინი გესლიანის საყვედურით. — ნებას მისცემთ, რომ თქვენი მასწავლებელი მოკლან? ან იქნება გენანებათ რამდენიმე მინი მცველების შესასყიდად?“ კრიტიკი ამოდ ემუდარებოდა სოკრატს, რომ იგი გაპარვაზედ დასთანხმებოდა, თუმცა ისიც კი უთხრა, რომ ქვეყანა სძრახავს იმათს გაუტანლობას და სიძუნწეს. მაგრამ ფილოსოფოსმა არც მოწაფეთა და არც ათინის ხალხის სურვილის დაკმაყოფილება არ ინება. „გამოვიკვლიოდ ეს კითხვა, — ამბობდა სოკრატი, — თუ აღმოჩნდება, რომ ჩემთვის საჭიროა გაქცევა, გავიქცევი და თუ სიკვდილი აღმოჩნდება საჭირო — მოკვდები. მოვიგონოთ, წინად როგორა ვსაუბრობდით ქეშმარიტებაზედ, სიცოცხლეზედ, სიკვდილზედ... განა ჩვენ არ ვამბობდით, რომ სიკვდილი კი არ უნდა აშინე? დეს გონიერს კაცს, არამედ უსამართლოება? სამართლიანობა იქნება ჩვენგანვე დადგენილის კანონის დაცვა იმ დრომდის, ვიდრე ეს კანონები ჩვენთვის პირადად სასარგებლონი არიან და მათი უარყოფა, როდესაც ჩვენთვის

არა სასურველნი ხდებიან? მგონია, მეხსიერება არ მალატობს: ჩვენ მართლა რომ ამის შესახებ რაღაცას ვსაუბრობდით.

— დიად, ვსაუბრობდით—მიუგო მოწაფემ.

— და, მგონია, ამ კითხვის შესახებ ყველანი თანხმანი ვიყავით?

— დიად.

— იქნება ქეშმარიტება სხვისათვის არის ქეშმარიტება და არა ჩვენთვის?

— არა, ჩვენთვისაც იგივეა.

— მაშ, იქნება, როდესაც ჩვენ და არა სხვას უნდება სიკვდილი, მაშინ ქეშმარიტებაც არა ქეშმარიტებად—უსამართლოებად იქცევა ხოლმე.

— არა, სოკრატო, ქეშმარიტება ყოველ გარემოებაში რჩება ქეშმარიტებად.

როდესაც ამ რიგად მოწაფე ცოტ-ცოტაობით დაეთანხმა სოკრატს მაშინ ფილოსოფოსი გაიღიმა და ასეთს დასკვნაზედ გადავიდა:

„თუ ასეა, ჩემო მეგობარო, მაშ მე, მგონია, სიკვდილის ღირსი ვყოფილვარ? ან იქნება ჩემი თავი იმდენად დასუსტდა, რომ სწორე დასკვნის გამოყვანა აღარ შეუძლიან, მაშ გამისწორე, კეთილო ადამიანო, და ჩემს არეულს აზრს სწორე გზა უჩვენე“.

მოწაფემ პირის სახეზედ ხირლა გადიფარა, გატრიალდა და სთქვა: „დიად, ეხლა კი ეხედამ, რომ შენ სიკვდილი არ აგცდება.“

და ამ ბნელს საღამოს, როდესაც ზღვა სდულდა და ჯანლით დაფარული ყრუდ ხმაურობდა, ხოლო დაუდგრომელი ქარი მძიმედ და რაღაც ნაღვლიანად არხევდა აფრას,—როდესაც ათინის ქუჩებზედ ერთმანეთს ეკითხებოდნენ: მოკვდა? და იმათს ხმაში გამოიხატებოდა გაუბედავი იმედი, რომ ეს სიკვდილი ტყუილია; როდესაც გაღვიძებულის სინიღისის პირველად ამოქმენამ, როგორადაც ქარტეხილის წინამორბედმა, კიდევაც გაიჩუჩუნა ათინელთა გულში, ამასთანავე, ასე გონია 'მინაური



ღმერთები შერცხენენ და გაშავდნენო,—ამ საღამოს ფილოსოფოსმა, მზის ჩასვლისას, დალივა საწამლავი.

ქარი ძლიერდებოდა, ძალზედა ჰხვევდა ქალაქს ზღვის ნისლში და განრისხებული აპარტუნებდა ნავთსაყუდარს გარეთ დაგვიანებულ გემების აფრათ. ერინიებმა იწყეს დაღვრემილი სიმღერა მოქალაქეთა გულში, რომელშიაც აჩენდნენ ჭეჭა-ჭუხილს და რომლისაგანაც შემდეგში დაიღუპნენ სოკრატის ბრალმდებელნი. მაგრამ ამ საათში ეს პირველი ტალღები შენანებისა იძროდნენ არეულად და გამოურკვევლად. მოქალაქენი ეხლა უფრო მეტად ჯავრობდნენ სოკრატზედ, რატომ არ გვასიამოვნა თესალიაში გაქცევითაო; ჯავრობდნენ სოკრატის მოწაფეებზედაც, რომელნიც უკანასკნელს დროს, როგორც განხორციელებული საყვედურებანი, დაიარებოდნენ მოწყენილნი და დარდიანნი; ჯავრობდნენ მსაჯულებზედაც, რომელთაც უმტყუნა ვაჟაკობამაც და წინდახედულებამაც, რომ წინააღდგომოდნენ აღდგომილი ხალხის ბრმა მძვინვარებას; ჯავრობდნენ თვით ღმერთებზედ: „ღმერთებო, თქვენ შემოგწირეთ ეს მსხვერპლი, —ამბობდნენ მრავალნი,—გაიხარეთ, გაუმადლარო!..“

„არ ვიცი ჩვენგანს ვის უფრო კარგი კენჭი შეხვდა“-ო, იგონებდნენ ათინელნი ამ სიტყვებს, რომლითაც სოკრატმა უკანასკნელად მიმართა მოედანზედ თავმოყრილს ხალხს და მსაჯულებს. სოკრატი ეხლა ღართში გახვეული მშვიდად ესვენა საპრობილეში, ქალაქს კი სირცხვილის, მწუხარების და იქვენულობის ბურუსი მოსდებოდა. სოკრატი ხელახლად შეიქმნა ქალაქის მტანჯველად; თუმცა ბორა მოკლულ იქმნა, მაგრამ მკვდარი უფრო ძლიერად იკბინებოდა... ნუ იძინებ, ნუ იძინებ ამ ღამეს ათინის ხალხო! ნუ იძინებ,—შენ ჩაიღინე მკაცრი და შეუნდობელი უსამართლოება!...

## II

ამ სამწუხარო დღეებზედ სოკრატის ერთი მოწაფეთაგანი —მხედარი ქსენოფონტი—ათი ათასის ჯარით შორეულს ქვე-

ყნებში და აუარებელ განსაცდელში ჩაეარდნილი გაშმაგებული იკვლევდა გზებს საყვარელ სამშობლოსაკენ. ესზინი, კრიტონი, კრიტოფუნი, თედონ და აბოლოდორი დასაფლავების მზადებაში იყვნენ. პლატონს კი, ფილოსოფოსის საუკეთესო მოწაფეთაგანს, ერთო სალამოს კანდელი და სწერდა ტყავზედ მასწავლებლის საქმეებს, სიტყვებს და აზრებს, რომლებითაც დასრულდა ბრძნის სიცოცხლე. რამეთუ, როგორათაც ამბობს დიდებული პოეტი:

„მუხნარის ფოთოლთა ჰგვანან ძენი კაცისანი:  
 ერთს რომ ქარი მიწაზედ ჰშლის, სხვებს მუხნარი,  
 ხელახლად აყვავებული, შობს და ახალ გაზაფხულთან ზრდის...  
 ასეა ხალხიც: ზოგი ჩნდება და ზოგი კი იღუპვის.

მხოლოდ აზრი არა კვდება და ქეშმარიტება, დიადი ჭკუის აღმოჩენილი, როგორც ჩირაღდანი ბნელში ისე უნათებს გზას შემდეგ თაობას.

კიდევ იყო ერთი სოკრატის მოწაფე: ფიცხი კტეზიპპი, ამ მოკლე ხანში ყველა ათინის ქაბუკზედ მზიარული და უზრუნველი. ის აღმერთებდა მხოლოდ სილამაზეს და მუხლს იდრეკდა კლინიასის, — ვითარცა მშვენიერების უნაკლულო განხორციელების წინაშე. მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლო ბაში, სწორედ იმ დროიდან, რაც სოკრატი გაიცნო, იმან დაჰკარგა სიმზიარულეც, უზრუნველობაც; კლინიასის მეგობართა ბრბოში კტეზიპპის ადგილი სხვებმა დაიჭირეს, მაგრამ ამას იგი ძალიან გულ-გრილად უყურებდა. სოკრატის აზრის ახოვანება და სულის ჰარმონია ათასჯერ უფრო მიმზიდავად ეჩვენა, ვიდრე კლინიასის ტანის მოყვანილობა და პირისახის სიმშვენიერე. კტეზიპპი სულითა და გულით შეეკვთა მას, ვინც დაარღვია ქალწულებრივი სიმშვიდე იმის სულისა, რომელიც პირველსავე იქვენეულობას ისე გადაეშალა, როგორათაც ახალგაზდა მუხის კვირტები გადაეშლებიან ხოლმე გაზაფხულის გამაცოცხლებელს ნიავს.

ეხლა, ამ მიძიმე და მწარე წამებში, კტეზიპპს ვერსად ვერ ებოვნა სულის სიმშვიდე, — ვერც სახლში, ვერც მიჩუმებულის

ქალაქის ქუჩებში და ვერც თანამოაზრე მეგობრებში. ყველა ღმერთები—შინაური და საერონი—ყველანი შესძაგდა მას. „მე არ ვიცი,—ამბობდა იგი—თქვენა სჯობიხართ იმათ თუ არა, რომლებსაც ურიცხვი თაობა გუნდრუკს უკმევდა და სწირავდა მსხვერპლს; მაგრამ იმას კი არა ვეკობ, რომ თქვენდა სასიამოვნოდ ბრმა-ყრუ ბრბომ გააქრო საუკეთესო ლაშხარი ქვეშაირტებისა, რომ იმან თქვენ შემოგწირა საუკეთესო კაცი!...“

კტეზიპსს ასე გონია ეხლაც ესმოდა ქუჩებსა და მოედნიდან უსამართლო მსაჯულთ გრგვინვა. ერთს დროს ამ ალაგას მხოლოდ სოკრატმა გაუწია წინაღმდეგობა მსაჯულების უღვთო გარდაწყვეტილებას და ბრბოს გულმოსულობას, რომლებიც თხოულობდნენ არგინუზთა \*) წინამძღოლების სიკვდილით დასჯას. ეხლა აღარაფერ გამოჩნდა, რომელსაც შესძლებოდა ასეთისავე ძლიერებით დაეფარა სოკრატი. ამაში კტეზიპსი ამტყუნებდა თავის თავსაც და ამხანაგებსაც და ეს იყო მიზეზი, რომ ხსენებულს საღამოს განშორებოდა ყველას და, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, თავისთავსაც კი.

ბოლოს ზღვისაკენ გასწია, მაგრამ მისმა სევდამ აქ უფრო იმატა. თითქო შეწუხებული ნერვის ქალიშვილები, ჯანლის ჩადრ-წამოსხმულნი, ნიშნადა მწუხარებისა ენარცხებოდნენ ნაპირებს და ამგვარად დასტიროდნენ ათინის საუკეთესო შვილს და შეშლილობისაგან დაბრმავებულს ქალაქს. ტალღები იძროდნენ, ერთი მეორეს მისდევდნენ, კლდოვანს ნაპირებს ეხეთქებოდნენ და შესაცოდავი გუგუნი ისმოდა, რომელიც კტეზიპსს სამგლოვიარო გალობად მოესმა.

\*) არგინუზზედ ბრძოლის დროს ათინელთ ვაჟაკურად გაიმარჯვეს. ბრძოლის გათავების დროს ამოკარდა ქარიშხალი, წინამძღოლებს, ცოცხალთა შორსნველობაში, მკვდრები დააეიწყდათ, რის გამოც დაუმარხავად დარჩნენ იგინი. მაშინ ათინაში აჯანყდა გამარჯვებული სარდლების წინააღმდეგ ცრუმორწმუნე ბრბო-დაზოცილების ნათესავები გამოცხადდნენ კრებაზედ თაღებში და ბრალსა სდებდნენ წინამძღოლებს, რომ, იმათის წყალობით, დაზოცილები საუკუნოდ მაწინააღმდეგედ დარჩნენ; აქ თავი იჩინა ძველმა რწმენამ, რომელიც ამბობს, რომ სული თავს არ ანებებს ხეულს და იმასთან ერთად ჩადის საფლავშიო. მარტო სოკრატი წინააღმდეგ ამ უშვერ ცრუმორწმუნეებაზედ დამყარებულს გარდაწყვეტილებას.



მერე გამობრუნდა, მოშორდა ნაპირს, და უაზროდ გამოსწია პირდაპირ. კეშანმა დაუხშო გონება და ჯანლად ჩამოაწვა თავზედ. დაავიწყდა დროც, სივრცეც, თავისი თავის არსებობაც და ერთიან ავსილიყო მქენჯნავი აზრებით, რომელნიც სოკრატის გარშემო ტრიალებდნენ. გუშინ სოკრატი იყო, გუშინაც გვესმოდა იმისი ტკბილი ლაპარაკი. განა შესაძლებელია, რომ დღეს აღარ იყოს?... ჰოი, ღამევ, ჰოი სხივით შემოსილნო უზარმაზარნო მთანო, შენ მგრგვინაო, საკუთარის მოძრაობით აღჭურვილო ზღვავე, თქვენ, უსაზღვრო სამყაროს ქშინვით მფრინავნო ქარნო, შენ, მოსრიალე ღრუბლებით დაფენილო ვარსკვლავების თალო, შენ, წყნარად მბეუტავო მკედრის მზვევ — წამიყვანეთ მეც თქვენთან და მაუწყეთ, თუ იცით, სიკვდილის საიდუმლოება. ხოლო თუ თქვენ არ იცით, მაშინ მოეცით ჩემს უვიცობას თქვენი მიუდგომლობა. მომაშორეთ ეს მტანჯავი კითხვები,—მე აღარ ძალმიძს იმათი ტარება უპასუხოდ და თან უიმედოდ, რომ შემდეგში მაინც არის პასუხს ვიპოვნო... ან კი ვინ მიპასუხებს, როდესაც სოკრატის ბაგე სამუდამოდ დადუმდა და იმის თვალებს საუკუნო სიბნელე დააწვა?..

ამგვარად ელაპარაკებოდა კტეზიპი ზღვას, მთებს, ღამის სიმწყვდიადეს, რომელიც ჩვეულებრივად უხილავად დაუდგრომელად დასტრიალებდა თავს მიძინებულს ქვეყანას. კარგა ხნის შემდეგ, როდესაც კტეზიპი დააკვირდა იმ ალაგას, სადაც იგი გონების დაუკითხეად მიიყვანეს ფეხებმა, სიწყვდიადის შიშმა მოიცვა იმის გული და სული.

III

ასე გონია დაუსრულებელი ღამის უცნობმა ღმერთებმა შეისმინეს კტეზიპის კალნიერი ლოცვაო. იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ვერ გაეგო სად იდგა. ქალაქის ცეცხლები კარგა ხანია გაქრნენ ღამის სიწყვდიადეში; ზღვის გრგვინვა მიუყურდა და შემკრთალს სულში თვით მოგონებამაც კი იყურა. არც ერთი ხმა: არც ღამის ფრინველის თავდაჭერილი კივილი,

არც ფოთლების შრიალი, არც მოუსვენარი მთის ნაკადის ჩუხ-ჩუხი არ არღვევდა სამარისებრს სიჩუმე—მყუდროებას... მხოლოდ ხანდისხან მწვერვალების მახლობლად ღრუბლებში იფეთქებდა ხოლმე უხმო ელვა და ეს ხანმოკლე ელვა უფრო მეტად აბნელებდა უიმისოდაც ბნელსა და უკუნათს ღამეს, თუმცა თვალის მიმკვდარებულ ბუნებას ახდიდა ხოლმე ფარდას და გამოაჩენდა არეულ-დარეულ ფრიალოთ, რომლებზედაც დაკლაკნილი შავი ნაპრალები გველებსავით მოსჩანდნენ.

ასე გონია, ყველა მხიარულს ღმერთებს, რომლებიც კი სცხოვრობენ ქვეყნის მწვეანე მუხნარებში, მოჩუხჩუხე ნაკადულებში, მთის ღეღეებში,—სამუდამოდ დაუტოვებიათ ეს უდაბნოა; მხოლოდ ერთი უზარ-მაზარი, იღუმალი პანი მიკუნქულა სადღაც ბუნების არეულობაში და გაფაციცებით, დამცინავის სახით, ადევნებს თვალს, ამ უსუსურს ჭიანჭველებს, რომლებიც რამდენიმე ხნის წინედ ასეთის კადნიერებით უხმობდნენ ქვეყნისა და სიკვდილის იღუმალებას. ბრმა, განუსჯელს თავზარდამცემ შიშს მოეცვა კტეზიპპის სული და გული, როგორადაც ღელვის დროს ზღვა მოიკავს ხოლმე თავის ნაპირებს.....

ყველა ეს სიზმარი იყო, ცხადი, თუ ღმერთის განცხადება—არ იცოდა, მხოლოდ კტეზიპპი ამას კი კარგად გრძობდა, რომ ერთი წამიც და ცხოვრების საზღვარს გადასცდებდა და იმისი სული ჩადნება ამ უსაზღვრო და უსახო საშინელებაში, როგორათაც ლურჯ ოკეანეში—წვიმის წვეთი ბნელს და ქარიშხლიან ღამეში. მაგრამ ამ დროს უცებ შემოესმა ხმა, რომელიც ნაცნობ ხმად ეჩვენა და გველვების დროს დაინახა კაცების აჩრდილნი.

#### IV

ერთი კაცი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და ხირლაში გახვეული თავ ჩალუნული ჩამომჯდარიყო გამოკიდულს ქვაზედ; მეორე კი წყნარის ნაბიჯით უახლოვდებოდა მჯდო-

მარეს. ისე ფრთხილად, ასე გონია ყოველი ფეხის დასადგამს ალაგს იკვლევსო. მჯდომარემ პირს გადაიხადა და შესძახა:

— ნუ თუ ეხლა შენა გხედავ, კეთილო სოკრატო? ნუ თუ შენ მიღიხარ ჩემს მახლობლად ამ ჯოჯოხეთს ალაგას, სადაც მე ავერ რამდენი ხანია დღე და ღამე ამოდ ველი განთიადს?

— დიად, მე ვარ, მეგობარო! განა შენ სამის დღით ჩემზედ წინედ მომკვდარი ელპიდი არა ხარ?

— დიად, მე ელპიდი ვარ, ოდესმე ათინელ დაბალთ შორის უმდიდრესი, ეხლა კი ყოველს მონაზედაც კი უუბედურესი. მხოლოდ ეხლა მესმის პოეტისაგან ნათქვამი სიტყვების სიმართლე: უმჯობესია—კაცი ქვეყანაზედ უკანასკნელი მონა იყოს, ვიდრე აიღის სიბნელეში—ბატონიო.

— მეგობარო! თუ ასე გეძნელება ამ ალაგას ყოფნა, რატომ სხვაგან არ მიღიხარ?

— ოჰ, სოკრატ! შენ მე მაკვირვებ: როგორ ახერხებ წინ სვლას, როდესაც მიზანს ვეუფერსა ხედავ... მე კი... ვზივარ აქ და გულ დაწყვეტილი დავსტირი სწრაფად გავლილს ქვეყნიურს ცხოვრებას.

— ჩემო ელპიდ, მეც შენებრ გაეჩნდი ამ სიბნელეში, როდესაც მიწიერ ცხოვრების სინათლე გაქრა ჩემთვის. მაგრამ იდუმალმა ხმამ მითხრა: „სოკრატ, გასწი ახალს გზაზედ, დროს ნუ ჰკარგავ“—და აი მეც წამოველი.

— შერე საით წამოხველი, სოკრატ? აქ ბილიკი არსადა სჩანს და სინათლის ერთი სხივიც კი არსაიდან ანათებს. მხოლოდ ქვები, სიბნელე და ჯანღ-ბურუსი მოსჩანან ერთმანეთში არეულ-დარეულგები.

— ეგ მართალია, ჩემო მეგობარო ელპიდ, მაგრამ, როდესაც დარწმუნდი მაგ სამწუხარო ამბავში, არ დაეკითხე თავს: რა უფრო ჰქენჯნის შენს სულს?

— უეჭველად ეს შემადრწუნებელი სიბნელე.

— მაშასადამე, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ჩვენ უნდა მივესწრაფოდეთ სინათლისაკენ. ნუ თუ არ შეგმიჩნევია, რომ



მთის მწვერვალნი სხვა საგნებზედ აღრე შეიმოსებიან ხოლმე მზის სხივებით? ჩემთვის ვუთხარი: მაშასადამე უდიდესი კანონი მდგომარეობს იმაში, რომ სიბნელეში დაჩენილ მომაკვდავთა თვითონ უნდა ეძიონ ცხოვრებისსწყაროს გზა. ამის გარდა დაქვემდებარებით არაფრის მცოდნემ, ვუთხარი ჩემს თავს, იარე, სოკრატე, სულ წინ და თანაც მაღლა-მაღლა... ნუ თუ, შენის აზრით, ეს არა სჯობია ერთს ალავას ჯდომას? მე კი პირველს ვამჯობინებ და ამიტომაც მივდივარ! მშვიდობით!..

— ნუ, კეთილო სოკრატე, გემუდარები თავს ნუ დამანებებ. შენ ძალიან თამამად მიღიხარ ამ ჯოჯოხეთურს უგზო-უკვლოობაში. მომეცი შენი ხირლის კალთა...

— თუ შენთვის სამჯობინარად ჰხედავ, მომყევი, ჩემო მეგობარო ელზიდ!

და ამ ორმა აჩრდილმა განავრძო გზა. კტეზიპის სულიც ამათ გამოეკიდა, რათა კიდევ დასწაფებოდა სოკრატის ფხიზელს საუბარს, რომელმაც თითქოს გაუნათა სიწყვედიანით მოცულობუნება.

— რას გაჩუმდი, კეთილო სოკრატე?—მოისმა ხელახლად ათინელი ელზიდის ხმა, მუსაიფი აქარვებს გზაზედ მოწყენილობას. ვფიცავ ჰერაკლის, რომ ასეთი შემადრწუნებელი გზით ჩემს დღეში არ მივლია. ამისთანა დროს არის საჭირო კეთილი მეგობარი, რომელსაც, როგორც შენ, ენა ტყუილად არ აბია!..

— მკითხე რამე, ჩემო მეგობარო ელზიდ! ცნობის მოყვარე კაცის კითხვები იწვევს პასუხს და ამგვარად ჰბადავს საუბარს.

ელზიდი დაჩუმდა, მოიფიქრა, მოიკრიფა აზრები და ჰკითხა:

— აი რა მიამბე, ჩემო საწყალო სოკრატე, კარგად მაინც არის დაგასაფლავეს? საკვირველი არაა, რომ ჩვენ ეხლა ერთმანეთს ასეთი კითხვები მივცეთ წინანდელი „როგორ გაატარე ღამე და ან კარგათ ისაღილე?—ს მაგიერ“.

— უნდა გამოგიტყდე, ჩემო ელზიდი, რომ არ შემძლიან შენი ცნობის მოყვარეობა დაეაკაყოფილო.

— მესმის, ჩემო ბედკრულო სოკრატ. შენ დასაკვირვებელი არა გაქვს-რა! ჩემი საქმე კი სულ სხვაა! ოჰ, რა ყოფითა და ამბით დამასაფლავებს!.. მე ეხლაც კი, სიკვდილის შემდეგ, დიდის სიამოვნებით ვიგონებ იმ საუკეთესო წამებს! ჯერ პირველად ხომ გამბანეს და წამისვეს სხვა-და-სხვა ნელ-საცხებელი; შემდეგ ჩემმა ერთგულმა ლარისმა ჩამაცვა საუკეთესო ქსოვილების ტანთსაცმელი, დახელოვნებული ქალაქის მოზარეები სტიროდნენ და იგლეჯდნენ თმას, რადგანაც შრომის ფასს ბლომად დაჰპირდნენ; საგვარეულო აკლდამაში დამასვენეს და თანაც დამიდგეს ერთი ორყური დიდი ქილა ბრანჯაოთი მორთული, ერთი საუცხოვო ფიალი, შემდეგ...

— მოიცა, ჩემო მეგობარო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ლარისმა თავისი რამდენსამე მინაზედ დაახურდავა, მაგრამ...

— სწორედ ათს მინაზედ და ოთხს დრახმაზედ, თუ რომ იმ სასმელებს არ ჩავთვლით რაც სტუმრებმა დალიეს. ჰხედავ რანაირად მომაცილეს სამარის კარამდის! ჩემი აზრით ბევრი მდიდარი მდაბიო კაცი ვერ დაიკვებებს გარდაცვალებულ წინაპართა წინაშე ისეთს დასაფლავებას და ყურადღებას ცოცხლების მხრივ.

— მეგობარო ელზიდ, ნუ თუ არა გგონია, რომ ის ოქროები ათინაში დარჩენილ ლარიბ-ლატაკს უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე შენ ამ წამში?

— გატყდი, რომ მაგ სიტყვებს შენ სიმშურნე გათქმევინებს, — უპასუხა ელზიდმა. — ძალიან მებრალეები, უბედურო სოკრატ, თუმცა, ჩვენში კი დარჩეს, შენ ღირსი იყავი მაგ ბედისა. მე არა ერთხელ მითქვამს ჩემს ოჯახში, რომ დროა ბოლო მოეღოს სოკრატის მიერ გაბნეულ უბედურებას, რადგანაც...

— მომითმინე, მეგობარო, მგონია შენ აზრად გქონდა რაღაც დასკვნა გამოგეყვანა, მაგრამ გადაუხვიე. მითხარი პირდაპირ, კეთილო აღამიანო, საითკენ იწევეს შენი ჩვილი აზრი?

— მე მინდოდა მეთქვა მხოლოდ ის, რომ ჩემის გულკეთილობით მებრალეები; თუმცა ერთი თვით წინად კრებაზედ მე სხვებზედ ნაკლებ არა ცყვიროდი, მაგრამ გარწმუნებ, რომ არც

ერთს ჩვენგანს ისეთი უსიამოვნო ტანჯვის მოყენება არ უნდა. დაიჯერე, უბედურო ფილოსოფოსო, რომ ეხლა უფრო მეტად მებრალები.

— გმადლობ. მაგრამ, ამხანაგო, ერთი ეს მითხარი: ჰხედავ რასმეს თუ ვერა?

— ვერა!.. მე შენა გკითხავ: ეს ხომ არ არის ორკას ჯანდ-ბურუსიანი ოლქი?

— როგორ! განა ეს გზა შენთვისაც ისეთივე ბნელია, როგორც ჩემთვის?

— მგონია, არა ნაკლებ.

— თუ არა ვცდები, ხელიც გივლია ჩემს ხირლაზედ?

— მართალია.

— თუ ასეა, განა მაშ ჩვენ ერთნაირად არა ვყოფილვართ შესაბრალისნი? ხომ ჰხედავ, რომ წინაპარნი არ ჩქარობენ დასტკბნენ შენის დიდებულად დასაფლავებით. მაშ სადღაა განსხვავება ჩემსა და შენს შორის, ჩემო კეთილო ამხანაგო?

— სოკრატ! ნუ თუ ღმერთებმა იმდენად დაგიხშეს გონება, რომ ჩვენი მდგომარეობის სხვა-და-სხვაობა ვერ შეგიჩინე?

— მეგობარო, თუ შენი მდგომარეობა უკეთესია, მაშ მომეცი ხელი და გამიძელი წინ მაგრამ, გეფიცები ძაღლს\*), რომ ამ ჯოჯოხეთ ღამეში წინამძღოლობა შენ მე მთხოვე.

— ხუმრობას თავი დაანებე, სოკრატ! დაივიწყე ადრინდელი მასხარობა და ნუ ეღარები (ამიტომ რომ შენ ხომ უღმერთო ხარ) ისეთს კაცს, რომელიც თავის საკუთარს ლოგინზედ გარდაიცვალა.

— ჰო!.. მგონია ეხლა კი მესმის შენი საუბარი... მაგრამ ერთი ეს მითხარი, ჩემო ელზიდ, იმ ლოგინს შენ ოდესმე მოიხმარ კიდევ?

— ვაი ჩემს თავს! არა მგონია.

— ისეთი დროც ხომ იყო, რომ შენ იმაზედ არ გეძინა?

\*) გეფიცები ძაღლს—სოკრატის ჩვეულებრივი ფიცია.

— იყო. სწორედ იმ დრომდის, როდესაც მე იგი აგეზი-  
 ლისაგან ნახევარ ფასად ვიყიდე. ჰხედავ, ეს აგეზილათი თუმცა  
 დიდი ფლიდია...

— თავი დავანებოთ აგეზილათს. ვინ იცის, იქნება ეხლა  
 იგივე ყიდულობს შენი ქვრივისაგან იმ ქვეშსაგებს ნაოთხალ  
 ფასად. განა მე მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ შენ  
 დროებით იყავი იმ ლოგინის პატრონი?

— თანახმა ვარ.

— მაგრამ ის ლოგინიც, რომელზედაც მე გარდავიცვალე  
 და რომელიც საპატიმროს მცველმა, კეთილმა პროტისმა მათ-  
 ხოვა, — ხომ დროებით შეკუთნოდა მე.

— აჰ, აგრე რომ მსოდნოდა, — შენს ცბიერ კითხვებზედ  
 პასუხს არ მოგცემდი. გაგონილა სადმე, ჰერაკლო, ამისთანა  
 უბედურება? სოკრატი მე მედრება! მაგრამ მე ხომ შემეძლო  
 ორი სიტყვით სოკრატი მიწასთან გამესწორებინა.

— წარმოსთქვი ის სიტყვები, ელპიდ; წარმოსთქვი გაბე-  
 დულად. არა მგონია, რომ ჩემი მიწასთან გასწორება შეიძლე-  
 ბოდეს სიტყვით იმაზედ მეტად, რომელიც ჩაიდინა ციკუტმა...

— ჰო! აი მეც ეგ მიწადოდა მეტქვა! შენ მოჰკვდი სასა-  
 მართლოს გარდაწყვეტილებით, ციკუტისაგან!

— ეს ხომ მე სიკვდილამდისაც ვიცოდი, ბედნიერო ელ-  
 პიდ, ერთი ეს მითხარი შენ რისაგან მოჰკვდი, თუ არ სატკიფ-  
 რისაგან?

— არა, ჩემი საქმე სულ სხვაა! მე იცი რა დამემართა?  
 წყალ-მანკი გამიჩნდა სტომაქში. კორინთიდან საუკეთესო ექიმი  
 მოვიწვიეთ, როკელმაც ორ მინად იკისრა ჩემი განკურნება და  
 ნახევარი კიდევ მაიღო ბედ ამ თავით... ვშიშობ, რომ იმის-  
 თანა საქმეებში გამოუცდლობის გამო, ლაროსი აიღებს და  
 მეორე ნახევარსაც მისცემს...

— მე როგორც ვხედავ, კორინთელს ექიმს ვერ შეუხ-  
 რულებია დაპირება...

— მართალია.

— და შენ მაინც წყალ-მანკისაგან გარდაიცვალე.

— ოჰ, სოკრატ! გინდა დაიჯერე, გინდა არა და მე კი გეტყვი, რომ სატკივარმა სამჯერ მოიწადინა ჩემი დახრჩობა, ვიდრემდის საუკუნოდ დამისხამდა წყალს ცხოვრების ცეცხლზედ.

— შენ ერთი ეს მითხარი, წყალ-მანკისაგან სიკვდილმა დიდი სიამოვნება გავრძნობინა?

— ოჰ, ბატონო! ნუ დამცინი აგრე სასტიკად! ხომ გეუბნები. სამჯერ მოიწადინა ჩემი დახრჩობა... ძროხასავით ვბლაოდი და თანაც ვევედრებოდი პარკს,—მალე გაეწყვიტა ის ძაფი, რომელითაც სიკოცხლეზედ ვიყავი გადაბმული.

— ეგ მე არ მაკვირებს. მაშ საიდან გამოგყავს, რომ წყალ-მანკმა უკეთ შეასრულა თავისი დანიშნულება, ვიდრე ციკუტამ, რომელმან სწრაფად მომიღო ბოლო.

— ვხედავ რომ ხელად გავები შენ მიერ დაგებულს მახეში!.. შენთან ლაპარაკით აღარ განვარისხებ ღმერთებს მეტად: შენ დაარღვიე საღმრთო ჩვეულებანი. ორივენი გაჩერდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევ ელპიდმა დაარღვია იგი.

— რას გაჩუმდი, კეთილო სოკრატ!

— მეგობარო, განა ეს შენი სურვილი არ იყო?

— მე ამაყი ხასიათი არა მაქვს და ამის გამო თავმდაბლად ვექცევი იმათაც კი, რომლებიც ჩემზედ დაბლა სდგანან. ჩხუბს ვხლა თავი დავანებოთ!..

— მე შენთან არ მიჩხუბნია, ჩემო ელპიდ, და, მერწმუნე, არცა მდომებია შენთვის რამე საწყენი მეთქვა. მე მიჩვეული ვარ საგნების შესწავლა-გაგებას ერთმანეთთან შედარებით. ჩემი მდგომარეობა მე ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი; შენ შენს მდგომარეობას ამჯობინებ ჩემსას და დიდად მოხარული ვიქნები თუ ამის მიზეზს გავიგებ. იქნება შენთვისაც მეტი არ იყოს იცოდე ჭეშმარიტება, როგორიც უნდა იყოს იგი.

— კმარა, კმარა, ამას თავი დავანებოთ. შენ ეს მითხარი, გეშინიან?

— არა მგონია რომ იმას, რასაც ეხლა მე ვგრძნობ, მა შიში უწოდოს.

— მე კი ნამდვილს შიშს ვგრძნობ; თუმცა, სწორედ რომ ეთქვათ, მე ნაკლები საბაბი მაქვს ღმერთებთან საჩხუბრად ვიდრე შენ. არ გგონია, რომ ღმერთებმა მოლოდინი გაგვიცურეს, რადგანაც მარტო ჩვენი ძალ-ღონის ანაბარა დაგეტოვეს ამ სიწყვდიადეს და გამოუტყვეველ მდგომარეობაში?

— ეგ იმაზეა დამოკიდებული, რა გვარი იყო თვით ეს მოლოდინი. მერე შენ რას მოელოდი ღმერთებისაგან, ჩემო ელპიდ?

— რას ველოდი?!... რას ველოდი?!... სოკრატე, საკვირველს კითხვებს იძლევი; მე ვფიქრობ, რომ იმ კაცისათვის, რომელიც სიცოცხლის დროს მუდამ სწირავდა ღმერთებს მსხვერპლს და რომელიც ღმერთების სასოებით სავსე მოკვდა, შეიძლებოდა გამოეგზავნათ გზის მაჩვენებლად გერმესი თუ არა, სხვა რომელიმე უმნიშვნელო ღმერთი მაინც... თუმცა სინიდისი მე ერთს გარემოებას მაგონებს... აი საქმე რაშია: მე ბევრჯელ დავპირებივარ გერმესს მსხვერპლად ხბოს, იმ პირობით კი, რომ ტყავი მე მოვიხმარო ვაჭრობაში, მაგრამ...

— ხეირი არა გქონია?

— არა, სარგებლობა კი მქონდა, მაგრამ...

— მესმის, მესმის, ხბო არა გყოლია.

— ოჰ, ნუ თუ მდიდარ დაბადს ხბო არ გყოლებოდა?

— ეხლა კი მესმის: ხეირიცა გქონია, ხბორებიცა გყოლია, მაგრამ ყველა შენთვის დაგიტოვებია, ხოლო გერმესს კი არაფერი...

— შენ ჭკვიანი კაცი ხარ. მე ეს ბევრჯელ მითქვამს.... ვაიმე, რომ მხოლოდ სამჯერ აღმისრულებია ათჯერ დადებული აღთქმა; არც კი სხვა ღმერთებს მოვქტევივარ გერმესზედ უკეთესადა. თუ შენც შევმთხვევია ოდესმე ჩემისთანა საქმე, უთუოდ იმისი მიზეზი უნდა იყოს ჩვენი უყურადღებოდ დატოვება. მართალია ლარისს ვუბრძანე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ასი ზარი შეეწირა მსხვერპლად ღმერთებისათვის...

— ეგ ხომ ლარისის მსხვერპლი იქნებოდა, მეგობარო! ალექსა კი შენ მიგიცია.

— მართალია, მართალი... მაგრამ ნუ თუ შენ, — ურწმუნო სოკრატ! ჩემზედ უკეთ ექცეოდი ღმერთებს?

— მე არ ვიცი — უკეთესად ვექცეოდი თუ უუარესად, — ეს კი მართალია, რომ წინად დაუპირებლად ვსწირავდი მსხვერპლს, ხოლო უკანასკნელს დროს არც არასა ვსწირავდი და არცა ვპირდებოდი.

— როგორ? ნუ თუ, შე უბედურო, არც ერთი ხბო არ შეგიწირავს?

— დიალ! და ვფიქრობ, რომ გერმესი ძალიან გახდებოდა, თუ ჩემი მსხვერპლის ამარას იყო დატოვებული.

— მესმის! შენ საქონლით არა ვაქრობდი და ამიტომ ხბორებსაც არა სწირავდი ღმერთებს. იქნება მოწაფეთაგან შემოსულს ფულსა სწირავდი?

— მეგობარო, მგონი შენ იცი, რომ მე მოწაფეთაგან სასყიდელს არ ვიღებდი. ხელობისაგან შემოსავალი კი მეც ძლივს მყოფნიდა. ჩემი ნასუფრალის იმედით რომ დამდგარიყვნენ ღმერთები, ძალიან მოსტყუედებოდნენ ანგარიშში.

— ოჰ, უმართებულო! რომ შეგედარო, მეც კი წმინდანად გამოვჩნდები შენთან! შემოხედეთ, ღმერთებო, ამ კაცს! მართალია, ხანდისხან ვატყუებდი, მაგრამ, სამაგიეროდ, დრო გამოშვებით ერთი-ორად ვიხდიდი. სოკრატ, შენს მსხვერპლთან შედარებით კი ჩემი მსხვერპლი დიალია!... იცი რას გეტყვი? წადი შენ მარტო: ვშიშობ, რომ შენთან ამხანაგობამ, ღმერთებს აზრი არ გამოაცვლევინოს ჩემს შესახებ.

— როგორც ვნებაეს, კეთილო ელბიდ. გეფიცები ძალღს, რომ ვისმე ძალად მობმა-მოტმანება არც რიგია და არც წესი. გამიშვი ხელი... მშვიდობით! მე მარტო წავალ.

სოკრატმა დინჯად და გულადად გასწია, თუმცა ძალიან ფრთხილად კი. მაგრამ ელბიდმა მალე მიაძახა.

— მომიცადე, მომიცადე, კეთილო თანამემამულე! ათინელს მარტოკა ნუ დასტოვებ ამ ჯოჯოხეთურს ალაგას... გე-

ხვეწები, ხუმრობად მიიღო ჩემი წინანდელი სიტყვები და ფეხი შეაჩერო. მე ძალიან მიკვირს, რომ ამ საშინელს სიბნელეში ცოტა რამეს მაინცა ხედავ!...

— მეგობარო, მე თვალები მიეაჩვიე.

— ეგ კარგი, მაგრამ იმას კი მაინც ვერ გიქვებ, რომ ღმერთებს მსხვერპლს არ სწირავდი, არა და არა!... უეჭველია, პატრივცემული სოფრონისკი სიყრმეში ამას არ გასწავლიდა. მე კიდევ მახსოვს, რომ აღრე ჩვენს ლოცვა-ვედრებაში მონაწილეობას იღებდი.

— ეგ მართალია, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე სარწმუნოებათა საფუძვლის კვლევას და იმის მიღებას, რომელიც ჩემს გონებას მოეწონებოდა. ამ რიგად დამიდგა ის ღრო, როდესაც ჩემს თავს ვუთხარი: რის გამო სცემ თაყვანს და ემსახურები ოლიმპიელთ?

ელპიდმა ჩაიცინა.

— ეგ კი სწორედ ასეა!... საკვირველია, რომ თქვენ ფილოსოფოსები, ხანდისხან უბრალო კითხვას ვერ მოუძებნით ხოლმე პასუხს. აი მე, უბრალო დაბადმა, თუმცა სოფისტიკაში არასოდეს არ მივარჯიშნია, მეც კი ვიცი—რის გამო უნდა ვცეთ თაყვანი ოლიმპიელთ.

— მაშ მითხარი, მეგობარო, რად უნდა ემსახუროთ ღმერთებს?

— რადა? ხა, ხა, ხა!... ბრძენო, ეს ხომ სულ ადვილია!

— მით უკეთესი. მე მხოლოდ ამასა გთხოვ არ დამალო შენი ცოდნა. მაშ აბა სთქვი, რად უნდა ვსცეთ პატივი ოლიმპიელთ?

— რადა? რადა და მადა, რომ ყველანი თაყვანსა სცემენ.

— მეგობარო! შენ ძალიან კარგად იცი, რომ ყველანი არა სცემენ თაყვანს. უმჯობესი არ იქნებოდა „ყველანი“-ს მაგიერ „ბევრნი“ გეხმარა?

— ეგ სულ ერთია! თუნდა ასე ვთქვათ რომ ბევრნი...

— შენ ეს მითხარი—ხალხის მომეტებული ნაწილი ბოროტის მომქმედია თუ კეთილისა?

— მე მგონია, რომ ბოროტს უფრო ხშირად შეხვდება კაცი, ვიდრე კეთილს.

— მაშასადამე, უმრავლესობის მიმდევრობით ავი უნდა მოვიქმედოთ?

— შენ რას ამბობ?

— ამას მე კი არა, შენ ამბობ. მე კი ვფიქრობ, რომ უმრავლესობისაგან თავიდანსაცემა ვერაფერი საბუთია და ამიტომ ჩვენ უფრო გონივრული საბუთი უნდა მოვუნახოთ. იქნება შენ ისინი პატივსადებად მიგაჩნიან?

— ეგ კი მართალია!

— კარგი, მაშ ახალს კითხვას მოგცემ: შენ რის გამო სცემ თავიანს ოლიმპიელთ?

— მათის სიდიადის გამო. ეს, მგონია, ცხადია.

— მაგაში იქნება მეც დაგეთანხმო. მე მხოლოდ ეს-ღა დამრჩა გავიგო შენგან: რაში მდგომარეობს ეგ სიდიადე?.. გიძნელდება? მაშ მოდი, ერთად მოვძებნოთ ამისი პასუხი. ჰომიროსი ამბობს, რომ პალლადი-ათინის ქვით გადმოგდებულმა დამთხვეულმა არეიმ თავისის სხეულით ხუთმეტრი დღიური მიწა დაფარაო.

— ეხლა ხომ ხედავ!

— მაშასადამე ამაში მდგომარეობს სიდიადე! აბა გამიგონე: არ გახსოვს ბუმბერაზი დიოფანტი? ის გაცილებით მაღალი იყო სხვებზედ, ხოლო პერიკლი შენ სიმაღლე ძლივს იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა დიდს დიდებულს ვის ვუწოდებთ, პერიკლს თუ დიოფანტს?

— მე ვხედავ, რომ დიადობა სიგრძე-სიზოარბავეზედ არ არის დამოკიდებული.

— დიად, დიდებულობა—სიზოარბავე არ არის, ეგ მართალია. დიდად მოხარული ვარ, რომ ზოგიერთებში მაინც შევთანხმდით. იქნება სიდიადე სათნოებაშია?

— რასაკვირველია.

— მეც ასე მგონია. ეხლა ეს მითხარი: ვინ ვის წინ უნდა იხრიდეს ქედს: უმცროსი უმფროსის წინაშე, თუ, პირიქით, სათნოებით აღჭურვილი ბიწიერის წინაშე?

— პასუხი ცხადია.

— ვგონებ. ჩავეყვით: სინიღისის ქვეშ მითხარი, დაგიხოცნია ისრით სხვისა ბაღლები?

— რასაკვირველია, არასოდეს! ნუ თუ შენ ასეთის ცუდის აზრისა ხარ ჩემზედ?

— იმედია, არც სხვისა ცოლები შეგიცდენია?

— მე პატიოსანი დაბალი და კარგი მეოჯახე ვიყავი! გთხოვ ამას ნუ დაივიწყებ.

— მაშასადამე, შენ პირუტყვად არა ქცეულხარ და შენის ავხორცობით არ მიგიცია საბაბი ერთგული ლარისისთვის სამაგიერო გადაეხადა შენ მიერ შეცდენილის ქალებისა და უდანაშაულო ბაღლებისათვის?

— სოკრატ, ნუ მაჯავრებ.

— იქნება ალალ მამას წაართვი სამკვიდრო, ხოლო ის კი საპურობილეში ჩაამწყვდიე?

— არასოდეს! მაგრამ რასაქიროა ასეთი საწყენი კითხვები?

— მოითმინე, მეგობარო, იქნება ჩვენ ოდესმე მაინც არის გამოვიყვანოთ რომელიმე დასკვნა. ეხლა კი ერთი ეს მითხარი, უწოდებდი დიდებულს იმ კაცს, რომელმაც ჩაიღინა ყველა ის რაც მე ეხლა ჩამოვთვალე?

— თავის დღეშიც არა! მე მაგისთანა კაცს საქვეყნოდ, მოედანზედ, მსაჯულების წინ ვუწოდებდი უსინიღისოსა და უკეთურს.

— მაშ რატომ ზეესსა და ოლიმპიელებს არ სდებდი ბრალს მოედანზედ? კრიტონი ებრძოდა ალალს მამას და პირუტყვეულის გრძნობით ენთებოდა მომაკვდავთა მიმართ. ხოლო გერა უდანაშაულოთაგან სისხლს იღებდა... განა აპოლონმა არ ამოწყვიტა ნობის ყმაწვილები... კალღენი კიდევ ხარებს არ იპარავდა? ასე, ჩემო ელპიდ, თუ ის მართალია, რომ მეტ სათნოიანს ეკუთვნის პატივისცემა, მაშინ შენ კი არ უნდა სცე თაყვანი ღმერთებს, არამედ იმათ უნდა აგიგონ სამსხვერპლო.

— სოკრატო, ნუ ჰგმობ, თავი დაანებე ღმერთებს!... განა შენგან გასასამართლებელნიც გახდნენ?



— მეგობარო, ისინი გაასამართლა უზენაესმა არსებამ!... გამოვიკვლიოთ ეს კითხვა: რაში მდგომარეობს ღვთაების ნიშნები? სიდიადე, რომელიც მდგომარეობს სათნოებაში, მგონია შენ ასე სთქვი. განა ეს არ არის ერთად ერთი ნაპერწკალი, რომელიც ღვთის კაცის გულში? თუ ამ ადამიანურ სათნოებაზედაც მცირე გამოდგა მაგ ღმერთების სიქველე, მაშინ ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თვით ღვთაებრივმა დასაბამმა განიკითხა ისინი, მაგრამ მაშინ...

— რა, მაშინ?

— მაშინ, კეთილო ელპიდ, იგინი ღმერთები კი არა — მატყუარა მოჩვენებანი ყოფილან. განა ასე არ არის?

— აი საღ მიჰყავს კაცი თქვენისთანა, მაწანწალა ფილოსოფოსებთან ლაპარაკს! ეხლა კი ვხედავ, რომ რასაც შენზედ ამბობდნენ, სულ მართალი ყოფილა. შენ ყოველისფრით იმ თევზს მაგონებ, რომელსაც ტორპილს ეძახიან და რომელიც თავის შეხედულობით კაცს მოაჯადოებს ხოლმე. იმ თევზივით მომხიბლე შენც, რათა ჩემს გულში დაგებადა იქვენულობა... ილაპარაკე რამდენიც გინდა: ამის შემდეგ მე ხმას აღარ გაგცემ!

— ნუ ჯავრობ ელპად, ხომ იცი რომ შენთვის ავი არ მინდა. თუ უკანასკნელი დასკვნების კვალ-და-კვალ მიყოლა დაგლალა, მაშ ნება მომეცი მიღეთელ ჭაბუკზედ ნათქვამი იგავი გიამბო. იგავებზედ კაცის გონება ისვენებს — დასვენება კი ხანდისხან სასარგებლოა.

— სთქვი, თუ შენი იგავი ძალიან გრძელი არ არის და თუ რომელსამე ზნეობრივს სწავლას არ შეიცავს.

— ამ იგავს სარჩულად უძევს ჭეშმარიტება, ჩემო მეგობარო ელპიდ. ამასთანავე ვეცდები ამბაეი შევამოკლო. მაშ ყური დამიგდე. უწინდელს დროში მიღეტს ძალიან ხშირად ეს ხმოდნენ თავს ბარბაროსები. ტყვედ წაყვანილთა შორის იყო ერთი ყრმა, დიდად ჭკვიანისა და საუკეთესო მოქალაქის შვილი. გზაზედ ყმაწვილი ძალიან ავად გახდა, დასუსტდა და ამის გამო დააგდეს ერთს უღაბურს ალაგას, როგორც გამოუსადეგარი მძორი. შუალამისას ყმაწვილი გონზედ მოვიდა: მალლა

ცაზედ ვარსკვლავები, გარშემო უშველღებელი უდაბნო გადაჭიმულიყო; სადღაც შორიდან ნადირთ შემზარავი ხმაურობა მოისმოდა... ჭაბუკი მარტოდ-მარტო იყო ამ ვერანა ალაგას.

მარტოობასთან ერთად ღმერთებმა იმდენად გამოაცალეს გონება, რომ სრულებით ვერ წარმოედგინა თავისი მდგომარეობა, რაც გამოსცადა ამ მოკლე დროში. ტყუილად ატანდა ძალას მეხსიერებას საბრალო ჭაბუკი, —რადგანაც იქაც ისეთივე სიმწყვდიადე იყო, როგორც ამ პირქუშ უდაბნოში. მხოლოდ სადღაც შორს, შორს ოცნებაში მოსჩანდა დაკარგული სამშობლოს სურათი. ამ ნათელს მხარეში ელანდებოდა საუკეთესო კაცის სახე, და მაშინ გულმაც ამოსძახა: „მამა!“

ამ ხმით წახალისებული ყმაწვილი წამოდგა და გასწია ფრთხილად, რათა ფათერაკისათვის თავი მოერიდებინა. ბოლოს, როდესაც უკანასკნელი ძალ-ღონე ეცლებოდა, დაინახა უდაბნოში ცეცხლი. დაქანცულს სულში ჩაესახა მცირე იმედი: მამის სახლ-კარის ხსოვნა გაუცოცხლდა გულში და „მამაჩემო“-ს ძახილით გასწია ცეცხლისაკენ.

— მერე ეს მართლა მამის სახლი იყო?

— არა, უდაბნოში დამდგარ ბარბაროსთა ალაჩოხი გამოდგა. ამათ დაიჭირეს ეს ყმაწვილი ტყვედ, ცეცხლზედ გათბობის ნება მისცეს და, გარდა ამისა, თვით ცეცხლის გაჩენაც ასწავლეს. ამის შემდეგ კარგა ხანი დაჰყო საბრალომ მონურს ცხოვრებაში, თუმცა იმედს არა ჰკარგავდა, ოცნებაში წარმოდგენილს შორეულს სამშობლოს ეალერსებოდა და მშობელი მამის მკერდზედ მოსვენებას ღიამოდა. იმისი მხდალი ხელი ხანდახან ცდილობდა ბუნდი სურათის გამოქანდაკებას ხან უბრალო აყალოსაგან, ხან ხისა და რკინისაგან. იმისთანა წამებიც იყო, როდესაც მოქანცულ-მოწყვეტილი თავის მიერ გაკეთებული მამის ქანდაკებას თაყვანსა სცემდა და ცრემლით ალობდა მას. ცივი ქვა ისევ ქვადა რჩებოდა. ჭაბუკი იზრდებოდა და ვითარდებოდა; მამის პირვანდელი სურათ-ქანდაკებანი ამას ველარ აკმაყოფილებდა, ამიტომ იგი ანგრევდა ძველებს და მის მაგიერ ახლებს აკეთებდა.

ბოლოს ეს ქაბუკი ბედმა ერთს კეთილს ბარბაროსთან მიიყვანა, რომელმაც მუდმივი მოწყენილობის მიზეზი ჰკითხა. როდესაც ყმაწვილიმა უამბო, დალონების მიზეზი, ქვეინმა ბარბაროსმა უთხრა: „კარგია თუ არის ისეთი ქვეყანა, ან ის, რომელზედაც შენ ლაპარაკობ. მაგრამ, ერთი ეს მითხარი, რა ნიშნებით იცნობ მამა შენს?“

— „ჩემს ქვეყანაში,—უპასუხა ქაბუკმა,—პატივსა სცემდნენ სიბრძნეს და სათნოებას; მამაჩემი კი ყველას მასწავლებლად ჰყვანდა მიღებულნი.“

— „კარგი,—უპასუხა ბარბაროსმა, რომ შენშიაც არის მამის სწავლა-მოძღვრების თესლი; მაშ აიღე კვერთხი და შეუდექი ძებნას. ის ქვეყანა, სადაც პატივსა სცემენ ქეშმარიტს სიბრძნესა და სათნოებას,—შენი ქვეყანა იქნება, ხოლო ბრძენთა ბრძენი იმ ქვეყნისა—მამაშენი.“

ქაბუკს ეს სიტყვები მოეწონა და გათენებისას კიდევ გაუღვა გზას.

— შერე იპოვნა ვისაც ეძებდა?

— ეხლაც დაეძებს. ბევრი ქვეყანა ნახა ყმაწვილიმა, ბევრი ქალაქი დაიარა, ბევრი ხალხი გაიცნო. დედამიწა სულ დაქსელა, არა ერთი და ორი ზღვა გადალახა, მნათობთა გზაკვალის კი გამოიკვლია, გამოიძია. ყოველთვის, როდესაც გაჭირებულ მგზავრობის დროს წყვდიად ღამეში დაინახავდა ხოლმე დამყვავებელს ცეცხლს, გულისცემა აუჩქარდებოდა და იმედსაც ფრთები ესხმებოდა,—ამბობდა: „ეს მამა-ჩემის თავშესაფარია!“ ხოლო როცა კეთილი სახლის პატრონი უთავაზებდა დაქანცულ მწირს თავის კერასთან ბინას, მაშინ აღელვებული ქაბუკი ჩაუვარდებოდა ხოლმე მას ფეხებში და ეუბნებოდა: „გმაღლობ, მამაო! ნუ თუ ვერა სცნობ შენს დაკარგულს შვილს?“

ბევრი მზად იყო ეშვილნა ეს ქაბუკი, რადგანაც იმ დროში ყმაწვილების მოტაცება ძალიან ხშირი იყო... იშვილებდნენ ხოლმე კიდევ, მაგრამ პირველი აღტაცების შემდეგ ქაბუკი მალე ამჩნევდა თავის ვითომ-და ალალ მამას ნაკლულეყვანებასა

და ბიწიერებასაც კი. შემდეგ ყმაწვილი იწყებდა იმის გამოც კლას: აძლევდა სხვა-და-სხვა კითხვებს სიმართლესა და უსამართლოებაზედ. ამის გამო სტუმართ-მოყვარე მისპინძელი მალე გამოისტუმრებდა ხოლმე ყმაწვილს სახლიდან და გუშინდელი ბინადარი, ღღეს ისევე მაწანწალად ხდებოდა... ქაბუკს არა ერთხელ უთქვამს: მოდი დავრჩები ამ უკანასკნელ სახლში და დავიცავ უკანასკნელს რწმენას. დეე ამან გამიწიოს მამის სახლის მაგივრობა...

— იცი, სოკრატ, მართლა ევ ჰკუას ახლოა.

— ხანდისხან შენსავითა ფიქრობდა, მაგრამ, კვლევა-ძიებას მიჩვეულს, მამის ბუნდი წარმოდგენა არ ასვენებდა. ხელახლა განიბნევედა მტვერსა ფერხთა თვისთაგან, იღებდა ხელში მწირის ჯოხს და არა ერთი ელვა-ჰეჭიანი ღამე გაუთენებია ცის ქვეშ... — როგორ ჰფიქრობ, ამ ქაბუკის თავ-გადასავალი მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალს არ გვაგონებს?

— ოჰ, ცბიერო ფილოსოფოსო, ეხლა კი მესმის საითკენ მივყევართ ამ იგავს... მაშ პირდაპირ გეტყვი: ნეტა ერთი ამ სიბნელეში გაიელვოს და მაშინ შენ დარწმუნდები, რომ უბრალო კითხვებით მისპინძელს განსაცდელში არ ჩავაგდებ...

— მეგობარო, — უბასუხა სოკრატმა, — სინათლე კიდევაც კრთის.

## V

თითქო ფილოსოფოსის სიტყვები უთუოდ უნდა გამართლებულიყვნენ, სადღაც მალლა თხელი ღრუბლების ზევით გასხლტა შორეული სხივი და შთაინთქა ცის უფსკრულში; ამას მოჰყვა მეორე. მესამე... ასე გონია სადღაც შორს ნათელი გენიები ეკვეთებიან ერთმანეთსაო, დიდი საიდუმლოება ხდებოა; ვილასიც აღმოქმინვა ისმოდა, დიდებული დღესასწაული მზადდებოდა...

ყველა ეს შორს იყო. მიწის მახლობლად კი გროვდებოდნენ შავი ღრუბლები, ხან ეხვეოდნენ ერთმანეთს, ხან გაი-



შლებოდნენ ხოლმე, თითქო ჭიდილი აქვთ გამართული და გარბოდნენ დაუსრულებლად, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო...

შორეულ მწვერვალიდან ლაქვარდი ცეცხლი ჩამოვარდა უფსკრულის ნაპრაღში; ღრუბლებმა აიწიეს და ცა სულ ერთიან დაჭფარეს. სხივებიც სულ მალლა-მალლა მიდიოდნენ ასე გონია ამ დაღვრემილ ბართან არაფერი საერთო არა აქვთ-რაო.

სოკრატი მოწყენილი იდგა და თვალს ადევნებდა ღრუბლების მოგზაურობას, ელპიდი კი შეშინებული შეჰყურებდა მწვერვალს.

— სოკრატ, აბა შეხედე—მთაზედ რას ხედავ?

— მეგობარო, — უპასუხა ფილოსოფოსმა, — გამოვიკვლიოთ დებულება. რადგანაც ჩვენ მივდივართ, მაშ მივისწრაფით რომელიმე მიზნისაკენ, რადგანაც ქვეყნიურს ცხოვრებას უნდა ჰქონდეს საზღვრები. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს საზღვარი დასაბამის ორ მიჯნაზედ უნდა იყოს: სინათლისა და სიბნელის ბრძოლაშია ჩვენი ძალ-ლონის გვირგვინი. რადგანაც ჩვენა გვაქვს მსჯელობის ნიჭი, ამის გამო მე ვფიქრობ რომ იმ ღვთაებას, რომელმაც აზრი მოგვანიჭა, სურს ვიძიოთ ჩვენი მისწრაფებათა საზღვრები. მაშ, ჩემო ელპიდ, მოვემზადნეთ განთიადის მისაგებებლად, რომელიც ამ ღრუბლებში შამოგვიშუქებს.

— ოხ, ჩემო კარგო მეგობარო! თუ განთიადი ასეთი იქნებოდა, ნეტა უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო აღრინდელი უსახო, მაგრამ მშვიდი სიწყვდიადე... როგორ გგონია, წინად ჩვენი დრო უფრო სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელ საუბარში არ გადიოდა? ეხლა კი სული ძრწის მოახლოვებული ქექა-ქუხილის წინაშე. არა, შენ რაც გინდა სთქვი და უფსკრულში კი უბრალო უსიცოცხლო ღამის აჩრდილები არ მოსჩანან...

აგერ, ზევსის გამონატყორცნი ერთი ისარი კიდევ ჩავარდა უძირო ნაპრაღში...

კტეზიპმა შეხედა მწვერვალს და შიშის ზარი დაეცა: უზარმაზარი და მოქურუშული ოლიმპიელთა ხატები აგვირგვინებდნენ მთას და ასავალ გზას ჰლობავდნენ. უკანასკნელი

სხივი ერთი კიდეც გასცურდა ჯანლ ბურუსზედ და ჩაკვდა სადღაც, როგორც სუსტი მოგონება. ჭექა-ქუხილით ღამე ყველგან გამეფდა, მთელი ცა შავმა აჩრდილებმა დაიჭირეს, რომელთა შორის კტეზიპპმა შენიშნა დიდებული და შარაყანდებით მოსილი კრონიდი. კრონიდის გარშემო მოუსვენრად ირეოდნენ შეძრწუნებული და გაჯავრებული უფროსი ღმერთების აჩრდილნი ისე, როგორც შორეულ ქვეყნისაკენ გამგზავრებული ფრინველების გუნდი, როგორადაც გრიგალი ქარისაგან ავარდნილი მტვერი, როგორც ქარიანს ღღეს შემოდგომაზედ ჩამოცვიფნული ფოთლები, რომლებსაც გარს ჯანლივით ეხვივნენ ურიცხვი წვრილ-წვრილი ღმერთები... ზევსი სქექდა და გრგვინავდა, შეშინებული ქვეყანა ზანზარებდა; ხეი და კლდე გრგვინვას იმეორებდა... მაშინ კი, როდესაც ცეცხლი ქრებოდა გრგვინვაც ჩერდებოდა, სიბნელე შეიკუმშებოდა ხოლმე და შემკრთალს სიჩუმეში ყრუ კენესა გაისმოდა, ასე გონია კრონიდის ქექისაგან შეშინებული დევ-გმირები კენესიან და გმინავენ დედამიწის გულშიო...

მაშინ კი, როდესაც მწვერვალიდან ღრუბლები დაიძრნენ, მოქურუშული ზევსი დაეშვა დაბლა ქვეყნიერების დასათვალიერებლად. ამ სურათის დანახვამ კტეზიპპი ისე შეაშინა, როგორც თვით გამოტყდა შემდეგ, რომ გონება დაკარგული და შეძრწუნებული დაემხო თურმე პირქვე.

განაბული კტეზიპპი სმენად გადაიქცა.

იქ, სადაც მთელი ბუნება გაქვავებულიყო, მხოლოდ ორი არსების ხმა გაისმოდა. ერთი იყო ძლიერი და მრისხანე ღვთაების ხმა, ხოლო მეორე—კაცის სუსტი ხმა მოისმოდა იმ ფერდობებიდან, სადაც კტეზიპპმა დასტოვა სოკრატე.

— თავხედო სოკრატე, — გაისმა ხმა ღრუბლებში, — გონებით ამაყო! შენ გაჰბედე ცისა და ხმელეთის ღმერთებთან შებრძოლება? ადრე ჩვენზედ, ოლიმპიელებზედ უმხიარულესნი არა უკვდაენი არ იყვნენ, ეხლა კი მოღრუბლულ მოქურუშულნი დავძრწით იმის გამო, რომ ქვეყნად იქვენეულება და ურწმუნოებაც კი გამეფდა. ისეთი ცუდი დარი არასდროს არ



დაგვედგომია, როგორც მას შემდეგ, რაც ღმერთების რუელ ათინელთა შორის გაისმა საზიზღარი შენი ხმა!.. სოფრონიკის შვილო! რატომ ძველების აღთქმას არ მიჰყევი?... მართალია შენი კეთილი მამა ხანდისხან დაგეცინოდა, მომეტებულად ახალგაზღვობაში, მაგრამ ამის და მიუხედავად, არა ერთხელ დავმტკბარვართ მის მიერ შემოაწირული მსხვერპლის სუნით.

— მოითმინე კრონილო, — უპასუხა სოკრატმა — მაშ სულ მოკლე პირფერობას ამჯობინებ ჭეშმარიტების ძიებას?

ამ კითხვის პასუხად მოისმა საშინელი გრგვინვა, რომელმაც მთელი სამყარო შეანძრია.

— სადა ხარ, თავხედო მოსაუბრე? გაისმა დამცინავის კილოთი ნათქვამი ოლიმპიელის სიტყვები.

— მე აქა ვარ, კრონილო, აქ იმავე ალაგას და მხოლოდ შენი პასუხი დამწევს უკან. პასუხს ველოდები.

ჭეჭამ ეხლა უფრო მეტის სიძლიერით დაიგრიალა, ასე გონია სოკრატის გამბედაობა აჯაერებსო.

— სოფრონიკის შვილო, განა არ გეყო იქნეულობის გაფანტვა ქვეყანაზედ, რის გამო აქ ოლიმპს ჯანღ-ბურუსი მოედო? ჭეშმარიტად, როდესაც შენ დაიწყებდი ხოლმე საუბარს მოედანზე, აკადემიაში თუ სხვა საჯარო ალაგას, ასე გვეგონა, რომ საკურთხეველები კიდევ დაანგრე... შენ ეს არ იკმარე და აქაც კი, ჩვენი თვალის წინ, არ გინდა აღიარო უკვდავთა უფლებანი...

— ზეესო, შენა სჯავრობი! ერთი ეს მითხარი, ვინ მომცა მე ის გენიოსობა, რომელიც სიციოცხლის დროს არ ასვენებდა ჩემს სულს და დაუღალავად ჭეშმარიტებისაჲენ მიმასწრაფებდა? ღრუბლებში რალაც იღუმალი სიჩუმე იღვა.

— განა შენ არ მომეცი? ხმას არ იღებ. მაშ მე გამოვიკვლევ ამ კითხვას. ეს ღვთაებრივა დასაბამი ან შენგანა მაქვს მოცემული, ან სხვისაგან. თუ შენგანა მაქვს მოცემული, — უფრო უპრიანია, შენვე შემოაწირო მსხვერპლად, ვითარცა ჩემი ცხოვრების მომწიფებული ნაყოფი, როგორც ალი შენგან ჩაგდებული ნაპერწკლისა. გესმის, კრონილო! მე შევინახე შენ



მაერ ნაბოძები ღვთაებრივი ნიჭი და ჩემი გულის საუკეთესო კუნჭულში აღვზარდე იგი. აი ის ცეცხლი, რომელიც ეღვზნებოდა იმ მწვევ წამებში, როდესაც ჩემის ხელით გადავსკერი ძაფი, რომელიც ცხოვრებასთან მაერთებდა. რატომ არ გინდა მიიღო იგი, რათა სჯავრობ იმ ცუდ ოსტატივით, რომელსაც სიბერე უშლის შეიგნოს, რომ იმისი ყრმა-მოწაფე ერთგულად ასრულებს მასწავლებლის ნაბრძანებს!.. შენ რა უფლება გაქვს ჩამიჭრო ის ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც ანათებს ჩემს ცხოვრებას მას შემდეგ, რაც ამ ცხოვრებაში წმინდა აზრის სხივი პირველად შეიპარა? მზე არ ეუბნება ხოლმე ვარსკვლავებს, მე ამოვდივარ და თქვენ დაიკარგენითო, არამედ ის ამოვა ხოლმე და მბუტყავი ვარსკვლავები თავის თავად იღუპებიან ძლიერი მზის სხივებში. დღე არ უბრძანებს ხოლმე ჩირალს: გაჰქერი, — მიშლიო, რადგანაც, მზე რომ ამოიმაღლაურებს, ჩირალი თუმცა ბუტყავს, მაგრამ ვერ კი ანათებს. ღვთაება, რომლისაკენაც მე მივისწრაფვი, შენ არა ხარ, რადგანაც შენ ექვისა გეშინიან... ის, როგორც დღე, როგორც მზე ანათებს თვითონ და არაეის სინათლეს კი არ აქრობს. ის, რომელიც მეტყვის: მწირო, მომეცი შენი ჩირალი, ეგ შენთვის საჭირო აღარ არის, რადგანაც ნე ვარ წყარო სინათლისა... ის, ვინც მეტყვის, დასდევ ჩემს საკურთხეველზედ შენი სუსტი ექვი, რადგანაც მე ვარ ყოველგვარ ექვის გამფანტველ-გამბნეველი, — ის არის ჩემი ღმერთი, იმას ვეძიებ. თუ შენა ხარ ასეთი ღვთაება, მიიღე მაშ ჩემი კითხვებიც. არავინ არა ჰკლავს თავის სათუთად აღზრდილს შეილს, ჩემი იქვენეულობა კი წარმოშობილია იმ უკვდავი სულისაგან, რომელსაც ჭეშმარიტებას ეძახიან.

შავს ღრუბელში ცის კიდიდან კიდემდის ხელახლად გაირბინა ელვამ, რომელსაც შესაზარი ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი მოჰყვა; ამავე დროს გაისმა ძალუმი ხმა:

— აი სადამდის მიგიყვანა მიწიერთა საუკეთესო თვისების — სიმშვიდის უარყოფამ. შენ ვერ შეითვისე უბრალო, ბუნებრივი რწმენა და ამის გამო ექვიანობის მორევში გადავარდი, ცოცხალი ღმერთების უარყოფაში რალაც თავისუფლებას გრძნო-



ბდი, მაგრამ განა შენ, უბრალო ქიას, შეგიძლიან ამ თვალ-გადაუწვდენელ მორევში გასვლა? განა შეუძლიან ეს მოახერხოს იმ კაცმა, რომელმაც თავისი სიცოცხლე უარყოფის მტვერში გაატარა?.. შენ უნდა გააცოცხლო ქვეყანა, შენ გინდა მიაგნო უცნობ ღმერთს, რომლის ხვეწნა-ვედრებაც კი არ შეგიძლიან? საცოდავო მენაგვევ, დანგრეული საკურთხევლების მტვერში ამოსერილოო! ნუ თუ შენი თავი იმ ხუროთ-მოძღვრად მიგაჩნია, რომელსაც განგებამ ახალი ტაძრების აგება დაუნიშნა?.. რილას იმედი გაქვს, ძველი ღმერთების უარყოფილი და ახლის არ მცოდნევ? დაუსრულებელი იქვეუფლობა და სიბნელე გამეფდა ქვეყნად, საბრალო ქია-ღუებო! ცხოველი სარწმუნოების დაშრობით და გულწრფელთა თავშესაფარის უარყოფით გინდათ... სადა ხარ ეხლა არა-რაო, მაგრამ მაინც კი თავხედო ბრძენო?...

გამძვინვარებული ქარიშხალი თავისუფლად გრიალებდა... ცოტა ხნის შემდეგ გრგვინვა ჩადგა, ქარმაც ფრთები შეიკეცა და ღამის წყვილიაღში მხოლოდ კოკის-პირული წვიმა აშხაპუნებდა, რომელიც მზად იყო მთელი ქვეყანა შთაენთქა და ტანჯვა მწუხარება გაემეფებინა... კტეზიპსს ეგონა, რომ ღვარმა სოკრატს ბოლო მოუღო და საუკუნოდ დაადუმა შეუდრეკელი ხმა, რომელიც დაუღალავად იყო მიჩვეული კითხვების მიცემას. მაგრამ მალე იმავე ადგილიდან კტეზიპსს შემოესმა მასწავლებლის ხმა.

— კრონიდო, შენი სიტყვები უფრო მიზანში მიდიან, — ვიდრე ქექა-ქუხილი. შენ ჩააგდე ჩემს შემფოთებულს სულში ის, რაც არა ერთხელ გაისმოდა მასში და ყოველთვის ილაჯს მიწყვეტდა მძიმე ექვებით. დიად, მე უარყავი ის თავშესაფარი, სადაც გულწრფელი სარწმუნოება სუფევდა; დიად, მე ვხედავდი, რომ ცოცხალი ღმერთების უარყოფით ქვეყანა ვერანდებოდა და ბნელ უდაბნოდ ხდებოდა, მაგრამ მე მაინც უაღმრად შევდგი ფეხი ამ უდაბნოში, რადგანაც ჩემი გენიოსობა მინათებდა, რომელიც ყოველგვარი ცხოვრების ღვთაებრივი დასაბამია. გამოვიძიოთ ეს საკითხი: განა იმათს სახელს არ ეკმევა გუნდრუკი, ვინც სიცოცხლეს იძლევა? შენ კი არა, იმასა სცემს თავყვანს გულწრფელი სარწმუნოება, — მაგრამ განა იმასვე არ ეძებს დაუცხრომელი ექვი?.. დიად, მე არა ვარ ხუროთ-მოძღვარი და არც ახალი ტაძრების აღმშენებელი; ბედმა წილად მე არ მარგუნა ძველ ალაგზედ აღმემართა დიდე-

ბული შენობა მომავლის სარწმუნოებისა... მე მენაგვე ვარ, ნანგრევთა მტვერში ამოსვრილი... მაგრამ, კრონილო, სეინილის მეუბნება, რომ მენაგვის მუშაობაც საჭიროა ტაძრის აშენებისათვის. როდესაც გასუფთავებულს ალაგზედ მშვენივრად და დიდებულად აღიმართება საკვირველი შენობა და იმაში გამეფდება ცხოველი ღვთაება ახალის სარწმუნოებისა, — მაშინ მე, მწიფი მენაგვე, უბრალო მუშა, მივალ იმასთან და ვეტყვი: მე ისა ვარ, რომელიც დაუღალავად იღვწოდა უარყოფის მტვერბუქში; ჯანლითა და ბურუსით მოცულს არ ძალმედვა ამომეხდნა მალლა და გამერჩია შენი სახე; მე მხოლოდ გონების თვლით მკრთალად ვხედავდი შენს დიდებულს სურათს!.. ნუ თუ ეხლა განმაგდებ პირთაგან შენთა, დიდებულო, ჭეშმარიტო და კეთილის-მომცემელო?... როდესაც მზის სხივები დაეცემიან ხოლომე ჭუჭყიანს გუბეს, მაშინ სუმბუქი ორთქლი მიისწრაფვის ბრწყინვალე გელიოსისაკენ და სდნება ჰაერში, ხოლო მიწაზედა რჩება მძიმე ჭუჭყიანი და გახრწნილი ნაწილები. შენი სხივი შეეხო ჩემს ჭუჭყიანს სულს და ისიც გამოეჭანა. შენკენ, უცნობო, ვისი სახელიც საიდუმლოებაა... მე გეძებდი შენ, რადგანაც შენ თვით ჭეშმარიტება ხარ; მე მოვისწრაფვოდი შენკენ, რადგანაც შენ სიმართლე ხარ; მიყვარხარ, რადგანაც თვით განხორციელებული სიყვარული ხარ; შენთვის მოვკვდი, რადგანაც შენა ხარ წყარო ცხოვრებისა... ნუ თუ შენ, უცნობო, უარს მყობ მე? ჩემი მძიმე იჭვიანობა, ჩემი მწვავე-მსუსხავი, ჩემი ტანჯული ცხოვრება, ჩემი ნებსიანი სიკვდილი — მიიღევი ყველა ეს, უცნობო, რომლის სახელსაც მე არ ვუწყ, ვითარცა უსისხლო მსხვერპლი, ვითარცა ლოცვა, ვითარცა სულთქმა. და ნუ მისცემ ნებას წარსული ჯანლიანი ღამის მოჩვენებათ შენი დაუსრულებელი სინათლისაკენ მომავალი გზა... ჩამომეცალენით, მკრთალო ახრდილებო, რადგანაც თქვენ ეღობებით წინ განთიადის სხივებს!.. ჩემი ხალხის ღმერთებო, ოლიმპიელებო, მე გეუბნები თქვენ, რომ უსამართლოები ხართ, იქ კი, სადაც სიმართლე არ არის, ჭეშმარიტება — მოჩვენებაა. ამისთანა დასკვნაზედ მოვედი მე, „მაშ გაიფანტე, ჯანლო: მე მივდივარ იმასთან, ვისაც მთელს ჩემს სიცოცხლეში ვეძებდი...

ერთი ძლიერად და მოკლედ იქეჭა, თითქო ეღვა-ქუხილის ღმერთს დასუსტებული ხელიდან ვეიდი გავარდაო. ქარიშხალმა ეს საზარელი ხმა წაიღ-წამოიღო, მოსდვა მთელს

ქვეყანას და შემდეგ საღლაც კლდე-ღრეში მიმალა, ხოლო ამ საზარელი გრგვინვა-ქშუილის შემდეგ გაისმა იმავე ალაგას ჯერ სულ უცნობი და საკვირველი ხმები.

როდესაც გაახილა თვალები კტეზიპი საშინლად გაოცდა, იმას წარმოუდგა საკვირველი სანახაობა: სიბნელე მიიპარებოდა, ღრუბლები იფანტებოდნენ, ღმერთების აჩრდილები მოუსვენრად გარბოდნენ გალაქვარდებულ ცაზედ, ზოგნი ფერდობსა და ხეობებში მოსჩანდნენ; პატარა ტანის ელზიდი ერთი ნაპრალის პირას იდგა და გაეშვირა ღმერთებისაკენ ხელები, ასე გონია დასამალავად გაქცეულებს ზედის გადაწყვეტას ემუდარებო.

მთის მწვერვალიც სრულიად ამოვიდა იმ იდუმალი ღრუბლებიდან და ლამაზარით გაანათა ჯერ კიდევ დაჯანლული ველი. თუმცა ამ მწვერვალზედ არ იყო არც ქუხილის ღმერთი კრონიდი და არც სხვა ოლიმპიელები, გარდა თვით მწვერვალისა, სინათლისა და მალაღის ცისა, მაგრამ კტეზიპი ცხადად გრძნობდა, რომ მთელი ბუნება, უკანასკნელ ახლად ამობუსუსებულს ბალახამდის, ერთა იდუმალი ცხოვრებით გამსჭვალულა. აღერსიანად მქროლავს ნიავეში ისმოდა ვილაცის სუნთქვა, ვილაცის საკვირველი ჰარმონიული ხმა. დიდებულისა და ბრწყინვალე დღის სადღესასწაულო მსვლელობაში ისმოდა უხილავი ფეხის ხმა; განათებულს მწვერვალზედ კიდევ იდგა დაჩოქილი ერთი კაცი მალლა ხელ-აპყრობილი და ძლიერი მისწრაფებით გამსჭვალული.

ერთი წამიც და ყველა განჰქრა. ჩვეულებრივი დღის სინათლე კტეზიპის ვალვიძებულს სულს ბინდბანდად ეჩვენა უკვე გამქრალ ბუნების მოვლენასთან შედარებით.

ღრმა სიჩუმით მოისმინეს დაღუბული ფილოსოფოსის მოწაფეებმა კტეზიპის უცნაური ამბავი. პლატონმა პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— გამოვიკვლიოთ, — სთქვა იმან, — სიზმარი და მისი მნიშვნელობა.

— გამოვიკვლიოთ, — უპასუხეს დანარჩენებმა.

ი. გამკლაურა

## ბოლგარეთის მანთავისუფლებისათვის

### მეგრძოლნი და წამებულნი

ისტორიული მიმოხილვა

3\*)

პუსტიაში მომხდარი ამბავი ელვის სისწრაფით მოეფინა ახლო-მახლო სოფლებს და დუნაის სავილაიეტოს მახლობელ ქალაქებს. ბოლგარელებმა ხელი არ გაანძრეს თავისიანების საშველად, რომელთაც აჯანყების დროსა აღმართეს, როგორც ამას წინად ჩენი მემოხენი ოცნებობდნენ; ის კი არა, შიშით გულები დაუსკდათ და ყველამ თავისი სორო მოსძებნა დასამალად; ყველანი იმასა ფიქრობდნენ, არ დაგვწამონ, ვითომც მემოხეთ თანავეუგრძობთო, და გულის-ხეთქით მოელოდნენ, ოსმალეები აბა რა სახით მოგვაყენებენ შეწუხებასაო.

ოსმალეები ამ დროს გულ-ხელ-დაკრებილნი არა მსხდარან. იმავ ღამეს, 20 მაისს, სისტოვოსა, პლევანსა და ტირნოვოში ადგილობრივი ალები და გარნიზონების უფროსები შეიყარნენ, სამხედრო თათბირი ჰქონდათ და ჯარის შეკრებისათვის ჰზრუნავდნენ. დაუყოვნებლივ აცნობეს ტელეგრაფით სტამბოლში, რაც ამბავი მოხდა.

მეორე დღეს სისხამ დილაზე რეგულიარულის ჯარის რიცხვმრავალი რაზმი აჩქარებით მიდიოდა ტირნოვოდან სოფ. ვერბოვკაში; იქითკენეე მიეშურებოდნენ სხვა რაზმები სხვა-და-სხვა ადგილებიდან. დამარცხებულ გუნდის დასაქერად ზაფთიებმა ბოლგარელებს უბრძანეს, ჩვენს ჯარს თქვენც შემოუერთდითო.

\*) «მოამბე», № IX, 1896 წ.

ფილიპე ტოტიუს და მისს ერთს მუქა ამხანაგებს შორს წასვლა არ შეეძლოთ. მთელი დამე იქით-აქეთ უგზო-უკვლოდ იხეტიალეს. განთიადზე გაიხედეს და—თურმე ოსმალოს სოფელ გორნი-თურჩეთის არემარეს კი არ გასცილებიან; სულ ორის საათის სავალი გზით დაშორებიან იმ საბედისწერო ადგილს, სადაც პირველი ომი გადაიხადეს. დღისით გზის გაგრძელება ყოველად შეუძლებელი იყო და, სანამ დაღამდებოდა, არჩიეს ერთს ხევში ჩაწოლილიყვნენ. მდევრებმა ისევ დამითვე დაკვარგეს მათი გზა-კვალი და წინ გაუსწრეს ძალიან დიდს მანძილზედ... შემთხვევით, მემბოხეთ ერთი მდევრებს უკან ჩამორჩენილი ბოლგარელი წააწყდა. მაშინვე დაიჭირეს. ამ ბოლგარელისაგან შეიტყვეს—მათს დასაქერად რამდენი ჯარი იყო გამოგზავნილი ან ახლა სად იმყოფებოდნენ. დაიწყეს ამ კაცთან ლაპარაკი, გამოჰკითხეს საჭირო ცნობები, მიენდნენ კიდევცა. გამოდგა, რომ მახლობელ სოფლის მცხოვრები ყოფილა. ტოტიუმ ამ სოფლის მასწავლებელთან ბარათი გაატანა: ილაჯ გაწყვეტილ და დაყმენდილ გუნდისათვის პური, თამბაქო და სხვა რამ საჭირო, რაც იყოს, გამომიგზავნეო. ამ მასწავლებელს არც ტოტიუ იცნობდა და არც მისი ამხანაგები. მაგრამ დანამდვილებით ამბობდნენ, რაკი მასწავლებელია, უექველად „ხალხის კაცი“ უნდა იყოსო. არც მოტყუებულან. ოსმალნი მართალს ამბობდნენ,—მასწავლებლნი მემბოხეთა მარჯვენა ხელნი არიანო,—სწერს ამ ამბის გამო ზ. სტოიანოვი.—მასწავლებლები და მღვდლები რომ არა ყოფილიყვნენ, ღმერთმანი, არ ვიცი, უიმათოდ რაღას გაარიგებდნენ ლევსვი, სტამბულოვი, ბენკოვსკი და სხვ.!!.

სარდლის ბარათი რომ მიიღო, კირო პეტროვიჩმა \*)—მასწავლებელმა,—ვერ გაჰბედა დამალულ გუნდთან თვითონ წა-

\*) კირო პეტროვიჩი ერთი თავგამოდებული და დაუდალავი მოღვაწე იყო განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს, ამასთან პოეტრიც იყო. 1876 წელს დაიჭირეს, თოფით შეიარაღებული, და როგორც აჯანყებაში მონაწილეს, საუკუნო ციხე გადაუწყვიტეს. როცა სასამართლოში განაჩენის მოსასმენად მიიყვანეს, მოსამართლეთ უშიშრად გამოუტყაბდა: ნამდვილად მემბოხე ვარო, აჯანყების დროს მე ადვოკატევიო, ოსმალებისა არ მემშინიანო, და სხვ. და სხვ. ეს გამბედაობა სიცოცხლედ დაუჯდა: ტურნოვოში ჩამოახრჩეს...



სულიყო. მინდორში რომ დაენახათ, მაშინათვე იკითხავდნენ აქ რას დაეხეტებაო, ეს ერთი; მეორეც ასეთ საშიშ დროს, უქველგია ვინც დაინახავდა, ექვის თვლით დაუწყებდა ყურებას. მაგრამ არც მამულისათვის მებრძოლ ძვირფას იუნაქების დაგდება უნდოდა უმწეოდ. ერთს თავის შეგობარს სოფელელსა სთხოვა ფილიპესთან წასულიყო და საჭირო ხორაგი წაეღო. სოფელელმაც ტოტიუს ყველაფერი წაუღო. ამავე სოფელელმა გუნდს ასწავლა მარჯვე და უშიშარი გზა ბალკანისაკენ. გუნდიც დაუყოვნებლივ დაადგა ამ გზას... სამშვიდობოს ველარ გააწია.

ის აღგილები, სადაც გუნდს მალულად უნდა გაეარა, სრულიად დაცემული და გაშლილი იყო; ყველა მხრით მდევარნი დაძრწოდნენ; გზაზე მდებარე სოფლების მცხოვრებთაც გაგებული ჰქონდათ, გაიური-კომიტები გაჩენილანო.—ამიტომ ჩვენი მემამოხენი იძულებულნი იყვნენ ყოველს ნაბიჯზე პასუხი გაეცათ მდევრებისათვის და გზაში დაეგდოთ უპატრონოდ ზოგი სასიკვდილოდ დაქრილი და ზოგიც მკვდარი ამხანაგი. თან, მემამოხეთა შორისაც უთანხმოება და განხეთქილება ჩამოვარდა. ზოგიერთებმა დრტვინვა დაიწყეს ტოტიუსზე. აქაო-და სიფრთხილე გემართებსო, წყლის სასმელად, არ გვიშვებსო!.. ბოლოს, გუნდს თავის-ნებით სხვებიც ჩამოეცალნენ, რომ ერთს წყაროსთან წყურვილი მოეკლათ და დაესვენათ. აი, სწორედ აქ წამოესწრნენ ოსმალები და ამოეფუყეს...

ძველს პლანინაში რომ ჩავიდა, ტოტიუს მხოლოდ ოთხი ამხანაგი-ღა ჰყავდა. ოთხი კაცით ბრძოლის გარგძელებაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო. ხოლო სოფელელებიდან ძე-ხორციელი არა ჩნდებოდა მათს მომხმარედ. ამიტომ, ჩვენს სარდალს ერთი-ღა რჩებოდა—რუმინიაში გადასულიყო, და ისიც დაეშურა ამ ქვეყანაში ეძებნა ხსნა...

დანარჩენი მისი სიცოცხლე საინტერესოს არას წარმოადგენს. ამ ჩვენგან აწერილ გაკუდებულ ბრძოლის შემდეგ ტოტიუ რუმინიიდან აღესაში გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ აღესიდან ისევ რუმინიაში გადავიდა, სადაც, შემდეგში, გან-

თავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას არავითარს იღებდა; მის ძველ მეგობარ, ერთს ღროს სახელ-განთქმულ სარდალ ჰანიოტ ზიტაგოსავით, ცოტა არ იყოს, ცუდს ცხოვრებას ეწეოდა. თუ არა ვსცდებით, ტოტიუ ღღესაც ცოცხალია, — 1884 წელს კი როცა რუშჩუკში დაესახლა, ცოცხალი იყო.

მისის გუნდისაგან, როგორც დავინახეთ, ძალიან ცოტანი გადარჩნენ. ზოგნი ბრძოლაში დაიხოცნენ, ზოგნი ოსმალთ ცოცხლები ჩაუვარდნენ ხელში და სამშობლოს მიწა-წყალზე ჩამოახრჩეს, — ზოგი ჩისტაგოს, ზოგი რუშჩუკსა, ზოგი ტირნოვოში და სხვ. და სხვ.

## 4

ოსმალეთი ტოტიუს რაზმის გაწყობას არ დასჯერდნენ. პუსტიის ტყეში ბრძოლის შემდეგ, მთელი ორმოცი ღღე ოსმალთ ჯარები ახლო-მახლო სოფლებში იდგნენ. რა თქმა უნდა, მთელი ეს ხანი, ბოლგარელების ხარჯითა სცხოვრობდნენ. სოფლებელთ ხშირად მუშაობაზე ხელს აღებინებდნენ და კომიტების საძებრადა ჰლაღავდნენ... ბოლგარელების ტანჯვითა ქვანიც კი იცრემლებოდნენ... მთელი გზა, ტოტიუს რაზმისაგან გავლილი, მოფენილი იყო ოსმალთ მტარვალობისა და მხეცობის მსხვერპლითა. ერთი ბეწო იქვი ჰკმაროდა, რომ ბოლგარელისათვის დაეწამებინათ — მემამოხეთ თანაუგრძობ და ხელს უწყობო. ასეთს იქე-მიტანილს მაშინვე იჭერდნენ. აქ ვაჭარი ჩამოახრჩეს, — გამეღელ იუნაკებს ხორავი რად მიეციო; იქ სხვა სოფლებელთან ერთად ციხეში მღვდელი ჩაადდეს, — კომიტებს ასე გულმხურვალედ რად დაუხვდიო!... ერთს ღღედა აუტირეს, იმიტომ რომ კომიტებს ახლო გაუარეს და გზა ასწავლეს; მეორენი ციხეებში ლპებოდნენ, ამიტომ რომ ჩეტების მოსვლა იცოდნენ და მთავრობას კი არაფერი გააგებინეს; მესამენი საშინლადა ჰგვემეს და, ცოტას გაწყდა, სარჩობელაც არ აჩვენეს, იმიტომ რომ ვითომც ვაეხარდათ იუნაკების გუნდის გამოჩენა ოსმალთ მიწაზედა; სხვები მარტო იმიტომ იტანჯებოდნენ, რომ გამძვინვარებულ მტერთ ხელში ჩაუვარდათ... მარ-



ტო სისტოვოდან, რომლის მიდამოში, როგორც მკითხველის ახსოვს, ოსმალთ მწყემსები დაიხოცნენ, დიამბეჭირში დასამწყვდევად ოც და ათამდე კაცი გალალეს, ყველაზე უფრო განათლებულნი, მაშასადამე, უფრო საშიშნი. ესენი ერთმა შეშინებულმა ამხანაგმა გასცა. ყველანი მამულის მოყვარეობაში გაამტყუნეს. სისტოვს ზოგიერთ მცხოვრებთ თავიც დასდევს ამ გრძნობისათვის... ოსმალებმა დამონავებულეებზე გაიმარჯვეს. ბოლგარელებს შიშის ზარი დაეცათ,—რა გვეშველებაო!—„დიდძალი ხალხი ეწამა მაშინ ღვთის გულისათვის და ერის თავისუფლებისათვის“,—ამბობს დატოვებულს წერილებში ზემო-დასახელებული კირო პეტროვიჩი, რომლის თვალ-წინ ისე მწარედ დამარცხდა ტოტიუს რაზმი.—ოსმალნი ისე თავის დღეში არ გააფთრებულან. დღე და ღამე ფილიზე ტოტიუს სახელი ეკერათ პირზედა... ყველა ბოლგარელს, ცოტაოდნად შეგნებულს და თავის აღებას მონდომებულს ტოტიუს ეძახდნენ...

ტოტიუს რაზმს თვალსაჩინო ნაყოფი, მართალია, არ მოუტანია. ტოტიუ და მისი ამხანაგები თავ-გამოდებით და ვაჟკაცურად იბრძოდნენ, გარნა გულის წადილს ვერ ეწივნენ, ბოლგარელები ოსმალთ წინააღმდეგ ველარ აჯანყეს, ოსმალთ ბატონობის ნიადაგი ვერ შეარყიეს. იუნაკებმა მარტო თავისი სიცოცხლე შესწირეს, თავისი სისხლი დაჰღვარეს მშობელ მიწაზედა თავისი ერის თავისუფლებისათვის; ხოლო ერს კი მწარე ზვედრი ვერ შეუშსუბუქეს. სამაგიეროდ ჩვენ-მიერ მოთხოვნილს ამბავს ძლიერ დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. თავ-განწირულმა გალაშქრებამ ტოტიუს რაზმისამ დიდი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ბოლგარელებსა, ისე ოსმალებზედა; პირველად ამათ გაჰბედეს აჯანყების დროშის გაშლა ოსმალთ იმპერიის ბოლგარელ პროვინციებში, და ოფიციალურად პირველად იმათ უწოდეს კომპიტები. მართალია, ამ მოციქულებმა განთავისუფლებისამ სისხლი დაღვარეს, სიცოცხლე შესწირეს მხოლოდ თავისუფლების სახელს, გარნა იმ დროისთვის ესეც ბევრი იყო. ბოლგარელ ხალხს დიდი მაგალითი უჩვენეს, ასწავლეს გზა, რომელზედაც უნდა ევლო და



რომელზედაც, რამდენსამე ხანს უკან, მართლაც გაბრაზდა ხალხმა. შევიწროებულ ბოლგარელთ ბრძოლის საჭიროება შეიგნეს, გამოჩნდნენ გმირები და ამ გმირებს ხალხმა თანაგრძნობით დაუწყაო ყურება. ყველანი ერთი-მეორეს ეუბნებოდნენ — რა თქმა უნდა, გაგონილს ყველა უმატებდა თავის მხრით ცოტა რასმე, — ტოტიუს რაზმის იუნაკების გმირობაზე, ვაჟკაცობაზე; ამ ამბის გავლენით შევიწროებული მონები გონს მოდიოდნენ, მიძინებული გრძობა თავისუფლებისა ელვიძობდათ, სიმხნევე ემატებოდათ. რაიცა შეეხება ოსმალებს, დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ამ რევოლიუციურის ცდისა ზემიწვენიტ შეიგნეს. ამის საბუთად ისიც გვეყოფა, რომ, ხმა გავარდა თუ არა — კომიტეტები გაჩნდნენ, ოსმალებმა ერთი ქოთქოთი შექმნეს, არიქა, ეიღუბებითა, და ისე ამხედრდნენ, რომ ჩეტები ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდნენ.

ოსმალნი ძალიან დააშინა მაშინ მცირე-რიცხოვანმა რაზმმა შეამბოხეთა. ეს რაზმი, კაცმა რომ სთქვას, არც მაგრე საშიში იყო, სრულებითაც არა; ოსმალები მიხვდნენ, — რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლგარელმა რაიამ გაჰბედა აჯანყების დროშის ამართვა, მარტო პირველს ცდას არ დასჯერდებო: პირველს აჯანყებას სხვებიც მოჰყეება, უფრო სერიოზი და მარჯვეო...

ტოტიუმ უფრო ძალუმი და საგრძნობი შიშის-ზარი დასცა ოსმალთ, ვიდრე ისა და მისი ამხანაგები ჰფიქრობდნენ: მათმა ბრძოლამ ოსმალებთან, პუსტიის ახლო, ოსმალთ მთაფრობას თვალები აუხილა და უჩვენა, — ქვეშ ნიდაგი გეცლებო... დუნაის სანაპირო პროვინციის ოსმალები კი ჰფიქრობდნენ, რომ ტოტიუ, — რომელზედაც მაშინათვე ქვეყნის ღეგენდები შექმნეს, — ხელ-ახლა მოვა და უფრო მეტს ჯარს მოიყვანს ჩვენს გასაწყობადო... იმასაც ამბობდნენ, ტოტიუ ბალკანზე არა ერთხელ ვნახვეითო: ხან ამბობდნენ, ქეიფობდაო, თავისი გუნდიც მანდა ჰყავდაო, გაშლილ ტოტებიან მუხის ქვეშ, ღვინოს ქვაბებითა სვამდაო; ზოგნი ამბობდნენ, ბალკანზე ვნახვეით მღვეურის ნაბიჯებით დახტოდა და ხეებს ცალის



ხელით ამტვრევდნო, და სხვ. და სხვ. ამისაც ამტკიცებდნენ, ფრთები ასხია, არწივსავითო... ეტყობოდა ბოლგარელ სარდლის და მისთა ამხანაგთა თავგანწირულმა ქცევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალთ გონებაზედა...

III

ჭაჭაი-დიმიტრი და სტეფანე ყარაჯა

1.

ფილიპე ტოტიუმ, როგორც თავისუფლების ბრძოლის დამწყებმა, დიდად განითქვა სახელი თანამედროვეთა შორას. მაგრამ მის სახელსა და დიდებას სრულიადაა ჩრდილავენ სხივნი ასპარეზზე მის შემდეგ გამოსულ სარდალთა სახელისა. ესენი იყვნენ ჭაჭაი-დიმიტრი და სტეფანე ყარაჯა. ამ წერილში ჩვენ განზრახვა გვაქვს ამ ორზე ვილაპარაკოთ.

თანამედროვე ბოლგარელებმა, ვეეკვ, ცოტათიც არის, დაწერილებით იცოდნენ ცხოვრება და მოქმედება ამ მართლად ეპიკურ გმირთა; მაგრამ მათის სახელის მაინც უცოდინარობა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ ბოლგარეთში. მართლაც, არ არის ისეთი მივარდნილი კუთხე, მივარდნილი სოფელი, სადაც ამ სახელებს სასოებით არ იხსენიებდნენ უბრალო სოფლელები, როგორც მოხუცნი, ისე ახალგაზდანი...

ჭაჭაი-დიმიტრი დაიბადა 1837 წელს ქალაქ სლიენოში. ამ ქალაქს, მცხოვრებთა დაუდგრომელ და ანჩხლი ხასიათების გამო, ცუდის თვალთ უყურებდნენ ოსმალები. იმდენი სახელგანთქმული გაიდუკები, სარდლები და, საზოგადოდ მებრძოლნი ოსმალთ წინააღმდეგ, ბოლგარიის არცერთ ქალაქიდან არ გამოსულან, რამდენიც სლიენოდან გამოვიდნენ.

ძველ დროის გაიდუკების სარდლებში უკანასკნელი აღვილი, სხვათა შორის, არც ჩვენის გმირის პაპას, ჟელეზკო პალაბუიუკს, ეჭირა. დაუმშვიდებელი ზნე და გმირული ხასიათი პაპისაგან შვილი-შვილს დაჰყვა. დიმიტრი თავისუფლობაში



იზრდებოდა; ბავშვობაში საშინელი ანცი და დაუდგარი იყო. მეზობლების ბალები, ვენახები, ყანები მისა და მის ამა-ნაგებისაგან აკლებული იყო ხოლმე. მამა მისთან მომჩივანი ოსმალები ერთი-მეორეზე მოდიოდნენ... რა თქმა უნდა, პატარა დიმიტრის ხშირად სტუქსავდნენ თვისის მოუსვენრობისათვის, მაგრამ მაინც არა ცხრებოდა... ადგილობრივმა ჩორბაჯიებმა გადასწყვიტეს—ნამდვილი ავაზაკი დადგებოდა, სახრჩობელა არ აცდებოდა. დიმიტრის მამასაც, რომელსაც მეწვრილმანის ღუქანი ჰქონდა, ამასვე ეუბნებოდნენ. მშვიდი და ოსმალთ ერთგული ქვეშევრდომი მამა ძალიანა სწყუხდა: რა მეშველება, თუ მართლა ასეთი გამოვიდა ჩემი შვილიო, და, რაც შეეძლო, ცდას არ აკლებდა—ძალზე სცემდა, ეგებ მოქვიანდესო. ერთხელ ლაზათიანად დამკაეების შემდეგ,—უქმედლე იყო,—ხუთის წლის დიმიტრი ყავახანას მიეპარა, სადაც ჩორბაჯიები მეგობარ ოსმალებთან ერთად ქეიფს ეწეოდნენ და ყალიონს სწევდნენ, ქუჩიდან კარი შეაღო, შიგ თავისი პაწია თავი შეჰყო და პატივცემულს საზოგადოებას დაუყვირა: „მამაჩემს აგინებთ—შვილი ავაზაკი გამოგივაო!.. მაშ იცოდეთ, როცა დიდი გაეხდები, ყველას დაგხოცავთ, ერთსაც არ გაგიშვებთ ცოცხალსა!..“

როგორც მკითხველიც დაინახავს, დიმიტრის ჯერ ისევ პატარაობაში ეტყობოდა, რომ გმირი უნდა დამდგარიყო. დადგა კიდევაც. ცხრა წლისა რომ შეიქმნა, ბერძნების სამოქალაქო სკოლაში მიაბარეს (ბოლგარელებს მაშინ სლიენოში სკოლა არა ჰქონდათ). სკოლაში ბავშვი ცოტა დაჰკვიანდა, ბეჯითად შეუდგა სწავლასა და თითქმის პირველი შაგირდი დადგა; მაგრამ ორის წლის უკან სწავლაზე გული აიცრუვა, შიგ საინტერესოსა და სახალისოს ვერასა ჰპოვებდა, და ათასგვარის სიანციით და მასწავლებლების დაცინვით სახელი გაითქვა... საქმე იქამდე მივიდა, რომ მამა იძულებულ იქმნა, შვილი სკოლიდან გამოეყვანა და ღუქანში დაეყენებინა თვისს თანაშემწედ.

დიმიტრის თვალ-ყური ქუჩაზე ეკირა და ერთთავად თავისს ტოლებთან გიჟობდა, მამის ღუქანი არც კი ახსოვდა. ოსმალთ



ბიჭ-ბუჭებთან მოკრივეობაში ბადალი არა ჰყავდა... თანდათან უფრო-და-უფრო გაითქვა სახელი. მოკლე ხანში მთელი ქალაქი იყო და ჰაჯი-დიმიტრიზე ლაპარაკი. ოსმალთ ახალგაზდობას საშინელი მეტოქე გამოუჩნდა. ოსმალთ ძალიანა სწყინდათ: რაია და მეტოქე!.. სად გაგონილაო!..

გარნა საქმე მართო ყოჩაყობით და ბიჭობით არ გათავებულა. ოცის წლისა არც-კი გამხდარა ჰაჯი-დიმიტრი, როცა თამამად გაილაშქრა უხსოვრის დროიდან დაწესებულ ჩვეულებისა და ადათის წინააღმდეგ, რომელნიც თავისუფალ ოსმალთ და დამონავებულ რაიას ერთმანეთისაგან აშკარად არჩევდნენ. ჩვენმა ყმაწვილმა კაცმა მოკლე ჯუბა შეიკერა, ყურთმაჯებიანი, შარვლის ბოლოზე რამდენიმე დუგმები შეუკვრელი დასტოვა \*), წელზე განიერი სარტყელი გაიკეთა, ბოლოებ გაშვებული. მაშინდელს ბოლგარელს ამ სახით სიარული არამც-და-არამც არ შეეძლო, დიმიტრი კი ქუჩაში თამამად დადიოდა და ოსმალებს თვალში ეკლად ესმოდა თავისის უშიშროებით... მაშინდელს დროში შარვალი, ბოლოებ შეკრული, მხოლოდ ოსმალოს, თაგასუფაღს კაცს, შეეძლო ჩაეცვა; ბოლგარელს კი, როგორც მონას, ასეთი თავისუფლება სასტიკად აღკრძალული ჰქონდა... აბა, რა თქმა უნდა, ოსმალებმა გაბრაზებით დაუწყეს ყურება შეუპოვარ რაიას: როგორა ჰბედავს უხსოვრის დროიდან დადგენილ ჩვეულების უარყოფას და ჩვენ, თავისუფალ ხალხს, თავს როგორ გვიყადრებსო!?... მალე დარწმუნდნენ, რომ ჰაჯი-დიმიტრი მხოლოდ იწყებდა საქმეს და მის მოსარჯულებლად სერიოზი საშუალებანი უნდა გამოეგონათ...

ლამე ოსმალთ დიმიტრისა და მის ამხანაგებისაგან მოსვენება არა ჰქონდათ. ერთხელ სლიფნოში, არავისა სმენია, ისეთი ამბავიც მოხდა: ქალაქში სახელგანთქმულს და თითქმის პირველ კაცს, ჩარბაჯია გეორგიევის, ყავახანაში ოსმალთ მალაღ-

**წოდების პირებსა და მოხელეებთან ერთად ყავის სმაში გარ-**

\*) ოსმალური შარვალი, როგორც ვიცით, თავში ძალზე განიერია ზოლზე და ბოლოზე კიდევ ვიწრო. ბოლო დუგმებით იკვრის და მუხლქვეით ფეხზედ ვიწროდ ადგია.



თულს, „ავაზაკმა“ ჰაჯი-დიმიტრიმ და მისმა ღირსეულმა მამამა-  
ნაგებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს. დიმიტრი თვისის  
დანაშაულობისათვის მაშინათვე ციხეში ჩაადგეს. მამა ყველას  
შეეხებოდა, ზოგიც — სხვა გავლენიანის პირების, მამის მწყალობ-  
ლების, დახმარებით, „ავაზაკმა“ ციხიდან თავი გაითავისუფლა;  
მაგრამ ამის შემდეგ ქალაქში დარჩენა მაინც არ შეეძლო: ოს-  
მალებმა ლაპარაკი დაიწყეს, არც აქეთ, არც იქით, უნდა მოვ-  
კლათო....

მეტი გზა არ არის, ჩემს მტრებს ჩემი სახელი უნდა და-  
ვაფიწყოვო, — სთქვა დიმიტრიმ და სლივროდან ნოვაზაბორაში  
წავიდა. აქ მაშინდელს დროში განთქმულს მეპარომეს და ავა-  
ზაკების დამფარავს ოსმან-ბეის, მოსამსახურედ დაუდგა... ოსმა-  
ლოთადმი სიბრაზითა და სიძულვილით აღსავსემ, აქ შემდეგი  
მოიქმნა: მეგობრის დახმარებით, ორი ოსმალო მოჰკლა, თვი-  
სის ბატონის ამხანაგი — ავაზაკები, და ოსმან-ბეის ეზოში და-  
მალა, სადაც მთავრობამ კიდევ აღმოაჩინა მოკლულები. ოს-  
მალოთ მკვლელობა ოსმან-ბეის დაბრალდა, დაამწყვდიეს ციხე-  
ში და აქ სულიც ამოხდა კიდევცა.

ამის შემდეგ დიმიტრი ხელახლა დაბრუნდა სლივროში,  
რადგან შიგ ქალაქში გაჩერება ვერ გაჰბედა, მეველედ დადგა  
და ქალაქ გარედ დაიწყო ცხოვრება მაგრამ ჩუმად და მშვი-  
დობით ეროვნება ამ მთის არწივს\*) ვერასვებით შეეძლო.

იმ ხანებში სლივროში ახალგაზდა ბოლგარელებმა ერთი  
წრე დაარსეს, რომელსაც საგნადა ჰქონდა შური ეძია ოსმალოთ  
მოსამართლეთა, აღებისა, ბეიებისა და, საზოგადოდ, მოხელეე-  
ბისა მათ-შიერ ჩადენილ უსამართლობისა, შევიწროებისა და  
შეურაცხყოფისათვის. ჰაჯი-დიმიტრი ამ წრეს, რა თქმა უნდა,  
მაშინადვე შეუერთდა... ამ შურის მძიებელთა წრემ, სხვათა  
შორის, პირველად გადასწყვიტა ბერძენი კოსტაკი მოეკლა,  
რომელსაც სლივრენელ ბოლგარელებში ცუდი სახელი ჰქონდა  
დავარდნილი. ოსმალოთ მტარვალობის წარმომადგენელ მოხე-

\*) ქალაქი სლივრო ძველ ბალკანას ძირას არის აშენებული, სამხრეთით.

ლეთა მარჯვენა ხელი ეს კოსტაკი იყო, იგივე იყო და თავვასული გარყვნილი კაცი: ბოლგარელი ქალები ძალი-ძალიათი მოჰყაედათ ხოლმე მასთან, სადაც ეს საცოდავები ამა-შფოთებელის ძალდატანების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ოსმალთ მთაერობა თვისის საყვარელ კაცის ამ საზიზღარ საქციელს ისე უყურებდა, როგორც ბუნებრივს რასმე, მაზე ლაპარაკიც არა ღირსო.

აი, ამ არა-კაცის მოკვლა განიზრახა ზემოხსენებულმა წრემ. თვითონ მოკვლა ჰაჯი-დიმიტრიმ იკისრა. ქალურად ჩაიცივა, თავზე ჩადრი მოიხვია და ერთ ლამეს კოსტაკის სახლის კარები დააკაკუნა. რა თქმა უნდა, შინ მაშინათვე შეუშვეს. როცა კოსტაკიმ უცნობ „მშვენიერ ქალის“ გადახვევნა მოინდომა, დიმიტრიმ დანით სასიკვდილოდ რამდენსამე ალაგას დასჭრა და გაიქცა...

კოსტაკის სიკვდილმა მთელი ქალაქი ააშფოთა და პოლიცია ფეხზედ დააყენა. ბოლგარელების უბანში ორმოც-და-ათი მეტი კაცი დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს. დაჭერილებში ჰაჯი-დიმიტრიც მოჰყვა. მაგრა მის მამის მფარველმა და მწყალობელმა, მოსამართლე ალი-ფეფენდიმ, იშუამდგომლა და მთაერობას განუცხადა, მკვლელობის ლამეს ექვემტანილი დიმიტრი ჩემთან მუშაობდაო, და გაათავისუფლეს...

კოსტაკის სიკვდილის შემდეგ დიდს ხანს არ გაუვლია, იგივე გუნდი, ჰაჯი-დიმიტრის მეთაურობით, შეიარაღებული, ადგილობრივს მოსამართლეს დაესხა თავსა; ამ თავს-დასხმას შედეგად დიდი უბედურება მოჰყვა სლიენელ ბოლგარელთათვის: ორას კაცზე მეტი დაიჭირეს ზაფთიებმა, საშინლადა ჰგვემეს და მერე ციხეში ჩააგდეს; ასევე დღე დადგათ ჰაჯი-დიმიტრის ძმებსა და მამას, თვითონ კი, თუმცა გაფაციცებით ეძებდნენ, გაქცევა მოასწრო...

ამის შემდეგ კი სამშობლოში დარჩენა, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელი იყო ჰაჯი-დიმიტრისათვის, და აი, ისიც შორდება, ამ ხელად კი—სამუდამოდ. როგორც უკვე ვიცით, ამ ჯურის ხალხის დასამალ ადგილად ბოლკანი ითვლებოდა.



ჩვენმა იუნაკმაც 1860 წლის გაზაფხულზე ბალკანს მიაშურა. ამ წლის გაზაფხული და ზაფხული დიმიტრიმ ერთს გაიდუკების ბრბოსთან ერთად გაატარა, რომელიც ძველს პლანინაში დათარეშობდა, ხოლო ზამთარს რუმინიაში გადავიდა. აქედან, თავის შესანიშნავ გალაშქრებამდე 1868 წელში, რამდენჯერმე გამოდიოდა ღუნაიაზე და, სხვა-და-სხვა სარდლების ხელმძღვანელობით, „მშვენიერს ბალკანაზე“ გაითარეშებდა ხოლმე...

## 2.

მეორე ჩვენის გმირის, სტეფანე ყარაჯას, ცხოვრება ჰაჯი-დიმიტრის ცხოვრებას ძალიანა ჰგავს. როგორც ჰაჯი-დიმიტრი, სტეფანეც ბალკანებში \*) დაიბადა ანდრიანოპოლის ვილაიეტის ერთს პატარა სოფელში, 1842 წელს. ოთხის წლისა რომ შეიქმნა, მისი მშობლები, უბრალო მხველ-მთესველნი, დობრუჯაში გადასახლდნენ. აქ სტეფანეს დედა მალე გადაეცვალა, მისი და მისის ხუთის ძმების პატრონი და მომვლელი უფროსი და ტირნა შეიქმნა. ტირნამ ცხრა წლის სტეფანე სასწავლებელში მიაბარა. სკოლაში სტეფანე უხეიროდა სწავლობდა, ერთავად ანცობდა და თავი ცუდად ეჭირა. როცა თხუთმეტი წელი შეუსრულდა, მისმა სიძემ, ტირნას ქმარმა ტულჩაში თავისს ღუქანში დააყენა შაგირდად. ამ ქალაქში უქმე დღეებში ჭიდაობა იმართებოდა ხოლმე. ჭიდაობაში სტეფანეც ერეოდა და მალე საუკეთესო ფალავნის სახელი გაითქვა.

აღდგომა იყო, ჩვეულებრივ ჭიდაობა გაემართნათ. სტეფანემ ერთი მთელს დობრუჯაში სახელ-განთქმული ფალავანი გალახა. ოსმალთ და განსაკუთრებით თვითონ ფალავანს გული მოუვიდათ: „საზიზღარმა რაიამ“ ასეთი სირცხვილი როგორ გვაქამაო?!.. გადასწყვიტეს, სამაგიერო გადაეხადნათ სახელოვან ფალავნის გამლახავისათვის. სტეფანეს წინადაც ჩაედინა

\*) მეტი არ იქნება, აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბოლგარეთის განთავისუფლებისათვის გამოჩენილი და შესანიშნავი მებრძოლთაგანი უმეტესად ბალკანიდან არიან გამოსულები.

ცოტა რამ, ოსმალთ გასაბრაზებელი. ერთი დღეც იქნება, სულ ერთად ამომამზამებენო,—ჰფიქრობდა. ახლა ფალანის გალახვაც ზედ დაურთო. ტულჩაში არ მედგომებო,—სთქვა სტეფანემ და რუმინიაში წავიდა, ამ მაშინდელს დროში დევნილ ბოლგარელების ალთქმის ქვეყანაში; კიდევ კარგი, ეს ქვეყანა ასე ახლო იყო.

მთელი ხუთი წელიწადი, რაც წავიდა, მშობლებმა მისის სად-მყოფობისა არა იცოდნენ-რა. მთელი ეს დრო-ხანი სერბიაში იყო, ხან რუმინიაში, სადაც გადახვეწილ რაკოვსკის ალგზნებული სიტყვები გაისმოდა თავისუფლებაზე. სტეფანემ ერთგულად მოჰკიდა ხელი საერო საქმეს; რაკოვსკის-მიერ დაარსებულ რაზმში პირველად ის ჩაეწერა, მრავალ ემიგრანტებ შორის 1862 წელს, როცა ბელგრადს იცვავდნენ ციხეში ჩამსხდარ ოსმალოს ჯარისაგან ბრძოლაში ისიც იღებდა მონაწილეობას. მასთანვე ერთს რაზმში იბრძოდნენ ჰაჯი-დიმიტრი და შემდეგში სახელ-გათქმული ლევსკი, რომელზედაც დაწვრილებით გვექმნება ლაპარაკი შემდეგს წერილებში.

მშობლებს სტეფანე დაკარგულად მიაჩნდათ. მათდა მოულოდნელად კი 1863 წელს ტულჩაში მოვიდა და მთელი წელიწადი იცხოვრა ამ ქალაქში. აქ ცხოვრების ბოლო ხანებში, ერთს უქმე დღეს ჩაჯდა ურემში შეიარაღებული, თეთრი დროშა გაშალა, ბოლგარულ სახალხო სიმღერებით, ტულჩის ქუჩებზე სიარული დაიწყო. ამ სამამულის-მოყვარეობო ამბისათვის ციხეში ჩასვეს. მაგრამ ციხეში დიდს ხანს არ დარჩენილა და რაღაც მანქანებით თავი გაითავისუფლა...

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ყარაჯამ განიზრახა ტულჩა ერთის თათრისაგან გაენთავისუფლებინა. ქალაქში მცხოვრები ბოლგარელები აწიოკებულები იყვნენ ამ თათრისაგან. ერთს საღამოს ხალხის ამ სისხლის-მსმელის სახლს მიეპარა და თოფით სიკოცხლე მოუსპო. მკვლელი ვერ იპოვეს. იმავე ხანებში სტეფანემ ამხანაგები იშოვა და გადასწყვიტა ტულჩის ბერძენ ეპისკოპოსისათვისაც სიკოცხლე მოესპო. მაგრამ გულის-ნადები ვერ აღისრულა, რადგან მისმა მეუფებამ იცოდა სამწყსოის მი-

სდამი სიძულვილი, და დროითვე გაფრთხილდა. რაკი ვინსკო-პოსს ვერა დააკლეს—რა, ახლა ჯერი ტულჩაშივე მცხოვრებ ერთ მდიდარ მოლდოვანელზე მიდგა, რომელიც უღმერთოდა ჰყვლეთადა ბოლგარელებსა. სტეფანესა და მისს რამდენსამე ამხანაგებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გაეძარცვათ და მოეკლათ ეს სისხლის-მსმელი; მაგრამ გულის-ნადები ვერც აქ აისრულეს,—როცა თავს დაესხნენ, მოლდოვანელმა სტეფანე იცნო და ოსმალოს მთავრობასთან დააბეზლა, სტეფანემ ზაფთიებს თავი დააღწია; სამაგიეროდ ჯავრი მის სიძეზედ იყარეს: დაიჭირეს და საშინლად დასჭრეს. ამ ჭრილობისაგან მისი სიძე მოკვდა კიდევ. არც მისი და, ტირნა, მოასვენეს და ძმის ცოდვებზე პასუხი მას აგებინეს.

სტეფანე ტულჩას გარედ გავიდა და ქვის სამტრევე ადგილებში იმალებოდა. იქიდან მთავრობას მოსთხოვა, ჩემს დას ნუ აწუხებთ, და თუ გინდათ, ისევ მე მომთხოვეთ პასუხიო. მთავრობა ძალიან მოწადინებული იყო ხელში ჩაეგდო, მაგრამ ცდამ ყოველთვის ამაოდ ჩაუარა... სტეფანე ჟამ-და-ჟამ ბინიდან გამოძვრებოდა ხოლმე და ოსმალთ აწიოკებდა. სხვათა შორის, დადიოდა მახლობელ სოფლებში და ძალით თუ ნებით ართმევდა ყველას ფულებს. ამ ფულებით მერე რუმინიაში თოფ-იარაღსა ჰყიდულობდა და უფრო საიმედო ყმაწვილკაცებს ურიგებდა ადგილობრივ... ამაგ ხანებში ჰყავდა დასი, შვიდი-რვა კაცისაგან შემდგარი და ბალკანში დათარეშობდა.

1864 წელს სტეფანემ ტულჩა სამუდამოდ დასტოვა და რუმინიაში გადაესახლა. აქედან ორჯერ თუ სამჯერ პატარა რაზმებით ბოლგარიაში გადმოვიდა; ერთის გამოლაშქრების ღროს, რაკოვსკის ბრძანების თანახმად, აზრად ჰქონდა ტირნოვოში ბერძენი ეპისკოპოსი მოეკლა. შემდეგ ცოტა ხანს ჟურჟევოში სცხოვრობდა და პატარა დუქანიცა ჰქონდა. რუმინიაში 1868 წლამდე რას აკეთებდა,—ამაზე მეტი ჩვენ არ ვიცით....

ვანაჯა (ოსმალურად—შველი) ამხანაგებმა დაარქვეს, რადგან საოცარი მარდი იყო. ოსმალები ოფიციალურს მიწერ-

მოწერაში, — ალბად პატარა ტანისა რომ იყო იმიტომ, ქუჩა-სტეფანეს (პატარა სტეფანეს) ეძახდნენ.

3

ჰაჯი-დიმიტრიმ და სტეფანე ყარაჯამ უფრო სერიოზად დაიწყეს საქმე, ვიდრე ტოტიუმ. ბევრი სისხლიც დაღვარეს. ამ სისხლის ღვრის ამბავსაც მკითხველს შემდეგს თავებში მოვუთხრობთ.

ფილიბე ტოტიუ ბოლგარიაში რომ მოდიოდა, მისი ქცევა უფრო გაიდუკის ქცევას აგონებდა კაცსა, ვიდრე შეგნებულის პატრიოტიზმს. აზრად აჰქონდა, ოსმალები დაეშინებინა, — სხვა რამ სერიოზული არაფერი. ზევით დასახელებული სარდლები კი სულ სხვა რიგად მოიქცნენ. დაწყებულ საქმეს უფრო ფრთხილად და შეგნებულად უცქეროდნენ, ვიდრე სამოქმედოდ მათზე წინად გამოსულნი სარდალნი, და საქმეც სერიოზად და ფართოდ წაიყვანეს. მათ აზრად აჰქონდათ თავისი უკმაყოფილება ოსმალთ ბატონობის წინააღმდეგ მთელ განათლებულ ქვეყნისათვის გაეგონებინათ, ხალხიც თავისკენ მოემხროთ და ოსმალთ წინააღმდეგ აეჯანყებინათ. აქ ისიც უნდა შევნიშნათ, რომ ეს სარდლები თავს არ იზოგავდნენ; მათი მომხრე ბოლგარელი ახალგაზღვრებაცა იმედოვნობდა — ხალხი თავს გამოიდებს და დაგვეხმარებაო. ეს ყარაჯის სიტყვებიდანაცა სჩანს. ყარაჯასა ჰკითხეს: სარდლებმა ხომ მოიმხრეთ ბოლგარელი ხალხი ოსმალებით და ხომ იმედი გაქვს, რომ ეს ხალხი შევლას გაგიწევნო?

— ჩვენ იმიტომ მივდივართ, რომ ჩვენის სამშობლოსთვის უფლებებისათვის თავები დავსდვათ... მორჩა და გათავდა... ვისაც უნდა, მოგვყვეს... ვისაც არ უნდა... ღმერთმა მშვიდობა მისცეს... ძალას არავის დავატანთ.

სიტყვასა და საქმეს შორის დიდი საზღვარია ხოლმე. ეს ძველი ჭეშმარიტება ჩვენმა ჯარის შემადგენელ სარდლებმაც გამოსცადეს. პირველად დანიშნული ვადა ომის დასაწყებად, დიდი ხანი იყო, გავიდა, და მზად კი არა აჰქონდათ-რა. ხალ-

ხის მოგროვება, მათი საომრად მომზადება, იარაღისა და ფულის შოვნა საადგილო საქმე არ იყო... ამ მზადების დროს აქეთ-იქით წანწალმა, დარღმა და მარცხმა სტეფანე ძალიან მოსწყვიტა წელში; წელში მოიხარა, ჩამოდნა, დასუსტდა, ხველება დაიწყო, გული ასტკივდა, —მარტო აჩრდილი-და დარჩა წინანდელ ლომ ყარაჯისა... ძალიან ძვირად დაუჯდა ეს მზადება!.. ყველაზე მეტად საქმეს უფულობა უჭირებდა... — „ყველამ იცის, —ამბობს ზ. სტოიანოვი, —ვინც მამულისათვის თავის დასადებად ემზადება, იმას ფული გაურბისო“... სალაშქროდ თავმოყრილი ახალგაზდა კაცები მოუთმენლად მოელოდნენ ომის დაწყებას და ყარაჯას მოსვენებას არ აძლევდნენ — როდის დავიწყებთო?... ყარაჯა ამ სულწასულებს თითქმის თვალცრემლმორეული ემუდარებოდა: —ძმებო!.. თქვენ მაინც თავი დამანებეთ!.. ამდენ დავიდარაბაში გული გადამელია... ჟურჟევიდან ბუქარესტში, ბუქარესტიდან სხვა ადგილში ხეტიალს ვუნდები, ხან ერთს მდიდარსა ვსთხოვ და ხან მეორესა —ერთი რევოლვერი მაინც მიყიდეთ-მეთქი...; დამპირდებიან, —გიყიდითო. გაიხედავ, კაცი გროშსაც არ იმეტებს!... ამავე დროს ყველას ეს-ლა აკერია ენაზედ: „პატრიოტი ვარ“, „ხალხი მიყვარსო“... თუ ერთს თვეს კიდევ გასტანა ფულის მოგროვებამა, მგონი, ჭლექმა თან გადამიტანოს... ცარიელი დაპირება-ლა გესმის, გატყუებენ — „ღმერთო შენითაო“!.. —საქმეზე კი არაფერი გამოდის!..

რაკი დარწმუნდნენ, მარტო თხოვნითა და მუდარით ვერას გავხდებითო, საქმის მოთავეებმა გადასწყვიტეს სხვა რამ საშუალება ეხმარნათ. ნიშანში ერთი მდიდარი ვაჭრის ცოლი ამოიღეს, რომელსაც ოცი პარკი ოქრო ჰქონდა. ერთი პარკი მოჰპარეს, შიგ ათასი ოსმალური ლირა იყო (10,000 მანეთზე მეტი). ამ ფულით რაზმს თოფ-იარაღი უყიდეს... ამ რაზმში ჩაეწერნენ უფრო გულადი და თავგამოდებული ემიგრანტები, რუშჩუკში მცხოვრებნი და, სხვათა შერის, 45 კაცი ბოლგარელ ლეგიონისა, რომელიც იმ წინახანებში სამხედრო საქმეს სწავლობდა ბელგრადში და სერბიის მთავრობისაგან დევნილი



და შევიწროებული, რუმინიაში იმალებოდა. ჰაჯი დიმიტრისა და სტეფანე ყარაჯის მეთაურობით შედგენილი მამაცი ჯარი სულ ახალგაზდა კაცებისაგან იყო შემდგარი,—ზოგი ოცის წლისა არც-კი იყო. 30 წელს გადაქარბებული მხოლოდ 12 კაცი ერია, ხოლო 40 წლისაზე მეტი ერთი-ღა იყო. თვითონ სარდლებიც ძალიან ახალგაზდები იყვნენ: ჰაჯი დიმიტრის, ის-ის იყო, 30 წელი შეუსრულდა, ხოლო სტეფანე ყარაჯას—26 წელიწადი...

რის ვაი-ვაგლახით მოემზადნენ და ჯარს ბრძანება მიეცა —გზას შეუდგეთო. ყველანი ერთს აღვილას უნდა მოგროვილიყვნენ, დუნაის ნაპირას, ეურეევოს ახლო, სადაც მეომრებს კარგა მოზრდილი იალქნიანი გემი ელოდებოდა, ერთის ბერძნისაგან დაქირავებული, ვითომც ხე-ტყის წასაღებად...

მოსულებმა დიდის აღტაცებით მოისმინეს ყარაჯის სიტყვები, რომელმაც უამბო, რომ ჯარში 4,000—5,000 კაცზე ნაკლები არ გვეყოლებოა. ამდენმა ემიგრანტებმა რუმინიაში მართლაც პირობა მისცეს სარდლებს—ჯარში გავალთო, მაგრამ, როცა დრო დადგა, ხალხის სიყვარული საქმეზე დაემტკიცებინათ, ამდენის ხალხისაგან პირობა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეასრულა... დანიშნულ ადგილზე მხოლოდ 125 კაცი-ღა მოვიდა. დანარჩენები რუმინიის დუქნებში დარჩნენ—სამშობლოს აქედან ვიხსნითო... სხვათა შორის, დაჰპირდნენ—ჯარს შემოვუერთდებითო—მოხუცი სარდლებიცა: პანაიტი ხიტოვი და ფილიპე ტოტიუ, მაგრამ რალაებიც მოიმიზვნეს და არ მოვიდნენ. პირველი მათგანი ამბობდა, ომში წავალ, თუ ჩვენს ჯარში, სულ უკანასკნელი, 1000 კაცი იქნება, კარგად შეიარაღებული, თუ ზარბაზნები და ფულები გვექნებაო და სხვ.-და-სხვ... ტოტიუ მეტსაც თხოულობდა: „ფული და ზარბაზნები ხომ გვინდა და გვინდაო, ჯარიც 20,000 კაცისაგან უნდა შესდგებოდესო!.. თუ ასე არ იქმნა, ადგილიდან არც კი უნდა დაიძრას კაციო.“

— მიჰქარავენ! ბარემ ევა სთქვან—ომისა გვეშინიანო!—მწარედ გაიძახდა ყარაჯა, ძველი სარდლების ნათქვამები რომ ესმოდა.

4 მკათათვეს 1868 წ., მოუთმენლად ლოდინში მყოფ ჯართან ორივე სარდლებიც მოვიდნენ. ნაღვლიანად გადაფლო თვალი სტეფანე ყარაჯამ მცირე ჯარს. იმედი კი სულ სხვისა ჰქონდა:—ათასობით გვეყოლება მეომრებო.

— ძმებო! — სთქვა ყარაჯამ მიუბრუნდა რა თავისს მეომრებს, — ღმერთმა მაგიერი მიაგოს ჩვენს მდიდრებსა და ჩორბაჯიებს!.. იმათ გაგვიფუჭეს საქმე... ცოტანი ხართ, ძმებო! მაგრამ ჩვენმა სიცოტავემ არ უნდა შეგვაშინოს და ჩვენს დამონავებულს სამშობლოში შესვლაზე ხელი არ უნდა აგვადებინოს... ჩენი აზრი ის კი არ არის, ვითომ ცარეგრადის დაბყრობა გვეწადოს; არა, ჩვენს ძმებს, ბოლგარელებს, უნდა ეუჩვენოთ სამშობლოსათვის თავის დადება როგორც უნდა! მართალია, ისე ცოტანი ვართ, რომ ხსენებადაც არა ვლირვართ, მაგრამ ჩვენს მცირე ძვლებსაც შეუძლიან სამშობლოს რაშიმე გამოადგეს!..

— ბოლგარეთს გაუმარჯოს!.. სარდლებს გაუმარჯოს!.. სიკვდილი მტარვალთ! — გაისმა ყარაჯის კეთილშობილურ და გრძნობით საესე სიტყვაზე პასუხად.

ამის შემდეგ მწერალმა გულდასმით დასთვალა მეომრები, სახელი და გვარები ჩაიწერა; ათის-თავები და ორიც დროშიონები აირჩიეს; აფრიალეხულ დროშის ქვეშ სარდლების გადაჯვარედინებულ ხმლებზე იქ დამსწრეთ დიდის მოწიწებითა და კრძალვით ფიცი დასდეს „სამშობლოს ერთგულებაზედ“; მეომრებმა საომარი ტანისამოსი ჩაიცვეს, შეიარაღდნენ, ზურგზე ზურგსაკიდები და პარკები გადაიგდეს სურსათით და ზოგიერთ ომში საჭირო ნივთებ-ჩალაგებულები, და იმ ადგილისაკენ გაემართნენ, სადაც დაქირავებული გემი იდგა.

— ამ „ხე-ტყის“ გადასაზიდად დაიქირავეთ ჩემი გემი!?... — დაიღრიალა გემის პატრონმა ბერძენმა, როცა თოფ-იარაღში ჩამსხდარი ჯარი დაინახა. მაგრამ ამ დროს რევოლვერის ტუჩი დაუმიზნეს და იმანაც ხმა ჩაიწყვიტა და არჩია ბედს დამორჩილებოდა.

განთიადისას ჯარი პატარა კუნძულზე გაჩერდა; მთელი დღე აქ გაატარა, ბუჩქებში დამალულმა. შებინდდა თუ არა, მდინარე გასჭრა, და, სიბნელეში, ოსმალთ ნაპირზე გავიდნენ... შიშისაგან კანკალ-ავარდნილ ბერძენს რამდენიმე ოქრო მისცეს და მშვიდლომით გაისტუმრეს; მეომრებმა მაშინვე თოფით ხელში გზას დაუწყეს ძებნა... ჩვენც იმათს კვალს მივსდით, მკითხველო, მათის კეთილშობილურის სისხლით მორწყულს.

4.

— ვინ არის!— ბნელაში, მალალს ნაპირიდან, მუქარით დაუყვირა ოსმალოს სანაპიროს დარაჯმა, რა-კი რაზმი ნაპირად გავიდა.

— მოვალთ და მაშინ გაჩვენებთ, ვინცა ვართ!— ოსმალურად დაუძახა ყარაჯამ.

ამდროს ნაპირიდან თოფი დასცალეს. ყარაჯამ ნიშანში ამოიღო ბნელ სივრცის ის ადგილი, საიდანაც თოფის დაცლის დროს ინათა, და მტერს პასუხად ტყვია გაუგზავნა. ოსმალო-დარაჯი ღრიალით მიწაზე დაეცა. ამ ყვირილისა და თოფის ხმაზე დარაჯის ამხანაგები მოიქრნენ და ნაპირზე მდგარ იუნაკების რაზმს თოფის სროლა დაუწყეს. მაგრამ ბოლგარელები გაუმეგრდნენ და რამდენიმე კაციც დაუჭრეს. დარაჯებმა გაქცევა იკადრეს, თან ღრიალი ასტეხეს— გვიშველეთო! ახლო-მახლო ღამე ყანებში დარჩენილი მომკვლები და მთიბავეები გამოაღვიძეს, მთელის ღუნაის ნაპირის დარაჯებიც ფეხზე დააყენეს. ამასობაში რაზმი, ყარაჯის მეთაურობით, წინ მიდიოდა. მაგრამ გზა დაეკარგათ და მთელი ღამე ჭაობებში უგზო-უკვლოდ ეხეტნენ... მხოლოდ განთიადისას დაადგნენ რიგიანს გზასა; შორიდან ცის კიდეურზე ბალკანიც გამოჩნდა და ამათაც ამისაკენ გასწიეს.

თანამემამულეთ პირველმა შეხვედრამ ჩვენი რაზმი ვერ ანუგეშა. კვირა-დღე თენდებოდა. ამ დღეს ბოლგარები, ჩვეულებრივ, არა მუშაობენ. მაშინ კი გზაზე მძიმედ მიმავალ ქალებისა და ბავშვების გროვას, სამკალ იარაღებიანს, ორი ოს-

მალე მიელაღებოდა, თან რამოდენიმე, ურმებში შებმული, წყვილი ხარი მოუღიოდათ. გროვა სევდიან, გულრის მომკვლელ სიმღერას ამბობდა. ჩვენმა იუნაკებმა გამოიკითხეს და გაიგეს, რომ ესენი მახლობელ სოფლის აღას გამოერეკა თავის პურის სამკალად. ამგვარად, ჩვენი იუნაკები პირველშივე წააწყდნენ თავისის ხალხის მონობის ნიშნებს... ძარღვებში სისხლი აუღულდათ.

— ახლავ უკან დაბრუნდით!—უბრძანა გაოცებულ ხროვას მონებისას ყარაჯამ; თვითონაც თავისის რაზმით უკან დაედგენა სოფელში, რათა სამაგალითოდ დაესაჯა აღა,—ბოლგარელების ამგვარად წვალეზაზე ხელი აიღეო! მოულოდნელ სტუმრების მოსვლაზე, აღას გამოეღვიძა, სცადა წინააღმდეგობა გაეწია მაგრამ, რა დაინახა, რევოლვერები დამიმზინესო, თითო მოიკაკა და ყარაჯსა და მისს ამხანაგებს დაეღრიჯა—შემიბრალეთო!.. ამასობაში რაზმი მწყობრად დადგა სოფლის შუა ადგილას, მოედანზე, გარს სოფლელი ბოლგარელები შემოეხვიენენ და ლოცვა-კურთხევიზ ხსენება დაუწყეს სისხლის-მსმელის—აღის, ხელიდან განთავისუფლებისათვის... რაკი გაიგეს სოფელში მღვდელიც არისო, ყარაჯამ ბრძანება გასცა მოეყვანათ, რომ დროშა ეკურთხებინა. მაგრამ შეშინებული მღვდელი დაიმალა და ველარ იპოვეს.

— არა უშავს!... მღვდლის დაულოცავადაც შეგვიძლია მტრებს ვეომოთ!—სთქვა ყარაჯამ და რაზმს უბრძანა გზას გასდგომოდა. რაზმმა აღას იარაღი, რამდენიმე ურემი და საუკეთესო ცხენები წაართვა და სოფლიდან გავიდა; წინდაწინ ფიცი ჩამოართვა, დღეის უკან სოფლელები არ შეაწუხოვო.

მკათათვის პაპანაქება სიცხეში აჯანყებულთა რაზმი აღნიშნულ გზაზე უხიფათოდ მიდიოდა მთელი ორი საათი. შუადღისას სოფელი ყარაესენის ვენახებს დაუახლოვდნენ. ამ დროს რამდენიმე მხრიდან შეიარაღებული ოსმალები გამოჩნდნენ,—გარშემო სოფლებიდან საჩქაროზე მოგროვილიყენენ, რომ უცნობ ხალხს დასდევნებოდნენ. მაშინადვე წინაწლის რაზმი მო-

იგონეს ტოტიუსისა და სთქვეს, ესენიც მათი მსგავსი საშინელი „კომიტები“ იქმნებიანო.

მტრის მოახლოების გამო, ყარაჯას რაზმი იძულებული შეიქმნა ურმები და ცხენები გზაზე დაეყარა, დათვითონ კი ვენახში დამალულიყვნენ...

ამასობაში ქალაქ სისტოვის მხრიდან ცხენოსან ზაფთიების რაზმი მოიქრა. საათიც არ გასულა, რომ სიცხისა და წყურვილისაგან ილაჯ-გაწყვეტილ იუნაკებს ოთხისავე მხრიდან მტერი შემოერტყა.... მეტად ცუდს დღეში ჩავარდნენ... ნელ-ნელა ომი გახურდა... ვენახში ტყვია სეტყვასავით მოდიოდა; იუნაკებს მინცა და მინც ბევრი არა უშავდებოდათ-რა. ესენი ტყვია-წამალს ძალიან იზოგავდნენ და ყოველთვის ჯერ ნიშანში ამოიღებდნენ, მერე ისე ისროდნენ, თანაც მწყობრად, ისე რომ მტრებს დიდს ზარალს აძლევდნენ და ვენახთან ახლო არ უშვებდნენ.

ომი მთელი ხუთი საათი გაგრძელდა, შეუწყვეტილ, ოსმალთ სულ ახალი და ახალი ჯარი ემატებოდა... ყარაჯას რომ იმდენი მხნეობა და თავგამოდებული მამაცობა არ გამოეჩინა, — ამბობდა მერე ერთი ამ ბრძოლაში მყოფთაგანი, — ჩვენ უმკვლელოა, ამ პირველ ბრძოლასაც ევლარ გავუძლებდითო...

ლამდებოდა; დედა-მიწას სიბნელე ეფარებოდა... ოსმალთა სთქვეს, რაკი დაბნელდა, იუნაკები ვენახიდან გამოვლენ და ბალკანისაკენ წავლენო. ამიტომ ამ მხრით გამაგრდნენ და ლოდინი დაუწყეს. ამ გარემოებით რაზმმაც ისარგებლა: უკან, დუნაისაკენ დაბრუნდა, მტერს გვერდით აუარა და საჩქაროზე მთებისაკენ მიმავალს გზას დაადგა. ბრძოლის დროს ვენახს ამოფარებულ იუნაკებს იმ დღეს დიდი ზარალი არ მოსვლიათ: მხოლოდ სამი კაცი მოუკლეს და ხუთიც ვენახიდან გამოსვლის დროს, როგორღაც შიგ ჩარჩა და მეორე დღეს ოსმალთ გაელიტეს.

უხიფათოდ და შეუსვენებლივ მიდიოდა რაზმი მთელი ღამე. განთიადისას, დამშეულმა, დაქანცულმა და ილაჯ-გაწყვეტილმა იუნაკებმა ერთ ახალ აყრილის ტყით დაფარულ სერს



მიატანეს და ამ ტყეში ისე შეჭყვევს თავი, რომ არავის უნახავთ. არ იცოდნენ, დღისით რა გადახდებოდათ, იმიტომ სარდლებმა რაზმი შეასვენეს... ჩეტელები ისე იყვნენ მოწყვეტილები, რომ მაშინათვე მწვანეზე დაეყარნენ და დაიძინეს მკვდრებად.

დიდ ხანს კი არა სტკებობდნენ ძილითა, საიდანღაც, იქავ მინდორზე ორი გამოქცეული ხარი გამოჩნდა, უკან პატრონი მოსდევდა—ოსმალო. ხარები პირდაპირ ტყეში შემოიჭრნენ, სადაც კომიტები იყვნენ; ოსმალოც შემოჰყვა. მაგრამ, საუბედუროდ, ველარ დაიჭირეს; ხეებ შორის შეიარაღებული ხალხი შენიშნა თუ არა, ელვის სიმაღლეზე თვალთავან მოეფარა ჩეტელებს, გაბობლდა ბალახში, ტყეს კარგა მანძილზე მოშორდა და მერე, მუხლებში რაც ძალა ერჩოდა, მახლობელ სოფლისაკენ გამოექანა და ხალხი ფეხზე დააყენა.

ერთი საათიც არ გასულა, იუნაკების რაზმი საომრად მოეშადა, იმიტომ რომ სარდლებმა გადასწყვიტეს, აქედან წასვლა გვიან-ლაა და აქედან რომ გავასწროთ კიდეცა, იქნება ამაზე უკეთესი საფარი ველარც კი ვნახოთო. დიდი ხანი არ გასულა, ტყიდან სერს დაბლა მდებარე მინდორს ოსმალოთ ხროვა მოეფინა; აქვე მოასწრეს გუშინდელმა მდეგრებმა და ზაფთებმა, ასე რომ მტრის რიცხვი სამჯერ მეტი მაინც იქმნებოდა, ვიდრე წინა დღით იყო... ცუდს დღეში ჩავარდა იუნაკების რაზმი; ეგ არის სიკვდილი არ აგვეცდებო, და სახელოვნად მაინც დაეიხოცნეთ, ჩვენი სიცოცხლე ძვირად გავიმეტოთო, გადასწყვიტეს იუნაკებმა.

— ძმებო!—შესძახა ჰაჯი-დიმიტრიმ,—მტერი, საცაა, თავს დაგვესხმის... ჩვენზე მეტად ღონიერია, მაგრამ ამას ნუ ვუყურებთ! ვაჟკაცურად დაეიხოცნეთ ერის თავისუფლებისათვის! ჩვენი თავი დავსდვათ, სამაგიეროდ ბედნიერი დღე გავუთენოთ სხვებსა!.. მანამ იბრძოლეთ, სანამ შეიძლოთ!.. დღევანდელი დღე არამც თუ მარტო ჩვენთვის იქმნება სანახსოვრო, არამედ მთელის ბოლგარეთის ხალხისათვისაც... ბევრი დედები დაპლვრიან დღეს მღუღარესა!?



ის იყო, ჰაჯი-დიმიტრიმ ეს ორი სატყვა წარმოსთქვა, და ოსმალებმაც სერს მოატანეს და თოფის სროლა დაიწყეს; საშინელი ბრძოლა და სისხლის ღერა ასტყდა. მთელი დღე არ შეწყვეტილა ბრძოლა, და ოსმალთ ძვირადაც დაუჯდათ; სერზე იერიშს მიიტანდნენ თუ არა, იძულებული ხდებოდნენ უკან დაეხიათ, და ყოველ დახევაზე მათს რაზმს 15—20 კაცი აკლდებოდა. არ ვიცით, სულ რამდენი კაცი დაეხოცათ, მაგრამ თქმა არ უნდა, ბევრს უნდა დაჰბნელებოდა მზე. ჩეტელები გაშმაგებით იბრძოდნენ; ხეებს ამოფარებულები და მალლობზე გადმომდგარნი, უფრო მოხხერხებულად უმკლავდებოდნენ მტერს და ამ ხელადაც ზარალი მაგდენი არ უნახავსთ: მტრებმა სამი კაცი მოუკლეს და ხუთი დაუჭრეს, მათ შორის თვით ყარაჯაც. მარჯვენა ხელში ორგან მოხვედა ტყვია ყარაჯას, მაგრამ ბრძოლის დროს არა უთქვავს—რა ამხანაგებისათვის და მეომართ აქეზებდა და გულს უმაგრებდა...

კომიტელების მდგომარეობა ძალზე საშინელი იყო. უძილობით ილაჯ-გაწყვეტილნი, შიმშილისა, წყურვილისა და სიცხისაგან შეწუხებულნი, ორი ბრძოლა ზედიზედ გადაიხადეს და მათმა ღონემაც ველარ გაუძლო. ფეხზე ძლივსა დგებოდნენ... მტერს კი თან-და-თან ახალი ღონე ემატებოდა. მთელს ვილაიეტში ხმა გავრცელდა: „მოსკოველები“ მოვიდნენ, და რაზმირაზმზე მოეშურებოდა ბრძოლის ველზე ტირნოვოდან, სისტოვოდან და სხვა მახლობელ ადგილებიდან. ასეთს დღეში იყვნენ ჩვენი გულადი მეომრები! როგორც იყო, საბედნიეროდ ღამემაც მოატანა და ომსაც ბოლო მოეღო. მეორე დღემდე ამ ადგილას დარჩენა ჩეტელებისათვის შეუძლებელი იყო,— მეორე დღეს ოსმალები სულ ერთიანად ამოჰყუყუდნენ; ამიტომ სარდლებმა გადასწყვიტეს, ღამით როგორმე გაპარულიყვნენ, მით უფრო რომ ოსმალებმა წინა დღის შეცდომა იმ დღესაც განიმეორეს, ესე იგი ჩეტელებს მთელის თვისის ღონით დაესხნენ თავსა...

ჩეტელებმა ერთი საათი-ლა დაისვენეს, მკვდრები დამარხეს, ერთს სასიკვდილოდ დაჭრილს შხამი დააღვივნეს, ორი

სხვა დაჭრილი მხრებზე შემოიდევს რადგან თვითონ სიარული ვეღარ შეეძლოთ, გაიძლიერეს სარდლები და დიდის სიფრთხილით საფრიდან გამოვიდნენ. ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილი მოელოდათ. მაინც მშვიდობიანად დაეშენენ სერზე, დაადგნენ უკვე გავლილს გზასა, მერე განზე გაუხვიეს, მტრებს მოუარეს და ბალკანისაკენ გასწიეს...

გამოპარულ კომიტელების ილბალზე ღამე ბნელი იყო, უმთვარო. ნენლა მიდიოდნენ, მაგრამ მაინც თან და თან შორდებოდნენ მდეგრებს; ამათ კი ისევ ტყეში ეგულებოდათ ჩეტელები. ბალკანას რაც უფრო უახლოვდებოდნენ, ადგილმდებარეობა ოღრო-ჩოღროიანი და ტყიანი ხდებოდა; ასეთს ადგილას თუ ვინიცობაა, რამე გაჭირება დაადგებოდათ, თავს უფრო ადვილად უშველიდნენ; გზაში მთის წყაროები და მოჩხრიალე ნაკადულები შეხვდათ, ხელ-პირი გაიგრილეს, წყურვილი მოიკლეს. მათს მიახლოვებაზე, ზოგიერთ მწყემსებმა თავიანთს ბინებს თავი ანებეს და გაიქცნენ. ჩეტელები შიგ შედიოდნენ, ჰპოულობდნენ ყველსა, რძესა, პურსა და შენაყრდებოდნენ... ბალკანას დიდი მწვერვალები სულ ახლოდან ჰოსჩანდა, დაღლილი ჩეტელები მიეშურებოდნენ მთის ბნელ ხრამებისაკენ, სადაც შეეძლოთ გულიანად დაესვენათ და, შედარებით, უშიშრად ყოფილიყვნენ.

ამდროს გამოჩნდა მთვარე და გაანათა მთის მწვერვალები.

— ყოჩაღად იყავით, ძმებო! — ამხნევებდა ყარაჯა თვისს რაზმსა. — ხვალ ნაშუადღევს ძველს პლანინაში ვიქმნებით, მერე ავლიკინის ველსაც მივატანთ... მანდ კარგად დავისვენებთ, მოვირჩინთ ჭრილობებსა, ბევრი ჩვენი სლივნოელი ძმები — პატრიოტები შემოგვხვდებიან...”

შუადღისას ჩეტა ბალკანის ფერდოზე იყო, ხშირის ტყის ნაპირში. აქ ჩეტამ ცხვრის ფარა და მწყემსი დაინახა, რომელსაც გაქცევა ვეღარ მოესწრო. გადასწყეიტეს, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, პური ვჭამოთო. მწყემსს კარგი სასყიდელი მისცეს, იმანაც რამდენიმე ბატკანი დაუტკლა და გაჩაღებულ ცეცხლზე წვა დაუწყა... გემრიელ საქმლის ლოდინში, დაყ-

მედილი რაზმი იქავ ბალახზე მიწვა. გულდამშვიდებით საქმე კარგად მიდიოდა. უცბად ხეებში რამდენიმე ჩაღმით თავშეხვეული კაცი გამოჩნდა და წამოწოლილ ჩეტელებისკენ თოფები გამოისროლეს... პატარა რაზმი ყოფილა მდევრებისა, ოსმალთ მთავარ ჯარს უკან ჩამორჩენილი. უმეტესობა გაწვრთნილ-გავარჯიშებულ ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა და ბალკანაში ბოლგარელების დრუჟინაზე აღრე მისულიყვნენ. არ უნდა დაგვაფაწყდეს, რომ იმ დღეებში მთელი ოლქი ფეხზე იყო დაყენებული და მდევარი რაზმები ყველა კუთხივ დაძრწოდნენ. ასე რომ ჩეტა ერთ რაზმს თავს რომ აღწევდა, მეორეს უეჭველად შეეხეჩებოდა.

დასვენებასა და გემრიელ სადილზე, რა თქმა უნდა, ფიქრის დრო აღარ იყო. ისევ თოფებისათვის უნდა დაეგლოთ ხელი და ხელ-ახლა უნდა გამკლავებოდნენ მტერსა... მცირედი რაზმი ოსმალთა, ჩეტას რომ მოსვენება არ მისცა ისე აღვიღად გარეკეს, რომ ზარალი სრულეებით არა მოსვლიათ-რა. მაგრამ შიში სხვა ალაგიდან მოელოდათ: თოფების დაცლაზე სამხედრო ღოროტოტოს ხმა გაისმა, ამის შემდეგ საჩქაროზე ოსმალთ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი გამოჩნდა. საჭირო იყო, მესამე ომი გადაეხადნათ...

5

მეგრძოლთ თავი გამოიდეს, და ჩვენს რაზმსაც ძვირად დაუჯდა ამ ბრძოლის გადახდა. თვითონ ყარაჯას გვერდში მოხედა ტყვია,—ეგ უკვე მესამე ჯერ დაიჭრა,—მაგრამ მაინც თავს იმაგრებდა და მეგრძოლთ უმფროსობდა... ბევრი დაიხოცა, უფრო ბევრი დაიჭრა... ისევ ღამემ უსწრო და ბრძოლას ბოლო მოუღო, თორემ ჩენი რაზმი აქვე მთლად გასწყდებოდა. სხვა გზა არა ჰქონდა, ამ ღამეში, ისევ უნდა გაჰპარვოდა როგორმე მდევრებსა, წინანდელსავით. ძალიან მარჯვედ გაიპარნენ, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ რაზმი ახლა ძალზე შეთხელებული იყო: ბრძოლის ატენამდე 125 კაცი იყო, და მტერს რომ ზურგი შეაქციეს, 68 კაციღა დარჩა მეომარი,



ამათს რიცხვში დაქრილებიც უნდა მივათვალოთ, რომელთაც კიდევ შეეძლოთ, ამხანაგების დახმარებით, სიარული. დანარჩენები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წაასხეს, ზოგი ჩამორჩა, ზოგიც, რაკი სიარული არ შეეძლოთ, მწყემსების ქოხებში დააგდეს, ზოგი სად და ზოგიც სად...

იმედ გადაწყვეტილნი მიდიოდნენ იუნაკები. ბალკანების მთის თავი ძალიან ახლო მოსჩანდა, მაგრამ ესენი ჭფიქრობდნენ, აქამდე ვეღარ მივალწვეთ ცოცხალის თავებითაო. მთელი ღამე სიარულის შემდეგ, ერთს ტყიან ღრეს მიატანეს, აქ დაბინადრდნენ, დასასვენებლად, იმედი ჰქონდათ, აქ მაინც ვერავინ მოგვაგნებს და ხელს არ გვახლებენო... ტყუილი იმედი ჰქონდათ!... ილაჯ-გაწყვეტილმა ჩეტელებმა, ის-ის იყო, მკვდრებად დაიძინეს, დარაჯებსაც მაშინადვე ძილი მოერიათ;—ამ დროს ძაღლების გაცხარებული ყეფა მოისმა: კომიტელთ მოსაძებნელად ამ ჯერად ოსმალებმა ძაღლების დახმარებასაც მიმართეს...

გაიმართა ხელახლად ბრძოლა და სისხლის ღვრა. რაზმი საშინლად დაზარალდა: მთლად დაქრილი სტეფანე ყარაჯა მტრებმა ტყვედ წაიყვანეს... სხვა დაქრილებისა და დახოცილებისას ხომ ნურას იკითხავთ!.. მტერს ყარაჯის დატყვევებაზე სიხარული შეეჭმნა, და ერთ ხანს სხვა ჩეტელებს თითქო თავი დაანებესო.

ჩეტელებმაც დრო იპოვეს, ერთს მაღალს ადგილს მოექცნენ და იქ გამაგრდნენ. მტრის რიცხვი თუნდაც ათჯერ მეტი ყოფილიყო, აქედან თამამად შეეძლოთ ყველას გამკლავებოდნენ. დათარულ ადგილას დაქრილები დააწვინეს და მთელის დღის განმავლობაში კრიქაში უდგნენ გააღმასებულს მტერს... რაზმს ეშინოდა, მეორე სარდალიც არ დაგვედუბოსო, და ჰაჯი დიმიტრისა სთხოვდა, თავს გაუფრთხილდი, წინა რაზმებში ნუ ჩადგები და დაქრილებისაკენ იყავიო, უკან. ჰაჯი დიმიტრი ბრაზობდა მათს ხვეწნა-მულარაზე.

— თქვენ თქვენის თხოვნით შეურაცხყოფას მაყენებთ!— ეუბნებოდა ჰაჯი დიმიტრი თავისს ამხანაგებსა.— როგორ, ჩემი



ძმები თავებს იხოცავენ და ამ დროს მე უკან დაედგე, დაქრი-  
ლებთან?.. თავის დღეში!..

მართლაც-და, თავისი ნათქვამი გაამართლა კიდევცა ჰაჯი  
დიმიტრიმა. ერთთავად თავში უდგა ერთ მუქა რაზმსა. სხვათა  
შორის, მეტი არ იქმნება, ერთი ამბავიც აღვნიშნოთ. როცა  
ოსმალებმა იმედი გადიწყვიტეს, იუნაკებს იმ ადგილიდან ფეხს  
ვერ მოვაცვლებინებთო, ბოლგარების გროვა მიუსიეს; იმედი  
ჰქონდათ, ჩეტელები თვისსავე ძმებს თოფს არ ესერიანო.  
ბოლგარელები, ოსმალთა ბრძანების მორჩილნი, მოუახლოვ-  
დნენ ჩეტელებს და, ის-ის იყო, თოფების სროლა უნდა აეტეხათ,  
ამ დროს ჰაჯი დიმიტრიმ ზიზლით დაუყვირა:

— ეი, თქვე ოსმალთ მონებო!.... არა გრცხვენიათ,  
ძმებისა და წმ. ჯვარის წინააღმდეგ როგორ მოუხხართ?!.. თუ  
თქვენთვის არა, მაშ ვიდასთვისა ეღვრით ჩვენს სისხლსა?!... თუ  
თქვენი ტუტუცი თავი არ მოგებზრებიათ, მალე გაგვეცალე-  
ნით აქედან!...

არ ვიცი, შერცხვათ თუ შეეშინდათ, ის კია, რომ ბოლ-  
გარელები მოეცალნენ და ტყეში დაიმაღნენ... ამის შემდეგ  
ოსმალებმა კიდევაც სცადეს, რამდენჯერმე თავს დაეხსნენ, მაგ-  
რამ ვერა დააკლეს-რა....

ეს ბრძოლა ფრიალ შესანიშნავი კიდევ სხვა ფრიალს იყო:  
ბრძოლის ველზე ბევრი მალალ-ხარისხის გვამნი იღვნენ და  
უყურებდნენ სისხლის ღვრასა, მაგალითად ტირნოვოს ფაშა,  
ქალაქის მოხელენი, რუშჩუკის ქაიმაქამები, აღები, ბეგები და  
სხვ. თავისის თვლით დაინახეს, რა მამაცურად იბრძოდა ხუ-  
თასის წლის მონობით დაჩაგრული და წელში გაწყვეტილი  
რაია.

დალამდა თუ არა, რაზმმა დასტოვა ბინა და ბალკანში  
გაეშურა. 12 ამხანაგი მკვდარი აქ დაყარეს, და რამოდენიმე  
დაქრილიცა; დაქრილები ეხვეწებოდნენ, შეგვიბრალეთ, ღვთის  
სინაბარა დავგტოვევითო. გზას მხოლოდ 40 კაცი დაადგა...

ახლა ბალკანის ოღრო-ჩოღროები ჰქონდათ გადასათელი.  
სიარულის დროს რამდენჯერმე შენიშნეს მტრების მრავალ-

რიცხოვანი რაზმები, მაგრამ ყოველთვის ოსტატურად ხელიდან უსხლტებოდნენ და ტყეში მოასწრებდნენ ხოლმე დამალვასა. მეორე დღეს დილაზე მთის ერთს ვაკეზე გამოქცეულებმა სოფელი დაინახეს. ყველამა სთქვეს—ბოლგარელებისა არისო. დიდი ხანი გავიდა მას აქედ, რაც უკანასკნელი პური შესჭამეს. შიმშილი ძალზე აწუხებდათ, სიარული აღარ შეეძლოთ და გადასწყვიტეს, რაც მოგვივა, მოგვივიდესო, და შევიდნენ სოფელში. სოფელი მართლა ბოლგარელთა გამოდგა და სულითა და ხორციით დამაშვრალ საცოდავ აუნაკებს ძალიან გაუმასპინძლდნენ და თანაგრძნობა აღმოუჩინეს, თუმცა ძვირად კი დაუჯდათ ეს თანაგრძნობა. სოფელელებმა გაიგეს თუ არა მათი ვინაობა, მაშინადვე საქმელ-სასმელი მოუტანეს საცოდავ მეომართ. ქალებმა და კაცებმა მოუზიდეს ბლომად პური, ყველი, რძე, ღვინო, შეუწვეს ხორცი და მგზავრები მწვანეზე დასვეს, უზარმაზარ მუხის ჩრდილ ქვეშ. დამშეული რაზმი რაც ხანი იქ იჯდა და პურსა სჭამდა, სოფელელები გარს ეხვევოდნენ და სცდილობდნენ პატივი ეცათ; მათს ქებაში იყვნენ და თანაგრძნობით ოხრავდნენ. „ეს თანაგრძნობის ოხვრანი-ლა იყვნენ ჩვენი ერთად-ერთი ჯილდო ხალხის მზრივ, რომლის თავისუფლებისათვის თავსა ვსდებდით“,—ამბობდა მერე ერთი მონაწილეთაგანი ამ ლაშქრობისა.

კომიტლებმა ძალის-ძალათი მიაჩეჩეს ფული კეთილ სოფელელებს სანოვავისათვის. ის-ის იყო, სოფელს გასცდნენ და ტყით დაფარულ ფრიადო კლდეზე გადმოდგნენ, რომ უკანიდან თოფების ხმა გაისმა. ოსმალები სოფელში შემოვიდნენ და სოფელელებს დაერივნენ, ამჯანყებლებს ხელი როგორ მოუმართეთო?! იუნაკები ამასობაში ზევით-ზევით მიდიოდნენ; ხან-და-ხან მწყემსებიც შემოხვდებოდათ ხოლმე. ერთ მწყემსისაგან გაიგეს, ამ ორის დღის წინ ოსმალების უფროსებმა ბრძანება გასცეს, ყველა მწყემსები ბარად ჩამოეშვითო. ჰკითხეს. ასეთს ბრძანებას რა აზრი აქვსო, და მწყემსმაც უპასუხა:

— ბალკანში მოსკოველები (რუსები) გაჩენილანო,— ოსმალები ამბობენ,— რაკი მთაში მწყემსებს ცხვარი არ ეყოლე-



ბათ, „მოსკოველებს“ საქმელი არა ექმნებათ-რა და ხელში ჩაიგდებთო.

სხვა მწყემსებმა უამბეს, გუშინ გაიარეს ამ ადგილებზე ოსმალთ რაზმებმა და კომიტებს დაეძებნო. ახლა, უეჭველია, ბალკანის მწვერვალებზე იქმნებიან გაფანტულნიო. ოღონდაც რომ საშიში იყო იმ გზით სიარული: მოსალოდნელი იყო, მტერს ყოველ წამს შეხვედროდნენ პირის-პირ. მაგრამ რაზმს სხვა გზა არა ჰქონდა, უნდა ზევით ევლო, „ავლიკინის ველისაკენა.“ ისიც მიდიოდა საშინელს ოღრო-ჩოღროებსა და ფლატოებზე; ერთი ფეხი რომ გასხლტომოდათ, მათს ძვალსაც ვერ იპოვიდა აღამიანი. ერთს ქანცს-გაწყვეტილს მგზავრს მაინც ეს დღე დაადგა. ერთმა ახალგაზდა კაცმა ლაშქრობის სიმწარეს ველარ გაუძლო და ქკუაზე შესცდა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ 14 დაჭრილი მეომარი კარგად მყოფთ სიარულში ვერ მიჰყვნენ და უკან-უკან რჩებოდნენ და, ბოლოს სულ ჩამორჩნენ. ამხანაგებმაც ბნელაში ვერ შეამჩნიეს დაჭრილების დაკარგვა. როცა მათი ჩამორჩენა შენიშნეს, უკვე გვიან იყო: უკან დაბრუნება ქანც-გაწყვეტილ ჩეტელებისათვის ყოველად შეუძლებელი იყო, მეორე მხრივ, აქა-იქ ოსმალებიცა ჩნდებოდნენ. ერთი მუჭა რაზმი იმასა ცდილობდა, თავისი თავი მაინც დაეხსნა მტრებისაგან, ხოლო დაკარგული ამხანაგები, რომელთა უბედურებაზე ორიოდ სიტყვას მერე ვიტყვით, ღვთის სინაბრობაზე დაეგდოთ.

18 მკათათვეს დილა აღჩინა, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით ბალკანის ზურგს მოექცნენ და ბიუზლუჯაში დაბანაკდნენ. ეს ადგილი ბოლგარელთ აჯანყების მატთანეში არაერთხელ არის მოხსენებული.

ოსმალების გუნდები და გაწვრთნილი რაზმები, როგორც ვიცით, ყოველ მხრიდან გროვდებოდნენ და ჩვენს მემბოხეთ კვალ-და-კვალ მისდევდნენ, ხანაც წინ გაუსწრებდნენ, ხან კიდევ უკან მიჰყვებოდნენ. ამავე დროს ყაზანდიელ ოსმალებმა შეიტყეს მემბოხენი ბალკანას უახლოედებიანო და დიდი ფაცა-ფუცი შეუდგათ. ქალაქიდან მაშინვე რამდენიმე ასი ოსმა-

ლო გამოვიდა შეიარაღებული, მათ მიემატნენ რაც კი რევოლუციური ჯარი იყო ქალაქში დარჩენილი და ღონიერი რაზმი ზაფთიებისა. ყველანი თან-და-თან უახლოვდებოდნენ ბიუზლუჯას და ბოლოს გარს შემოერთებენ კიდევცა დასახელებლად დაწოლილ რაზმს იუნაკებისას. დაჰკრა უკანასკნელმა საათმა ჩეტელების დრამისამ. ჩეტელები ჰაჯი-დიმიტრითურთ სულ 20 კაცი იყვნენ, საშინლად მოსწყდნენ ამდენის ვაი-ვაგლახით და ის იყო, უნდა დაესვენათ, სწორედ ამ დროს შემოერთცა მტერი გარშემო და გასაქცევი გზა ყოველის მხრივ მოუჭრეს. ყველამ იმედი გადიწყვიტა, ვერაფერი გვიხსნისო. ან ლაჩრულად თოფ-იარაღი უნდა დაეყარათ და გამძლავრებულ მტერს ხელში ჩაეარდნოდნენ, ან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ეომნათ და სახელოვნად დახოცილიყვნენ... იუნაკებმა სახელოვანი სიკვდილი არჩიეს... გახურდა ომი; ამ ომის შედეგი ყველასათვის აშკარა უნდა ყოფილიყო... ოსმალებს უნდოდათ, დიდებული ყოფილიყო მათი გამარჯვება და სცდილობდნენ კომიტელები მეტი დაეჭირათ ცოცხლები, და რამდენჯერმე უთხრეს, ცოცხლები დაგვენდითო. მაგრამ კომიტელები პასუხად თოფებს ესროდნენ. როცა ტყვია-წამალი შემოეღიათ, დანებით დაერივნენ მტრებსა და თავგანწირულად დაიხოცნენ, ისე რომ ერთი არ გადარჩენილა ცოცხალი... სხვებთან ერთად განთქმული ჰაჯი დიმიტრიც მოჰკვდა და მისი თავი სხვა დანარჩენ ღირსეულ მეომრების თავებთან ერთად ოსმალებმა გამარჯვების ნიშნად ტირნოვოში წამოიღეს.

მახლობელ სოფლის მღვდელს ნება მისცეს ოსმალებმა მიწისათვის მიებარებინა დასახიჩრებული გვამნი თავისუფლებისათვის მეტრძოლთა... ახლა ბიუზლუჯაში, ბოლგარელთა ამ წმ. ადგილას, რამდენიმე ხის ჯვარი-ღაა, გარშემო სოფლების ღვთისმოყვარე მცხოვრებთაგან სახელოვან იუნაკების საფლავებზე დადგმული... 1883 წლიდან, ყოველ 18 მკათათვეს, ბიუზლუჯაში დღეობასა მართავენ ამ ადგილას დახოცილ გმირების მოსაგონებლად. ამ დღეობაზე ბოლგარიის და რუმინიის ყველა მხრიდან ათასობით მოდიან ხოლმე. 1884 წ. ბიუზ-

ლუნჯაში პირველად მოვიდა ქალაქ სლიენოს დებუტატი სან-ერთად დღემდე ცოცხალი, პატივცემული მოხუცი, დიდი დედა გმირ სარდალის შაჯი დიმიტრისა.

კიდევ ორიოდე სიტყვას ვიტყვით თავ რაზმისაგან ჩამორჩენილ და გზაში დაკარგულ დაქრილ ჩეტელებზე და გავათავებთ კიდევა შაჯი დიმიტრისა და სტეფანე ყარაჯას მრავალტანჯულ ლაშქროსანთა ამბავს.

იმ დროს, რა დროსაც ბიუზლუნჯაში ჩვენ მიერ ზემოაღწერილი უკანასკნელი ომი იყო ჩეტელებისა და ოსმალთ შუა, გზა-დაკარგული ჩეტელები იქვე მახლობლად ხშირს ტყეში იმალებოდნენ და გულის ფანქალოთ ყურს უგდებდნენ თოფის სროლასა. იცოდნენ ჩვენი ამხანაგები იბრძვიანო, და უნდოდათ მიჰშველებოდნენ, მაგრამ სურვილი გულშივე უნდა მოეკლათ, ამიტომ რომ უმეტესი მათგანი ხეირიანად ფეხზე ვეღარც კი დგებოდა და მუხლით მილოდავდა... საღამო ხანს ბრძოლა შესწყდა.... დაქრილ ჩეტელებმა არ იცოდნენ, მათი ამხანაგები რა ღონის პატრონ მტერს ეომებოდნენ ან რა პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი, და თავი ინუგეშეს, ალბად შაჯი დიმიტრი ოსმალთ ხელიდან გაუსხლტა და აგლიკინის მინდვრისაკენ წავიდაო. ამ ადგილისაკენ თვითონაც წამოვიდნენ. ვეღარც კი აიწერება, რა ტანჯვა-წვალება გამოიარეს ავადმყოფმა ჩეტელებმა დადა-ღრეებში და კლდეებზე სიარულითა. დანიშნულ ადგილამდე სიარულს მთელი ხუთი დღე-ღამე მოუწოდნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი სასოწარკვეთილება, როცა აგლიკინის ველი ცარიელი დაუხვდათ: არც შაჯი დიმიტრი და მისი ამხანაგები იყვნენ აქა და არც სხვა პატრიოტები, რომელთაც პირობა დასდევს—აქ შევიყრებიითო... მთელი ერთი კვირა იტრიალეს საცოდავებმა აგლიკინის ველის გარშემო, მერე იმედი გადაუწყდათ, აქ ჩვენებს ვერავის ვნახავთო; გადასწყვიტეს, იქმნება, როგორმე სერბიის საზღვარზე გადავადწიოთო და ბალკანიდან ძირს დაეშვნენ. მაგრამ გზაზე ოსმალთ დაინახეს, ტყვედ დაიჭირეს, აწვალეს უსულ-ღმერთოდ, და ჯერ ტირნოვოში წაიყვანეს და იქიდან—რუმუჟში.



აი, ასე სამწუხაროდ ბოლო მოეღო ბოლგარეთის თანამედროვე ისტორიაში შესანიშნავ გალაშქრებას ჰაჯი დიმიტრისა და სტეფანე ყარაჯის გმირული რაზმისას.

## 6

როგორც მკითხველი დაინახავდა, იუნაკების უმეტესი ნაწილი დახოცილ იქნა ოსმალებთან ბრძოლაში. ისინი კი, ვინც ჩეტას უკანასკნელ დღეებში დაშორდნენ და გაქცევით უნდოდათ თავის ხსნა, აგრეთვე ყველა მძიმედ დიქრილნი, ბალკანეთის სხვა-და-სხვა ადგილას მწყემსებთან დატოვებულნი, ოსმალთ ჩაუვარდათ ხელში. ამათ მიემატათ გზაში ჩამორჩენილი გუნდი დაქრილთა, რომლებზედაც წინა სტრიქონებში ვამბობდით, და ყველანი რუშჩუკში ჩამოიყვანეს. ზემო აწერილ ლაშქრობის მონაწილენი, ვინც ცოცხალი დარჩა, და ამ საქმეში გარეულნი გარეშე ხალხი რუშჩუკში გაასამართლეს... რუშჩუკის სატუსალოში, განჩინების მოლოდინში, იჯდა აგრედვე მღვდელი იმ სოფლისა, იუნაკებს ისე გულ-უხვად რომ გაუმასპინძლდა... კონიტელები, მათი დამხმარენი და თანამგრძობნი ზოგი ჩამოახრჩეს, ზოგს საუკუნო საპატიმრო გადაუწყვიტეს და ხუნდებ-გაყრილი სტამბოლზე გაატარეს მცირე აზიაში, სენ-ჟან დარკის ციხეში. ამ ციხიდან ზოგი გამოუშვეს ათის წლის უკან, როცა ბოლგარეთი განთავისუფლდა.

ერთი საზიზღარი ამბავიცა. „როცა რუშჩუკში მივყავდით, — მოგვითხრობს ერთი საპატიმროს გადარჩენილი ამხანაგი ჰაჯი დიმიტრისა და სტეფანე ყარაჯასი — ანგელ ობრეტენოვი, — ბოლგარეთის სოფლებში, რომლებზედაც კი გაგვატარეს, ქალი და კაცი გზაზე გველობებოდნენ, პირში გვაფურთხებდნენ, უშვერის სიტყვებით გვლანძღავდნენ: — ოსმალებთან პატიოსნად, მშვიდონიანად ვსცხოვრობდით და თქვენ აგვრივეითო“... სოფელ ტრესტენიკაში ერთი ვაჭარი ესეთნაირად გვლანძღავდა და გვათრევდა, რომ ბრაზით ჩვენი ხუნდებიც კი ჰკანკალებდა... მხოლოდ ციხეში რომ გაგვისტუმრეს, რკინის გზაზე რუშჩუკსა და ვარნას შუა, აქა-იქ შევხვდებოდით ისეთებს, რო-

საქართველო  
2025

მელნიც ღირსეულად გვაფასებდნენ და გზას გვილოცავდნენ, მაგრამ დასალონებელი კიდევ ის იყო, რომ ესენიც ჩვენი ძმები, ბოლგარელები, არ იყვნენ, — რკინის გზაზე მოსამსახურენი იყვნენ, ზოგი პოლონელნი და ზოგნიც იტალიელნი...

თვითონ სტეფანე ყარაჯი, როგორც გმირი, ცოტა არ იყოს, პატივით, — ოსმალები ხომ რაინდული ხალხია და იციან გმირობის დაფასებაცა, — ურმით მოიყვანეს ჯერ ტირნოვოში, მერე რუშჩუკში, სადაც, მრავალი ხალხი დაუხვდა, მის საყურებლად შეგროვილი. ვინც არ იცოდა სტეფანე ყარაჯის ვინაობა, მის წამყვან დარაჯებსა ჰკითხავდა, ვინ მიგყავთო? ისინიც დაცინებით უპასუხებდნენ: „ბოლგარეთის მეფეო!..“

მთელი ორი კვირა ეწვალა საცოდავი სტეფანე მთლად დაქრილი რუშჩუკის სატუსალოში, თუმცა ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ აქ გვარიან კარგად ეპყრობოდნენ. მორჩებოდა თუ არა, სახრჩობელაზე უნდა აეყვანათ. მაგრამ ბედმა იბრალა და სახრჩობელაზე ტანჯვას გადაარჩინა: ჭრილობებს თან გადაჰყვა სატუსალოში და რუშჩუკის სატუსალოს ეზოში დამარხეს. მისის საფლავის ბეჭობი, უკვე მიწასთან გასწორებული, უქვევლია, დაავიწყდებოდათ კიდევცა, რომ არ გაეახლებინა ცნობილ პატრიოტ-ქალს, „დედა-ბერ ტონკას“, რომელზედაც ქვემო თავში ვილაპარაკებთ.

#### IV

### დედა-ბერი ტონკა

#### 1

დედა-ბერი ტონკა ობრეტენოვისა დაიბადა 1812 წ. ერძს რუშჩუკის მახლობლად მდებარე სოფელში, უბრალო, მაგრამ გვარიანად შეძლებულ სოფლელ მწყემსის ოჯახში. მისი მშობლები სოფლიდან რუშჩუკში გადმოესახლნენ; ტონკა 20 წლისა რომ შეიქმნა, ერძს შეძლებულ ვაჭარს, ტიხო ობრეტენოვს მიათხოვეს, რომელთანაც იცხოვრა 40 წელზე მეტი. შეი-



დი შვილი ეყოლა, ხუთი ვაჟი და ორიც ქალი. როგორც ხალხ-  
ლავე დაინახავთ, ყველა მისმა შვილებმა თავისი თავი მსხვერ-  
პლად შესწირეს ბოლგარელ ხალხის განთავისუფლების საქმესა.

ხალხის განთავისუფლებისათვის მოქმედებაში ტონკა გაე-  
რია 1862 წლიდან, როცა უკვე 50 წლის ბებერი იყო. იმ ხა-  
ნებში რუმინიაში გაისმოდა აღზნებული ღალადისი ბოლგარელ  
ემიგრანტისა და მწერლის რაკოვსკისა, რომელიც თავის ერს ოს-  
მალთ წინააღმდეგ იწვევდა და ამისთვის მემამოხეთა დასიც შე-  
ადგინა. რაკოვსკის ქადაგების სიტყვებმა თავისუფლებაზე ტონკას  
ყურებამდეც მიაღწია და ფეხზე დააყენა ეს შესანიშნავი ქალი.  
მისი სახლი ზედ ღუნაის ნაპირას იყო გაშენებული და შესაკრე-  
ბელი ადგილად გახდა ადგილობრივ ახალგაზდა პატრიოტთათვის,  
რომლებიც ტონკას უფროს შვილებთან ერთად—ანგელ და  
პეტრე ობრეტენოვთან—თოცის ხმარებასა სწავლობდნენ, რად-  
გან განზრახვა ჰქონდათ, მემამოხეთა რაზმებში შესულიყვნენ,  
რომელთა შედგენაზე მაშინდელ ემიგრანტებს ლაპარაკი ჰქონ-  
დათ. ეს ჩეტები ბოლგარეთში არ გაჩენილა; სწორედ ამ დროს  
კი სერბიის მთავრობის ნება-რთვით, ემიგრანტებმა ბოლგარელი  
ლეგიონი შეადგინეს; ამ ლეგიონში ახალგაზდები, მომავალ  
აჯანყებისათვის, სამხედრო ხელობასა სწავლობდნენ. ეს ლეგი-  
ონი დაარსდა თუ არა, ტონკას სურვილით, შიგ ჩაეწერა მისი  
ერთ-ერთი ვაჟი, პეტრე... უფროსი შვილი, ანგელი კი და  
რამდენიმე მისი ამხანაგი, ტონკამ დაპლოცა, და ბოლგარეთსა  
და ფრაკიაში დაიარებოდნენ, რათა გაეგოთ, ხალხი რასა ფიქ-  
რობდა, და, როცა შესაძლებელი იქმნებოდა, ექადაგნათ თავი-  
სუფლება.

მერე დადგა ბოლგარელთათვის, საზოგადოდ, და ტონკა-  
სათვის, კერძო, სამახსოვრო 1868 წელიწადი, როდესაც ჰაჯი  
დიმიტრიმა და სტეფანე ყარაჯამ ამბოხება სცადეს. აბრეტე-  
ნოვების ოჯახამდე მიაღწია თუ არა საიდუმლო ამბავმა,—  
რუმინის ნაპირზე, ჟურჟევას ახლო, ჩეტას თავი მოუყრია და  
ბრძოლა უნდა დაიწყოსო, ანგელი და პეტრე მაშინვე გავიდ-  
ნენ ღუნაიაზე და კომიტელების რაზმს შეუერთდნენ... თვითონ



ტონკაც მივიდა საომრად გამზადებულ ჩეტებთან, თან მიიტანა ყვავილები და არაყი, იუნაკებს ყველას ჩამოუტარა: ღმერთმა გამარჯვება მოგცესთ თქვენს სამამულიშვილო საქმეშიო, ყოველ ხიფათისა და გაჭირვებისაგან გიხსნათო, და მერე შინ დაბრუნდა. ტონკას მოსვლამ ძალზე გაახარა კომიტელები და მათი პატრიოტული იმედები უფრორე აღაფრთოვანა. თუ ბებერი დედაკაცი იმ ზომამდე თანაუგრძნობს ჩვენს საქმეს და იმედისა აქვს გამარჯვებისა, რომ თვისს შვილებს ჩეტაში აძლევს და გზას გვილოცავს, — ამბობდნენ ისინი — „მაშ რა აღტაცებით და სიხარულით მოგვეგებება სამშობლოში ხალხი საზოგადოდ და განსაკუთრებით ახალგაზდობაო!... მკითხველმა უკვე იცის, რა მწარედ გაუცრუვდათ იმედი ამ კეთილშობილ თავდადებულთ თავიანთ ღვიძლ ხალხზე... აღბად არ იცოდნენ, რომ ისეთები, როგორც დედაბერი ტონკა იყო, მთელს მილიონზე ერთი იბადება...

დედაბერი ტონკა რუშჩუკში დაბრუნდა, გულის-ფანცქალით დაუწყო ლოდინი ოსმალეთის სამზღვარზე მემამოხეთა, რომელთაც, როგორც უთხრეს, სახელდობ რუშჩუკიდან უნდა დაეწყოთ თავიანთი მოქმედება. რამდენმამე კვირამ გაიარა ამ ლოდინში: იუნაკებზე არაფერი ისმოდა.

ერთბაშად ელვის სიმაღლეზე ხმა მოედო რუშჩუკსა: მემამოხენი ვარდინის ქაობების ახლო გამოვიდნენო, სანაპიროს დარაჯნი გასწყვიტესო, ამის შემდეგ, რამდენჯერმე შეეტაკნენ ოსმალოს ჯარსაო, და ამ შეტაკებაში ზოგი იუნაკები დაიხოცნენ, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს, ბოლოს, თვითონ რაზმი მთლად გასწყდა და სარდლებიც ოსმალთ მსხვერპლნი შეიქმნენო... ეს ამბები რა გვარად დაამძარბდა რუშჩუკის ბოლგარელთ, რომელთაგან იმდენი ახალგაზდობა წავიდა ჯერ ემიგრანტებად, და მერე მემამოხეთა რაზმში, — მკითხველისათვის მიგვინდვია გამოსაცნობად... ცოტა ხანმაც გაიარა, და მთელი რუშჩუკი თავისის თვალთ დარწმუნდა, რომ მემამოხეთა დამარცხებაზე გავრცელებული ხმები მართალი ყოფილაო. ქალაქში ერთი მეორეზე შემოაჰყავდათ ტყვედ დაჭერილი დაჭრი-



ლი მემბოხენი, მათ შორის სტეფანე ყარაჯაც შემოიყვანეს; შემოჰქონდათ აგრედვე ოსმალთ გამარჯვების ნიშანი: ანძაზე ჩამოცმული თავები იუნაკებისა.... ზოგ მშობელთ თვალი უბრმავდებოდათ და თვისის შვილების თავებსა სცნობდნენ, სწორედ იმ შვილებისას, რომელნიც ცოტა ხნის წინად სად-ღაც გაჰქრნენ...

ქალაქის ქუჩებზე კვენისა და ტირილის ხმა გაისმა... დედაბერს ტონკას ყველაზე მეტი ხვდა იმ დროს: ჯერ იყო, თვისის ორ-ორის შვილის ამბავი არა იცოდა-რა, ცოცხლები იყვნენ თუ დახოცილნი, მერე—მწუხარებისაგან გაბოროტებულნი მშობელნი ჯავრს ტონკაზე იყრიდნენ... ზოგ-ზოგი დედა თავისის თვალთ ჰხედავდა, შვილი დამელუბაო, თანაც იცოდნენ, რომ მათი შვილები ამ უბედურებამდე დედაბერ ტონკას სახლში დაიარებოდნენ; გულმოსაკლავ ტირილითა და ღრიალით სხვა ქალებთან ერთად მოდიოდნენ ტონკას სახლის ფანჯარებთან და ისე იყვნენ უბედურებით შეპყრობილნი, რომ არ იცოდნენ, რა სიტყვებით გამოეთქვათ თავიანთი წყევლა, გულისწყრომა და სიძულვილი ამ უბედურ ქალისადმი.... ტონკამ მოაჯადოვა ჩვენი შვილები და „ბრუდეგზაზე“ დააყენაო... ამ დროს რა გენია ჰტრიალებდა ტონკას გულში, კალმით ვერ აიწერება...

ამასობაში თავისის შვილების, ანგელისა და პეტრეს, ამბავი მაინც არა იცოდა-რა; ტყვეთა შორის არა სჩანდნენ; არც რუშჩუკში მოტანილ მოქრილ თავებთა შორის ერია მათი თავები... საცოდავი დედაჩხან რასა ჰფაქრობდა, ხან რასა, და აუწერლად იტანჯებოდა... ბოლოს ორის დღის უკან, მისმა უმცროსმა ქალმა, ანასტასიამ, ტირნოვოს მოსეზე რომ ჰდარაჯობდა მთელი ის დრო, მოიბრბინა და სთქვა, ტირნოვოდან ახალი ტყვეები მოიყვანეს და მათში ჩვენი ანგელიც ურევიაო. ეს ამბავი ქალაქის დედაკაცებისგანაც გაიგო ტონკამ; ესენი გროვად თავს იყრიდნენ მისის სახლის ფანჯარებთანა და ერთი მითქმა-მოთქმა ჰქონდათ, ბებერი დედა და მისი შვილები უნდა ჩამოადრჩონო...



საქართველოს  
საბჭოთაო  
საქართველოს

მართალია, დიდად სულგრძელი აღამიანი იყო ტონკა, მაგრამ ყველა ეს საშინელი ამბები, მეზობლების წყევლა და ნიშნის მოგება, მისის შვილების მომავალი ბედი — სულიერადა სტანჯავდა და ზნეობრივად აუძლურებდა ამ მოწამე-პატრიოტ ქალს. თითქმის სასოწარკვეთა საცოდაესა, ველარა ჰბედავდა უბედურებისათვის თვალი გაესწორებინა, ველარა ჰბედავდა თვითონ თავისის თვალით დარწმუნებულიყო, რომ მისს შვილებს საშველი გზა შეეკრათ, გაეგო მათი ამბავი, პირის-პირ დამდგარიყო მაზე გაბოროტებულ მცხოვრებთან... ჭ აჰა, თავის სახლში ჩაიკეტა. ეშინოდა რუშჩუკის ქუჩებზე გამოსვლისა, სადაც სწორედ ამ დროს ამართულიყო საბედისწერო სახარბიელეები და ტყვეები ზედ გაჰყავდათ. უბედურებისაგან თითქმის გონ-დაკარგული საბრალო მოხუცი თავისს სახლში აქეთ-იქით ეწყვეტებოდა. ამ დროს ახლად მოყვანილ კომიტელებს გამოძიებითა სტანჯავდნენ. ბოლოს ველარ მოითმინა საშინელი სულიერი ტანჯვა, გამოვარდა სახლიდან და პირდაპირ სატუსალოსკენ გაექანა, — ჩემი შვილები უნდა ვნახო, რადაც უნდა დამიჯდესო; ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ უფროსი შვილი, პეტრე ბალკანში მოუკლეს და სატუსალოში მარტო უმცროსი შვილი, ანგელი იჯდა.

მაგრამ სატუსალოში შესვლა ძნელი იყო. უფროსები ფრიად გააოცა დედაბრის ჯიუტობამა და გამბედაობამა, — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო მემამოხეთა ნახვა!.. — ტონკა უბოდიშოდ გააგდეს. მაგრამ დედა-ბერი ტონკა ისეთი როდი იყო, რომ თვის გულისნადებზე ისე ადვილად ხელი აეღო! რამდენჯერმე ისევ მოვიდა სატუსალოში და ითხოვა, — შვილები მაჩვენეთო, მაგრამ მცველებს გული ვერაფრით მოუღბო და უწყალოდ ერეკებოდნენ იქიდან; ბოლოს კიდევაც სცემა ჟანდარმმა. ტონკამ კარგად იცოდა ოსმალთ მოხელეების ხასიათი. ყველა სატუსალოს მოსამსახურეებს საჩუქარი დაურიგა, — სატუსალოს უფროსიდან მოყოლებული თვით უკანასკნელ ზაფთიამდე. ტონკა ამ ხერხით ბოლოს, როგორც იყო ფონს გავიდა: დაქერილები აჩვენეს. ტონკა ისეთნაირად მიეგება შვილსა და სხვა



ტყვეებსა, რომ მასთან მყოფი ოსმალოს მოხელენი საბტად დარჩნენ. ეგონათ, ცრემლად დაიდვრებო, ტირილით აქაურობას აიკლებსო... და ის კი არა, ტონკა სატუსალოში თავდაქერით შევიდა, დამშვიდებული, მკაცრის შეხედულობით, ტუჩებზე გესლიანი ღიმილი უკრთოდა. რა ძალას ატანდა თავისს თავსა ტონკა,—ოსმალებს არ ესმოდათ და არც უნდა გაეგოთ.

— საღამო მოგიძღვნათ მთელი ბოლგარეთის სამეფომა,— დაცინვით უთხრა ოსმალურად ტონკამ სატუსალებს,—თქვენ გეთაყვანეთ, მითხარით ერთი ბებერსა, თქვენში რომელი დაიდგავს ბოლგარეთის მეფის გვირგვინსა, რომელი იქმნება ვალიფაში და სხვა, როცა ოსმალთ გაჰრეკავთ?“

მერე მიუბრუნდა შვილსა და ბრაზმორეულმა საყვედურით აავსო.

— მთვრალი იყავ, თუ რა ღმერთი გაგიწყრა, როცა ბოროტ ხალხის ფეხის ხმას აჰყევი და უკუღმართ გზას დადექი?! რატომ შენს მოხუცს დედას კი არა ჰკითხე რჩევა?! იმას რომ დაჰკითხებოდი, გეტყოდა, რომ ოსმალთ სამეფო თვით ღვთისაგან არის კურთხეული და რომ ბოლგარნი საუკუნოდ უნდა ტანჯვა-წვალებაში იყვნენ და რაიებად დრჩნენ!..“

ტონკამ ოსტატურად ითვალთმაქცა. კომიტელებიც რა თქმა უნდა მიუხვდნენ მისს ხერხსა, ჰკვიანი მოხუცი დედაბერი საწადელს ეწია. ოსმალებმა შეაქეს, ბარაქალა შენს კკუაგონებასაო, „ყოჩაღ-დედაბერი“ უწოდეს, მხარზე ხელი დაუტატუნეს და ნება მისცეს, სატუსალოში, როცა გინდა, მაშინ მოდიო. ქურდსაც ბნელი ღამე უნდოდა. ტონკა ყოველ-ღვე დადიოდა, თან მოჰქონდა საქმელი და ტანისამოსი როგორც შვილებისა, ისე ყველა მის დაქერილ ამხანაგებისათვის...

მთელი თვე დადიოდა ტონკა სატუსალოში და ჰპატრონობდა ტყვეებსა. ერთის თვის უკან სასამართლომ ზოგიერთ მემამოხეთ სასჯელი შეუშსუბუქა, მათს შორის ტონკას შვილს, —ანგელ ობრეტენოვს,—ჩამოხრჩობის მაგიერ საუკუნოდ სენჯან-დარკის ციხეში ჯდომა გადაუწყვიტეს, და მალე კიდევ

წაიყვანეს ყველანი. დედაბერმა ტონკამ მოუგროვა ფული, საგზაოდ რაც ესაჭიროებოდათ, უშოვა; ერთის სიტყვით, თავის მხრივ ცდა არ დაუკლია, ძვირფას მოწამე-იუნაკების შავის დღისათვის, ცოტათიც არის, მალამო დაედო.

2.

ცუდი დღე დაუდგა დედაბერ ტონკასა! ორი უფროსი შვილი ხომ დაჰკარგა, მერე ქმარიც მოუკვდა,—ამხანაგმა მოსწამლა იმ აზრით, იქნება ტიხო ობრეტენოვის ფული და ქონება მე დამრჩესო. ქვრივი თითქმის ცარიელი დარჩა, ლუკმა-პურის შოვნის სახსარი გაუწყდა, სარჩენი კი სამ-სამი ვაგი და ორი ქალი კადვეა ჰყავდა. მაგრამ გული არ გაიტეხა და მხნედ დაიწყო შრომა. შვილებისათვის ჰზრუნავდა, ოჯახს თავს დაჰფუტუსფუტებდა; მაგრამ არც სამშობლო ავიწყდებოდა.

განსაცდელის დრო იყო (1868—1871 წ.), პატრიოტული მოძრაობა დროებით შეჩერდა, ბოლგარელმა ახალგაზრდებამ გულ-ხელი დაიკრიფა. ტონკას ის აწუხებდა, რომ რუსულის სახრჩობელაზე დასჯილი მოწამეები თან-და-თან ავიწყდებოდათ, მათი ყველა პატრიოტისათვის ძვირფასი საფლავები მიწასთან სწორდებო, ზედ შაშვი ამოდისო... და აჰა, მალულად დაიწყო სიარული,—გამოცხადებით სიარული არ შეიძლებოდა,—დასჯილთა სასაფლაოს სწმენდდა შამბისაგან, ჰრგავდა ყვავილებსა, უნთებდა სანთლებსა, მღვდელს ეხვეწებოდა, მალულად: ღამ-ღამე ჰანაშვიდი გადაუხადეო, წვითა და დაგვით ნაშოვნ უკანასკნელ ფულს იმაში ჰხარჯავდა, უბრალო მატურები ეყიდნა,—ზედ აწერინებდა სახელსა, აწერინებდა როდისა და რისთვის დაიხოცნენ და ადგამდა საყვარელ საფლავებსა. ამავე დროს რის ვაი-ვაგლახით მოახერხა და ამოსთხარა სტეფანე ყარაჯის თავი. ამ თავს ზანდუქში მოწიწებით დღემდე ინახავს. რა თქმა უნდა, სასაფლაოს მცველებს არ გამოეპარებოდათ, ტონკა როგორა ჰზრუნავდა თავისის ძვირფასის მიცვალებულთა საფლავებისათვის და პირველში ერეკებოდნენ იქიდან; მაგრამ ძღვენს აძლევდა, ზოგს აჩუქებდა რასმე და ამ-



გვარად ყველას გული მოუღობო. მცველები ცოტ-ტოტათი შეეჩვივნენ ტონკასა და ჰშველოდნენ საფლავების მოვლასა.

როგორცა ვსთქვით, ყველას მიეძინა: მოძრაობის ნიშანწყალი არსადა სჩანდა, ერთი ცოცხალი სიტყვა რა არის, არსაიდან ისმოდა, არავინ იძახდა,—სამშობლოს ვუშველოთო;—ჩვენს გმირს ქალსაც სხვა მეტი არა დარჩენოდა—რა, ჰგლოვობდა თავისს შვილებსა, არ ივიწყებდა დახოცილ მებრძოლთა და წამებულთა...

მაგრამ აჰა, დადგა 1871 წელიწადი. პატრიოტულმა მოძრაობამ კვლავ ფეხი აიდგა. დედაბერი ტონკა მთელის თვისის ძალღონით ჩაება ამ საზოგადო ფერხულში. განუდრეკელი ხასიათი და ზნეობრივი ძალღონე ტონკას ისევ შერჩენოდა. გარდა ამისა, ხუთი შვილი კიდევა ჰყავდა. მაშასადამე, კიდევ შეეძლო ბევრი რითიმე დაჰხმარებოდა თავისს დაჩაგრულს სამშობლოსა, ბევრი რამ შეეძლო შეეწირა მისის განთავისუფლებისათვის... ტონკაც ყველაფრით დაეხმარა, ყველაფერა შესწირა...

ამ დროს სამოღვაწეოდ გამოვიდნენ ისეთი „მოციქულები“ თავისუფლებისა, როგორებიც იყვნენ ანგელ კინჩევი, დიაკონი ლევსკი და სხვ. ამათის მეთაურობით რუშჩუკში დაწესდა „ბოლგართ საიდუმლო კომიტეტი.“ პირველი კრება დედაბერ ტონკას სახლში ჰქონდათ. ამ კრებაზე დამსწრე ტონკამ ფრიად გაანკვიფრა თვისის გულადობითა, მხნეობითა, გულგაუტეხლობითა. მთელი ღამე თეთრად გაათენა, წამ-და-უწყუმ ეზოში გამოდიოდა, ათვალღირებდა ყველა კუთხეებსა, შეთქმულებს ჩუმად ყურს ხომ არავინ უგდებდნო, მერე ისევ ოთახში შემოდიოდა, სადაც მოლაპარაკება ჰქონდათ; დიდის აღტაცებით უსმენდა ნათქვამსა, კომიტეტის წევრებს ამხნეებდა, აფიცებდა, ამ წმიდა ბრძოლას სულის უკანასკნელ აღმოხდამდე თავს ნუ დაანებებთო, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლეთო. საშინლად უხაროდა, საქმე კვლავ აღიძრაო, წინანდელმა მსხვერპლმა, რომელშიც თვითონაც ედო წილი,—უქმად არ ჩაიარა, დათესილი თესლი მიწაში უხმოდ არ ჩაღბაო...

ახლა ისიც მოიგონეთ, რომ ეს ამბავი მაშინ იყო, როცა ოსმალები საშინლად სდევნიდნენ სამშობლოს გულ-შემატკივართა, როცა ყოველგან სახრჩობელები იყო ამართული,— მოწიწებით მუხლი უნდა მოიდრიკოთ ამ წმიდა დედაბრის წინაშე და შესძახოთ: სახელი და დიდება შენ, დიდებულო მამულის-შვილო! მართალია, აწმყო ბევრს არაფერს სანუგეშოს წარმოადგენს, მაგრამ მაინცა გვწამს, რომ იმ ერს, რომელმაც დიჰბადა დედაბერ ტონკას მსგავსი ადამიანი, მტერი ვერას დააკლებს...

საიდუმლო კომიტეტი, ლევსკის აზრით, რუშჩუკში იმისათვის დაარსდა, რომ რუმინისთან მისვლა-მოსვლა გაეადვილებინათ, და საზღვარ-გარეთიდან ბოლგარეთში ადგილად შემოეტანათ თოფ-იარაღი, აღკრძალული წიგნები და სხვ. ამიტომ, ყოველთ უწინარეს, ისეთი საიმედო ადგილი უნდა მოეძებნათ, სადაც შესაძლებელი იქმნებოდა დაემალნათ თოფ-იარაღი და აქ მოსული „მოციქულები“. დედაბერ ტონკასთანა საიმედო კაცს აბა ვის იპოვიდნენ! და აჰა, მისი სახლი აირჩიეს საწყობად და შესაკრებელ ადგილად. ამ აზრით, ტონკასიანებმა დიდის სიფრთხილით სახლის ერთ-ერთ ოთახის ქვეშ ღრმად მიწა ამოსთხარეს, სადაც თოფ-იარაღი უნდა შეენახნათ და, როცა საჭირო იქმნებოდა, რამდენსამე კაცსაც შეეძლოთ დამალვა. ტონკამ ყოველ შემთხვევისათვის ეზოში რამდენიმე პატარა კარებიც გააკეთა, თუ ვინიცობაა უეცრად თავს დაესხმოდნენ, ტონკას სახლს გაუჩხრეკდნენ, დამალულებს შეეძლოთ ამ კარებიდან თავისთვის ეშველათ... გარდა ამისა, დედაბერმა ტონკამა, რომელიც კომიტეტის ბრძანებით ჰმოქმედებდა, რამდენიმე რუმინელი მენავეები მოიმხრო და რუმინიიდან მათს საშუალებით ყველაფერი შემოჰქონდათ, რაც კი საჭირო იყო მომავალ აჯანყებისათვის; ნაგებით მოტანილს ნივთებს ტონკა და მისიანები ღამით მიწის ქვეშ ჰმალავდნენ. ტონკასა, მისს ქალებსა და კიდევ რამდენსამე სხვა დედაკაცებსა, რომელთა შორის დავასახელებთ, ნატალია ყარაველოვსა, ლიუბენ ყარაველოვის ცოლსა, რამდენჯერ შემოუტანიათ კაბებ ქვეშ და-

მალული ხმლები, რევოლვერები, წიგნები, გაზეთები და სხვ. რუმინიდან რუსიუკში!... ვინ იცის, რამდენჯერ კიდებულა მათი სიცოცხლე ბეწვზედა!... ტონკას უფროსი ქალი, პეტრანა, როცა საჭირო იქნებოდა, წერილებს ატარებდა რუმინიასა, რუსიუკსა და ტირნოვოს შუა და ასრულებდა სხვადასხვა მინდობილობასა კომიტეტისასა. პეტრანავე ჰკერავდა რაზმებისათვის დროშებსა... ამავე დროს უმცროსი ვაჟი გიორგი, ტონკამ ოდესაში გაგზავნა, სამხედრო ხელობა ისწავლე, მალე გამოგვადგება შენი ცოდნაო... საზოგადოდ, ტონკა ამ დროს ბევრს რასმე აკეთებდა, ყველგან ერეოდა მისი კურთხეული დაულალავი მარჯვენა... ვინ იცის, ვინ არ მოდიოდა მისს სახლში; ყოველთვის ბუზივით ირეოდა ხოლმე ხალხი მისას. ცნობის-მოყვარე მეზობლებს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი შეუშინებლად არ გამოეპარათ. ტონკას საბედნიეროდ, მოზობლებმა არ იცოდნენ ვინ ან რისთვის დადიოდნენ მასთან, და გადასწყვიტეს, ტონკა, ალბად, მკითხაობს და ეგ ამოდენა ხალხი კიდევ იმიტომ აწყდება მისს სახლსაო.

ამაობაში დადგა შემოდგომა 1875 წლისა, როცა უნდა მომხდარიყო საერთო აჯანყება; სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, აღარ მოხდა, მხოლოდ აქ-იქ მოახდინეს ამბოხება, როგორც მაგალითად ძველს ზაგორაში, შუმლაში, ჩერვენოვოლაში (რუსიუკს ახლო) და სხვ.

რა თქმა უნდა, კვლავ იჩინა თავი ოსმალთ მტარვალობამა... რუსიუკში მთავრობამ, უწინარეს ყოველთა, ყურადღება დედაბერ ტონკას მიაქცია, რომელსაც წინანდელი ცოდვები ისევ აწვა სულზე; იმისი შვილები — ნიკოლაი და გიორგი, იმ ხანებში ოდესიდან დაიბარეს, და იმ აჯანყებაში ერივნენ; ახლო ორივე დედის სახლში იმალებოდნენ; მათთან ერთად რამდენიმე მათი ამხანაგიც იფარავდნენ თავსა. ერთს ღამეს ტონკას პოლიცია დაესხა თავსა. მაგრამ ვერც მემამოხენი იპოვნეს და ველარც სხვა რამე. გვერდის კარებიდან ყველამ დროითვე უშველეს თავსა, — უშველეს თავსა პეტრანამა და მისმა ძმებმაც, თორემ არც იმათ დაინდობდნენ... მიწისქვეშეთი თოფ-იარაღითა



და წიგნებით იყო სავსე, მაგრამ ტონკამ იმდენი ითვალმაქცა, ისე ოსტატურად მოიქცა, რომ პოლიციამ ვეღარ აღმოაჩინა... მართალია, მთავრობა პირჩაღა-გამოვლელელი დარჩა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახდნენ, — დედა-ბერი ტონკაა, რაც არისო, ის არ იყო, ასე აშკარად რომ ჩააყენა თავისი შვილები მემამოხეებში?! ემუქრებოდნენ — სახრჩობელა არ ავცდებიაო! დედაბერი ტონკა ქრისტეს აჩუას დაემსგავსა, იცინოდა, ხუმრობას მოჰყვა.

— დამაცადეთ, მალე ხელახლა გაეთხოვდები, — სერიოზულად ეუბნებოდა ოსმალთ მრისხანე მოხელეებსა, როცა ისინი ხელახლა მისს ოთხს მემამოხე შვილს მოაგონებდნენ.

— ეს შვილები, მართალი უნდა სთქვას კაცმა, როგორც მინდოდა, ისეთები ვერ გამომივიდნენ. მაგრამ ახლა ვეცდები, სულთანის დუშმანები მეტად არა ვშობო...

მოხელეები ძალა-უნებურად იცინოდნენ მწ წლის დედაბრის, ან როგორც ეძახდნენ, ამ „ხოჯა კომიტის“ მასხარობაზე, და ჯერხანობით არ იქერდნენ.

თავისუფლება კი დედა-ბერ ტონკას ძალიანა სჭირდებოდა, რადგან საქმე იმდენი ჰქონდა გასაკეთებელი, რომ ძლივს-ლა ასდიოდა. რუშჩუკის სატუსალო, როგორც ბევრ სხვაგან, სავსე იყო ბოლგარელ პატრიოტებითა, რომლებზედაც მთავრობამ ექვი აიღო, რევოლიუციაში მონაწილეობას იღებნო. ბევრი შენიშნულები, მათ შორის ტონკას შვილები — ნიკოლაი და გიორგი, — გაიქცნენ რუმინიაში და ჟურჟევოში სცხოვრობდნენ ლუკმა-პურის სახსარ-გაწყვეტილნი. საჭირო იყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ, დახმარებოდნენ ორსავე, — დაჭერილთაც და გადახვეწილთაც. აი, ამ წმიდა საქმის დახმარებას შესწირა სავსებით მთელი თავისი ძალ-ლონე გმირ-პატრიოტმა ტონკამა. თვითონ ღვთის განაჩენი არა ებადა-რა საცოდავსა და ამიტომ ყოველი ცისმარე დღე დაწანწალებდა რუშჩუკელ ბოლგარელთა სახლებსა და დუქნებში, ფულებსა და შესაწირავს აგროვებდა ამ წმიდა საქმისათვის.

საბედისწერო 1868 წლიდან დიდი ხანი გაეიდა; ბოლგარელები ამ დროის განმავლობაში გულისხმაში ჩავარდნენ; —

დედა-ბერ ტონკას წინანდებურად არა ჰლანძღავდნენ, არა ათრევდნენ, არა სწყევლიდნენ და ვისაც რა შეეძლო, არ უჭერდნენ. ისიც შეგროვილს ფულებს ჯერ სატუსალოში მიარბენინებდა, სადაც წინანდებურად, თავისუფლად შეეძლო შესელო, — სატუსალოდან ღუნაიზე გადიოდა გადახვეწილებთან, აცმევდა, აკმევდა, ასმევდა ყველასა; უკან მათი საცვლები და ტანისამოსები შინ მოჰქონდა, ჰრეცხდა, აკერებდა, მერე ქურქევეოში გაჰქონდა; და, ამგვარად დარბოდა, ფაცა-ფუცში იყო, ჰზრუნავდა, დღესა-და-ღამეს ასწორებდა მუშაობაში თავისი უბედურ თანამომქმთათვის. ცუდი ღლე დადგებოდათ ბოლგარელ ემიგრანტებს, რომ ღმერთს მათთვის ქურქევეოში არ მიეცა მხნე მოსიყვარულე თავისუფლების საქმისა და მისთვის მებრძოლთათვის თავდადებული დედაბერი ტონკა!...

1876 წ. ახალი მწუხარება და უბედურება დაატყდა თავსა დედაბერ ტონკასა. მისი რუმინიაში გაქცეული შვილები ჩუმად შემოიპარნენ სამშობლოში, „მოციქულობა“ იკისრეს და მხნედ შეუდგნენ ქადაგებას და ხალხის მომზადებას საერთო აჯანყებისათვის. აჯანყება მოხდა კიდეცა, — და აქ, ტონკას ეს ორი ვაჟიც დაეღუპა: გიორგი ოსმალებთან ბრძოლაში მოჰკლეს, ნიკოლაი ცოცხალი შეიპყრეს და ხუნდებ-გაყრილი, სხვა იუნაკებთან ერთად რუშიუკში მოიყვანეს, აქლდან კიდეც სენ-ჟან-დარკის ციხეში გაგზავნეს, სადაც, ეს შვიდი წელიწადი იყო, მისი უფროსი ძმა, ანგელი, იტანჯებოდა...

ტყვეები ღიღის ამბით გააცილეს... ოსმალნი მაშინ ძალზე დაფიქრდნენ და საგონებელს ჩავარდნენ. მართალია, ოსმალნი მემამოხეთ სასტიკადა სჯიდნენ, ამ შემთხვევაში მათმა გულმა შებრალება არ იცოდა, და მაინც, ღლეს რომ ერთს ალაგას აჯანყებოდა ხალხი, ხვალ მეორე ადგილას იჩენდა თავს იმნაირივე აჯანყება. და თან-და-თან სერიოზული და საშიში სახე ეძლეოდა ამ ამბოხებასა. საქმე უარესად მწვავედებოდა და ოსმალები დაფიქრდნენ, — ბოლგარელები არა ხუმრობენო!...



თეთონ ბოლგარელთ მხნეობა და გამბედაობა მოიკრიფეს, თა-  
 ეი მაღლა აიღეს. როცა ჰაჯი-დიმიტრის და სტეფანე ყარაჯის  
 ამხანაგებს სწყვეტდნენ, ბოლგარელები თავზარ-დაცემულნი თა-  
 ვიანთს სოროებში ძვრებოდნენ დასამალავად და ფიქრსაც კი  
 ველარა ჰბედავდნენ, ასე თუ ისე, აშკარად გამოეცხადებინათ  
 თავიანთი თანაგრძნობა ოსმალებისაგან დევნილ და ათვალის-  
 წუნებულ თვის მოძმეთათვის. ახლა კი, 1876 წ., ტყვეებს ხელ-  
 ში ყვავილებით ასობით აცილობდნენ ბოლგარელნი ქალი თუ  
 კაცი... დედა-ბერი ტონკა, ამაყად თავ-აღებული ყველაზე წინ  
 მიდიოდა, თვის შვილს მოსდევდა, ხმა-მაღლა ლაპარაკობდა: ეს  
 ოთხი შვილი შევსწირე თავისუფლებისათვის ბრძოლასაო! თანაც  
 უმატებდა,—ახლა კიდევ სხვა ოთხიც რომ მყავდეს, იმათაც ვა-  
 ნაცვალეზბდი იმავე ბრძოლას თავისუფლებისასაო!..

1888 წ. სენ-სტეფანეს ზავის შემდეგ, დაობლებულ დედა-  
 ბერს ტონკას უდიდესი ბედნიერება ელირსა: თვის მრავალ-  
 ტანჯულს მოხუც გულზე მიიკრა თვისი შვილები მცერე აზიის  
 ციხიდან გამოშვებულები. პირველი ნიკო დაბრუნდა, ციხეში  
 ორი წელიწადი იჯდა. ანგელი მერე გამოუშვეს. იმასა და მი-  
 სის შვილის ამხანაგს ოსმალების მთავრობა დიდ ხანს არ უშ-  
 ვებდა,—ჰაჯი-დიმიტრის ამხანაგები პოლიტიკური დამნაშავენი  
 კი არა, უბრალო ავაზაკები არიანო.



დედა-ბერი ტონკა, ყველასაგან დავიწყებული და თავ-მი-  
 ნებებული, დღესაც ცოცხალია. მასთან ერთად სცხოვრობენ  
 მისი ციხიდან გამოშვებული ორი ვაჟი, რომელთაც, ვითარცა  
 „არა-საიმედოდ“ (რა სისაძაგლეა, მკითხველო!) ყოველ დღე  
 დაწოწილებენ პოლიციაში, ჯაშუშებს უჩენენ, ნებას არ აძ-  
 ლევენ რამე გააკეთონ... მთელი მისი სიმდიდრე, მისი წარსუ-  
 ლი ცხოვრება და მოგონებაა გავლილის ამბებისა, რომელთაც  
 ყველას დიდის სიამოვნებით უზიარებს ხოლმე, ვინც კი მისს  
 სანახავად მიდის. განსაკუთრებით ამაყობს სტეფანე ყარაჯის  
 თავის ქალათი, რომელსაც მოწიწებით თავის ზანდუქში ინა-  
 ხავს...



მისის უფროსის ქალის, პეტრანასი, და მეხუთე ტანასისა, არა ვიცი-რა. უმცროსი ქალი, ანასტასია კი, ცოლადა ჰყავს ბოლგართა ნიჭიერს მწერალს და სახელოვანს პოლიტიკურს მოღვაწეს, ზაქარია სტოიანოვს.

თ. ს.

(შემდეგი იქნება)

## უმაგულოდ დასტოვება სიზნებისა

### წერილი ივანე ივანიძისა\*)

საქართველოში არსებობს ერთ-გვარი გლეხ-კაცობა, რომელსაც სიზნებს უწოდებენ. სიტყვა სიზანი, შესიზნული, აღნიშნავს, როგორც წარმოსდგენს ამ გვარნი მხენულ-მთესველნი.

იმ დროს, როცა განუწყვეტელი ომები იყო ატეხილი სხვადასხვა ტომთა-შორის კავკასიაში, როცა ცარცვა-რბევა და თავდასხმა ერთის ტომისა მეორესუდ გახშირებული იყო, ისინი, ვისაც დაბინადრება უნდოდა და თავის ოფლით ცხოვრება, ანებებდნენ თავს თავიანთ სამშობლო ქვეყანას და მიდიოდნენ ოსეთიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და სხვა შფოთ-გახშირებულ ქვეყნიბიდან ქართლ-კახეთში, საცა ცოტადნად უფრო მოსვენებული იყო მკვიდრი ცარცვა-რბევისა და აკლებისაგან. იქაურ მემამულეებს უხაროდათ იმათი მისვლა, უხაროდათ, რომ მოვიდნენ და შემოაკვებინებინო, რადგან შემოსიზნულნი შეიმუშავებდნენ უხსავ-უთეს მიწებსა და მემამულესაც შემოსავალი მოემატებოდა. ამისთანა მიწებსუდ მათი დასახლება ფრიად სასარგებლო იყო მამულის პატრონთათვის. გა-

\*) Русское Богатство, 1896, № VI—ამ წერილის შესაღვენლადაო, ამბობს ავტორი, ხელთა მქონდა შემდეგი წყარონი: „მასალა შესასწავლად სიზანთა დებულებისა საქართველოში“, მ. ნ კუნავეისა, „ხიზნები და სიზნობა“, ქრ. ა. ვერმიშევისა; ეს ორივე წერილი დაბეჭდილია I ტომის მე-IV ნაწილში: „მასალიანი იმიერკავკასიის გლეხთა ხაეკონომიო ყოფი-ცხოვრების შესასწავლად“, „წერილი სიზანთა საქმის გამო“ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, „გადასინჯვა სიზანთა დებულებისა“ ს. ზავაროვისა „Нов. Обоз.“-ში № 3455, მისივე ხელ-ნაწერი „შენიშვნები გორის მაზრის მცხოვრებთა ყოფი-ცხოვრების შესასწავლად“, — აბრამოვისა „ხიზნები“, დაბეჭდილი „Сѣв. Вѣст.“-ში, 1886 წ. № I.

დასახლებულთა-შორის ზოგნი ეუმობდნენ სოლმე მებატონეს, სოლო ზოგნი, თავისუფლებას ჩვეუნი თავიანთ სამშობლო ქვეყანაში, არა ნდომობდნენ უმად-დასახლებასა და ცალკე მორიგებასა სდებდნენ მიწად-მფლობელთან; ეს მორიგება იმავედ იყო დამყარებული, რომ შემოხაზნულს უნდა სამუდამოდ და ქმთა-გაუთავებელივ ეუფლას და ეჭმას მამული, რომელიც მიეცემოდა, და ამისათვის უნდა ესდნას ერთსევე და სამუდამოდ გადაწვეტილი გადასახადი. შემამულეს ნება არა ჰქონდა გამოქირხნა მისთვის ის მამული და ხიზანიც შირადად თავისუფალი უნდა ყოფილიყო.

დაწვებით ასე დაიწყო ხიზნობა, რომ ქართლ-კახეთში გადასახლებდებოდნენ სოლმე ასლო-მასლო ქვეყნებიდან თავისუფალ მამულებზედ დასაბინადრებლად, სოლო შემდეგ ხიზნობა განვითარდა და გაძლიერდა ქართლის მიწად-მფლობელთა მამულების სიმცირის მიზეზითა. საეკლესიო და სასელმწიფო გლეხ-კაცნი, მიწების სიმცირის გამო, მაგალითად, გორის მაზრაში, საცა უფრო განშირებულია ხიზნობა, მებატონეებს შეეხიზნებოდნენ სოლმე და ხიზნათა წესით ეკიდებოდნენ ახალ ბინადრობას. მცირე მამულების პატრონის გლეხ-კაცნი მიდიოდნენ ხიზნებად მეორე, უფრო დიდის მამულების პატრონთან და ამ სახით ერთსა და იმავე დროს უმანიც იყვნენ და ხიზნებიცა.

მებატონეთა მამულის გამუდმებულ ხმარებისათვის ხიზნების გადასახადია:

ლილა სახნავ-სათესის მიწის ხმარებისათვის მოსავლის მეექვსედედან ნახევრამდე, ან ძნა-ბულულებად, ან სოროლად.

2) სათიბის გათიბვისათვის გადასახადი იმავე რაოდენობისა, მაგრამ უფრო კი გათიბულის ნახევარი სათიბის პატრონს ეძლევა.

3) ნახევარი ხიზანისაგან გაშენებულის კენახისა 5—10 წლის შემდეგ, იმის და მისევეით, თუ რამდენად საადვილო ან საძნელო გასაშენებელი იყო, ხიზანის საკუთრებაა, სოლო მეორე ნახევარი — მებატონისაა, ან არა კიდე, 10—12 წელიწადსა სჭამს ხიზანი თავის ნაამბარს კენახსა და მეორე მთლად კენახი მებატონეს საკუთრებად იდებს.



4) თუ მებატონის გენსა ან ხეხილიანი ბაღი უჭირავს ხიზანსა, მაშინ ხიზანი ისდის კუთუხსა, ტკბილის მეოთხედს ან მესამედს, ანუ ნახევარ-შემოსავალს აძლევს მებატონესა.

5) მინდვრის მიწისა, ტყისა, სამოვრისა და წყლის ხმარებისათვის ხიზანი მოკალა მოხმაროს მებატონეს ყოველ-გვარ სოფლიურს საქმეში. ამ გადასახადს ბევროა ეწოდება და ნუბყოფლობითს მორიგებასუა დამოკიდებული, რამდენს დღეს უნდა ესმარებოდეს ხიზანი მებატონეს წელიწადში.

წინად ხიზანი ისდიდა გადასახადს მით, რომ აძლევდა მებატონეს ნაწილს თავის მოსავლისას და მუშაობდა იმის სასარგებლოდ რამდენსამე დღეს წელიწადში. ასლა ზოგან ხიზანის ყოველი გადასახადი ნაღდ ფულად არის გაანგარიშებული, სოლო ზოგან მომეტებულ ნაწილად გადასახადი არეულია, ესე იგი ფულადან ისდის ხიზანი, მამულის ნაწილითაც და მუშაობითაც. ვინც ფულად ისდის გადასახადს, იმათ მოსდით ორთა შუა რიცხვით 14 მან. 6 კაპ. კომლზედა. ყველსუდ ცოტა გადასახადი თიანეთის მასრაშია, 12 მან. 73 კაპ., სოლო ყველსუდ მეტი — ბორჩალოსაში — 25 მან. 91 კაპ. როცა გადასახადი არეულია, მაშინ ხიზანს 4 — 6-ჯერ მეტი მოსდის გადასახადი, ვიდრე მაშინ, როცა ხიზანის გადასახადი ნაღდს ფულსუა გაანგარიშებულია.

ხიზნებს ეკუთვნით ტფილისის გუბერნიაში 23,861 დესეტიანა სამოსახლო, სახნავ-სათესი, სათიბი და საბაღე — საკენსესე ადგილები; საკენსესე და საბაღე ადგილები სულ 89 დესეტიანა მხოლოდ ამ რიცხვში. ორთა შუა რიცხვით თვითივე კომლზე მოდის 3, 4 დესეტიანა, სოლო ქუთაისის გუბერნიაში არა უმეტეს 2 1/2 დესეტიანისა. ხიზნების რიცხვი იყო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში 1861 წლამდე 8,102 კომლი, 29,743 სული მამრობითის სქესისა, მერე 1884 წლამდე რიცხვი კომლთა გამრავლდა 8,685-მდე. \*)

ბატონ-ყმობის გადაჯარღნამდე ის ურთიერთობა, რომელიც დაარსდა ჩვეულების ძალით მებატონეთა და ხიზანთა შორის, სა-

\*) ყოველივე ციფირი გადასახადის რაოდენობისა და ხიზანთა რიცხვის შესახებ ამოღებულია შემორე დასახელებულ ი. აბრამოვის წერილიდან.



სარგებლო იყო და სელ-საყრელი, როგორც შირველთა, ისე მერკო-  
თათვის; ამის გამო თითქმის სულ არ უზიარდნენ ერთმანეთს: არც  
სიზნება მებატონეებს და არც მებატონენი სიზნებსა. ძველებურ, მა-  
მა-შვილებურ ცხოვრების დროს, მებატონე შეელოდა სიზნის გაჭირ-  
ებებაში და გადასასადას უძვირებდა, რომ სიზნი კვლავ ფეხზე დაე-  
ყენებინა.

ამ ასეთი ურთიერთობა სიზნითა და მებატონეთა დაუყენა თავლ-  
წინ მთავრობას ტვილისის გუბერნიის თავდა-ზინა-შრობაში და ტვი-  
ლისის გუბერნატორმა და არიკიმ სთხოვეს, სიზნითა წესი მიიღე  
საფუძვლად სნატონო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობისა და  
დამყარების დროსაო. მაგრამ შეერთებულმა კომიტეტებმა კავკასიისა-  
მა და უმთავრესმა, რომელთაც ჰქონდათ დაკავებული ზრუნვა გლეხ-  
კაცობის ცხოვრების წესის დამყარებისათვის, იფიქრეს, რომ მი-  
წად-მიფლობენ დაიწყებენ წესისა და ადამის დარღვევას, როცა კი  
ასეთი დარღვევა მათთვის სასარგებლო იქნება და ამიტომ არ შე-  
იწყინარეს შემოსუნებული წინადადება, «სიზნითა წესი და დებულე-  
ბა მტკიცე წყობილებას არ ამყარებს გლეხ-კაცთა ბინადრობისათვის,  
არ უზრუნველ-ჰყოფს სიზნისა, რომ მამული მუდამ ექმნება მოსა-  
სმარებლად, უჭკვიდებარებს სრულიად მებატონეს უფლებასა და თვით-  
მნებელბას და ამიტომ ვერ იქმნება მიღებული საფუძვლად ახალ  
კანონ-დებულებათა, რომელიც უნდა გამოიღვას გლეხ-კაცობის ყოფა-  
ცხოვრების მოსაწყობად».\*)

საგლეხო რეფორმის დებულებამ 19 თებერვალს 1861 წელს  
სიზნების უფლებანი არ განსაზღვრა. ადმინისტრაციამ არ იცოდა  
სიზნითა სვეულებრივის მართლდებულების განსაკუთრებული თვისება-  
ნი და, რუსეთის ბატონ-ყმობის მისედეგით, ჰკონებდა, რომ სიზნ-  
თა და მებატონეთა ურთიერთობაც შირადს დამოკიდებულებაზე და-  
მყარებულიო. ამ არ ცოდნით აისხნება შედეგო საინტერესო ამა-  
გი, მოთხრობილი ბ-ნ აბრამოვის წერილში.

სიზნითა და თავად მანახელთა შორის უსამოკნობის მოსა-  
სნობად, თთ. მანახლებს, იმიტომ რომ განთავისუფლეს თავიანთი

\*) ყურნალები იმერ-კავკასიის ცენტრალურის კომიტეტისა საბატონო გლეხ-  
თა ყოფა-ცხოვრების საფუძვლად დასამყარებლად.



ხიზანი ოსნი, რომელნიც აჩასოდეს ემანი არა ეოფილან, კძლევათ ეოკელ-წლივ ხაზინიდან 5,000 მან., ხოლო ოსებისაგან—მეათედი მოსავლისა.

1864 წლის დებულება იმ გლეხ-განთავის, რომელნიც განთავისუფლებულ იქმნენ ბატონ-უმობისაგან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიისაში, მხოლოდ ორს მუხლში იხსენიებს ხიზნებს: მე-7 მუხლში, რომელიც ხიზნებს მებატონის მსლებელთა და მისხურთ უთანხობებს, ნათქვამია, რომ «გადასახადის მოკალეობანი, რომელიც დაეკისრათ 19 თებერვლის 1861 წლის დებულებით მებატონის მსლებელთა და კარისა მისისა მოსამსახურეთ ორის წლის ვადით, დაეკისრებათ იმ გლეხ-განთავსა, რომელნიც დაბინადრებულ იქმნებიან ხიზანთა წესით მეორე მებატონის ან უწეების მამულზედა»; ხოლო მე-8 მუხლის ძალით «ხიზნები ხიზანთა ეოფაშევე რჩებიან იმ წესისამებრ, რომელიც არსებობს თავისუფალ წოდების ხიზანთათვის».

ამ სახით, გლეხთა განთავისუფლების დროს ვაკეასიაში, საკანონმდებლო წესით არ იყო დამტკიცებული ხიზნების-მიერ მედმივისა და საეკონომიკური აფარით აღება მამულისა, შემოღებული და დაკანონებული ჩვეულებრივის მართლიერებითა. ხოლო თუ სასურველი იყო, რომ ჩვეულებრივი მართლიერება და წეს-ადათი წინანდებებ შუწინარებულ ეოფილიყო, როგორც ხიზანთა, ისე მებატონეთა-მიერ, საჭირო იყო შეუწყველლობა იმ საეკონომიო წეს-წყობილებისა, რომელმაც იგი მართლიერება და წეს-ადათი დაჭზადა. მაგრამ, რაკი ის საეკონომიო წეს-წყობილება გლეხთა განთავისუფლების შემდეგ შეიცვალა, ხიზნების უფლებანი შეირყა და მებატონეებმა სხვა-და-სხვა ღონისძიების მიჭმართეს ხიზნობის მოსახლობად.

II

სიმცირე საკომლო მამულებისა, რომელიც მიეცათ გლეხებს, ბატონ-უმობისაგან განთავისუფლებულებს, იყო მიწეზი იმისი, რომ გლეხ-განნი იძულებულნი იყვნენ საღალოდ ეხნათ მებატონის მამულებიცა, ხოლო ამის გამო მიწის ფასმა, მისმა ეჭარამ აიწია, და-



ღამ იმატა და ქართველ თავად-აზნაურობას იმედი მიეცა მამულე-ბის შემოსავლის გამატება-გადიდებისა. ხიზნთა ჩვეულებრივი მართლიერება, რომელიც დამყარებულია მამულის სამუდამოდ იჯარით აღებაზე და ამასთანავე უზრუნველ ჰყოფს ხიზნების გადასახადითა შეუცვლელობას, გადაელობა წინ ამ იმედსა და თავად-აზნაურობამ დაუწყო ბრძოლა ხიზნობას.

დავიწყოებულ იქმნა, რომ ხიზნებმა დიდი ამაგი გასწიეს თავად-აზნაურთა მამულებში და სახსრე-სათეს მინდვრებად გადააქციეს მიუგალი ადგილები ტყე-ღრეში და მით შეიძინეს რადენხადმე უფლებება იმ მამულების დასაყუთრებისა, უფლება, ჩვეულებრივის მართლიერებით დაკანონებული და დალტვილი-შეწყნარებულია. ამ საქმეში ხიზნების გამარჯვებისათვის საჭირო იყო დიდი გრძნობა სამართლიანობისა, ისეთი გრძნობა, რომელიც ჯერ არ დასადგურებულია ადამიანთა გულში. ამ შემთხვევაში ასეთი თეძირი და გრძნობანი არც კი შეჭბრძოლებიან ერთმანერთს. ხიზნები მინამდვილსა სარკველობანი იყვნენ მიწად-მფლობელთათვის, იმიტომ რომ შემოსავალს იმდროდნენ, ხოლო შემდეგ უსარკველობანი შეიჭმენ, რადგან შესაძლოა გახდა სხვა მოიჯარადრეთაცან, არა ხიზნთაცან მეტი შემოსავალი მიეღოთ.

და აი მებატონეებმა დაიწვეს დარღვევა ხიზნთა უფლებებისა გარდასახადების მომატებითა ან მამულიდან აურითა. ამ სურვილის მისაღწევად სხვა-და-სხვა ღონისძიებანი იქმნა ხმარებული: დათათბირება, მოტყუება, ძალ-მოძრება და ჩივილი სასამართლოში ხიზნების აურისა და გადასახლებისათვის, თითქო ისინი უბრალო მოიჯარადრენი ყოფილიყვნენ. ამ საჩივრების გამო დადგენილ განაჩენთა აღსრულებაში მოყვანამ გამოიწვია ზოგაერთის ადგილებში ესრელ-წოდებული «უწესოებანი».

იმ მისაღებთან, რომელიც შეუტრება ს. ზაკაროვს გორის მაზრის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, მოკატიან რამდენსამე მაგალითის იმის დასასურათებად, თუ როგორ არღვევენ მამულენი ხიზნთა ჩვეულებრივს უფლება-მართლიერებას.

სოფ. წაბლთანში მემამულეებმა დღის მოსამატებად შემდეგს ხერხს მიჭმართეს: უთხრეს გლეხ-კაცებს, გვაძლიეთ დღიურზედ ორ-



ორი კოდა და ორ-ორი ჩანახაი, ესე იგი ორჯულ მეტი წინანდელურად ზედ, ხოლო იმ პირობით, რომ დღიურიც ერთი-ორად მეტის ზომისა ვიანგარიშითა. გლეხ-გაყვები კერ მიჰსვენენ, რა ზარალი მოგვებოდა ამ ხნადს წესს მათთვის და დასთანხმდნენ. ღალის მომატების პირველ წელიწადს მებატონეებმა მართლა ორი დღიური ერთ დღიურად უანგარიშეს, მეორე წელიწადს დღე-ნახევრისა იანგარიშეს დღიურად, ხოლო მესამეს—ჩვეულებრივ დღიურზედ აიღეს ხლად დაწესებული ღალა და ამ სხნით ამ ღალამ ერთი-ორად იმატა. ამას გარდა, გაადიდეს ჩანახიც: 20 წლის წინად 20 გირვანქიანი ჩანახი ედგათ, ხოლო ასლა 25—28 გირვანქიანი უდგიათ.

სოფ. დუმცხსოვს უმამულემ წართვა ხიზნის ხუთ-დღიურამდე ახეული, რომელშიაც პური უნდა დაეთესა, და აუშალა ღობე ხაფუძკისა, რომელსაც ხიზანი ვენახად უპირობდა გაშენებას.

სოფ. სატიაკს მებატონემ უთხრა გლეხ-გაცს 1891 წელს, პირობა შეეკრათ კადითა და, რაცა ის არ დაეთანხმა, წართვა მამული, გამოსართვა სამი თუშინიცა და ბარათი კი არ მისცა, რომ ფული მივიღო.

სოფ. გორს მებატონემ გაურის შემდეგ ჩაიბარა მამულები 12 წლის წინად და კადიანი პირობა დაუწერა ხიზნებს; თუ ამ პირობას არ დამიწერთ, აგურით მამულიდანხო.

სოფ. ქინძათს 1892 წელს სამოსახლო ადგილში აძლევენ მებატონეს 18 მან. წელიწადში. 5 წლის წინად იმავე ადგილში ისდიდნენ 9 მან., ხოლო 14 წლის წინად—მკაში შეკლდნენ მებატონეს და 6 იანგარს მღვენს პიართმევენ ხოლმე: ერთს ქათამს, ერთს დოქს ღვინოს და ერთ ცხრა პურსა.

სოფ. კამპურს (?) უმატებენ ღალას, როგორც დღიურის შემცირებითა, რაცა ძალიან გაკრცულდა ამ ბოლოს დროს ხიზნითა საზარალოდ, ისე ჩანახის კადიდებითა. ოციოდე წლის წინად 20—21 გირვანქიანი ჩანახი ედგათ. მსუკან თან-და-თან ადიდებენ, ხოლო ამ 6—7 წლის განმავლობაში ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ჩანახი  $\frac{1}{2}$ —1 გირვანქა არ მოუმატონ. 1891 წელს 27 გირვანქა ჩადიოდა ჩანახში. 1892 წელს სამი მეჭი კიდეე მოუმატეს, (ორის ხელითა), მასხადამე, ჩანახი კადიდებულია 28—29 გირვანქამდე;



მერე, როცა ღაღას ირწყავენ, ჩანასხე შირამდე ავსებენ, რამდენჯერმე მიატრიალ-მოატრიალებენ, მერე შეჭბურტყავენ საკმაოდა და მხლოდ მასუკან გადაუსმენ ჟოხსა. ერთი გლეხ-გატი გვიამბობდა, რომ თანდა თან ადიდებენ საწყაოსა და ახლა ისე დამიმდა კოდი ჰური, რომ ვაჟგატი ვერ ასწეოს, ხოლო ეს დიდი უღმერთობაა და ღვთის წინააღმდეგიაო. თუმცა ამ 12 წლის წინად მომხრებულმა შუა-განძის სოფლის ყრილობის თანადასწრებით ოც-გოკვანქიანი სპაიუნძის ჩანასი დაღვა, რომელშიაც 3 მან. მისცეს ხიზნებმა, მაგრამ მებატონენი მაინც ყურს არას უგდებენ და ძალით იღებენ ისე, როგორც სასარგებლოა მათთვის.

ყოველ ამ ღონისძიებაში, რომელიც მიმართული იყო ხიზნათა გადასახადის გასამატებლად და იმათ აყრა-გადასახასლებლად, მიიქცია ყურადღება ადმინისტრაციისა.. 1869 წელს ტფილისის გუბერნატორმა აუწყა კავკასიის ჩამესტნიკის მთავარ-სამმართველოს \*), რომ რამდენიმე შემთხვევა იყო ძალ-მომხრებით ხიზნათა აყრისა მებატონეთა მიერ და თან დასძინა, რომ აყრა და გადასახლება დიდს ზარალს მისცემს ხიზნებს და, არა თუ ზარალს მისცემს, გააღატაკებს კიდევცაო და სთხოვა: 1) დაავტოვოთ ხიზნები ესლანდელ ბინაზედ წინანდელის წესით ორის წლის განმავლობაში კიდევ, ნება მივცეთ ამ ხანში ნება-ყოფლობით მოურავდნენ მებატონეებს, თუ უნდათ შემდეგაც იღვნენ იმათ მამულზედა და ისმარონ იმათი მიწა-წყალი, თან დააკვალათ კიდევ ხიზნებსაც და მებატონეებსაც შეეკრან ერთმანეთს წერილობითი: სელ-შეკრულობით; 2) დააკვალათ ხიზნებს, რომელნიც ვერ მოურიგდებიან მებატონეს, დროით აწილობნ ეს გარემოება სასელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რომელზედაც იქნება შემდეგ დამოკიდებული, მისცენ თუ არა იმ ხიზნებს სასელმწიფო ანუ საკვლეისო მამულები და ან ის მამულები, რომელსაც ხიზნები თვითონ ისურვებენ, თუ რომელსაც თვით სამმართველო ისურვებს; 3) დააკვალათ იმ მამულების მებატონეებს, რომელთაც ხიზნები დასტოვებენ, მისცენ მათი ფასი, რა ფასიც იქნება დადებული იმ სამოსახლო და სა-

\*) 19 ოქტომბერი 1869 წელს № 1068.



ბინადრო შენობათათვის, რაც შემდეგ მამულების პატრონის რწმუნებულთაგან, და 4) ნება მიეცეთ სიზნებს, როგორც დროებით-გადადებულთ გლესთა აქვთ ეკ ნება, შეისუიფონ, თუ სურთ, მამულები და სსსსლ-გარე ადგილები მთავრობის დასმარებითა, იმ წესისამებრ, რომელიც შესუიფვის აშკრაციისათვის არის დადგენილი და გამოცემული, გარნა ეს შესუიფვა კი, თუ არ მამულის პატრონთა თანხმობით, სსკაფორიკ არ უნდა მოჰხდეს.

ეს წინადადება გუბერნატორისა უუურადღებოდ იქმნა დატოკებული. გავიდა ექვსი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობა მიწად-მოვლობელთა და სიზნთა შორის უფრო მწკაკდებოდა. 1875 წელს ტფილისის გუბერნატორმა აუწუა კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმარტველს\*), რომ ძრეელ იმეტა სიზნების სანიგრებმა, მემამულენი მეტის-მეტს ბევრს გადასსსადსა კვოსოკენო და ამის გარდა ძალით აურასაც კეკემუჭრებინო და რომ უწესობის ასაცილებლად, მე კვთსოკეე მომრიგებელ შუა-კაცთა და მარის უფროსთა, ეცადნონ სიზნებისა და მემამულეთა მორიგებას, სოლო როცა ეს მორიგება შეუძლებელი იყოს, ამ გარნი სსქმენი დაუჭკემდებარტ-მეთქი იმ წესით წარმოებას, რომელიც მოხსენებულა 776—804 მუს. კანონთა კრებულის მე-IX ტომისა თავის-უფალ კაცთა შესსხებ, დაბინადრებულთა მემამულეების მიწა-წყალზედა; გარნა იმ სსქმებს კი ნუ შეესებოთ-მეთქი, რომელნიც დაწუებულ იქმნა სსსამართლოებში; ამისათანა სსქმების შემდეგი წარმოება მინდობილი უნდა ჰქმნდეს ისეკ იმავე სამოსამართლო დაწესებულებსა-მეთქი.»

გავიდა სუთი თთვე ამის შემდეგ და გუბერნატორმა აუწუა იმავე სამმარტველს\*\*) რომ ზემოსსენებულნი აღონისძიებანი სიზნთა ეოფა-ცსოკრების უზრუნველ-სყოფელად, სსკამონი არ აღმოხნდნენ და არც ნყოფიერნი, იმიტომ რომ მემამულენი სსკუთრების უფლებას იმიზეზებენ და მანც თავისს განავრძობენ სიზნთა შესსხებ, უძატებენ დლა-კუფუსსა და სსკვა გადასსსადსადა, თუ კინიცობას, სიზნები არ თანხმდებიან, მიჰმარტვენ სოლმე

\*) 15 მაისს 1875 წელს № 475.  
 \*\*) 27 ოკტომბერს 1875 წელს №820.



სასამართლოებს, თხოულობენ ხაზნთა აყრას თავიანთ მიმუღებდას და გადაეკარ ისრულებენ სურვილსაჲს.

გუბერნატორი ამბობს, რომ საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გადასწედეს ხაზნების საქმეა და თან ჰგონებს, ვიდრე გადასწედებოდეს იგი, დაპტოვით დროებით ხაზნები და შემამუღენი იმ უოფაში, რომელშიც იყვნენ 13 ოქტომბრის 1864 წლის დებულების გამოცემამდე და მით დავიცვით პირველნი შეორეთა თვითმხებედობისაგანაჲ. და ეს ღონისძიება მივიღოთ ყველა ხაზნების შესახებ, იმათ გარდა მხოლოდ, რომელნიც ბინადრობენ შემამუღეთა მიწა-წყელზედ ცალკე წერილობითის პირობითა, შინაურულად არის იგი პირობა დადებული თუ სანოტარიუსო წესითა და რომელნიც ამის გამო მოკალენი არიან დაქმონიანდნენ იმა პირობათა ძალსაჲს.

მხოლოდ 1876 წელს გადასწეიტა კავკასიის კომიტეტმა, გუბ-განთა მოსაწყობად დაარსებულმა, რომ საგუბერნიო საგუბ-განო საკრებულოთა მიერ შეკრებილ იქმნას ცნობანი ხაზნთა შესახებ და იმათვე წარმოდგინონ თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებათა მიღება საჭირო, რომ მტკიცედ მოეწიოს საჯგოდ-მამულო საქმე ხაზნებისა. ეს გადაწყვეტილება კომიტეტისა დამტკიცებულ იქმნას კავკასიის ნამესტნიკისაგან. ამისთანავე გადაწყვეტილ იქმნა აგრედკე, რომ ის საქმენი, რომელნიც წარმოსდგება ხაზნთა და შემამუღეთა დავი-დარბის გამო, განსილულ და გადაწყვეტილ იქმნას ხოლმე საგუბ-განო საქმეთათვის დაარსებულ დაწესებულებათა მიერ, ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით, და არა საზოგადო სამოსამართლო დაწესებულებათა მიერ. \*)

თუმცა გუბერნატორმა აღნიშნა, რომ ყოველად საჭიროა საჩქაროდ გადასწედეს საზოგადო საგანი ხაზნთა უოფა-ცნოვრების მოწყობისაჲს, მაგრამ ეს საქმე მანც მეტად ზოზინით სწარმოებდა, განცლარითულად. შეიძი წელიწადი გაიყვანეს და ეს ამოდენა ხანი მოანდომეს მხოლოდ ცნობათა შეკრებას ხაზნთა შესახებ. ძლიერ 1883 წელს ქუთაისის საგუბერნიო საკრებულამ გადას-

\*) ყურნალი კავკასიის კომიტეტისა გლეზ-კაცთა მოსაწყობად 12 ივნისის 1876 წლის თარიღითა.



წვეილა, რა ღონისძიებითა და რა გზით უნდა იქმნას გათავისუფლებული ხიზნთა საქმეო, ხოლო ტფილისის საგუბერნიო საკრებულომ ესევე საგანი გადასწვეილა 1884 წელს. ტფილისის საგუბერნიო საკრებულოს სსდომსზედ მიწვეული იყო 94 თავად-ახნაურთა, რომელთა აზრიც ხიზნთა საქმის შესახებ უნდა მოესმინათ იქა. ხიზნთა წარმომადგენელი არ იყვნენ მიწვეულნი საგუბერნიო საკრებულოში და ამიტომ ხიზნთა საქმე ცალ-მხრივ იქმნა შექმოფენილი.

უმეტესი ნაწილი თავად-ახნაურთა, რომელსაც უნდოდა მოეშორებინა თავიდან ხიზნები და გაენთავისუფლებინა მათგან თავისი მიწელები, ისე ლაპარაკობდა სიტყვიერად და წერილობით, რომ ხიზნები ისეთივე მოაჯარაღრენი არიან, როგორც სხვა ჩვეულებრივი მოაჯარაღრენი და მიწათ-მფლობელს შეუძლიან, როცა მოინდომებს, მათი აურა და გადასახლებაო. თავად-ახნაურთა უმცირესმა ნაწილმა გამოსთქვა: ხიზნთა საქმე უნდა ისე გადასწვედეს, რომ ხიზნები უმამულოდ არ დარჩნენ; მაგალითად, დავით უიფიანმა სთქვა, რომ ხიზნთა და მემამულეთა ურთი-ურობა წარმოადგენს მემამულეს საკუთრების უფლებათა შეზღუდვასა იმ ადგილ-მამულის შესახებ, რომელიც ხიზნს უჭირავს ხიზნის წესითა. მთლად არსება საქმისა სწორედ ამ მემამულეთა საკუთრების უფლების შეზღუდვასია. უკეთუ შევიწყნარებთ მებატონის უფლებასა, რომ იმას ნება აქვს, როგორც უნდა, ისე უმატოს ხიზნს გარდასახადიო, ანუ, როცა უნდა, მასინ აჭყაროს ხიზნი იმ ადგილ-მამულიდან, საცა დაბინადრებულა, მით სულ შეკუმსრავთ ხიზნთა ყოველგვარ უფლებათა და ათი-ათასობით ადამიანიშვილნი, რომელთაც ამასთანავე შეეწყვეათ გრძნობა საუკუნოებით მათს გულში დასადგურებულის სამართლიანობისა, გადაიჭრევიან ბოგანო, ტაბარუგან და უსახლ-კარო ხალხსადა.» შემდეგ დავით უიფიანმა სთქვა კიდევ: «ამ საქმეში ფრთად საუურადღებოა, რომ მკვიდრთა უმრავლესობას ესმის, სად არის სამართლე, და მთავრობამაც არას გზით არ უნდა შეიწყნაროს ხიზნთა საქმის გადაწვეილა წინააღმდეგ კრის ამ გრძნობისა და სძენისა.»

თავადმა ი. ჭავჭავაძემ ურჩია ისეთი ღონისძიებათა მიღება, რომელიც ხელს შეუწყობდეს ხიზნობის განკითარებასაო, რადგან მე



მგონია, რომ კვ დაწესებულება, «დამყარებული ჩვეულებრივს ღიერებაზედ, ხელს უწყობს რიგანსა და ნამდვილს განწყვიერებას შრომა-ამბისა და მამულის ურთიერთობისა და ხელს უშლის სასოფლო მეურნეობისათვის მკენებელ იჭარის წესით მამულების შემუშავებას.»

ჯგუფი ფტილისისა და გორის მხრის 23 თავად-აზნაურისა სრულიად არ დაკმებდა «საუგუნოებით ადამიანის გულში დასადგურებულ სამართლიანობის გრძნობისა», შერუკვას, რომლის შესახებ ილაშარაკა დაკით ვიფიანმა და ამტკიცებდა თავის ქალაქდიონას, რომ იმ მამულის პატრონი, რომელზედაც დაბინაგებულა სიზანი, ვერ შეზღუდავს კერძოდ მის პირადს თავისუფლებას, ხოლო თავის მამულს ჭფლობს ისე, როგორც სრული მოსაკუთრე და უფლებაც აქვს, როცა უნდა, ძალ-დატანებით აჭყაროს სიზანი მამულდიან. \*)

თავად-აზნაურთა აზრებმა გამოაწვია ტფილისის მწერლობაში კამათობა და მოსხუნება ქრ. ა. ვერმიშევისა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. მოსხუნების ავტორმა დაასკვნა, რომ «სიზანი თავისუფალი გლეხ-კანია, ადგილ-მამულს ჭმძრობს უკადლოთ იჭარის პირობითა, იმყოფება მებატონეს მფარველობის ქვეშე და მის სასარგებლოდ ინდის გადაწვევტილს გადასახადსაო. აი ეს არის აზრი და აჩსება სიზანთა საქმისაო.» ბ-ნი ვერმიშევი ჭგონებს, რომ ბეგარა და გადასახადი, რომელიც ადგეთ სიზნებს, ძალიან სამძიმოა მათის მეურნეობისათვის, რომ შეცვლა ურთიერთობისა სიზანთა და მებატონეთა შორის არ უნდა მივაჩემოთ ნება-ყოფილობითს მორიგებას მათ შორის, რადგან ასეთის მორიგებისაგან არავითარი სასიკეთო ცვლილება არა წარმოსდგება-რა სიზანთათვისა; ამიტომ ბ-ნმა ვერმიშევი სიზანთა ყოფა-ცხოვრების ასეთი შეცვლა სცნა სასურველ საქმედ, რომელსაც საფუძველად დაედება: ა) შესუიდა სიზანთა ნაჭერის მიწებისა სახელმწიფოს საკუთრებად; ბ) დატოვება სიზანთა სამუდამო და საუგუნო მოაჭარადრებად სახელმწიფოსაგან შესუი-დულის მამულებისა; გ) დატოვება სახელმწიფოსაგან თავისთვის იმ

\*) აზრი თავად-აზნაურთა ჯგუფისა ამოღებულია მ. ნ. კუჩავის „მისალი-დან საქართველოში სიზანთა დებულების შესახებელია.“



უფლებებისა, რომ მუდამ შეეძლოს წეს-რიგი დაამყაროს, თუ ვინინტონას მეტ-ნაკლები მიწა უჭირავს მეკომუნს, რათა ამ სახით მისი ნაჭკრი მიწა შეეწონებოდეს ოჯახის ძალ-ღონეს, და დ) რადენობა თითო მეკომუნის ძამულისა უნდა იმოდენი იყოს, რამდენიც მის ოჯახს შეუძლიან თვისი ძალ-ღონით შეიმუშაოს\*).

1885 წ. მაისს კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოში შეწენარებულ იქმნა ზრექტი ხიზნთა უოთა-ცნოვრების მოწეობისა, შედგენილი საბჭოს წევრის მ. ნ. კუნაუკის მიერ, ხოლო 3 ივნისს 1891 წელს ეს ზრექტი მცირეოდენის ცვლილებით ხიზნთა სასარგებლოდ, კანონად გადაიქცა და შემდეგი სახელ-წოდება მიეცა: «დებულება ხიზნთათვის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში.»

III

ჩინსოთ, როგორ გადასწევიტა ხიზნთა საქმე ხსენებულმა დებულებამ, რომელსაც სულ ათი მუხლი აქვს.

შეწენარებულია თუ არა ამ დებულებით ჩვეულებრივი მართლდერება ხიზნთა? ზოგერთის მუხლის წაკითხვის შემდეგ შეიძლება სთქვათ მასუნად: «დიაღ, შეწენარებულია»; ხოლო სხვა მუხლნი საბუთს გაძლევენ სთქვათ: «არა, შეწენარებული არ არის.» დებულება თან აუქმებს ხიზნთა ჩვეულებრივს მართლდერებას, თან ცხადად აცხადებს სურვილს იმ ურთიერთობის დაცვისას ხიზნთა და შემამულოთა შორის, რომელსაც არკვევს ზემოსხენებული მართლდერება. აი, მაგალითად, მე-2 მუხლი დებულებისა ასეთის სიტყვებით ამყარებს უცვალელობას იმისას, რომ ხიზნი უნდა ქსმარობდეს ძამულსა და ინდიდეს გადასახადსაო: «ყველა ის სასახლ-გარო, სახნავ-სათესი, სათიბი და საკენახე ადგილები, აგრედვე უფლება წყლის დაღვეინებისა საქონლისათვის და სამოურისა, იქ მისის გარკვისა, მოსმარება წყლისა საწყვავად და ტუისა, რომელიც იყო ხიზნთა სმარებაში ამ დებულების გამოქვეყნებამდე, კვლავც მათს ხელში რჩება იმავე ბეჯარა-გადასახადთა სამაგიეროდ, რომელსაც მანამდე ინ-

\*) მისილანი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა საეკონომიო ყოფი-ცხოვრების შესასწავლად, ტომი I, ნაწილი IV, გვ. 481—482.



დიდნენა. მეჩე მე-4 მუხლში ასეა ნათქვამი: **ყოველგვარი ცვლილება მამულის მონაძრებისა ხიზანთა-მაერ და ამის გამო წარმოდგარ სასერკიტუტო უფლებათა, აგრეთვე ბეგარა-გადასახადთა, შეიძლება იკისროს შემამულები არა სსკა გზით, თუ არ ხიზნის თანხმობითაა.** გარნა შემდეგ მე-5 მუხლი აუქმებს მე-2-სა და მე-4-ეს და აძლევს მებატონეს ისეთს დონისძიებას, რომელითაც შეუძლიან აიძულოს ხიზანი და დაითანხმოს მისთვის სახარალო ცვლილებაზედ მამულის შემოსისენებულ ხმარებისა და გადასახადის გაღების საქმეში.

მუხლი მე-5-ე აძლევს მიწათ-მოვლობელს შეფლებას, უარი უთხრას ხიზანს, კელარ გაუფლებს შესნ ნაჭერ მამულზედაც, მხოლოდ ერთის წლით ადრე კი უნდა შეატყობინოს ესა. მიწათ-მოვლობელი დაიხვევს ხელზე ამ მუხლს და შეიძლებს აიძულოს ხიზანი დაითანხმებად, თუ რამ უნდა შესცვალოს ბეგარა და გადასახადის საქმეში, იმიტომ რომ ხიზანს შენეული ჭირი უჩვენია შეუჩვენებელს ღხინსაც კი, არა თუ ჭირსავე, უჩვენია მეტა გაიღოს მამულის ხმარებისათვის, ვიდრე სულ უძამულოდ დარჩეს და იძულებული შეიქნას აიყაროს და ბინა მოშალოს შენეულ ადგილზედ, რომელიც მასთვის უკვე სამშობლოდ არის გადაჭრული.

ეს მუხლი შიგ ძირში სთხრის და სთაქვას ხიზანთა უფლებას. რადია მიწათ-მოვლობელს ნება აქვს აწიაროს ხიზანი, მუდმივობა მამულის იჯარით აღებისა უკვე მოსშობილია და ხიზანიც მამის ჩვეულებრივ მოიჯარადრედ არის გადაჭრული, იმ გარჩევით მხოლოდ, რომ მოიჯარადრემ წინდაწინვე იცის, როცა შეიძლება მისი გაძევება იჯარით აღებულ მამულიდან, ხოლო ხიზანმა სრულიად არ იცის, როდის მოუკა ასეთი ქეიფი მიწად-მოვლობელსა.

გარნა ხიზანთა დებულების პრაქტიკის შემდგენელთ სრულიად არა სურდათ უძამულოდ დატოვება ხიზანთა, რაცა პირდაპირ შედეგად მოსდევს მე-5 მუხლსა. პირიქით, ხიზანთა კანონის სურვილი სწორედ ის არის, რომ შეაყენოს უძამულოდ დარჩენა ხიზანთა, დაწვეული გლეხთა განთავისუფლების შემდეგ. საფიქრებელია, რომ ბევრად უფრო ადვილად შეიძლებოდა ამავე სურვილის მიღწევა, ოღონდ კი კანონს თვისი სანქცია მაერა ხიზანთა ჩვეულებრივის მართლდერების პრინციპებისათვის. ხოლო რაგი ეს ასე არ მო-



ჭხდა, იმიტომ რაღაც უნდოდა, ხელი შეემაღლა ხიზნების უძამულოდ დატოვების პროცესისათვის, დაიბადა საჭიროება ისეთი შირობა დადებუდიყო, რომელსაც არა სრულიად და სავსებით ხელ-საყრელი გაეხადნა მიწათ-მიფლობელთათვის აგრც ხიზანთა, რის დასტურებაც დაეცა უძამულებს დაბულებს მე-5 მუხლითა. და აი ასეთს შირობასა ეხედავთ მე-7 მუხლში:

უძამულებს, რომელმაც უარი უთხრა ხიზანს, კვლავ გამეორებენ ხიზანს უძამულებს, — ნათქვამია ამ მუხლში, — მოკვლავ ადუდგინოს ზარალი ხიზანს იმდენად, რამდენსაც საჭიროდ დაინახებენ ერთმანეთს შირობის მორაგებითა. ხოლო თუ ასეთი მორაგება ვერ მოხერხდება, უძამულებს მოკვლავ გადუხადოს ხიზანს, განსაკუთრებულად დაფასების მისედივით, ორჯელ მეტი ფასი უოკვლის შენობისა, რაც აგებული აქვს უძამულის მიწაზედ, უოკვლის სამკურნელო მოწყობილებისა და დანერგილ-გაშენებულისა, აგრეთვე უოკვლის ამაგისა, რაც ხიზანს გაუწყვია მისს სარგებლობაში მეოფის, ხოლო უძამულებს სავსებით, სისახლე-კარო ადგილისა, სისხა-სათესისა, სათიბ-მინდორისა და საბაღე-სავენახე ადგილების განსავარგებლად.

ეს მუხლი, რომელიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, შეიქმნა უმთავრეს საფუძვლად ხიზანთა დაბულების წინააღმდეგ იერიშის მიხატანად, რაოდენადმე ხელს უშლის ხიზნების უძამულოდ დატოვების საქმეს, გარნა არც სრულიად შეუძლებლადაა ჭხდის, იმიტომ რომ, თუ ვინცობაა შესაძლებელი აიწია უძამულის ფასმა, ანუ თუ ვინცობაა უფრო სახიერო შეიქმნა სისხა-სათესი მიწები გადაჭრულ იქმნას სამოკვარ ადგილებად საქონლის მოსაშენებლად, შეიძლება უძამულებსათვის უფრო ხელ-საყრელი იყოს, აჭყაროს ხიზანი თავის ხიზანს უძამულებს და ერთი ორად გადუხადოს გადასახდელი.

ხიზანსაც ნება აქვს დაბულებით (მუხლი მე-6) უარი სთქვას მებატონის უძამულებს, მხოლოდ ერთის წლის წინად უნდა შეატოვდინოს უძამულის მებატონს, რომ შენს უძამულებს თავს ვანებებო და ამ შეთხვევაში «იგი უძამული უოკვლისავე ზედ აგებული შენობითა, სამკურნელო მოწყობილებითა და დანერგილ-გაშენებულებითა უძამულის ხელში გადადის შირდაშირ, ისე რომ ხიზანს აღარას აძლებს ნაცვალ-გებად».

მიწად-მიფლობელთ უნდოდან ნება ჰქონდათ ხიზანთა უადგილ-მამულოდ დატოვებისა და ამ აზრით ამტკიცებდნენ ტფილისის საგუბერნიო საკრებულოში, რომ ხიზნებად უნდა იქმნან ჩათვლიდნენ ისინი, რომელნიც ახალ ბინაზედ დასახლდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ან და გლეხთა განთავისუფლებამდე მანტა. 1891 წლის 3 იანვრის კანონმა არ შეიწყნარა ასეთი განსაზღვრა სიტყვისა ხიზანი, და გადასწევიტა (1-ლი მუხლი), რომ «ხიზნებად ითვლებიან ის მოსულნი და ახალ ბინად დამკვიდრებულნი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მიწად-მიფლობელთა მამულებზედა, რომელნიც მებატონის მამულების სარგებლობის მხრივ ვადანის ზიარობით არ არიან შეკრულნი მიწად-მიფლობელთა: არც ისეთის ზიარობით, რომელსაც აქვს სახე დაწესებულის გზით დადებულის და შემოწმებულის ხელ-შეკრულობისა, არც თუნდა ისეთისა, რომელიც შინაურულად არის შეკრული და ზიარობის დამდებთაგან არ უარ-იყოფების.»

შემდეგ ხიზანთა დებულება ნებას აძლევს ხიზანთ (მუხლი მე-5) «რომ ოდღონდ შემამულეს კი შეატყობინონ და შეუძლიან სხვას გადასცენ თავისნი უფლებანი და მოკალეობანი (ხიზნობისაგან წირმომდგარნი)»; ხოლო მე-10 მუხლში გადაკრულია სიტყვა, რომ მთავრობას ფიქრად აქვს ხელი შეუწყოს ხიზნებს შეიძინონ იჯარით ნაჭკრი მამული; ეს ფიქრი მთავრობისა ამ სიტყვებით არის გამოთქმული: «უკადოდ სარგებლობა ხიზნების მიერ, მიწად-მიფლობელის მამულისა შეიძლება, ურთი-ერთის მორიგებით, ვადან სარგებლობად იქმნას გადაჭრული ხელ-წერილის დადებითა, რომელიც უნდა შეამოწმოს მომრიგებელმა შუა-განმა, ან საკუთრად სარგებლობის უფლებად გადაიჭტეს, თუკი ხიზნები მოინდომებენ და შეიძენენ თავიანთ ნაჭკრ მამულებს მთავრობის დახმარებითა.»

საზოგადოდ ხიზანთა დებულება ვერ გაუმავრდება ვერც სპეციალურ საიურდიო კრიტიკას, ვერც საზოგადოს. იგი დებულება ძირში სთხრის ხიზანთა ჩუულებრივს მართლიერებას და იმავე დროს სტდილობს დაიცვას ის ურთიერთობა შემამულესა და ხიზანს შორის, რომელიც ამ მართლიერებიდან მომდინარეობს; ნდომებს აცდინოს ხიზნებს უმამულოდ დაჩენა, გარნა იმავე დროს ნებას

ამდგეს მემამულეს ამ უმაბულოდ სიზნის დატოგებისას. ასეთ წინა-გეგმობის გამო მხელად თუ დაერქმევა ამ დებულებას სიზნათა დებულება. მის ყოველ მუხლში სიზნებზეა ლაშარაკი, ხოლო იმ სიზნებს ნება არა აქვთ სამუდამოდ იჯარით იქონიონ თვისი ნატკერი მამულები, მაშასადამე, ივინი არც სიზნები არიან. ივინის დებულებამ, აგებულებამ ორს ერთი ერთმანერთის წინააღმდეგ დედა-ასრ-სედ, ვერ მოიგო გული ვერც სიზნებისა, რადგან ჩამოაბრთვა უფლება სიზნებად დარჩენისა, ესე იგი მუდმივ მოიჯარადრებად ყოფნისა, ვერც მიწად-მეფლობებისა, რადგანაც ხელი შეუშალა თვისი მამულები გაენთავისუფლებინათ სიზნებისაგან ანუ გაეპეკრებინათ იმ მამულების შემოსავალი ისეთ ბეგარა-გარდასასადების დადებითა, რომელიც არ შეესაბამება სიზნათა ჩვეულებრივს მართლიერებას.

(დასასრული იქნება)





# ს ა თ უ რ ქ მ ე ნ ე მ

ა 5 8

## კასპიის ზღვის იმიერ ქვეყანა

### წახსულა და აწმეო

#### I

კასპიის და არალის ზღვებს შუა მდებარე ადგილი, რომელსაც სიგძე თითქმის ათასი ვერსი აქვს და იმდენივე სიგანე და რომელსაც შემორტყმია გარს ჩრდილოეთით პიტალო ქვიშის ტრამალი (Степь) „სამ“, სამხრეთით მდინარე ლიურდენი და კოპედალის მთები და აღმოსავლეთით ავღანის სამფლობელო, იწოდება კასპიის იმიერ ქვეყანად. აქ სადაც ოდესმე მღელვარება ღიპერბოლის ზღვა, მზინვარებს ამ ჟამადაც საზარელი ზღვა, ზღვა ქვიშისა. ამ ქვიშას დაუთარავს ალაგი, დაწყებული კასპიის ზღვის აღმოსავლეთის კიდიდან, მდინარე ამუდარიამდის; აგრედვე ნაწილი ხივისა და ბუხარისა ერთის მხრით და მეორეს მხრით ავღანისა და სპარსეთის საზღვრამდის.

ეს ადგილები, როგორც ჰაერით, ისე ნიადაგით უვარგისნი არიან, მაგრამ მაინც კაცს ამოურჩევია საცხოვრებლად, შესთვისებია ჰაეას, ადგილი ზოგან გადაუქცევია გამოსადეგად და არის თავის ბედის კმაყოფილი. იყო ისეთი დროც, რომ ამ ადგილებში გაშენებულნი იყვნენ მდიდარნი და ხალხით სავსე ქალაქები, მაგალითად აღექსანდრე მაკედონელის დროს.

\*) სახელმძღვანელოდ მქონდა: თხზულება გროდეკოვისა Война въ Туркменіи 1880 г. და ვასილიევის წერილი Ахалтекинскій Оазисъ, его прошлое и настоящее (Русскій Вѣстникъ 1887 г. Май мѣсяць) და სხვანი. ავტ.

აქ საჭიროა ვსთქვათ რაოდენიმე სიტყვა იმაზედ—ჰქონდა თუ არა რუსეთს ამ მხარეში რაიმე მოქმედება 1879 წლამდის. პეტრე დიდის დროს, როდესაც ბეკოვიჩ-ჩერკასსკი ხივაში იყო ექსპედიციით, რუსეთს მიწერ-მოწერა ჰქონდა თურქმენებთან. მაშინ ორი სიმაგრე ააშენეს რუსებმა ზღვის აღმოსავლეთის მხარეზედ: ერთი თიუბ-თარაღანის კონცხზედ და მეორე—კრასნოვოდსკში, რომელ სიმაგრეებსაც 1717 წლის ომიანობის შემდეგ თავი დაანებს.

მანგიშლაკის თურქმენებმა 1745, 1767 და 1798 წლებში ისურვეს რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ რუსეთი მხოლოდ 1800 წელში დათანხმდა და მიიღო იგინი თავის მფარველობის ქვეშე. ოსენბურღში მიიღეს ფიცი ერთგულ ქვეშევრდომობაზედ თურქმენთ წარმომადგენლებმა.

ამ საუკუნის დასაწყისში, სპარსეთთან ომის დროს, თურქმენები (იუმუდები), რომლებიც ცხოვრობენ სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით კასპიის ზღვისა, გაიცნო რუსეთმა. ეს თურქმენები ძლიერ შეწუხებაში იყვნენ სპარსეთისაგან. ამ ომის დროს, როდესაც ჯარები გასულნი იყვნენ რუსებთან საბრძოლველად. იუმუდები დაესივნენ სპარსეთის ქვეყნებს და დაუწყეს აოხრება. 1813 წ. რტიშჩევმა გაგზავნა ასტარხნელი სომეხი პეტროვი შესატყობად: თურქმენები მართლა გაუდგნენ სპარსეთს თუ არაო. პეტროვმა თან მოიყვანა თურქმენების დეპუტაცია, რომელმაც ითხოვა რუსეთის მფარველობა და ისურვა ქვეშევრდომობა. ამ დროს რტიშჩევის ბანაკში იყო სპარსეთის ელჩი, რომელსაც შერიგებაზედ უნდა მოელაპარაკნა. რაკი მან გაიგო, რომ თურქმენები არიან აქა და რუსეთის მფარველობას თხოულობენო, დასთანხმდა ყველა პირობებზედ და მოაწერა ხელი შერიგების ქალაღზედ. ხოლო თურქმენებს უპასუხეს: რადგან შერიგება მოეხდინეთ, შემწეობას ვეღარ მოგცემთო. წავიდნენ უკან უკმაყოფილონი, და შეწყვიტეს სპარსეთთან მტრობა. მხოლოდ ზოგნი გადასახლდნენ ჩრდილოეთისაკენ.

1819 წ. ერმოლოვმა მოინდომა თურქმენებთან კავშირის განახლება: ხივაში და ბუხარაში თავისუფალი გზა და ზღვის



პირზედ ნავთსადგურისათვის აღგილი უნდოდა. მთავრობამ ხელი მოუშართა ამ აზრის აღსრულებაში მოსაყვანად და გაგზავნა აფიცრები: პონომარიოვი და მურავიოვი, რომლებმაც ნავთსადგურისთვის გამოსადეგი ალაგი იპოვნეს—კრასნოვოდსკი. ხოლო ატრეკზედ, გიურგენზედ და ბალხანზედ მცხოვრებთ თურქმენტ მიიღეს ქვეშევრდომობა რუსეთისა და ერმოლოვთან დეპუტაციაც გაგზავნეს.

1820 წ. ერმოლოვს უბრძანეს გამოუცხადოს თურქმენტებს რომ მთავრობა მიიღებს მათ მფარველობის ქვეშ.

1821 წ. მურავიოვი გაგზავნეს ეკსპედიციით ზღვის აღმოსავლეთის კიდეების და მხარის გამოსაკვლევად.

1832 წ. ორენბურგიდან დაინიშნა ექსპედიცია კასპიის ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთის მხრის გამოსაკვლევად.

1834 წ. დაარსდა კაიდაკის სრუტეში ნოვო-ალექსანდროვის სიმაგრე. რადგან მთავრობას სურდა ვაჭრობის გამართვა ამ მხარეში, საჭიროდ დაინახა კავშირი თურქმენტებთან, რომლებიც ცხოვრობენ ასტრახადამდის. გაგზავნეს ეკსპედიცია კარელინისა და ბლარამბერლისა ამ საქმის გასარიგებლად; იუმუდებმა სიხარულით მიიღეს ქვეშევრდომობა რუსეთისა, რომლის შემდეგ საჭირო იყო აქ ახლო-მახლო ნავთსადგურის გამართვა. ამისათვის 1841 წელს ამოირჩიეს კუნძული ამურადე, მდებარე შდინარე გიურგენის შესართავთან, რომელიც ეხლა დასახლებულია რუსებით და სადაც იმყოფება ასტრახადის სადგური ზღვისა. 1869 წ. 5 ნოემბერს ჩაჰყარეს საძირკველი კრასნოვოდსკისა, სადაც გაშენებულია ეხლა პატარა ქალაქი და აქვს მშვენიერი ნავთსადგური.

1871 წ. დაიჭირეს ჩიგიშლიარი, რომელსაც 1878 წლიდან მოეკიდნენ ერთგულად როგორც სპარსეთის სამზღვართან ახლო მდებარე ადგილს. რუსეთის გემებმა მოსპეს ზღვის ყაჩაღობა და დააარსეს დინჯი და მშვიდი ვაჭრობა და თევზის-ჭერა. ნოვო ალექსანდროვის სიმაგრე კაიდაკიდან გადაიტანეს თიუბკარალანის კონცხზედ 1846 წ. და უწოდეს ნოვოპეტროვსკის სიმაგრე. ხოლო 1857 წ. გამოუცვალეს სახელი და უწოდეს

აღექსანდრეს ფორტი. ტანჯვა-წვალება და მეცადინეობა ამ მხარის შექმენისთვის დაბოლოვდა 1884 წ. და ეხლა ეს მხარე არის კუთხე ფართო რუსეთის სამფლობელოსი.

პირველ ალავს, რომლითაც იწყობა ეს მხარე, მდებარე ზღვის პირზედ, ეწოდება მანგიშლაკი. (მანკისტაუ — ზამთრის საბანაო ადგილები). მანგიშლაკი შესდგება ორი ნაწილისაგან: ერთს ჰქვიან ბუზაჩი და მეორეს მანგიშლაკი; ხოლო ორივენი ერთად შეადგენენ ნახევარ კუნძულს. ზამთარში, სამ თვეს, ბუზაჩიდან დაწყებული გირიევამდის ზღვა ისე იყინება, რომ ყინულზედ პირდაპირი მისვლა-მოსვლა იმართება ნახევარ კუნძულსა და ურალის სამოურავოს შორის. მანგიშლაკში არის რვა ტბა, ბუზაჩში ორი, ყველანი მწარე მარილიანები არიან.

ქები მრავალია მანგიშლაკში, რომლებიც ეკუთვნიან ან კერძო პირებს, ან მთელს გვარს. სხვა-და-სხვა სიღრმისანი არიან ესენი და ჰქვიანთ სხვა-და-სხვა სახელები: ზოგი ორ საეენზედ ნაკლები სიღრმისა არის — ესპე; ორ საეენიანი — ურპა; ოთხ საეენიანი — ქულუქ-ქულიუ და ექვს საეენიანი — ნილრაუ.

მთებიდან გამომდინარებენ კარგი წყაროები, რომლებიც ახლოვე იკარგებიან მიწაში. კარგა დიდრონი წყაროები არიან ამ სინორებში (устьище): ჯანლილდოში, ტუშჩუბუქში, ჩეპეში, უნდიში, ადაშტში და ბერდალისჯას ახლო. ნიადაგი, საზოგადოდ, თიხნარია, ქვიშანარევი; ხშირად მოიპოვებიან პიტალო ქვიშებიც და ვეძიანი ანუ ხაშურიანი ალავებიც. აღმოსავლეთის მხრით არიან მრავალნი ქვიშნარნი ალავნი, სხვა-და-სხვა სახელებიანი, რომლებსაც სიგძე 275 ვერსი აქვთ და სივანე ზოგს 18 და ზოგს 60 ვერსიც.

მანგიშლაკი, თუმცა 600 ვერსის სიგრძეზედ აკრავს ზღვას, რომლის გამო ამ ნახევარ კუნძულზედ მრავალი სრუტეები არის, მაგრამ შაინც სიცხე 50 გრადუსამდის ადის ზაფხულობით. ხოლო ზამთარი დიდი და ცივი იცის, ბევრჯელ 20 გრადუსამდის ყინვა არის აქ. წვამები იშვიათია, რომლის გამო მცენარე არა არის-რა გარდა კაქახისა, ესე იგი აბზინდა და სხვ., რომლებითაც იკვებებიან აქლემები ცხენები, ცხვრები და სხვ.

ტყე არ არის. ცეცხლის სანთებად, შეშის მაგივრად ხმა-  
 რობენ ერთ ნაირ ბალახს „ჩელ-ვეგენ“, რომელიც მსხვილ ძირკვს  
 იკეთებს. ამ ძირკვებს იღებენ და ხმარობენ შეშად. წივაც ხმა-  
 რებაშია შეშის მაგივრად. ჰავა მანგიშლაკისა მაგნებელი არ  
 არის; არ იცის აქ ცუდი ციება; დღე და ღამ თითქმის ერთ  
 ნაირი, უცვალბებელი ჰაერი არის და ეს არის მიზეზი ამ სი-  
 მრთელისა.

ნადირი არის აქ: გარეული ცხვარი (არხარ), გარეული თხა  
 (საილაკ და ყარაყუირუქ) და მელა. ფრინველთაგან: იხვი, ბა-  
 ტი, სავათი და სხვ.

ზღვაში დიდი ნადირობა არის თევზისა და ზღვის ძალღე-  
 ბისა.

მეორე ადგილი არის უსთაურთა, რომელიც დასავლეთით  
 და ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოზღუდულია მაღალი ტანიანი  
 მთით, აღმოსავლეთით მოუძევს არალის ზღვა და სამხრეთით  
 უზბოი, ანუ ამუდარიის ძველი მონაფ. უსთიურთი მეტად მწირი  
 ალაგია. აქაური მიწა ან კირნარია ან თიხა და ისეთი მაგარი,  
 რომ წვიმის წყლის გუბე რამდენიმე თვის განმავლობაში დგას,  
 რადგან მიწაში არ იჟენთება. რადგან მდინარე წყალი ძვირად  
 არის აქ, ამისთვის ხშირია ჭები; ჭები აქ უფრო ღრმათ არიან  
 მოთხრილები, ვიდრე სხვა მხარეში. მაგალითად არიან ჭები: ქი-  
 ნირ 30 საჟენი სიღრმით; დუსემბაი 29 საჟ.; ქიზილახირ 18 საჟ.;  
 ბაიჩალიუ 16 საჟ., ხანბა, ქოს-ავქრუქ, ქარსაქ-ჯეირან და სხვ.  
 თუ ღრმად არ მოთხარეს აქ ჭა, მაშინ მწარე წყალი ამოვა, ხო-  
 ლო ღრმა ჭიდან კი კარგი წყალი ამოდის. მცენარით ეს ადგი-  
 ლები ღარიბნი არიან. ზამთარი ძლიერ ცივი იცის; აგვისტოს  
 გასულში აცივდება აქ და სექტემბერში ბევრჯერ ყინვაც არის;  
 თოვლი მოდის დეკემბერში; დიდი ქარები იცის იანვარში და  
 თებერვალში. საზოგადოდ აქ ზამთარი უფრო საშიშია ვიდრე  
 ზაფხული. ჩრდილოეთის მხარეზედ ურთიურთზედ მოიპოვებიან  
 მრავალნი მწვანე კორდები(оазисы); აქ ეტყობა უწინდელი წყლის  
 რუი, რომელზედაც, როგორც ზოგნი ამბობენ, უდენია მდინარეს,  
 რომელსაც უწინ ეწოდებოდა აქსუს და ეხლა თურქმენები უწო-



დებენ უზბეკთ. ეს ადგილი ძვირფასად უღირთ თურქმენებს, რადგან აქ გულუხვად პოულობენ წყალს და საძოვარს საქონლისთვის. ხშირია აქ ღვინის წარაფები; აგრედვე ბევრია ჩაღები. რომლებშიც მრავლად იპოვება გარეული ღორი.

მესამე ადგილი არის თვით სათურქმენო, რომელიც მდებარებს სპარსეთსა და უსიურთის შორის. ეს ადგილი დაფარულია მთლად ქვიშით, სადაც აღმართულან ქვიშიანივე მთები დიდი და პატარა ბალხანებისა—ქურჩანქარი და ქუურენდალი. სათურქმენოს სამხრეთით მოუძევს მთა, რომელსაც ეწოდება კოპეტდაღა და უერთდება გიულის-ტანის მთას. ამ მთის ძირი კაცის საცხოვრებლად გამოსადეგი ადგილია; ეს ადგილი დაუპყრიათ თურქმენებს და საუკუნეები უცხოვრიათ მათ, ცხოვრობენ და შენდება ქალაქები ამ ქანად. ეს მთა არის მიჯნა სპარსეთისა და სათურქმენოსი. კოპეტდაღის მთა საკმარისად მაღალია. მაგალითად ზოგან, 2000 ფუტით მაღლა სდგას ზღვაზედ, ხოლო გეოკ-ტეპის მერიდიანზედ აქვს სიმაღლე 35000 ფუტადღის.

ამ მხარეში, ესე იგი მთელს სათურქმენოში შესანიშნავი წყლები არიან: გაურგენა, რომელსაც მთელს სიგრძეზე გარს ახვევია ნაყოფიერი ალაგები; ატრეკა, რომელსაც ერთვის საკმარისად მოზრდილი მდინარე სუშბარა, ხოლო ამ უკანასკნელს ერთვის მდინარე ჩანდირი; თეჯენა, რომელიც მიდინარეობს კოპეტდაღის მთის ძირ-ძირ, და ზაფხულში კი შორს ვერ უწევს, რადგან შრება და მუწდაბა. სხვა წვრილი წყლები გამოდიან მთებიდან, რომლებიც მთის ახლოვე, რაოდენიმე ვერსის სიშორეზე იკარგებიან მიწაში. ეს აღწერილი ადგილები უჭირავთ კირლიზებს და თურქმენებს. კირლიზები სცხოვრობენ მანგიშლაკში, ბუზაჩში და უსთიურთში. დანარჩენი მხარე მთელი კასპიის იმიერ მხარისა უჭირავთ თურქმენებს; მხოლოდ ოთხას მოსახლემდის სცხოვრობს მანგიშლაკის ნახევარ-კუნძულზე.

კირლიზები, როგორც უზბეკები, რომლებიც მოსახლობენ ხივაში და ბუხარაში არიან არეულნი მონგოლებისა და თათრების ჩამომავალნი. შუა-აზიაში ყველაზე უწინ რუსებმა კირ-



ლიზები დაიმორჩილეს. კირლიზებიც მთა-ბარობენ, მხარობენ და ცოტაოდენმა მათგანმა დაიწყო ბინადრობა მანგიშლაკში და ბუხაჩში, სადაც ხენა-თესვას მიჰყევს ხელი.

თურქმენები სცხოვრობენ გარდა სათურქმენოსი, ხივისა და ბუხარის სამზღვრებზე, ავგანში, გერათის მაზრაში, ხორასნისა და ასტრახადის მაზრებში.

ხივაში სცხოვრობენ შემდეგნი თემნი თურქმენებისა: 1) იუმუდები, რომლებიც განიყოფებიან ორ ტომად: ბაირამშალი და ყარაჩოხა; 2) ჩოუდორები; 3) ემრალები; 4) ათა; 5) ალილები და სხვა წვრილი გვარები.

ბუხარაში, მდ. ამუდარიის ორივე მხარეს სცხოვრობენ თურქმენების შემდეგი ტომნი: 1) სიქარ; 2) ჩოუდორები; 3) ერსარები. ატრეკსა და გიურგენზე სცხოვრობენ იუმუდები ყანაჩუსა და გოვლანის თემასანა (ჩამომავლობისანი).

ყარაჩუხის ჩამომავლობის იუმუდები განიყოფებიან ორს დიდ განყოფილებად: 1) ქონი (აკ-ათაბაი); 2) შერიფ (ჯათარბაი). ატრეკისა და გიურგენის იუმუდები, რომლებსაც ბუნება ხელს უწყობთ, ხენა-თესვას ძლიერ მისდევენ. გარდა ამისა ზღვის ნაპირის იუმუდები მისდევენ თევზის ქერას.

გოვლანები სცხოვრობენ აღმოსავლეთის მხარეს იუმუდებიდან და ექვემდებარებიან სპარსეთს. ამათ უჭირავთ ყველა თურქმენებზე უკეთესი ალაგები. კოპეტდალისა და ელბურზის მთებს შუა მდებარე ადგილი არის ერთი უკეთესთაგანი კუთხე ჩრდილოეთ სპარსეთში; იგი უხვია წყალით, ტყით და მდიდარია ნიადაგით. ამათ არ ჩამოუვარდებიან, თუ არა სჯობიან გიურგენზე მდებარე ადგილები მცენარის სიუხვით და მდიდარი მოსავლებით. აქ ტყესავე იზრდება ლიმონისა და ფორთხხალის ხეები, უხვია შაქრის ლერწამიც.

ბარონ ბოდეს აზრით გოვლანების ქვეყანა არის უწინდელი გირკანია ანუ ვერკანი, სადაც გაშენებულნი იყვნენ დებ-ი-სტან ანუ ბედნიერი სოფელი, რომლებსაც ალექსანდრე მაკედონელი აღტაცებაში მოჰყვანდათ, სპარსეთთან ომის დროს.

კარიყალას-ატრეკის შუაწელის-კოპეტდალის გადასაკლების და ბუნჯურის ნაპირის სოფლების შიშ-ყალას და კატლი-



შის შორის მდებარე ადგილი არავის არ უჭირავს და წარმოადგენს მთის უდაბნოს, სადაც, ბევრს ალავს ეტყობა უწინდელი ნასოფლარები. ორი ალაგი-ლა არის ეხლა დასახლებული: კარი-ყალა და ნუხური. დანარჩენები თექელებს მიწასთან გაუსწორებიათ.

მთელი ადგილი, დაწყებული ზღვის კიდიდან, სიგრძით თითქმის ათასი ვერსი, რომელსაც ეწოდება კასპიის იმპერ მხარის სამოურაო, დასახლებული იყო თექელებით, რომლის გამო დაერქვა მას ახალ თექას გორდა. ჰავა ამ ადგილებში ყველგან თითქმის ერთნაირია: 50% და მეტიც არის ზოგან. ხოლო მცენარით და ცხოველებით ერთი ალაგი განირჩევა მეორისაგან, რაიცა არის დამოკიდებული წყალზედ, რომელიც შეადგენს აქაური ადგილების სიცოცხლეს. ზღვის კიდიდან დაწყებული, ოცდაათის ვერსის სიგრძეზედ აღმოსავლეთისაკენ პარტიმალი ქეიშა არის; ამის იქით იწყება აყალო მიწა, რომელზედაც მოდის კაქახი და ეკალა ბალახები. პირველი სოფელი თექელებისა არის კაზანჯიკი (ასი ვერსია ზღვიდან), აქედანვე იწყობა ადგილები, რომლებსაც ასველებენ პატარ პატარა წყლები, კოპეტდალის მთიდან გამომდინარეები.

რომ ყურადღებაში მიიღოს კაცმა სიმწირე აქაური ადგილებისა, უწყლობა და ყოველისფერს სიკეთეს მოკლებული და ძნელად საცხოვრებელი ბუნება, თავისთავად იბადება კითხვა: რამ გააბედვინა კაცს თავდაპირველად ამისთანა ავი ადგილის ამორჩევა საცხოვრებლად და რამ მიიზიდა აქ ისე, რომ თავი აღარ დაანება იმან აქ ცხოვრებას? აშკარად სჩანს, რომ თექელი მოსულა ამ ადგალში დასაბინავებლად სხვა-და-სხვა გარემოების გამო და ერთხელ შეჩვეულს ამ ადგილს და აქ ცხოვრებას, ვეღარ დაუთმია ეს ადგილი.

თექელები წარსული საუკუნის დასაწყისში გამოაძევა მანგიშლაკიდან კულმუხის ხანმა აიუკამ; იქიდან გამოძევებულებმა მიატანეს ბალხანის მთებს და 1717 წელში დაიჭირეს ახლანდელი კიზილარვათი, საიდანაც გააძევეს იუმუდები. აქედან დაიწყეს წინ-სვლა და ბოლოს მიაღწიეს მდ. მურლა-




ბამდის. დაიჭირეს ჯერ ბამი, ბეურმა, არჩმანი და გოკ-თაფე; ამ ადგილებიდან გადაქვეს ემარლება. შემდეგ დაიპყრეს მელინი და დურუნი, სადაც სცხოვრობდნენ ემარლები და ქურთები; დაიპყრეს ასხაბადი, საიდანაც გადაქვეს ალილები და ქურთები, ხოლო 1861 წელში დაიმორჩილეს ანუ და გიაურსი, სადაც სცხოვრობდნენ ალილები და ქურთები. ის ხალხნი, რომელნიც თექელებმა გადაქვეს, იყვნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი.

ამგვარად ახალისა, თექისა და მერვის კორდებზე და მთლად ამ უდაბნოში, აღდიდან დაწყებული უზბოიმდის და ხივის კორდის საზღვრამდის დასახლდა ეს თემი, რომელსაც ეწოდება თექე. ანუ თექა (თარგმანით—თხა).

ეს თემი განიყოფება ორ შთამომავლობად: ტოხტამიშ და უტემიშ.

ტოხტამიშები განიყოფებიან ორ ტომად: ბეკები და ვეჩილები. უტემიშებიც განიყოფებიან ორ ტომად: სინმაზები და ბახშიდაშაყები.\*) ტომებიც განიყოფებიან გვაროვნობებზე, მაგრამ თექელები თავის ტომში სთვლიან ოთხ ტომს და ამ ტომების გვაროვნობაზე დაყოფას ყურადღებას არ აქცევენ.

\*)





ახალთეჩის კორდში ითვლება 21,300 მოსახლე, ანუ ალაჩხუხი; ხოლო მერვის კორდში 50,000-დის.)\*

თექელებს აურჩევიათ საცხოვრებლად კაპეტდალის მთის ძირში მდებარე ალაგი, რომელსაც სიგანე ზოგან ოცი ვერსი აქვს, ზოგან ხუთი, ზოგან მეტა და ზოგან ნაკლები და ნაყოფიერი ღელე მდ. მურღაბისა. ეს ადგილები არიან გამოსადგენი, რადგან წყალი მხოლოდ აქ იშოვება. შესანიშნავი წყლები არიან ახალთეკეში: 1) გოზ-ბაში: ამ წყლიდან მიჰყავთ რუები ბალირში, ხარრიყალაში, მირაუში, ლოქჩეში გოშში, ჩალიყალაში, კიბჩაკში და ასხაბადში. 2) კაზლუხა. ამ მდინარეზე მდებარეობენ სოფლები: ემიშან, შორყალა, ქალაჯარი, ქარჯო, ბაბარაბი, გუმბეთლი და იზგენთი. 3) ფაშუსან-სუ; ამ წყალს ახვევიან სოფლები ბეზმენინები და სხვა წვრილი სოფლები. 4) და საქაზ, სოფლებით: იანგიყალა, დენგილ-ტეპე, ქუნია, გოქ-თაფე და ახალი.

სხვა წყლები ამათ გარდა არიან წვრილები, რომლებითაც სარგებლობს ერთი ან ორი პატარა სოფელი. ამისთანა წყლები მრავალნი არიან. ხალხის გამრავლების გამო, რადგან მიწის ხვნათესვას მოუმატეს, და წყლის ნაკლებევენება საგრძნობელი შეიქმნა, თექელები იძულებული შეიქმნენ მოეძებნათ სხვა და სხვა ადგილი საცხოვრებლად. 1835 წელსი რამდენიმე ათასი მოსახლე, ორაზხანის წინამძღოლობით, გადასახლდა მდინარე გერარუდზედ, სადაც ააშენეს სიმაგრე თეჯენა ანუ ორაზყალა (კარაბენტს ახლო), რომლის გამო მდინარეს თეჯენდარი დაარქვეს; ხოლო იქ დასახლებული თექელები იწოდებოდნენ თექე-თეჯე.

არის იმისთანა ალაგებიც, სადაც თექელს კაპეტდალის მთიდან ტანჯვითა და წვალებით გამოუყვანია წყალი. რაკი დასახლდა აქ, თექელმა თავგანწირულებით დაუწყო ბუნებას

\*) პეტრუსოვი — 48,000, ალიხანოვი — 46,000 და ნაზაროვი — 50,000 სთვლიან. ეს ცნობები ეკუთვნიან 1881 წელს. ახალი ცნობები ვერ შევკრიბე, რადგან აქაური ადმინისტრაცია სხვა პოლიტიკას ადგა, ძნელია ამითგან ამისთანა ცნობების შეკრება.



ბრძოლა და დაიმორჩილა კიდეც. გასაკვირველია რომ თექვსმეტეულწლეულში ამისთანა ქვეყანაში, სადაც სიცხე 50 გრადუსი საერთო მოვლენა არის, ხოლო ადგილ-ადგილ 60-მდის აღის, გამართა ხენა-თესვა და საქონლის მოშენება. საკვირველია იმისი მხნეობა, გონება და ძალა. სადაც წყალი თავის-თავად არ მოუყვია, იქ თითონ მოიყვანა კარგა შორს მანძილიდან და რომ მზეს არ ამოეშრო იმის გამოყვანილი წყალი და ამგი არ დაჰკარგოდა, ამის ხერხიც იპოვნა: მიწის ქვეშ გამოიყვანა წყალი. ამგვარად გამოყვანილს წყლებს, რომლებსაც ეწოდება ქარაზა, ხშირად ჰნახავთ. ქარიზი არის მიწაში გამოთხრილი გვირაბი, იარი-სამი საყენის სიღრმეზედ, რომელიც იწყება იმ ადგილიდან, საიდანაც წყალი მოჰყავს და თავდება იქ, სადაც მოჰყავს. შესანიშნვი ქარიზები არიან კარაბენტში და ასხაბაღში. ეს უკანასკნელი იწყობა სპარსეთის ადგილში ალადალის ღელეში, სოფელს რიშლანთან და მოდის 25 ვერსის საგძეზედ. ამისთანავე ქარიზები არიან ბატირ-ყალაში, ბახარდენში, ქელიათში კახკაში და სხვაგან ბევრგან.

რადგან თექვსმეტეულის უმთავრესს ხელობას ცხოვრებაში შეადგენდა ცარცვა-მტაცებლობა, ამისთვის თეჯენში დასახლებულ თექვსმეტე მთავრებს ხელი თავის ჩეულებრივს ხელობას და დაუწყეს წუხება სპარსეთის ნაპირის ქვეყნებს: დერგეზს, კუჩანს, ბუნჯურდს და ხორასანს. ამის გამო ხორასანის მმართველმა ასიფ-დოჟლუ-ალლაიარ-ხანმა 1845 წელში, დაამარცხა თექვსმეტეები, ამათი სოფლები მიწასთან გაასწორა და იძულებულჰყო იგინი მობრუნებულიყვნენ ისევ თავის უწინდელს ქვეყანაში—ახალში. ახალში ვერ მოთავსდნენ სიმჭიდროს გამო. ამისთვის ორაზხანი რამდენიმე კაცი თ წავიდა ასიფულ-დოჟლესთან სათხოვნელად, რათა ნება მიეცა თექვსმეტეებისთვის დასახლებლად სურახსში, მდინარე გერრირიდის მარჯვენა მხარეზედ. ასიფედ დოღემ გამოართვა მხეველები და მისცა ნება დასახლებლისა სურახსში. რადგან ახლა სპარსეთისკენ ველარ ივლიდნენ საცარცვაოდ, თვისი აღაშანება (ცარცვა მტაცებლობა) გამართეს ხივასა და ბუხარაზედ და დაუწყეს წუხება

სარიყებს და ლაროებს, იგივე თურქმენებს, მცხოვრებთ მჭრელთა ლაბის დელობში. იმ დროს ხივაში მეფობდა მაჰმად-ემანი. მაჰმად ემინი დაეცა ჯარით თექელებს, დაიმორჩილა იგინი და დასვა აქ თავისი მოურავი, რომელსაც მცველად და თექელების დასამონავებლად დაუტოვა 500 ჯარის-კაცი. რაკი მაჰმადი გაბრუნდა, თექელები დაესხნენ თავს ამ მოურავს, მოკლეს იგი, შემუსრეს მისი ჯარი და დაიწყეს ისევ თავისი ალამანები.

1855-ს წელში მაჰმად ემინი ისევ მოადგა სერაქსს ჯარით, მაგრამ ახლა კი ველარ გაიმარჯვა. დაამარცხეს თექელებმა ამისი ჯარი, თვით მაჰმადიც დაიჭირეს ტყვეთ და დაკლეს. ამის შემდეგ ისე გადიდგულდნენ თექელები, რომ არამც თუ მარტო ხივას და ბუხარას აწუხებდნენ, არამედ მოჰყვეს ხელი ისევ ხორასანსაც. ამხანაგად გაუხდნენ ალამანები, მერვის სარიყებიც. ხორასანის მმართველმა ფეჰადუნ მირზამ დაამარცხა და დაამწვიდა თექელებიც და სარიყებიც და გარეკა მშველად 150 სახლობა. მაგრამ ამანაც ვერ დააჭკვიანა თექელები და შემდეგ თერიდუნის მოადგილემ სულთან მურადმა გამოაძევა სერახსიდან თექელები, რომლებმაც მიატანეს მერვს.

რაკი თექელები მოვიდნენ მერვში, სადაც 1790-ს წლიდან ცხოვრობდნენ სარიყები, ამ ორ თემში გაიმართა ცხარე ომი: თექელებმა, შემდეგ ხანგრძლივის ომისა, დაამარცხეს სარიყები გააძევეს იგინი აქედან და დაიწყეს თავისუფალი ცხოვრობა მერვის კორდში. რაკი დაბინავდნენ აქ, მიჰყვეს მუშაობას ხელი, დააგუბეს მურაბი, გაიყვანეს არხები სარწყავად და მოეკიდნენ ფართო მეურნეობას, საქონლის მოშენებას. აქედან უფრო მარჯვედ დაუწყეს აობრება ხორასანს და ავღანის ქვეყნებს.

მოთმინებიდან გამოსულმა ყიზილბაშებმა გადასწყვიტეს, რომ ეს ბუდე ყაჩაღებისა მოთხარონ ძირიანად და თექელები პირწმინდად შემუსრონ. წინაღვე სერაქსში გამართეს ამათ სიმაგრე, რომელსაც უწოდეს ახალი სერაქსი. 1860 წელში ამ მხრით წამოვიდა მერვზედ ყიზილბაშების ჯარი რიცხვით: ქვევითი 13 ათასი, ცხენოსანი 10 ათასი და 33 ზარბაზანი. სარდ-



ლად იყო ხამზა-მირზა ეშმუღით-დოჟღე. თექელეებმა, რომლებსაც არ ეწადათ ომი, აძლიეეს ამას ათასი სახლობა მზევლად, ათასი ცხენოსანი კაცი სამსახურისთვის და კომლზედ თითო მისხალი ოქრო. მაგრამ სარდალმა არ ინდომა ესენი. უნდოდა ამათი მოოხრება. თექელეებს რაღა დარჩენოდათ ბრძოლის მეტი. დაიწყო ბრძოლა. მოუმართათ ღმერთმა ხელი და თექელეებმა დაამარცხეს ყიზილბაშები: ისე გაჟუჟეს ეს ჯარი, რომ თავს უშველეს მხოლოდ რაოდენმა ცხენოსანმა ჯარმა, სხვები დახოცეს და ტყვეთ დაიქირეს თავისი ოც და ცამეტი ზარბაზნით. თექელეებმა კარგა ხანი ჰყიდეს ყიზილბაშის ტყვეები ხივისა და ბუხარის იარაღუკებზედ 7 მანეთად და ნაკლებადაც. ამ დროდან თექელეები შეიქმნენ ძლიერნი და დამოუკიდებელნი.

ძველსა და ახალს მერვზედ არას ვამბობ აქ, რადგან ახალ მერვზედ საკმარისად ვსთქვი ჩემს წერილში „მერვის კორდი და ხელმწიფის მამული“ და ძველ მერვზედ დავსწერ საკუთარს წერილს, სადაც შევეხები ადგილ-მდებარეობას.

თურქმენები არიან თურქების ჩამომავლობისანი (თურქმან—მე თურქი ვარ); რჯული მაჰმადისა უჭირავთ (სუნნები). ერთი ნაწილი ამათი არიან ბინადარნი (ჩომურ), ხოლო მეორე უბინაოები (ჩარვა). მაგრამ ბინადარობა და უბინაობა არ შეადგენენ მიუცილებელს თვისებას თურქმენისას. სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო მოხდება ხოლმე ისე, რომ ჩომური გარდაიქცევა ჩარვად და ჩარვა ჩომურად. მაგალითად ჩომურმა, რომელიც ბევრს ცხვარს, ძროხას, აქლემს, ცხენს შეჰყარის, ამას ერთ ალაგს ცხოვრება არ შეუძლიან, უნდა იმთაბაროს; აგრეთვე ჩარვა, რომელსაც ძროხა, ცხვარი, აქლები არა ჰყავს, და უნდა ხვნა-თესვით იცხოვროს, უნდა ერთ ალაგს დაბინადედეს. ხშირად ჩარვები და ჩომურები ერთად ცხოვრობენ, ერთის ალაჩუხი დგას მეორეს ალაჩუხის გვერდით. მომთაბარენი, ესე იგი საქონლის მიმყოლნი უფრო შეძლებულნი ხალხნი იყვნენ და არიან, ვიდრე მხნავ-მთესველნი. მეომრები კი უფრო ბინადრები იყვნენ და წარსულს ომში ზარალიც დიდი ამათ მიეცათ ხალხისა, რადგან ქულზედ კაცი იბრძოდა.



ვიდრე ეს მხარე დამორჩილებული შეიქმნებოდა ყოველი თურქმენი თავის თავს დამოუკიდებლად სთვლიდა და არავის ანგარიშს არ აძლევდა თავის მოქმედებაში და თუ იყო დრო რომ ვისმე ემორჩილებოდა თურქმენი, ამის მიზეზი იყო ან გაქირება იმისი და ან გამორჩომის ანგარიში. თურქმენი ამბობდა: „ნამდვილი თურქმენისათვის საჭირო არ არის არც ხის ჩრდილი და არც მთავრობის აჩრდილი და თვის ყაჩაღურს ცხოვრებას მაღლა აყენებდა დაბინავებულს და მოქალაქურს ცხოვრებაზედ. ამისთვის მომეტებული დრო თურქმენის სისოცხლისა მიმდინარეობდა ალამანებში და მტერთან ბრძოლაში. სათარეშოდ ჰქონდა სპარსეთი, ხივა და ბუხარა. თუ რომ ან ქვეყნებში ვერ მოუხერხდებოდა განავარდება, მაშინ მეზობლებზე მიუდგებოდა საქმე. ამისათვის შეუთრეგებლნი მტერნი იყვნენ იუმუდები თექელებისა, თექელები სარიყებისა, სალიორებისა და გოყლანებისა. წვრილ ქურდობას არ მისდევდა თექელი. ალამანი კი აღვიძებდა თექელში ვაჟაკობას, გულადობას და ჰბადებდა თემში პატივისცემას და სიყვარულს მისდამი. თექელის ვაჟაკობას ალამანში ქება არ უნდოდა, იბრძოდა როგორც ლომი, თავგანწირული. თექელი ამბობს: „ვინც ხმლის ტარზე ხელი გაიკრა, იმას მიზეზის ძებნა არ ესაჭიროება;—თურქმენი ცხენზე შემჯდარი, ივიწყებს ცოლსაც, მამასაც და დედასაც;—სადაც ქალაქია, იქ მგელს რა უნდა;—სადაც თურქმენი არის, იქ მშვიდობიანობას ხელი არა აქვს“.

სიმწირემ თავის ქვეყნისამ, რომელიც არამც თუ პურს, არამედ ოფლის დაუღვრელად წყალსაც კი არ აძლევდა, თურქმენი გადააქცია უდიერ კაცად. იგი ცხოვრების გულისათვის ბევრჯელ ივიწყებდა ცოლ-შვილსაც, დედ-მამასაც და სიკვდილისათვის არა ჰზოგავდა არც თავისს თავს და არც სხვის სიცოცხლეს აფასებდა რადმე.

თუმცა თურქმენი არა საჭიროებდა მმართველებსა, მაგრამ საჭიროდ სცნო სარდლის ყოლა, რომელსაც უნდა ეწინამძღოლა ალამანის დროს, მტერთან ბრძოლის და მისი შემოსევის დროს, შეეკრიბნა ლაშქარი, აერჩია გზები და, ერთის სიტყვით, მოეხდინა ყოველი საჭირო განკარგულება.



ალამანზე დაიარებოდნენ ზამთრობით და პირველ ხულზე; ხოლო ზაფხულში პატარა-პატარა თარეშებით დადიოდნენ ალამანზედ. სარდალი წინადვე გამოაცხადებდა სოფლებში, რომ ამა-და-ამ დროს აპირებს ალამანზე წასვლას; მსურველები დაიწყებდნენ თავის მოყრას დანიშნულს აღგილს იმ დროსათვის და შინ მზადებას. შეიყრიდა თავს თარეში 200, 700 და ბევრჯელ 1000-ც.

გამოჩენილი და სახელ-განთქმული სარდალი იყო ახალ-თიქეში ევგენ-მურად-თიქმა სარდალი.

მეტი არ იქნება, რომ ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ამ თიქმა სარდალზე, რომელიც მოკვდა დაჯილდოვებული მაიორის ჩინით და სხვა ჯილდოებით 1882 თუ 83-ში ს. ბაშში.

თიქმა დაიბადა 1825 წელში; ამის მამა, მაჰმად-ნაზარა, იყო გამოჩენილი და ხალხისაგან პატივცემული მცხოვრები სოფლის ბეურმისა, სიჩმაზების შთამომავლობისა. თიქმა შეიღის წლისა იყო, როდესაც ამისი მამა ალამანში მოკლეს იუმუღებმა. მამის სიკვდილის შემდეგ ყოველი ქონება დაიჩემეს და გაიყვეს უფროსმა ძმებმა, ხოლო თიქმას მისცეს წილი მხოლოდ სახნავში და წყლით სარგებლობაში. ცაშეტი წლის თიქმამ დაიწყო ალამანებში სიარული ჯაიან-დურდი სარდლის თარეშში. 15 წლისა დაიჭირეს ტყვეთ ქურთებმა ერთი ალამანის დროს და წაიყვანეს ბუნჯურში, სადაც მაჰმად რახიმ-ხან ექვსი თვე იჯდა საპრობილეში. ბეურმის მცხოვრებთ მოაგროვეს ფული და დაიხსნეს თიქმა სამას თუმნად (ჩვენებურ ფულზედ). შემდეგ ტყვეობიდან მობრუნებისა, თიქმამ მიჰყო ხელი ისევ ალამანებს და ისე გაიმარჯვა, რომ ორი თვის განმავლობაში ჩააბარა საზოგადოებას ის ფული, რომელიც დახარჯეს იმის დახსნისთვის.

ჩვიდმეტი წლის თიქმას თავისი თარეში ჰყავდა ასი კაცა. ამ ასი კაცით ერთხელ მოიტაცა ორმოცი ათასი ცხვარი და რამდენიმე ტყვე. აქედან გაითქვა თიქმა სარდლის სახელი და იმის სარდლობის ქვეშ სამსახურს მრავალნი ბედნიერებად სთვლიდნენ. თუმცა თიქმამ მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ალამანებში, მაგრამ გამოჩენილი ალამანები ჰქონდა იმას შემდეგნი:

1843 წელსი, ხუთასის კაცით დაეცათეერანსა და შემედ-  
 ში მიმავალ მლოცავეებს. თუმცა ამ მლოცავეებს მიზღვე-  
 დათ თან დიდი ჯარი მფარველად, მაგრამ თიქმამ დაამარცხა  
 ჯარი და ეს მლოცავეები და ჯარის ხალხნი გამორეკა ტყვედ.  
 ამის მაშინ თავის წილად ამ დავლიდან ერგო სამასი ტყვე და  
 ცხრაასი დასაპანებული აქლემი. აქედან მომდინარს თიქმას უნდა  
 გაეგლო ნარდინზედ; აქ მდინარე ქეჩბიტზედ დაუხვდა მღვეარი,  
 რომელიც გამოუყენა ნარდილის მფლობელმა მაშად-ასან-ხანმა.  
 ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე დღე და ღამე და გათავდა მაჰ-  
 მად-ასან-ხანის დამარცხებით. თიქმამ ორი ათას კაცამდის გაუ-  
 წყვიტა და თვით მაჰმადმა თავის რაოდენიმე ცხენოსანი ლაშ-  
 ქრით ცოცხალმა გაახწია თავი. თიქმასაც მოუკლეს სამოცი  
 კაცი. აქედანჴი მშვიდობით მოვიდა შინ თავის დავლით.

1867 წელსი თიქმამ გაიმარჯვა ხაიდარაბათში. თიქმა მე-  
 გობრად იყო აქამომდე ბუნჯურის ილხანთან ხაიდერ-ყული-  
 ხანთან, რომელმაც თვით მოშალა ეს მეგობრობა. ერთ დროს,  
 როდესაც თიქმა, რაღაც შემთხვევით ხივაში იმყოფებოდა, ხაი-  
 დერ-ყული-ხანი შემოესივა ბეურმას, რომელიც თუმცა ვერ დაი-  
 მორჩილა, მაგრამ გარეკა მრავალი საქონელი და ექვსი კაცი  
 ტყვე. როდესაც თიქმა მობრუნდა ხივიდან, გაილაშქრა ბუნ-  
 ჯურის მაზრაზედ, ამოირჩია ხაიდარაბათი. ლაშქარში ჰყვანდა  
 ოთხას-ორმოც-და ათი კაცი. მიუახლოვდა ღამე ამ სოფელს  
 და მოიცადა გათენება. გათენებისას, როდესაც მცხოვრებთ  
 დაიწყეს საქონლის გამორეკა საძოვარზედ, თიქმა თოფის გაუ-  
 სროლეღათ შევიდა გაღაფანში თავის ჯარით და ისე უცებ  
 დაეცა თავს, რომ მცხოვრებთ გაქცევა ვეღარ მოასწრეს.  
 ვაჟაკები ერთბაშად გამუსრეს, დედაკაცები და ბალები ტყვეთ  
 წამოიყვინეს; მოხევექეს ყოველი გამოსადეგი, რაც ხელში მოჰ-  
 ხვდათ, და გამობრუნდნ უკან სხვა გზით. თუმცა ხაიდერყული  
 ხანი მოვიდა თავისი ცხენოსანი ჯარით, მაგრამ თექელებს  
 ვეღარ მოასწრო და უკან გამოდევნება კი ვეღარ გაბედა.  
 აქაური ბევის მაჰმადის სახლში თიქმამ იბოვნა ერთი ახალგაზ-  
 და თექელი ქალი, რომელსაც ხელფეხში ხუნდები ჰქონდა



გაყრილი და კისერზედ მობმული რკინის ჯაჭვი, ჩამოხმული კერზედ. ამ სატანჯველში აყო ეს ქალი იმიტომ, რომ არ ისურვა მაჰმადის ხასობა.

ამის სამაგიერო მეორე წელსვე გადუხადა გაიდერყული ხანმა. მან მოიშველია კუჩანის მცხოვრებნი და ამ ძლიერის ლაშქრით დაეცა ბამს. გარდა დახოცილებისა, ტყვედ წაიყვანეს ექვსასი თექელი და გარეკეს მრავალი საქონელი.

შემდეგ ამისა თიქმამ გაილაშქრა ბუნჯურზედ ათასის კაცით, მაგრამ უცებ დაცემა ველარ მოახერხა, რადგან ბუნჯურელები მზად იყვნენ და მოუბრუნდა კუჩანის მაზრას; აიღო ორი სიმაგრე ფირი და ხალვა-ჩესმე, და ტყვედ გამოორეკა მცხოვრებნი, ვინც კი სიკვდილს გადაჩნენ.

1870 წელში, ხიადარყული ხანის სიკვდილის შემდეგ, როდესაც მფლობელობდა ბუნჯურში მცირე წლოვანი შვილი ხიადარისა, თიქმა ექვსასის კაცით დაეცა ისფარანს, საიდანაც დიდი დავლა წამოიღო და გამოორეკა მრავალი ტყვეები. მაგრამ თიქმას იათად არ დაუჯდა ეს გამარჯვება. უკან მომდინარს თიქმას ჩილგუზარის ლელეზედ დაეცა ათასი ცხენოსანი ჯარით გამოჩენილი სარდალი იარ მაჰმად ხანი. თექელები დაამარცხა, მოუკლა ას ოცი კაცი და ას ოთხმოცი ტყვედ დაიჭირა. ამ ეაქაკობის გულისათვის ნასრედინ შაჰმა ამას ბუნჯურის მთავრობა მისცა და თიქმამ კიდევ დაიშალა ბუნჯურზედ გალაშქრება. 1874-ს წელში სპარსეთის მთავრობამ დაატუსაღა კუჩანის მმართველი შუჯაუდ დოაულე და იმის მოადგილედ დანიშნა სხვა. შუჯას შვილმა ჰასანხანმა სთხოვა შემწეობა თექელებს. ათას-ორასი კაცი თიქმას სარდლობით წავიდა ჰასანხანის მისაშველებლად. როდესაც თიქმა საიქში დადგა დროებით, ხარჯის მოსამზადებლად, დაეცა მას რამდენიმე ათასის კაცით კუჩანის ხანი კალრამან ხანი. ბრძოლა გაგრძელდა დილიდან საღამომდის, დამარცხდა კალრამანხანი და გაბრუნდა უკან. გაბრუნებულს გამოეკიდნენ თექელნი და გაუწყვიტეს დიდძალი ხალხი. დავლად დარჩათ ათას ხუთასი ცხენი და ნაცარცვი. ომის შემდეგ თექელები მობრუნდნენ შინისკენ და აბდულ-ჰასან-ხანი დროებით გადმოსახლდა და დაბინავდა კელეთში ნურვერდი-ხანთან.

თიქმა როგორც გათქმული ვაჟაკი და სახელოვანი სარდალი თავის დღეში თითო-თითო კაცს არ დაეცემოდა ყაჩაღურად, იმისი საქმე იყო მხოლოდ დიდი ალამანები. 1869 წლიდან, როდესაც რუსებმა კრასნოვოდსკში ფეხი მოიკიდეს, თიქმამ ამათაც გააცნო თავი. 1870-ში რომ მიხაილოვის სრუტეში რუსებს პირველად დაეცნენ თექელები, თითქმას ამ ლაშქარში პირველი ადგილი ექირა.

1879 წელს თიქმა სარდალმა გაგზავნა გენერალ ლაზარევთან ჩიგიშლიარში თავისი შვილი აქ-ვერდი ხანი, რომელსაც გაატანა თან სალდათები, ტყვედ დაჭერილნი 1878 წელს სექტემბრის თვეში სოფ. ჩატის მახლობლად. ეს ტყვეები უნდა გამოეცვალნა თოთხმეტ თექელზედ, რომლებიც ამავე წელს რუსებმა დაატყვევეს თავის ქარავანით, ჩვენი სალდათების დატყვევებისთვის. ზოგნი ამ ტყვეთაგან თექელებმა წინაღვე გაანთავისუფლეს, ხოლო ორი მათგანი შეისყიდა ერთმა დედაკაცმა, რომლის შვილი რუსებს ჰყავდათ ტყვედ დაჭერილი 1877 წელს ყიზილ-არვათში. რაკი ლაზარევმა დაიბრუნა თავისი სალდათები, თოთხმეტივე თექელი ტყვე გაანთავისუფლა. ვერდიხანი დიდის პატივისცემით მიიღეს და გაისტუმრეს. თიქმამ ვითომ მოინდომა რუსებთან გადმოსვლა და თავისების გადგომა. ამისთვის ლაზარევმა დაუნიშნა მას თვეში ჯამაგირად ასა მანეთი ვერცხლის ფული და მის შვილს ვერდიხანს ორმოცდაათი მანეთი.

თუმცა თიქმას ამისთანა მოწყალება უბოძეს, მაგრამ იმის ძარღვებში ისევე თექური სისხლი მუშაობდა. ეხლა ისე უნდა მოქცეულიყო, რომ რუსებსაც გამორჩომოდა, თავისებთანაც ერთგულობა ჰქონოდა და მათში ნდობა არ დაეკარგნა. მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახერხა. რუსებმაც შეუტყეს ლალატი და თავისებშიც ნდობა დაკარგა. ამის მიზეზი იყო შემდეგი: ლაზარევმა თიქმას შვილს აქ-ვერდი ხანს გაატანა თავის მამასთან წერილი, ანუ პროკლამაცია, რათა ურჩიოს თექელებს რომ დაჰმორჩილდნენ იგინი რუსებს, თორემ ცუდი დღე დაემართებათ უარყოფისთვის, ხოლო დამორჩილებით კი, ბევრს მოიგე-

ბენ. ლაზარევის პროკლამაცია თექვლებმა თოფების გასატყუად მოიხმარეს და პასუხის მაგივრად, რომელსაც ლაზარევი სთხოვდა ბერდი მურად-ხანმა, ყურბან-მურად-იშანმა და ორაზ-მაჰმად-ხანმა შეჰყარეს ოთხი ათასი ცხენოსანი, ორი ათასი ქვეითი ლაშქარი ღ დაჰხვდნენ რუსებს ხოჯაყალაში. მოუხდათ სროლა, მაგრამ ბერდანკებმა ახლო არ მიუშვეს და აქ ტყუილ-უბრალოდ თექვლებმა დაჰკარგეს თერთმეტამდის კაცი. მობრუნდნენ უკან და ბეურმში მოახდინეს რჩევა, რომელზედაც გადასწყვიტეს, რათა გაამაგრონ გოქ-თაფე და იქ მოიყარონ თექვლთ თავი რუსებთან საბრძოლველად. ხოლო რადგან მომზადებას დრო უნდა, ამისათვის გადასწყვიტეს, რომ თიქმა სარდალი და სოფიხანი გაგზავნონ რუსებთან მოსატყუებლად, რომ თექვლები ვითომ მზად არიან შესარიგებლად და ამ ტყუილის ღაპარაკით რუსები შეაფერხონ რამდენიმე ხანი, ვიდრე გოქ-თაფას გაამაგრებენ; ამასთან ამათ უნდა გაეგოთ რუსების განზრახვა, რას აპირებდნენ. მოხდა ისე, რომ ეს ორპირი ჯაშუშები დაატუსაღეს რუსებმა, სადაც კარგა ხანი დარჩნენ. თიქმამ ნახა, რომ რუსები მეტად კარგად ეპყრობიან მას, დიდ პატივში ჰყავთ, ეკითხებიან ხშირად და, თითქმის ნდობაც მოიპოვა მათში; ამისათვის განიზრახა სრულებით გამოსვლა რუსებში. მაგრამ ბოლოს დროს წაართვეს ცხენი, შემოხსნეს ხმალი, აჰყარეს იარაღი და ამასთან ბატონმა იალუბოვმა წაავლო წვერში ხელი და გაიქნივ-გამოიქნია. ამის შესდევ თიქმა გადაიქცა რუსების მოსისხლე მტრად, ეძებდა მარჯვე დროს გასაქცევად, და ერთს საღამოს, მსექტემბერს, თიქმა, მისი შვილი, სოფი ხანი და სხვა ამათთან მყოფნი თექვლნი ბენდესერიდამ გაიპარნენ.

**ხუცაშვილი**

(დასასრული იქნება)

# „მანდივილი“ — კომედი თეოფილ გოტიშვილის

(უძველესი მისი მარჯობი უორდროს)

## III \*)

თ. ჭკუჭკუჭადის ფელაქოფია, მოწალი და ესტეტიკა სავსებით გამოიხატა ამ შესანიშნავს მის ზოქმაში, ამიტომ სავარაოა, რამდე-ნადაც შეესძლებოთ ეველა ამ სავგნებს შეეკროთ აქა.

კარგად იცით ზნეობრივს კითხვათა შორის დიდი მნიშვნე-ღობა აქვს, კვრედ წოდებულს, ზნეობრივს თავისუფლებას, თავისუფლებას ნებისას (la liberté morale, libre arbitre).

ჩვენის მოქმედებისათვის ჰასუსს მასინ ვაგებოთ, თუ ჩვენვე კართ მოქმედი, თუ ჩვენ კართ ბატონი ჩვენის მოქმედებისა. ნების თავისუფლების დამცველნი ამბობენ, რომ კაცის ნება თავისუფალია და დამოუკიდებელი. იგი მას იზამს, რაც სურს, მის სურვილს და მის მოქმედებას სამშლკარი არ უდევსო. აღმოსავლეთის ფატალიზმი კი იმას ასწავლიდა, რომ კაცი მონაა ბედისა და იღბლისა, შემოსველისაო. რაც უნდა ეცადოს იგი ვერ გადუვა ბედის წერასო, ბედის გარდაწვევტილებას ვერ გაქცევიაო. თრ აზროთა შორის ეს-ღანდელმა მოწალისტებმა და ფელაქოფიებმა უფრო მეორის მსარე დაიჭირეს და ფატალიზმის მავიერად დეტერმინიზმი აღიარეს. იგინი ამტკიცებენ, რომ კაცის მოქმედებაზედ უსამშლკრო ვაკლენა აქვს ბუნების მოკლენებს, მის რკვანიულს თვისებებს, მეშვეიდრობასა და აღწრდას, ცსოვრებასა და საზოგადოებასაო. ყოველივე მისი მოქმედება, აზრი და სურვილი ამ მიზეზებსზედ არის დამოკიდებული, ჰირადად მას არავითარი თავისუფალი ნება არა აქვს და გა-

\*) «მოამბე», № VIII.



რეჟე ამ მიზეზთა და მათ წინააღმდეგ ვერასოდეს ვერ იმოქმედებს. ამგვარად წინააღმდეგობა თავისუფლებას ოცნების ნაყოფად მიიზიანებს.

მართლაც, თუ ნების თავისუფლებას ისე მივიჩნევთ, როგორც თუელი ფილოსოფოსები ქადაგებდნენ, იგი ძნელი დასამტკიცებელია და დასაკრებელი, რადგან ეწინააღმდეგება მეცნიერების უდაბლეს მრინინებს: უოკელსავე მოკლენას აქვს თავისი მიზეზი, უოკელივე შედეგი რომელიმე მიზეზისაგან წარმომდგარა. ამგვარად წარმოუდგენელია ადამიანს ჭქონდეს ისეთი რაიმე თვისება, რომელიც გარეშე ქვეყანაში მოკლენას გამოიწვევს და ამ თვისებას არავითარი განსაზღვრა არა ჭქონდეს. ასე რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ნება წარმოუდგენელია და შეუძლებელი. მსოფლიო, ეს კი უნდა ვითქვამოდ, რომ კაცის მოქმედებისა და მისი ნების განსაზღვრელი მიზეზები მეცნიერების კვლახდელს მდგომარეობაში სავსებით ვერ გამოიჩვენება. მრავალი მოძრაობა აქვს კაცის სულს, რომლის მიზეზი, დასაბამი და წარმოება დღეს დღეობით «გამოუჩინობელია». ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ესა და ეს მოქმედება ამ ადამიანისა შედეგია მისი აგებულებისა და ბუნების მოკლენათა ზედ-გავლენისა, მექანიკურიებისა და აღზრდის ბრალია, გამოიწვეულია საზოგადოების ამა თუ იმ წყობილებისაგან და კაცთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების ნაყოფია. მაგრამ უოკელივე მოქმედება რთულია, უოკელსავე მოკლენას მრავალი მხარე აქვს, განსაკუთრებით კაცის სულიერ მოკლენებს. ჩვენ შეგვიძლია კაცის სულის მოძრაობის რადენიმე მიზეზი გამოვიკვლიოთ, მაგრამ რადენიმე მაინც გამოუკვლეველი გვჩნება და გამოუჩინობელი. აი, მაშინ აღგვიპყრის სულზე ვითხვა ნების თავისუფლების შესახებ და ვამბობთ ამა და ამ მოქმედების აუტორია ეს კაცი, იგი მოქმედებდა თავისუფლად და გარეშე მიზეზთაგან არ იყო იძულებული ასე მოქმედებოდა. უფროს წმინდად თვით მოქმედ ზირს დაკბადება ასეთი აზრი თავისი წინააღმდეგობის თავისუფლების შესახებ. მე მოვიმოქმედე ესა და ეს, ამა და ამ მიზეზების გამო, მაგრამ, ვგრძნობ, რომ კიდევ იყო რაღაც ამისი მიზეზი, და ეს მიზეზი ჩემთვის გამოუჩინობელია. მაშინ მე ჩემს თავს, ჩემს შინაგან არსებას ვსთვლი თავისუფლად და

დამოუკიდებელ მოქმედად. ყოველს შემთხვევაში, ჩემს მოქმედებაში უშირაქტესობა აქვს ჩემს არსებითს, სულიერს თავისებას; ჩემს აზრებს, ჩემს განუხასა და გრძნობას და არა გარეშე მოკლენას: კლიმატიურს ცვლილებას და გინდ ჩემი ორგანიზმის მეტ-ნაკლებუღკანებას. მე მოკვალა კანა მასთვის, რომ შეურაცხყოფა მომაყენა. ეს მოსდა ცხელ წაფესულის დღეში, მე კამბობ, მე მოკვალა კანა, იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მომაყენა. რა გუყოთ მერე? განა ცოტა არის ისეთი კანა, რომლისთვისაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ, მაგრამ კანა არ მოუკლავს. მე ვარ ფინსი ადამიანი,—ათასი კანაა ფინსი, მაგრამ ამავე შემთხვევაში კანა არ მოუკლავს. ცხელი დღე იყო და გვარწმუნებენ, რომ სიცხეში კანა ჩვეულებრივად ნორმალური არ არის, სისხლი უდღულს, თავა უსურს,—სსკაც მრავალია ასეთს მდგომარეობაში, მაგრამ კანს არა ჭკლავს. ერთი სიტყვით, რამდენი მიზეზიც უნდა მოიყენოთ, კადეე რჩება რადაც, თვით ჩვენს არსებაში გამოუჩნობელი, რომელიც უნდა აღკავროთ მთავარ მიზეზად ჩვენის მოქმედებისა. გარეშე მიზეზებს ჩვენსედ გავლენა აქვთ,—ენ არის ამის წინააღმდეგი. სოლო ამ გარეშე მიზეზებს სსკავსედან აქვსთ გავლენა, მსოლოდ ის არ იქცევა ასე, არამედ მარტო მე ვაქცევი. და რადგან ერთგვარს მიზეზს, ერთგვარი შედეგიც უნდა მოაქვეყნს, თუ ეს ასე არ არის, ჭკავს მიზეზთა შორის ერთი რამ გამოემხარა, ვერ გამოვიტან, რომელმაც ეს სსკავარი მოქმედება გამოიწვია.

ამ ბოლოს დროს დეტერმინიზმის თეორიამ სწორედ ამგვარი მიმართულება მიიღო: კანის მოქმედებასედ, მართალია, გავლენა აქვს გარეშე მოკლენებს, მაგრამ უშირაქტესობა შინაგანს, არსებითს მიზეზებს ეძლევა. ადამიანი არის ერთგვარი შუა-გული (milieu), რომელიც გადაადულებს სოლმე გარეშე გავლენებს და თავისებურს მოკლენას გამოიწვევს. კანის მოქმედებას მთავარი მიზეზი, წყარო და დასაბამი კანის სულიერი, ფსიხოლოგიური არსებაა და არა გარეგანი გავლენანი. ამგვარად კანა არის ავტორი თავის მოქმედებისა და მისთვისავე შასუნის მგებელი. 1)

1) იხილეთ Tarde la-philosofie penale. Alf. Feuillée—La liberte et le determinisme; ეს მეორე ფილოსოფოსი გვიმტკიცებს რა გავლენა აქვს თვით აზრს ნების თავისუფლებისას კაცის მოქმედებაზედ. ამ აზრს იგი სთვლის ერთ-ერთ ძალიდ, რომელიც გვხსნადურავს კაცის მოქმედებას.



ამ საგანს, რომლის საგნებით გამოჩვევიან ადგილი აქ არ  
 არის, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე თხზულების გარჩევასში;  
 და ყოველივე მწერლის ნაწარმოებში ნათლადა სჩანს, ავტორს რა  
 შესედეულება აქვს კაცის მოქმედების თავისუფლებაზედ. ყოველივე  
 მწერალი ან ავტორმატად, მაშინად დაგვიხატავს თავისს გმირს (ან  
 კი შეიძლება ტიპინს გმირი ეუწოდეთ?) და ან ნამდვილს მოქმედ  
 პირად, რომელიც გონიერი და გრძნობიერი ადამიანია და მოქმედებს  
 ისე, როგორც ადამიანი და არა პირუტყვი. ესლხ განსათ, რა აზრს  
 ადგია ამ შემთხვევასში თ. ჭავჭავაძე და ის ავტორები, რომელთა  
 ნაწარმოებზედაც ლაშარავი გეჭმნდა.

ფელობერი დეტერმინისტი, უკიდურესი დეტერმინისტი და  
 თანაც ჰესსიმიისტი. მისი აზრით, რაც უნდა ეცადოს და რაც  
 უნდა ისურვოს ადამიანმა, იგი ბოლოს მაინც სისარწმუნოთილე-  
 ბაში უნდა ჩავარდეს, რადგან ცხოვრება მწარეა, «დამძალი საჭმე-  
 ლია», მისგან სიხვის მეტს არას უნდა ელოდე. კაცის სისუელე  
 მხოლოდ ის არის, რომ რასმე კეთილს კლას ცხოვრებიდან, რაიმე  
 სიტუბობას ილტვის და მოკლას, — იგი ყოველთვის ამ სისუელე-  
 ლის მსხვერპლად ხდება. ჭალი, რომელიც სიუვარულისთვის არის  
 შექმნილი და ისე ეძიებს სიუვარულს, როგორც ძლიან მწუერავლე  
 კაცი ცივს წყალს, კერას ჭიშკებს გარუენილებისა და განკიცხვის მეტს  
 და ბოლოს სისარწმუნოთილეობაში შთავარდნილი თავს იწამლავს  
 (მძაღამ ბოკარი); ასლგანდა კაცი აფასკვარი რცნებით და იდეა-  
 ლებით გატანებული, შუას თუ არა ცხოვრებაში ხდება, მხოლოდ  
 მოწამე მისი რცნების კოშკის დამხობისა და უბრალო საგს მოკიდე-  
 ბულ ბურჟუაზ იტყუას (l'éducation sentimentale). წმ. ანტონი თვა-  
 ლით სედავს, რომ ყოველივე ამათ ამ ქვეუნად, ყოველივე ფილო-  
 სოფია და სარწმუნობა ჭჭრება, როგორც წინა წლის თოკლი. ზო-  
 ლს მოწაფეა ფელობერისა ყოველისფერში, როგორც რომანის ფორ-  
 მაში, ისე აზრში. იგიც უკიდურესი დეტერმინისტი და ჰესსიმიისტი.  
 კაცი პირუტყვია, მისის აზრით, ცხოვრებას განაკებს ბოროტის  
 დმერთი, მხოლოდ ის რჩება გამარჯვებული, ვინც ბოროტებას ემ-  
 სახურება. ყოველი კაცი გარეშე შედ-გავლენათა მონაა, ბუნების კა-  
 ნონებისა და მოკლენების ყურ-მოჭრილი ყმაა. ყმწილი პატერი ბუ-




ნებრივ გრძნობას იკლავს, მაგრამ ამის მიზეზი მისი სულის ძლიერება კი არაა, მისი ავადმყოფი ბუნებაა; იგი ფსინსობა და არა ნორმალური ადამიანი, იუსუიტიზმის სისტემის აღზრდისგან დამსინჯებული. მის ავადმყოფობასა და სულიერის დასასინჯობის მსხვერპლად ხდება საწყალი სინოცხლით აღსავსე ქალი. ლერმონტოვმა კი თავისი გმირი ისეთს მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მხელის რაიმე ითქვას მისის სულის ძლიერების შესახებ. კაცს თუ ხელსა და ფეხს შეუგრაჲ, დაამწყვდეკ და მოქმედების ყოველ საშუალებას მოუსპობ, ის მაშინ კაცი კი არა, ხეა, იარაღია მისს ხელში, ვისაც დაუტყვევებია. ამ შემთხვევაში კაცს არ შეუძლიან გამოიჩინოს სასიათი და ნების ძლიერება. მაგრამ ლერმონტოვი მაინც კაცის ნების თავისუფლებას მომხრეობას იჩენს, რადგან კერც დატყვევებამ და კერც აღზრდამ კერ მოუსპო მწიარს თავისუფლებისა და ღალი ცხოვრების მოყვარეობა, თვისება, რომელიც შეადგენს განუყრელსა და დაუფასებელს მხარეს მთიელი ხალხისას.

თ. ჭავჭავაძე ამ საგანშიაც სრულიად ახალს გვას ადგას. იგი დეტერმინისტა, მაგრამ იმ აზრით, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მისი დეტერმინიზმი უფრო იდეალურია. მართალია, ჯანჯანდ გაგლენა აქვს გარეშე ძალებს, მისს ბუნებრივს გრძნობებს, მაგრამ სულიერი მხარე ადამიანისა მაინც ძლიერია. თ. ჭავჭავაძის აზრით, კაცში შირტუკული ძალებიც ღონიერია, მაგრამ უშირატესი ადგილი უჭირავს ადამიანურს, სულიერს თვისებას. კაცი მოქმედებს თავისის ნებით, იმ ნებას თვისი მიზეზი აქვს, რომელთა შორის კაცის არსებითი მხარე შირკელია. მთელი ინტერესი ზოემისა, მთელი მისი დრამატიზმი სწორედ იმაშია, რომ «განდგეილი» კაცია, ადამიანი და არავითარი ადამიანური მას არ ეუფნის. მაგრამ თანაც «განდგეილი» ისეთი კაცია, რომელშიაც ადამიანობას უშირატესობა აქვს. დაინახა თუ არა უმწვილი ქალი «სავსე სინოცხლით», მაშინ ბუნებრივმა გრძნობამ გაიღვიძა, ის ის იყო კინადამ არ დაემორჩილა წუთიერს გატაცებას, გულში კიდევაც იმრუშა, გულის-თქმით შესცდა, მაგრამ უერკად გასსენდა თავისი აღთქმა ღვთის წინაშე, თავისი მოკვლეობა და მოშორდა საცდურს. სძლია ბუნებრივი გრძნობა, თუმიც ძვირად დაუყდა ეს გამარჯვება, დიდი ბრძოლა დასჭირ-



და ამისათვის. აი თ. ჭავჭავაძის დეტერმინიზმი: ბუნებრივი ძალე-  
ბის სრულიად მოსპობა არ ძალ-გვიძის, რადგან შეიღნი ვართ  
ბუნებისა, ამგვარად ჩვენი ნება შესდგეფულია. სოფელ ჩვენ შე-  
კვიძლიან ეს მაცდური ძალები შეკახროთ და უკიდურესობამდის არ  
მივიდეთ მათის ზედ-გავლენის წყალობით. ამ შემთხვევაშიაც არა  
ვართ სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ ჩვენი  
დამოკიდებულება უფრო იდეალურია, ჩვენ ჩვენს აზრზე ვართ და  
მოკიდებულნი, ჩვენი გონებისა და გრძნობის მონა ვსდებით, ესე  
იგი ჩვენი ბატონი ჩვენვე ვართ, ჩვენი უფალი ჩვენი არსებითი, სუ-  
ლიერი მხარეა. ვაჩის მოქმედებაზე ამგვარი შესდგეფება პოეტისა,  
უფრო ღრმა სიაფუძველს აძლევს მთავარ აზრს პოემისას. მართლაც,  
წარმოიდგინეთ, რომ ჭავჭავაძეს დაქსატა ისეთი არსება, რომე-  
ლიც მოკლებულია ფოკალივე ადამიანურს თვისებებს, ჭკაროვანი არ-  
სება, რომელიც მართლ სულით სცხოვრებს, ეს ჩვენთვის საინ-  
ტერესო არ იქნებოდა, რადგან არაკითარად დამოკიდებულება არ ეჭ-  
ნებოდა ჩვენს ცხოვრებასთან. ან და წარმოიდგინეთ, დაესურათე-  
ბიან ან ფსიხოპათი ზოლას გმირებით, ან და სულით სუსტი  
ადამიანი, რომელიც დღეს ვილაცას გაუფხვრებია, ამიტომ ქვეყნას  
შესძლეობია, განდგეფა და დაუფლებულა, სკალ ლამაზი და ტურ-  
ფა არსება დაუნახავს, იმას გაუტაცნია, მძირულ მოთხოვნილება-  
თათვისა წინააღმდეგობა ვერ გაუწევია და ისეც ცხოვრებას დაჭბრუ-  
ნებია. განა მამინ ასეთი დიდი ინტერესი ექმნებოდა პოემას? ან  
და ასეთის ძლიერებით დაგვანახებდა აკტორი, რა ძლიერია ცხო-  
რება და რა შემდგარია ვინც მას გაურბის, შემდგარია, რადგან ცხო-  
რება არც ასე საზინდარია, რომ შიგ არა მოიპოვებოდეს-რა მიმ-  
ზიდველი და სიცოცხლის დამამბეული, თუგინდ ტურფა ქალიც  
იყოს იგი; შემდგარია ვინც ეგაჩმოდება საწუთროსა, რადგან ეს  
შეუძლებელია ისეთი სულით მხნე ადამიანისთვისაც კი, როგორც  
განდგეფილი იყო.

თვით აზრი, მორალე პოემისა, ამ სსხად გამოთქმული, კიდევ  
ერთს მის ღირსებათაგანს შეადგენს. არაკითარე კათეგორიულად გა-  
დაჭრილი პრინციპი, ანუ გეგმა მოქმედებისა არ წამოუყენებია აკ-  
ტორს. ცხოვრებას მრავალი მხარე აქვს, ცხოვრებაში მოქმედება



რთულა და მრავალკარი, მას კერავითარი კალაპოტი ვერ დასტკეს მხოლოდ შესუსტებს და შეაფრსებს. ზოგეტი გეუბნებათ მხოლოდ: ამას ნუ იზავთ, ეს შეუძლებელია და ანა სანატრელი. ცხვარები სადმა მიიჭეცით, ანუ ხარიდებთ მას თვალს, როგორც ერთს რას-მე ჭირიანს» ემსახურეთ მას და როგორ? ეს თქვენი საქმა.

რავი გამოვირკვეით მთავარი აზრი თ. ჭავჭავაძის ზოგმისა, მისა მორალურნი ფილოსოფიაც შევიკენით, ესლა შევეხეთ მსატრობათის მხარეს მისი თსზულებისას და ენახათ, რამდენად შეესაბამება ფორმა შინაარსს, რამდენად ეკადრება გარეგანი სამოცლელი ისეთს მადალსა და ღრმა სწეობრავ აზრს, რომელაც შეადგენს ამ ზოგმის ერთ დაუფასებელს დირსებათაგანს. 1)

1) ეს ზოგმა ლეგენდაზედ არის აშენებული, როგორც თვით ავტორიც გვიჩვენებს (ზოგმის სათაურის ქვეშ ფრწილებში სიტყვა „ლეგენდა“ ა ჩასმული). ეს ლეგენდა მლიერ წააგავს ძველ ქრისტიანეთაგან დარჩენილს თქმულებას წმ. მარტინიანის შესახებ („Вѣство отъ женщины“ ე. „ნიკი“ ს წიგნაკები 1895 წ. № 5). ერთი ლამაზი ქალი, ურიგო ყოფა-ქცევისა დაენაძლეემა თავისი მორტრფილით წმ. მარტინიანის შეცდენაც შემძლითა და წავიდა მარტინიანის სენაკში. გზაზედ საშინელი ქარიშხალი მოეწევა. მივა წმ. მარტინიანთან მწყემსი ქალის საბით და სთხოვს დაშე გამათევიეო. იქ ქალი დატყუებს ბაას ასკეტისმის შესახებ და მოპყუება იმის დამტკიცებას, რომ სიყვარული ღუთისაგან არ არის აღკრძალული და დამადებიდან მოწყუანს მაგალითებს. დამე მშენიერის ტანისამოსითა და მერტუასის ნივთებით მორთული გამოეცხადება წმ. მარტინიანს. წმ. მარტინიანი აღტაცებული დაეკონება ტურთა ქალის ბაეებს, მაგრამ მეორე დილაზედ გამოერკვევა, თავის დაწაშულს შეიგნებს; კოკონს გააჩადებს, ზედ შესდგება და მთლად დაიხრაკავს ფეხებს, რათა დაისაჯოს თავი და განსაძდელსა კი გადარჩეს. წმ. მარტინიანის მოქმედება ისეთს გავლენას იქონიებს ქალზედ, რომ თვით იგი შესდგება მონაზნად. წმ. მარტინიანი კი გადიკარება სადდაც უღაბნო კუნძულზედ, იქიდან სხვაგან და ამგვარად გაურბის მთელი თავისი სიცოცხლე დედაკაცის მომხიბველდ არსებას, სანამ სულს არ დაღეცს.

როგორც მრედათ თ. ჭავჭავაძის ზოგმის არაკი დიდი მსგავსება აქვს ამ თქმულებასთან, მაგრამ არნებითი განსხვავებაცა აქვს.

თვით ქალი წმ. მარტინიანის შეპაცდენელი და „განდეკილის“ მომხიბველი სულ სხვა-და-სხვანი არიან. პირველი განგებ სცილილობს მოხიბლობს წმ. მარტინიანი, ზოლო მეორეს ეს აზრადაც არ მოსელია, ამიტომ ჭავჭავაძის განდეგილი უფრო სისუსტეს იჩენს ხასიათისას. სამაგიეროდ განდეგილი იმ ზომამდის არ შემცდარა, როგორც წმ. მარტინიანი. საუბარის ღედა-კაცისა წმ. მარტინიანთან და განდეგილთან სულ სხვაგვარია, პირველს გაქნილი ქალი ელაპარაკება, მისი სიტყვა პასუხი ზერხიანია და მაცდური, მეორეს კი გულ უზრყვილო მწყემსი ქალი ემათება. მისი სიტყვა მარტრფია და თავისავე სიმარტრფეში პზოებს მლიერებს. განდეგილი ცხოვრებას გაექცევა, თავისი მებედულების გამო ამ ცხოვრების შესახებ, იგი გულ მწყლული ფილოსოფოსია, ზოლო წმ. მარტინიანი, უფრო ფრამის აღსასრულეზლად ეტანება ასკეტობას, ეს თავისებური ფანატრკოსია. მთავარი აზრი სარწმუნობრების თქმულებისა, რასაკერევილი, ძალიან განსხვავდება სავრო ზოგმის აზრისაგან და ფორმა ზომ სრული კუთვნილება ათ. ჭავჭავაძისა. არაკის მსგავსება კი იოტის რდნადაც არ ამკირებს ზოგმის დირსებას. თვით უკვდავი შექსპირის საუკეთესო დრამების არაკი ნასესებია.

ჩვენთვის აქ ზოლოდ ის არის საინტერესო ავტორმა თავისი ზოგმის არაკი პირდაპირ ამ თქმულებიდან ისესხა, თუ ჩვენს ხალხშია ამგვარი ლეგენდა დარჩენილი.

## IV

ჩვენ უკვე ზემოდ მოვიხსენიეთ, როგორის ხელაგნებით, აღ-  
 გვიწერს ავტორი «განდეგილის სულის მოძრაობს, ტურფა ქალის  
 დანახვის შემდეგ.

«განდეგილის» ფსიხოლოგიის დასასურათებლად ო. ჭავჭავაძე  
 ერთს მეტად სერხიანს და ესტეტიკაში საუკეთესოდ მიჩნეულს სა-  
 შუაღებასა სმარობს და კიდევაც მიაღწევს ამით თავისს აზრს. მან  
 დაუპირდაპირა «კუშტსა და მწურალს» «განდეგილს», სინოცხლითა  
 და ცხოვრების შესარულებით აღსაკვეთა ემაწვილი ქალი. ეს დაპირ-  
 დაპირება, ანტიტეზი, სწორედ მხატვრული სერხია, ფერადთა შე-  
 ხამებაა, იმ აზრით, რომ ერთმა ფერადმა უფრო თავლსაჩინოდ გაჭ-  
 ხადოს მეორე. «განდეგილისა» და მწუქმის-ქალის ერთმანერთთან  
 შედარება, რითავე პირის სუფიერს და ხორციელს სურათს უფრო  
 სავსებით გვაჩვენებს და წარმოგვაგვიგენინებს.

«განდეგილის» აღწერაში პოეტი გვაგებინებს მის ჭაეროვნებას  
 მისს «სუფით სიწმინდეს», და სიმღაერეს, რომელსაც ხორცი უძ-  
 ლურ-უქმნია თითქმის გაუნადგურებია. თითქმის-მეთქი, ვამბობ, რა-  
 თა ერთს წუთსაც არ დაკვირვოთ, რომ ავტორი არა სედავს შე-  
 საძლებლად მთლად გაძეგებას ამ მხარისას ადამიანის ბუნებდან.  
 «არ იყო ხნიერ», ამბობს პოეტი, «მაგრამ ვით წმინდანს».

სულის სიმაღლე ზედ დასწევოდა,  
 ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
 სულ სხვა მსოფლიოს შეჭხიზნებოდა.  
 სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი  
 სიწმიდის მადლით დაჰშვენებოდა,  
 და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,  
 შარავანდელი გადაჰფენოდა.  
 მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება  
 ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი.  
 თითქო მათშიგან ჩასახებულა  
 თვით სათნოება, კდემით მოსილი;  
 თითქო ნელისა სიხარულითა

სამოთხის ღია კარს შეჭზარიან  
და სულთან ერთად უფლისა მიმართ  
სასოებითა მიისწრაფიან.  
ლოცვით და მარხვით ხორც უძღურ-ქმნილი  
ჭვანდა წმინდასა იგი წამებულს.  
მრავალ გზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა  
ძლევეთ მოსილსა და განდიდებულს.

ყოველს სიტყვაში, ყოველს წინადადებაში, ჭხნდავით, რომ აქ  
ესაქაოსა-თან, ამ წუთი-სოფელა-თან ამ საწუთროა-თან საქმე  
არა გაქვით.

ესლა დააკვირდით ქალის აღწერას. ზოემა მისი გამოჩენისა-  
თანავე გვაგრძობინებს სორცეელი ადამიანის სიასლოკეს. მასთან  
ერთად ცნობრების ძლიერი სილა შემოდის «განდეგილი»-ს სენაკში  
და მთლად ერთიანად შესცვლის, როგორც გარკვეან სასეს სენაკისას,  
ისე სულაერს ვითარებას მასში შეფარებულს მწიბისას. ამ ქალს,  
მსოლოდ ბუნებრივი აწუხებს, სორცეელი, იგი არც განსაცდელ-  
ზედა ჭფეჭრობს, არც მაცდურზედა, ეს ფეჭრები მსოლოდ «განდე-  
გილი»-ს უნდა მოსკლოდა, რომელიც თავისი სულს მუედროებას  
ისე ინავდა, როგორც იდეალს, ძვირფასს განმს, მასინ როდესაც  
«განდეგილი» შემოსულისთანავე ამის ჭკითხავს ქალს: კინა სარ?  
კანც თუ მანე, აქ მოგზავნილი კშმავისაგან?» მწეემსი-ქალი მსო-  
ლოდ სიკვდილისაგან თავის დახსნას სცდილობს და კერც კი გაუ-  
გია ასეთი კითხვა: «მისსენ, ღვთის მადლსა სიკვდილისაგან...  
რა დროს კითხვაა? შემობრალე და ნუ დამიჭერ ჭერსა.» შეადგა  
თუ არა სენაკში ფესი ჰირველი მისი სიტყვა ეს იყო: «უჭ, უჭ, რა  
მცივა, სთქვა მან სტუმარმან, ღამის გაკშეშდე სიცივისაგან!» აი  
ჰირველი ფეჭრე და ზრუნვა სორცეელის ბუნების შეიღისა, —თა-  
ვისი ბუნების, ფიზიკურის მხრის დაცვა და დაფარვა.

ქალს იმზირად დაგვიხატავს აკტორი, როგორც იგი «განდე-  
გილი»-ს ეხეენებოდა და იმ შთანბეჭდილებას გაჩვენებს, რომელიც  
ქალმა იქონია «განდეგილზედა». ამ უდაბურს ოთანში სადაც წნეობ-  
რივი სისასტავე განდეგილისა ყოველს გუთხესა და ყურეს კტეო-  
ბოდა, სადაც სინათლეც ძლივს შედიოდა და სადაც სიკვდილის



სუნი უფრო იყო—გინემ სინდონდისა, ქალი რაღაც უცნაურის  
შარკანდუდით იმსება, მკითხველსაც რაღაც საოცრად ჭსბლავს.  
«განდგეილი» ხომ მთლად აღტარებულია, რადგან დიდი ხანია იგი  
მოკლებულია ცხოვრების ყოველივე ნიშანის ნახვას. დამერწმუნებით,  
მგონი ამასე, რომ ეს ქალი ასე წარმტაცად არ ეჩვენებოდათ, არც  
იმ მწუქსებს, რომელთაც ყოველ დღე უნახავთ იგი და არც ერთს,  
გინც ცხოვრებაში ყოველ დღე მონაწილეობას ღებულობს, და ხში-  
რად უნახავს «სინდონდით სავსე» ტურფა ქალები.

ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა  
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,  
გასაოცარი რაღაც შვენება  
განდგეილს თვალ-წინ წარმოედგინა.  
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,  
სავსე შვენების ჯადოთი გრძნობით  
ნაზად ამაყად ცეცხლა პირს იჯდა,  
ვით მინდვრის მშველი ყელ-მოღვრებით.  
ემზითა მფრქვევსა მის შავსა თვლებს  
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,  
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,  
ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა.  
თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს  
ზორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,  
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა  
თავის სიცოცხლის გამომსახველად;  
მაშინაც ვინ სთქვას,—ვინ ვის აშვენებს,  
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...  
თვით შური, მტრობა ვერ უბოვიდა  
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.  
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით,  
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..  
დაზე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას  
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.

შეჭსკდეთ რა გნების ენითა სწეწს ჰოკტი, შეჭსკდეთ რამდე-  
ნი სინდონდლე სდუღს და გადმოდას ყოველ მის სიტყვაში. დააკვირ-  
დით რა რეალიზმით აქვს ავტორს აღწერილი მომსახველობა ქა-

ლის სიმშვენისა. „განდეგილს“ თუ „გუშტად და მწერალად“ გვეჩვენებს, თუ იქ სრულად გავიწყებს ამ ქვეყნიერებას, — აქ ცნობების შუაგულადა, ცნობების მოძრაობაა, უძლიერესი ძალა სინცონისა გადმოსწკვთვს ყოველ სტრუქტურადან და ძალა უნებურად გიტაცებთ აქ, ამ ქვეყნისაკენ, ამ მწარე და თანაც ტბილი წუთი სოფლისაკენ.

ნეცნლიც გი მისს თვალებს ესითბოს ენალებოდა, ამის ელფერთან თვით ნეცნლის შუქი, ვითა ძლეული, უჭუ ჰქრთებოდა, და ნეცნლის შუქი მის ტურთა სასეს, ვით საყვარელსა ზედ დაქსაროდა, თვით მკითხველიც რაღაც ნეტარ სითბოსა ჰგრძნობს ამ მშვენის სურათის წინ, იმ სითბოს, რომელიც „განდეგილს“ „გულს ჩაუფინა ნელი და თბილი.“ თვით მკითხველი ჰგრძნობს რაღაც სინცონსეს ამ სახის წინაშე, რომლის უკეთესს ვერ ინატრებდა თვით ტრფობის მადლი „თავის სინცონის გამოძისაკელად“ (აქაც სინცონულე, არ დაივიწყეთ). შესედეტ რა სორცეული აღწერა, რა ბუნებრივი და მსოფლად მარტო ბუნებრივი გრძნობებით აღსავსეა ეს სტრუქტურები: „მის თვალთა ელვით, აღწვთა შუქ-ფენით, გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!“ მისს დაწკაყ „ეშისა, ვითა იადანს ვარდზედა, სული დაუღვივა, ამისა ღიმილის გრძნული ჟანდი ზედ დასაკდომად გონას იწვევდა და იმა წვევის მაცდურებასა ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...“ და ამას საწყაღმა მწარმაც ველარ გაუძლო. აი მთლად მთელი სურათი იმ ქალისა უძლესის და უკეთესის რეალისმით აღწერილი. იგი მსოფლად სინცონსესედა გათქრებინებთ, მსოფლად ცნობების მღელვარებას გინატრებთ და ბუნებრივს, აქაურს გრძნობებს გიშლით. არა თუ მარტო გარეგანი სახე, მთელი მოქმედება ამ ქალისა, მისი აზრები, მარტო ცნობების ფილოსოფიაა, რეალური ფილოსოფიაა. მისგან შორს არის ყოველივე აზრი „განდეგილობა“ — ზედ, ცნობების უარყოფაზედა, იგი განხორციელებული ცნობებაა, იგი ცნობების შვილია სინცონსესის მოტრფიალე, იგი თვით ჰფენს თავისს გარშემო სინცონსესს. აიდეტ მისი ღაბარაკი განდეგილთან, ეს საუნცონო დიალოგი, რომელიც ფრად მძლავს ფასსა სდებს, როგორც ავტორის მხატვრობით ნიჭს, როგორც მისს ფსინოლოგიის სიღრმესა და სინაზეს, ისე მისს ფილოსოფიის ძლიერებასა.



ქალი ცხერის ფარას უდგია და თუმც მამამ გააფრთხილა, ენდობიო შეინჯას, იქ წკალებადი ამინდი იცისო, მას ყოველივე ეს ავიწყდება, როცა ბუნების დიად სურათს ქსედავს და გაშტერებული აღტანებული პოეტაჲთ შესწქერის მზეს, რომელიც «ღუთის სახესავით გარს შუქ-მოსხმული მთის წვერსედ ბრწინვალდება», და აქვე კი თავს იმართლებს: «მაგრამ რას იზამ? მოდი, გუღს უთხარ, კარგ სანასავსედ ნუ ხარო ხარბი?» კარგად ესმის მოკაღჯობა, ამის ურხსაო გაუგონია, «გზა თურმე არსად არ წარმართა», მაგრამ ისიც ესმის, რომ შეუმდებელია კარგს სანასავს ცხოვრებისს, სიცოცხლის გამომხატველს სურათს ბუნებისს გვერდი ავუქცეო, და ღრმა აზრიანი სიტყვები ქალისა «მაგრამ რას იზამ?» პასუხია «განდეგილია-ს მთელი ფილოსოფიისა. — განუდგვი და მოშორდი საწუთროს, მაგრამ რას იზამ, რომ ვერ შეასრულებ ამას.» ეს თითქო წინასწარმეტყუელებაა ამ ქალის პირში, რომ არა თუ ის, თვით განდეგილიც, რომელიც სულ ამის ცდაში ატარებდა სიცოცხლეს, ვერ შეასრულებდა ამ სოფლის დათმობას.

«განდეგილი» თან და თან ჰგრძნობს ამ ბასის დროს ძლიერებას ამ ქალისს, ამ სიცოცხლით სავსე ადამიანის შვილისას და სტდილობს დაუმტკიცოს, რომ მის «განდეგილობას» რეზონი აქვს, მაგრამ ყოველივე მისი საბუთი უფრო და უფრო სუსტდება, მაშინ როდესაც ქალის ყოველი სიტყვა უფრო და უფრო ძალას იკრებს «მოშორდი», კეითხდება ქალი, «წუთი-სოფელს და აქ სულ მარტოგახარ?» «გეკეთი არის, სჩანს ნება ღუთისა», ამის მეტ პასუხს ვერ პოულობს «განდეგილი». ქალი ამით არ დაკმაყოფილდება და მთელ თავისს ფილოსოფიას მოუყვება:

როგორ თუ ღუთისა? ღმერთს რაში უნდა  
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?\*

...(აქ) ყოფნა რას არგებს სულსა?

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჭარის  
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?

...ნეტა მაშ რისთვის მართო

ესე ლამაზად წუთის-სოფელი?

განა მისთვის, რომ ადამიანმა

შეაჩვენოს და აილოს ხელი?

საქართველო  
თბილისი

„განდეგილი“ რომ განუგებულს საფუძვლებს იძიებს აზრის დასამტკიცებლად, შენაჩრის ეტანება და ლეთის ნებასა იწოდებს, ქალს მთელი თავისი აზრი თვით ცნობურებაზედა აქვს აღგებული, იქ ზოგადობს ძლიერებას და სიცოცხლეს მისი სიტყვები; მისი კითხვები ცნობურების კითხვებია ძლიერი და მასკალი, რომელიც უეცრად უთხრის საფლავს „განდეგილისა“ აზრს.

ცნობურების ლოგიკით აღჭურვილი, საოცარის ხელოვნებით დაბოძებული განდეგილს უბრალო, უვიცი ქალი. პირველი გამარჯვება ქალისა აზრით იხატება „განდეგილისა“ იმ სიტყვებში, სადაც იგი თავს უბედურად ჰხდის, სხვას რაღაცას და ვიღაცას აბრალებს ასეთი ბედი რომ ერგო, და ასეთი გზა ხსნისა შესვლა. აზრის გამარჯვებას, სოცრით გამარჯვება მოჭყვება, ქალის გამარჯვება სიმბოლოა ცნობურების ფილოსოფიის გამარჯვებისა, რომელიც იმას კი არ ამბობს, რომ კითხვით ცნობურებაში უოკალიეუ ნათელი და კარგი იყოს, არც იმას, რომ ცნობურებაში უოკალიეუნი ბინძური იყოს და მანც ეს სიმბინძურე სჯობდეს აზრბობას. არა, ცნობურებაში ბეგრია ცუდი, ამბობს ეს ფილოსოფია, მაგრამ თანაც ბეგრა კარგია. ხეენი დანიშნულება არის კარგი განჯავითარათ და ცუდი მოკსპოთ, დაჯამსოთ. შეიძლება არც იმის წინააღმდეგი იყოს ეს ფილოსოფია, რომ ცნობურება „ფეჟტა და ამალება“, როგორც ამბობს მუარე ხეენი დიდი ზოგით, მაგრამ, რადგანაც კარგი გეჟტან — შეიღწა სოფლისა, უნდა კიდერა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

ძლიერს მსატკობითს ნაჭს იხენს ავტორი ქალის სიმშენიერის აღწერაში, ისეთს სიმღერეს იხენს, ისეთს საოცარს ხელოვნებას, რომ მე მკონია ამ აღწერილებით შეგვიძლია თავი მოგეჟონდეს. 1) ავტორი სამაგალითოდ ასრულებს იმ კანონებს, რომელიც

1) ჩვენ გვინდა, რამდენათაც შეგვიძლია, ყოველივე წვრილმანი გავარჩიოთ ამ პოემაში. ამიტომ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ შემდეგი. ლესინგს თავის „ლოაკონში“ აქვს მოყვანილი არიოსტოს პოემადან (Orlando Furioso c VII st. 12) ქალის სილამზის აღწერა. ერთ ადგილას ენახეთ ფრაზა, რომლის გავლენის ქვეშაც შეიძლება დაწერილი იყოს თ. ჭავჭავაძის პოემის ორი სტრიქონი:

თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა  
ქალს მშენიერსა ვერაფერს ნაკლსა

არიოსტოს ასე აქვს ნათქვამი ქალის ცხვირზე: „ცხვირი ისეთი სწორი ჰქონდა, რომ თვით შური ვერას უპოვიდა გასასწორებულსა“-ო, თ. ჭავჭავაძეს ზემო მოყვანილი ფრაზა აქვს ნახშიარი მთელის საზის შესახებ და ამიტომ ბევრად უკეთესად გამოდის, რადგან უმწიკვლო და უნაკლო მშენიერების იდეალს მთელი მთელი საზისას წარმოგვადგენინებს. პირის საზის ერთ ნაწილზედ კი, ისიც ცხვირზედ გადაჭარბებული სიტყვების შიარება უჩერბულია, რადგან ამ აზრს დაგვიბადავთ, რომ ეს ნაწილი ისეთია, მაგრამ ჭავს სხვა ისეთი სრული ვერა ყოფილარაო, და ეს უშლის ერთიან შთაბეჭდილებას, სიმეტრიის კანონებს არღვევს.



ესტეტიკას მიუღია ღესისინგის შემდეგ და რომელიც უფრო მსტორიული კანონებია ვინემ სასუქმძღვანელთა მწერლისათვის, წადგან მისი აღსრულება შეუძლია მხოლოდ ნიჭს, ტალანტს უფესისინგოთაც. ხოლო უნიჭო პოეტს და მწერალს ამ a posteriori შედგენილის კანონებით სელ-მძღვანელობა ზიანსაც თუ მისცემს, თორემ დიდ საჩუქებლობას არა. ჭკაკაკამე სულაც არ ავიწროთ დწვრილებით, არც ცხვირს, არც ტუნს, არც თვალებს ქალისას, არც მის წარბს და წამწამს. მისთვის საკმაოა გითხრათ, რომ ამ ქალის კმხიან თვალების «სიათბოს თვით ცეცხლი ეცლიებოდა», რომ მისი ბაკე, «ზედ დასაკდომად კონხას იწვევდა,» რომ მისი სიტურფის შექმნას თითქო ერთად ცდილან «თვით სიყვარული და ნეტარება,» «თითქო თვით მადლსა შეენებისასა თვისი საუნჯე აქ დაჭბნეკია.» აქ თქვენს ფანტაზიას სრული თავისუფლება ეძლევა და ეველას შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი იდეალი სიმშენიერისა, როგორიც ესურება მის წარმოდგინებითი ძალას. აეტორი, რომ მოჭყოლილიყო წვრილ-წვრილად აღწერას ჩვენ ფანტაზიას შეჭბოჭკადა და თვითაც კერავითარ ნათელ სურათს ვერ დაგვიხატავდა. განა შესაძლოა უკეთესად დასსსკა მშენიერებისა, უკეთესი დამამტეიცებელი საბუთი რეციური სიტურფისა, რომ მის მადღურებას ვერ გაუძლო საწყაღმა მწირმანა?

არა ნაკლებ გასაოცარს სელოვნებას იხენს აეტორი ბუნების სურათის აღწერაში (თავი VII და VIII) და უნდა ესთქვათ ესენ, რომ ამ აღწერილობასაც ზირველი ადგილი უჭირავს ჩვენ ლიტერატურაში. მე აღარ ავიწერ ამ სურათს კრცლად, დარწმუნელული ვარ ყოველ ქართულ მკითხველს დრმად შთაბეჭდილი აქვს ის სსოკანაში. 1) ძლიერი სული, რომელიც ამკობს ამ სურათს, სიცხსოულე და ძლიერი მოძრაობა, რომელსაც გავრძნობინებთ ყოველი კალმის მოსმა პოეტისა, საოცარი შესამება ფერადთა, მისი სელოგნური სტილი და სიმბოლიური აზრი თვით აღწერილობისა, უტყუარი დამსახუთებელია თ. ჭკაკაკამის დიდის მხატვრულის ნიჭისა.

1) ამ სურათის სიძლიერე მშენიერად დაიფისა ბ. შაიაშვილმა თავისს წერილებში თ. კავკივიძის შესახებ, რომელიც „ნოვ. ობოზრ.“-ში იბეჭდებოდა.



მშენებელს სურათის მისი ჩასვლისას, რომელიც ავტორმა „განდგეილის“ სენაკის „ზღუდის გარებიდან“ დაგვიანსება, აღტაცებაში მოჭყეესნათ და რაღაც საოცარს, მართლაც გვიმარცხებულსა შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში ეს სურათი ამ უცნაურს ჩანჩოში. „განდგეილის“ გატაცება ამ სურათით, მწვემისს ქალისაგან თავისი ცნებების მიტოვება, რომ ბუნების ამ მომნიბელები სურათის ცქერით დამტკბარნიყო, კიდევ და კიდევ თავისებური ზოგტური სერხია, ზოგტური საბუთი ამ სურათის სიმშენებლისა.

აქაც ავტორი იმავე იარაღს სმარობს დაშირდაშირებას, ანტიტეს: მზიანის მუდროს საღამოს აღწერას ისეთ საშინელს დაღამებას მოაყოლებს. აქაც სიმშენებელზე შირველის სურათისა ერთი ორად ჩნდება, უცნაური, ჟოჯოხეთის მსგავსი ამინდის აწერით. „ელვა და ჭექვა, ქუხვა და სეტყვა, არეკ დაჩვეით ღრუბლებთა სრბოლა,“ ერთი ორად საშინელია, ერთი ორად გამაზრიალებელია, როცა წარმოიდგენ მშვიდსა და წუნარს „განდგეილს“, რომელიც ცრემლით აღბობდა ღვთისმშობლის ხატსა, და ხელ-აპურობით ეკედრებოდა წაწყმდისაგან ქვეყნისა სხნასა. და ეს ძლიერი ენა, ეს სიტყვები, რომლის ერთი წარმოთქმა გავრძობინებთ ბუნების რაღაც საშინელებას, რომ შე-დგეობა იმ სტილისა, რომელზედაც შეიძლება ათქვას ბუფეფონის სიტყვა „სტილი თვით განია“.

და ბოლოს თვით სიმბოლური მხარე ამ სურათისა: რა არის ეს „ეირველი სსიგ-გაშლით ანთებულია მზე, ეს ცა წითლად და ყვითლად მისისაგან აფერხდებული, თუ არ თვით ცხოვრება, თუ არ ის მშენებელი ქალი, რომელმაც საუკუნოდ დაარღვია საბრალო მწიროს მუდროება. რაღა არის ეს მოღრუბლული, მრისხანე, მესთან-მტენი ცა, თუ არ გუშტი და მწურალი უარ-მყოფელი ცხოვრების სიტურფისა, რომლის ცრემლები წვიმა იყო მისის სენაკისათვის და ქვითინი—ქუხვა და ჭექვა“ ცხოვრების დამთმობელის სადგურისათვის. რა არის მთლად ეს ჭექა-ქუხილი „ელვა და სეტყვა“, „არეკ-დაჩვეით ღრუბლებთა სრბოლა“, ეს საოცარი ამინდი რა უნდა იყოს, თუ არ წინად მანკებელი „განდგეილისათვის“, რომ მისი შინაგანს ცხოვრებისაგან ასეთი უცნაური გრივალი მოკლის, რომელიც მისი დაღუპვით უნდა გათავდეს.

«განდგეილია» დაიღუპა, ქალი გამარჯვებული გაქჭრა სენაკიდან — «გადაურილიყო ციდან ღრუბელი, და დაწყნარებულს წუთი-სოფელსა დაღის ნიავი დაქჭროდა ხელია, ამოვიდა მზეცა, თითქო მხოლოდ მისთვის, რომ უკანასკნელად დაენახა «განდგეილია», რომელიც «რბის, დაძწის და დატანტალებს ამ კლდეებშია თმა-აბურძგნულია», ამოაშუქა გამარჯვებულმა მზეც, თითქო მისთვის, რომ უკანასკნელად სტუარტის თავისი განმაცხოვრებელი სსიკები «განდგეილისა» გუამს, და შეატყობინოს ქვეყანას, რომ სიცოცხლის მომცემ მზესთან ბრძოლა და ცხოვრების განადგურება არ შეჭტურის კაცს და მასთან ბრძოლა მას არ აზრია.

რას არის ბოლოს მთელი ეს სურათი, თუ არ სამბოლო საუკუნო ბრძოლისა ცხოვრებაში ორმოცდისა (დაუსრულებელი კეთილი, სამართლე და ნათელი სპარსთა სარწმუნოების წარმოდგენის) არიმანთან (ბორცტი სული), კეთილი მხარისა (მზიანი დღე) ბორცტთან (ქარიშხალი, ქუსკა და ტეჭკა), რომელიც ღრუბლის დამარცხებით უნდა გათავდეს და მზის ძლევა-მოსილის გამარჯვებით, თუმც მრავალი უმწვემსოდ დაშენილი ცხოვარი დაიღუპა ამ ბრძოლის დროს და ბეკრს რიჯიანსა და გონიერს აღამიანს, კერ შემგნებს თავისი მოკვლეობისა და შემდგარის აზრით გატაცებულს იმსხვერპლებს იგი ბრძოლა.

კაცა აბაშიძე

## გუნებრივი სამგზავრობი შთაგონებებს

(შთაგონებანი სკოლაში და ცხოვრებაში)

(დასასრული \*)

ინტელექტურ და ემოციურ შთაგონებათა დაკვირვებასის დასკვნა მოსდევს, რომ რამდენადაც მეტად არის გონებრივ განვითარებული ადამიანი, მით ნაკლებად ეჭვქვეშდება შთაგონებას, თუ ყოველ სსკა პირობანი უნაკლებად რჩებიან.

იმის გამოსაკვლეველად—თუ რამდენად ადვილად ემორჩილება მღვიმის ადამიანი ინტელექტურ შთაგონებას, მე ვსმარობდი «სოსოციაციურ» კოლოფს, რომელშიაც მოთავსებული მქონდა კარდონი მსხვილად და წვრილად დაწერილი სიტყვებით ან არა-და პაწაწვინტელა სურათები სსკა-და-სსკა საგნებისა და ცხოველებისა. ვისიც გამოცდა მინდოდა, კოლოფს დაუნახებდი და ვეტყვოდი—მე რომ კოლოფის კარი გაკაღო, თქვენ რაც შეიძლება, სანქაროდ წარმოსთქვით წავითხელი სიტყვა ან დანახული სურათის სსხელი. სწორედ იმ წამს, როდესაც კოლოფის კარი გაიღებოდა, ელექტრიული აღმნიშვნელი მოჭმელებაში მოდიოდა და ბარანსზედ გაკრულ გამჭურულ ქაღალდზედ ნიშნავდა, როდის გაიღო კარი; შეცდომა შეუძლებელი იყო, რადგან კარის გაღება და ელექტრონის ელვის (ТОК) შეეენება ერთი იყო. ყოველი სიტყვა, რომელსაც იტყოდა კოლოფში მსურებელი, აკრეთვე აღნიშნული იყო იმავე ქაღალდზედ იმავე ელექტრიული აღმნიშვნელით, რომელიც მოღაპარავე ადამიანის ტუჩის ყოველ მოძრაობას აღრიცხავდა.

\*) „მოამბე“ № IX.

როცა მინდოდა მენახა, რამდენად ადვილად ემორჩილება ანა მინა შთაგონებას, კოლოფის წინ დაკაჟუნებდა და ვეტუოდა: ესლავ კარს გავაღებ კოლოფისას; თქვენ ფთხილად იყავით და თუ კოლოფში სიტუვა «მტრია» ეწეროს, მაშინვე სთქვათ. კარს გავაღებდი, გამომხდებოდა კარტონი, რომელზედაც რაც გნებავთ ეწავა ეწერა, მტრის გარდა. თუ «კოლოფის» წინ ბავშვი ან ვიდევ გონებრივ განუვითარებელი იდგა ვინმე, შთაგონება თავის ზედგავლენას იხსნდა და ისინიც მტერიო, ამხდნენ, თუმა კარტონზედ სულ სხვა ეწერა. შთაგონებას მაშინ უფრო დიდი ზედგავლენა ჰქონდა, როდესაც შთაგონებულ სიტუვა იმავე ასოთი ან იმავე ასოებით იწებოდა, რომელითაც კარტონზედ დაწერილი: მეტი, მეტივე, მტრედი—ეწერა და ისინი კი მტერიო გაიძახოდნენ.

ვინც სერიოზულ მეცნიერულ შრომას არის მიხეუული, მასვე ამგვარი შთაგონებანი გერავითარ ზედგავლენას ვერ იქონიებენ იმ მცირე დროის განმავლობაშიც კი, რომელიც გასტანს კოლოფის კარის გაღებიდან დანახულის სასულის წარმოთქმამდე. ერთობ კი განათლებულ კაცზედ ამ შთაგონებას ის ზედგავლენა ჰქონდა, რომ კოლოფის კარის გაღების შემდეგ ივინი უნებად კი არ წამოიძახებდნენ დანახულის სასულს, ცოტასანი შეჩერდებოდნენ და მერე იტუოდნენ; შეჩერდებოდნენ ხოლმე უფრო მეტს ხანს, ვიდრე იმ შემთხვევაში შეჩერდებოდნენ, როდესაც წინადვე არაფერს შთაგონებდნენ. ასეთივე შეჩერება, ვიდრე ნახულს იტუოდნენ, შევნიშნე შთაგონებულ მოსწავლე ემაწვილებს და ქალებს. ეს შეჩერება 5 წამიდან 15-მდე და სშირად 20 წამსაც გასტანდა ხოლმე; და ამავე დროს თუ წინადვე არაფერს შთაგონებდა, ნახულის გამოთქმას სულ 1—3 წამს ანდომებდნენ. რაც ადამიანი უნცროსი და ფლეკტიური ბუნებისაა, იმდენად მეტ ხანს შეჩერდებოდა: ჩემს დაკვირვებაში 25% შეხვდა 20 წლისას და მეტის ხნისას, 30% 15—19 წლისას და 45% 9—14 წლის ბავშვებს. ის ჰირნი რომელნიც დაწერილის მაკივრად შთაგონებულს კითხულობდნენ 15% 20 წლის და მეტისანი იყვნენ, 28%—15—19 წლისანი და 57% 9—14 წლის ბავშვები. გარდა ამისა სშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ვერ შთაგონებულ სიტუვას წამოიხროდნენ, ან სრულიად ან

ნახევარ სიტყვას და მერე გაისწორებდნენ და დაწერილს იტყვიან. ამგვარი შეცდომის გასწორება მე ცალკე გრუზებად შეგვრბე; ამ გრუზებიდან 8%—20 წლის და მეტის სნისანი იყვნენ, 12%—15—19 წლისანი და დანარჩენი 80% 9—14 წლის ბავშვები.

ცნობა წლისაზედ უნცროს ბავშვებისთვის 3 სხვა-და-სხვა სურათს და სათამაშოს კვამარობდი. კარს გაკაღებ და რაც დაინახოთ მითხარით-მუთქი, ვეტყუოდი; მაგალითად თუ ცნენი დაინახოთ, ცნენი-თქო დაიყვიროთ. კარს გაკაღებდი და ბავშვებს სულ სხვა რამ სავსეს წარუდგენდი, ისინი კი ხშირად მანც აგერ ცნენიო გაიძახოდნენ; რომ ვეტყუოდი—ეგ როგორი ცნენია, კატა, ან ძროხაა, ბავშვებს შერცხვებოდათ ხოლმე. 88% ამგვარ პასუხს მძლეკდა, მაგრამ აქედან თითქმის ნახევარი, სახელდობრ 55% შეცდომას ისწორებდა: ვერ იტყუადა აგერ ცნენიო და მერე დააკვირდებოდა და დაიძახებდა «ცნენი კი არა, კატა ყოფილა.» რომ ბავშუს დრო ქჭონადა შეცდომის გასასწორებლად, მე ჩუმიდ მოვიმენდი ხოლმე მის ნათქვამს და მერე 30 წამს კიდევ ველოდი; თუ ამ სნის განმავლობაში ბავშვი შეცდომას ვერ გაისწორებდა, მეტს აღარ ვახანებდი და მე თითონ მივაქცევდი მის ყურადღებას შეცდომასზედ. ესევე ვინავე დიდებზედ და მარტო 5% გაიმეორა შთაგონებული; 15—19 წლისა მარტო 4%, 10—14 წლისამ 35% ვერ შთაგონებული სიტყვა და მერე შეცდომა გაისწორა და 10% კი შეცდომის გასწორება ვერ მოახერხა.

ამგვარად მღვიმარ ადამიანზედ ინტელექტურ შთაგონებათა დაკვირვებამ, იგივე დაამტკიცა, რაც ბურჩანის დროს შთაგონებათა დაკვირვებამ ესე იგი რამდენადაც ნაკლებია წლოვანება და გონებრივი განვითარება ადამიანისა, იმდენად მეტად ემოწინაა იგი შთაგონებას.

ამ გამოკვლევათაგან ის შედეგი მომდინარეობს, რომ თუ გვიან და ჩვენს საზოგადოებაში და ხალხში შევამციროთ ან სრულიად ამოკადათ ავი, ბიწიერი და ერთობ მავნე შთაგონებანი, უშიშრულეს ყოველისა უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება მეტი გონებრივი განვითარება მივცეთ ყველას; გარდა ამისა უნდა განვკურნოთ ბავშვების თამაშობათაგან ყოველი შთაგონება და თვით შთაგონება,



იმიტომ რომ, რაკი ერთი მიუხედავად ბავშვი და ჟოხს ცხენად ცხენად იმასაც მიუხედავად რომ მიუხედავად თავის მსჯელობასა და გრძნობათა მიერ შემოწმებისა, ის მაინც სხვა-და-სხვა გვარ უსაფუძვლო შთაგონებათა დაკვლად იცნობურებს და იმოქმედებს. შემდეგ: რადგან ვისაც ბურჯანი სჭირს, უფრო ადვილად ემოწინილება შთაგონებას და მისასადაც უფრო ადვილად მიუხედავად შთაგონებას და მის მხენე ზედგაულებს მდგომარინც დაემოწინილება, საჭიროა ვისრუნოთ, რომ ბავშვებს და ერთობ მოზარდ თაობას განუაშოროთ ყოველი მიდრეკილება როგორც ბუნებრივ, ისე ხელ-ქმნილ ბურჯანისადმი.

ერთი სიბუკით მოზარდ თაობას უზირეულებს ყოველისა უნდა განვიხილოთ სასტიკ დაკვირვებას და ახალიც ყოველი მოკვებისას; ყოველ დონისძიებას უნდა ვხმარობდეთ, რომ შევანვიოთ და გავუმარტოთ ძალა მოსაზრებისა და იქამდის მივიუწინოთ, რომ ყოველ მოკვებას მისი მიზნები მოუძებნონ და შეეხვივნენ იმ კანონს, რომელიც ამტკიცებს უმიზნობად არა არის რაო. ადზრდისა და განათლების საქმეში უმთავრესი ეს მხარე არის და მიუხედავად ამისა, ჩვენდა სამწუხაროდ, მის თითქმის ყურადღებას არაუბნებენ აქტივს, თუმიც ჩვენს საუფუნეში, რადგანაც ყოველი კრი იმასა ცდილობს, რომ წერა-კითხვის უფიცი არაუბნებენ გადარსეს, ეს დიდ მნიშვნელოვანი საგანი დაწვრილებით უნდა იყოს განხილული. \*)

ამითვის, ვინც შეხვეული არ არის სასტიკ მოსაზრებას, ვისაც ძალი მოსაზრებისა სუსტად აქვს განვითარებული, ვისაც მსჯელობა დუნედ მუშაობს და ვერა ხმარობს კანონს მოკვებათა დამისწავლებისას, ამისთანა გონებრივ განუვითარებულთათვის თვით კითხვა წიგნისა ხდება შთაგონებათა წყაროდ. კიდევ კარგი თუ წაკითხული წიგნი, გასუთი ან უფრნალი კარგის, საღის აზრების და მიმართულებისა იყო? რომ აგრე არ იყოს? წაკითხულმა რომ გამრეყნელი, სულისა და გულის გამხრწნელი აზრები შთაგონოს? წიგნი რომ უსაფუძვლო, უნიადაგო მსჯელობის მეტი არა იყოს-რა? წარმოადგინეთ, რა საშინელს ზიანს მოუტანს საზოგადოებას და საღის ბეკრი ვი არა, თუნდა ერთი უხნეო წიგნი, რადგანაც წერა-კითხვის

\*) იხილე ჩემი თხზულება „თანამედროვე განათლებული კაცის ტენის დიტვირთვა“.

მცოდნე საზოგადოება და ხალხი მოკლებულია საკმარისად განხილულ რეზერვულ მსჯელობას.

თქმა არ უნდა მავნე შინაარსის წიგნების და წერილების კითხვიდან სმიწად წარმოსდგება ბიწიერი მიდრეკილებანი, სხვა-დასხვა უარყოფითი მიმართულება და მამსადაძე მრავალი შეცოდება, დანაშაულობა და სულიერი ავადმყოფობანი. თუ კვინდენით, შეიძლება ჩვენი მოზარდი თაობა გარყვნილ, ბიწიერ და დანაშავე პირთა ზედ-გავლენას ავადინოთ, მავრამ, ბეერიც რომ კვინდოთ ვერ დაკვირავთ სხვა-და-სხვა მავნე წიგნის მიერ შთაგონებისგან. ან სად იპოვით იმისთანა შეუცდომელ მსაჯულს, რომ ყოველ აზრს და ყოველ ცნებას თავისი მსჯავრი დასდოს—ეს სასარგებლოა და ეს მავნებელია?

ერთად ერთი საშუალება პრესისი მიერ მავნე შთაგონებათა და მამსადაძე მავნე ზედგავლენის ასანდენად უნდა იყოს მძლავრად განკითხრებული მსჯელობა და სასტიკი ანალიზი და დაკვირვება და ამ მხრივ უმარველეს ყოვლისა ბუნებრივ საცნების შესწავლას აქვს მნიშვნელობა, ამ მხრივ ვერაინ გაბედავს უარტყოს მათი სარგებლობა.

რაც შეეხება შთაგონების შესწავლას, ბურანში იქნება იგი თუ ცხადლივ, უნდა დაკვირვოთ იმითი, რაც წინა რ წერილში მოვისხენიე, რადგან ბეერი გწავლე, ბეერი კვინდე და მაინც ნება არ მომცეს შეესულიყო სასწავლებელში და დაკვირვებოდა—რა ზედგავლენას ახდენს შეგირდება ერთიერთმანერთსედ და მასწავლებელი მოსწავლეებსედ. ჩემმა მენნიერების სახელით თხოვნამ ვერ შეამტკრია ზღუდე რუტინისა. შთაგონების დაკვირვებამ დატეშმარიტებით მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ნორჩი, მოზარდი ორგანიზმი ადვილად ემორჩილება შთაგონებას და მამსადაძე დარწმუნებული ვიყავი—სადმე სასწავლებელში მდიდარ მასალას ეიპოვიდი რომ დაკვირვებოდა და შემესწავლა როგორც ერთმანეთის შთაგონება შეგირდების ისე მასწავლებლისგან და აღმზრდელოთგან ბავშვების შთაგონება.

და რავი პირადად მოკლებული ვიყავ უმთავრეს საშუალებას ამ საგნის შესასწავლელად ესე იგი დაკვირვებას, ისევე ლიტერატურას მივმართე, რომ გამოემკვლია შთაგონებათა მნიშვნელობა სკოლაში. მაგრამ არც რუსულ მწერლობაში და არც სამშენებლოარტულში



მე ვერა ვიბოკე-რა ჩემთვის საინტერესო საგნის შესახებ და ლოდ ერთ ფრანგულ ჟურნალში ამ რამდენიმე თვის წინად ვიბოკე ბინეს და ანრეს მიერ აღწერილი დაკვირვება ბუნებრივ შთაგონებისა. ისე რომ რამდენადაც მე ვიცი მთელს ლიტერატურას ამ საგნის შესახებ შეადგენს რუსულს მწერლობაში ჩემი გამოკვლევა და სამ-ზღვარგარეთ ბინეს და ანრის წერილები საფრანგეთში. ბინემ და ანრემ ბუნებრივ შთაგონებათა შესწავლა სხვა მხრივ დაიწეს: მათ სა-მუალებს ქქონდათ სკოლაში მოესდინათ გამოკვლევა და ამიტომ უფრო მეტი და ერთგვარი მასალა ქქონდათ, ვიდრე მე; და მანც ისინიც სავსებით ამტკიცებენ ჩემს უმთავრეს დასკვნას შესახებ იმი-სა, რომ ნორჩი ორგანიზმი უფრო ადვილად ემოწინდება შთაგონებას, თუმცა ისიც უნდა შევნიშნა, რომ მათი დაკვირვება უფრო გაწილად იყო შემოფარგლული, რადგან მარტო მოზარდ თაობაზედ სწავლობდნენ საგნს.

ეს საგანი იმდენად გამოუკვლეველი და საინტერესოა, რომ ჩემს ვალად ვრაცხ ზემოხსენებულ ფრანგთა სტატიის შინაარსი მოგიყვანო, რათა მომიკვლი მიკვლევას გაუადვილდეს შრომა და იცოდეს რა კითხვები-და არის განსამარტავი, რომ მათ მეტი უფ-რადღება მიაქციოს. გარდა ამისა ბინემ და ანრემ ერთი-ორი თთვით ჩემზედ წინ გამოაჭკუენეს თავისი შრომა და ამიტომ ძალიან საინ-ტერესო იქნება შევადაროთ ის საშუალებანი, რომელნიც ვინმარეთ მე ცალკე და იმათ ცალკე, რადგან მარტო განსხვავება ჩემის მეთო-დისა და ამტკიცებს დამოუკიდებლობას ჩემის ნაწერისას.

ბინეს და ანრის გამოკვლევას ის მათგან ჭეშმარიტებად აღი-რებული რწმენა აქვს დედა-ბოძად, რომ ჭიანჭველაში მეოფის შთაგონე-ბა სრულიადაც არა გავს იმ შთაგონებათ, რომელნიც ხდებათ უო-კელ დღიურ ცხოვრებაში. მასწავლებლის ზედგაქვანა მოსწავლეზედ იმითი ახსნება, რომ მასწავლებელს შეთვისებული აქვს ის სძა, ის სიტუებები, ის გამოთქმა, ის გზავრება და დასჯა და ასე გასინ-ჯვთ თავის მოძრაობაზე კი, რომლითაც უფრო ადვილად შთაგონ-ებს მოსწავლეს სასურველ აზრს და ამიტომ მათ გადასწევითეს შეესწავლათ შთაგონება ისე, როგორც იგი ხდება სკოლაში. ამის გამოსაკვლევად იხმარეს ერთნაირი საშუალება, რომლითაც შეიძლება

გავიგოთ, რამდენად სწორედ ახსოვს ადამიანს ნახული, ესე იგი მდგომარეობის დაკარგვა «მხედველობითი ხსოვნის» ადამიანისა. აი რაში მდგომარეობს ეს საშუალება: თეთრ კარტონზედ სამ სხვა-და-სხვა სიგრძის ხაზს გაუსმენ და მოსწავლეს დაანახებენ; მერე ამ კარტონის წილ სხვას ახევენ, რომელზედაც 21 მარალელი ხაზია გაუკანალი სხვა-და-სხვა სიგრძისა 4 მილიმეტრიდან 80-მდე და ეუბნებიან—ახა ამ კარტონზედ იმავეთ წელს ნახული სამი ხაზია. შთაგონება იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ იმ წამს, როდესაც მოსწავლე რომელსამე ხაზს დაადებდა თითსა—აკერ წელს ნახულის სწორი (სიგრძით) ხაზია, გამოძღვლი, რაც კი შეკლო გულგრილად ეტყოდან: დარწმუნებული ხართ, რომ ეგ ის ხაზია? ამ სიტყვებს ისე იტყოდან, თითქო უმნიშვნელო შენიშვნას და საქმეს არც კი შეეხებოდან და უოკელთვის ერთი და იმავე კილოთი ამბობდნენ, რომ გამოცდა უოკელთვის ერთსა და იმავე გარემოებებში უფიცილიყო.

ზრთველსორებმა ეს გზა გამოკვლევისა იმიტომ აირჩიეს, რომ ამგვარი შთაგონება წარმოადგენს ტიპს მასწავლებლის მიერ შევირდის შთაგონებისას. ამ შირველ რიგს გამოკვლევისას მოჭეუა მეორე—შესასწავლელად იმ ზედგაგებებისა, რომელსაც ახდენს ადამიანზედ «წინადავე მიღებული აზრი.» ამ შემთხვევაში წინადავე ის აზრი იყო მიღებული, რომ მოსწავლენი დარწმუნდნენ—დიდ კარდონზედ სამივე საპოკარი ხაზი არისო, და დარწმუნებული იყვნენ აქც (მეორე გვარ ცდაში) ვიპოვიოთ იმ სამ ხაზს დიდ კარდონზედაო. ცდა კი იმაში მდგომარეობდა, რომ აქ დიდ კარდონზედ სამიდან მხოლოდ ორი ხაზი-ღა იყო გაუკანალი.

საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ვიდრე მოსწავლეს გამოსცდიდნენ მის მხედველობით ხსოვნის და შთაგონების ზედგაგებების გამოსაკვლევადა, აკტორები სცდილობდნენ გაეგოთ—რამდენად მართლა იცნობს მის თვალს სიგრძეს რომელიმე ხაზისას სხვა ხაზებთან შედარებით. ისე რომ მეორე გვარის ცდაში მონაწილეობა მიადებინეს მხოლოდ 240 მოსწავლეს, რომელთაც 60 მილიმეტრზედ მეტი სიგრძის ხაზი 60-იანად ესე იგი მესამე ხაზის სწორად მიადეს. ის მოსწავლენი კი რომელნიც 60-იანზედ ნაკლები სიგრძის ხაზისას ამბობდნენ—68-იანის სწორიაო, საცდალად არ გამოდგე-



ბოდენს, რადგან მათ თვალს საკმარისად სწორედ ვერ შევნიშნავთ 8—10 მილიმეტრის განსხვავება და მაშასადამე მათი მსგავსებითი ხსოვნაც სუსტი უნდა ყოფილიყო. ბოდოს ავტორებმა შესამეგვარი საშუალება იმპარეს, რომელშიაც მოსწავლენი ერთმანერთს შთაგონებდნენ. ამისთვის ყოველგვარ გამოცდაზედ ერთ მოსწავლეს კი არა, ოთხ-ოთხსა სტადენენ ერთად და რადგან ოთხნი ვერ მოასწავებდნენ და მასუსს ერთსა და იმავე დროს ვერ იძლეოდნენ, ის, რომელიც პირველად იტყოდა, თავისდა უნებურად ზედგაკულებას იქონიებდა დანარჩენ სემზედ. ახლაც რაკი გინათ რაში მდგომარეობდა თვით საშუალება ბინეს და ანრის ცდასა, ისიც მოვიხსენიოთ რა დასკვნა გამოიყვანეს ამ შეცნიერებთ თავიანთ დაკვირვებიდან.

სიტყვიერი შთაგონების ზედგაკულების გამოსაწადელად პროფესორებს ჰქუდათ 150 მოსწავლე. სულ უნცროსნი, მოსამზადებელ კლასის შეგირდები იშვიათად იტყოდნენ რასმე ისე, რომ დარწმუნებით ეთქვათ და იტყვი არა ჰქონდეთ—ხომ არ შეეცდითო; მარტო 19% იდგა მჭიდროდ ერთსულ ნათქვამ აზრზედ, სხვანი კი, როგორც კი ეტყოდნენ „დარწმუნებული ხართო?“ მაშინვე შეიცვლიდნენ წარმართქმულ აზრს. საშუალო განყოფილების შეგირდები უფრო მეტს გამოედაობას იჩენდნენ და უფროსი განყოფილების მოსწავლეთაგან 49% შეუცვლელად განიმეორა ერთსულ გამოთქმული აზრი, ოჟმცა გამომცდელმა მათაც ჰქითსა „დარწმუნებული ხართო?“ შემდეგი ციფირება უფრო ნათლად გამოსატყვენ შედეგს ამ ცდასას:

ბავშვებმა ნათქვამი აზრი შესტკალებს:

	სამი ხაზი ზეპირად უნდა მხსომებდეთ	სამი ხაზი თვალ-წინ მქონდით	საშუალო რიცხვი
უნცროს განყოფილებაში	98%	74%	81,5%
საშუალო „ . . .	80%	73%	76,5%
უმიფროს „ . . .	54%	48%	51%

წინადაკე მიღებული აზრის შთაგონებისა გამო შეცდომაც უმეტესი ნაწილი უნცროს განყოფილების მოწაფეებს მოუკიდათ. სასულდობრ: 240 მოსწავლიდან 88% შესტდა უნცროსი განყოფილებიდან, 60% საშუალოდან და 47% უმიფროსიდან. და რადგან ყო-



გული გარემოება გამოცდისა უცვლელად რჩებოდა ყოველდღიურად. მასში, მასხადაც ეს განსხვავება უნდა გამოდინარებდეს ყმაწვილების სწოვანებისა და გონებრივ განვითარების განსხვავებიდან. უნტროს განყოფილების ყმაწვილები იყვნენ 7—9 წლისა, საშუალოა 9—11 წლისა და უმფროსისა 11—13 წლისა. მასხადაც ერთსა და იმავე შთაგონებას ერთნაირი სიადგილით არ ემორჩილებს 8 წლისა და 12 წლის ბავშვი, არამედ დიდი განსხვავებით.

აკტორებმა განიძრასეს გამოკვლეათ—არის თუ არა ახალგაურთი განსხვავება მათ შესსიერებითი ძაღის შორის, მაგრამ დასკვნა ამ გამოკვლევისა უარ-ყოფითი გამოვიდა: 8 წლის ბავშვებიდან ზეპირად (საზის დაუნასხვად რომ ეკებდნენ 21 საზში 28-იან საზს) 89% შესცდა და 12 წლის ბავშვთაგან—70% და ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ სხვა-და-სხვა ხნის ბავშვების შესსიერება დიდს განსხვავებას არ წარმოადგენს.

გაჩნდა ამისა აღმოჩნდა, რომ ბავშვი მათ უფრო ნაკლებად ემორჩილება შთაგონებას, რამდენადაც განვითარებული და გამაგრებული აქვს მის მსჯელობა; ეს დამტკიცდა საზების პირდაპირი შედარებით: ერთ შემთხვევაში 21 საზში ბავშვს უნდა ეზონა 68-იანი საზი; და მეორე შემთხვევაში ბავშვს ახვენებდნენ ცალკე გასმულ 68-იან საზს და ეუბნებოდნენ: აბა ეს საზი იმე 21 საზში იზონუნო. შთაგონებას ერთნაირად ასდენდნენ ორივე შემთხვევაში და აღმოჩნდა, რომ შთაგონებას დემორჩილა ზეპირად ძეხნაში 65% და მეორე შემთხვევაში კი მარტო 38%.

მესამე რიგის ცდაში აღმოჩნდა, რომ უნტროსა განყოფილების ბავშვები დიდ დამოკიდებულებაში იყვნენ იმ ზასუსადან, რომელსაც ერთი მათგანი წამოიძახებდა: უფრო მკვირცხლი ოთხ ბავშვთაგანი დაიძახებდა—აკურ, ეს საზი არისო და დანარჩენი სამი ბავშვიც მისს ნათქვამს იმეორებდა; მაგრამ რაც მეტად მოზრდილნი იყვნენ ბავშვები, მათ უმეტეს იხენდნენ თვით-მსჯელობას და მით ნაკლებად ემორჩილებოდნენ თავიანთ ამხანაგის ძაერ წარმოთქმულ ზასუსის შთაგონებითი ძაღას. ამასთანავე აკტორები დარწმუნდნენ, რომ ვოლფკიტოეური მსჯელობა ერთობ უფრო სწორი არის სოღმე, კიდრე ცალკე პირების, ინდივიდუური მსჯელობა, სა-



სკლდობრ: კოლექტიური ზასუსი 34% გამოდგა მართლად დივიდუნი კი მსოფლად 23%.

შემდეგ ამის ბანი და ანრი დაწვრილებით სინჯავენ მასწავლებლთა ზედგაულებას შეგირდებზედ, თუმიტა მასწავლებელმა არც კი იცის, რომ ეს ზედგაულებას შედეგია შთაგონებისა, და მართლაც წარმოვიდგინოთ, მაგალითად რომ მასწავლებელს რომელიმე სესტი მოსწავლე სძულს: რაცა კი ჭკითსავს რამეს, თავის სახის გამოძეულებით, კითხვის კალთა და მინჯრა-მოხვრით, ეჭვის გამოქსატელობით თითონვე შთაგონებს უმართებულ ზასუსს. ამიტომ უნდა ჭეშმარიტად კალიაროთ ზასკალის სიტუებია: კაცს რომ დაუყინო გიჟი სარო, მართლაც გაგიჟდება. ამკე გარემოებს მიწეის ვურადლება ამ ბოლოს დროს გიჟომაც, რომელიც ერთობ კი არა, მსოფლად ბაკშებს შეესო.


ამის შემდეგ ცხადდა სხანს რად არის ხოლმე, რომ იმ მასწავლებელს, რომელსაც კეთილი გული აქვს და ბაკშები უყვარს, ყოველთვის ნაკლებად ჭყავს ცუდი შეგირდები, და ბრაზიანს, ვეს და მოუთმენელს კი ბეკრი. გარდა ამისა ყოველი ზემო გამოკვლევიდან ის დასკვნას გამოდინარება, რომ სწავლა-განათლება ამცირებს ადამიანის მიდრეკილებას შთაგონებისადმი და უმადრებს ძალას თვით-მსჯელობისას და თვით-მოქმედებისას. თვით-მსჯელობას და თვით-მოქმედებას დიდა მნიშვნელობა აქვს სოციალურ და ზოლიტიკურ მსრიავან, რადგან ყოველგვარი საზოგადოებრივი გატანება, ყოველგვარი სულიერი აკადემიკობანი მით უადვილესად მოხდება, რამდენადაც საზოგადოებაში ან ხალხში მეტია იმისთანა შირი, რომელიც შთაგონებას ადვილად ემორჩილება. ცხადია რომ ადამიანმა, საზოგადოებამ ანუ მთელმა ხალხმა მსოფლად მით შეიძლება მოიხლოს შთაგონებისადმი მიდრეკილება, რომ სწავლას შეუდგება. შეუდგება იმ სწავლას კი არა, რომელიც იმითი თავდება, რომ მოსწავლეს ძალად ულაგებენ თავში სხვათაგან გამოკვლეულს, არამედ იმ სწავლას, რომელიც თვით მოსწავლემ უნდა შეიძინოს თვით-მოქმედებით, დაკვირვებით, მოკლენათა ანალიზით და მათ გავრთებით საზოგადო კანონების გამოსაყვანად; ერთის სიტუებით უნდა შეუდგეს იმ სწავლას, რომელიც მიანვეს მოზარდ თაობას თვით-

მსჯელობას და თვით-მოქმედებას. უზირველეს და უდიდეს მიზნად უოკველ გვარ განათლებისა უნდა იყოს აღორძინება და განვითარება თვით-მოქმედებისა და დამოუკიდებლობისა და არა უსწრაფესი გატენა მოსწავლის თავისა უოკველ გვარ ცოდნით, ფაქტებით, რიცხვებით და სახელებით, რომელნიც მოსწავლეს დაავიწყდება ხოლმე მასწავლებელს, რაკი სკოლიდან გამოვა. ფსისიოურად, როგორცადაც ფაიზიკურად, ადამიანს უზირველეს უოკვლისა ესაჭიროება თვით მოქმედება და შეუწყვეტელი ვარჯიშობა თავის უოკველი სულიერი ძაღის და ნიჭისა.

სწორედ ამგვარი დამოუკიდებელი ვარჯიშობა სულიერი ძაღებისა შეადგენს საუკეთესო საშუალებას იმ სუნის წინანღმდეგ, რომელსაც ტუინის მეტის-მეტად დატვირთვას ეძსიან და რომელიც ჩენს დროში ღრღნის და ძირს უთხრის ვაცობრიობის ფაიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას და ჭბადავს იმისთანა სამწესარო მოკლეანთ, როგორიც არის ამოწეღამა მთელ გვარეულობათა ან მასთან მჭიდროდ შეკავშირებული ნერვების და სულიერი ვადმყოფობანი, და მასთან ერთად ამრავლებს იმ ჰირთა რიცხვს, რომელნიც ადვილად ემორჩილებიან უოკველგვარ შთაგონებას და მით აადვილებს ერთი ვარჯის ვი არა, საზოგადოებრივ ვატაცებას და სულიერ ვბიდეშიებს.

ინგლისელი გამონენილი მსწავლელი ჯონ სტიუარტ მიღლი ამტკიცებდა—საჭიროა რაც შეიძლება მეტად განვითარებულ იქმნას უოკველი ადამიანის ინდივიდური ჰიროვნება, მაგრამ თავის აზრის დასასახუთებლად მან არ მოაყვანა უმთავრესი ვარემოება, ესე იგი ის, რომ ადამიანის ინდივიდურად სრული განვითარება და მის მსჯელობის გამაგრება ერთი და იგივეა და მასთანადემ მას არავითარი შიში არა აქვს რაიმე შთაგონებისა.

მ. მანასკინისა





# პროვინციის სსმპრიზა

## აზხაზეთი

### სოხუმის ქალაქის აზხეგნება

ეს უკანასკნელი წელიწადია, ჩვენის ქვეყნის პატარა ქალაქებსაც, თვის უფროს ძმათა მსგავსად, მოენიჭათ უფლება. თაიდანთ თავს თვითონვე მოუარონ, თვითონვე გასცენ პასუხი შინაურს თუ გარეულს გაჭირვებასა, თვითონვე იღონონ ღონე და იხმარონ საშუალება მოქალაქეთა წარმატებისათვის. დიდი ხანია, პატარა ქალაქების ნატვრას შეადგენდა ეგ თვითმმართველობა.

ახალის წესწყობილების შემოღება, ახალს ხანაში ფეხის გადადგმა, თუ კი ჩვენის ქვეყნის რომელიმე ქალაქისათვის ნატვრის საგანს შეადგენდა, ეს ნატვრა სოხუმისათვის უფრო ცხოველი იყო: ყველაზე მეტად და თავგამოდებით სოხუმი ეტანებოდა თვითმმართველობას—ამ ახალს ფორმას მოქალაქეთა ინტერესების ყოველ მხრივის დაცვისა და უზრუნველყოფნისა ათას თვითნება პატრონის თავგასულობისაგან; სოხუმი ორსავე ხელით ეპოტინებოდა და თხოვნით ყველას კალთებს აგლეჯდა ამ ახალის ვარმის შემოღებისათვის, რომლის მეოხებით ყოველი მოქალაქე სხვის თვალ-წარბში ყურებაზე ხელს იღებს და ეჩვევა თვით-მოქმედებას, თვით-შემეცნების განვითარებას, უფრო კრიტიკულად განსჯას დი აწონ-დაწონვას წინა მდებარე გარემოებისა და მრავალ-ფეროვან ცხოვრების მიერ წამოყენებულ საჭირ-ბოროტო კითხვებისას.

მოგეხსენებათ, ბუნებითი სიმდიდრე აფხაზეთისა, ყოველივე მიწის ნაწარმოები—სიმინდი, თამბაქო და სხვ., ბზა, დაფნა, უმეტეს წილად სოხუმზე გადის, სოხუმია კარი, ცენტრი, სადაც თავს იყრის შინაური თუ გარეული საქონელი, სადაც ეაქრობა, აღებ-მიცემა სულს იბრუნებს, საკვებსა შოულობს. თვით-მართველობის, ამ მძლავრის ორგანოსი და ქალაქის ინტერესების დამცველის დაწესებულების შემოღებას შეუძლია შესამჩნევად წინ წასწიოს ზემოხსენებული აღებ-მიცემა, სოხუმზე რკინის გზის გაყვანის საქმე არ მიაძინოს, შესაფერი ნავთსადგური გაუკეთოს და სხვ.

რა გამოცხადდა, სოხუმს თვით-მართველობა უნდა მიენიქოსო, სოხუმელები ცას ეწივნენ სიხარულითა. შეუღდგენ მზადებას ასარჩევად თვისთა წარმომადგენელთა-ხმოსანთა, რომელთაც მათ მაგივრად უნდა ეწიათ ქაბანი ეგრედ წოდებულის ქალაქის თვით-მართველობისა. სწორედ სანუგეშო იყო ის წინ დახედული, მოსაზრებული, და ათასჯერ აწონილ-და-წონილი ქცევა აქაურის ქართველობისა წარსულის თებერვლის საქალაქო არჩევნების დროს. ქართველობა აქაური ჰგრძნობდა თვისს უძლურებასა საერთოდ, თვისს მოუმზადებლობასა და ამიტომ შეეცადა ისეთები ამოერჩია ამ პასუხ-საგებ თანაც საპატიო თანამდებობაზე, რომელნიც ასე თუ ისე მაღლა იდგნენ თვისის მომზადებით ქალაქის სამსახურისათვის, რომელთაც ასე თუ ისე, შედარებით, ღიანე შესწევდათ ამ საქმის გასაძლოლად და წასამართავად, თანაც ყური მახვილად ეჭირა და არ დაინდო ისეთნი, რომელთაც შემოსვლა და ქალაქის საქმეში გარევა უნდოდათ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ხელი მოეტხოთ.

ამ წლის თებერვლის არჩევნების დროს სულ ამორჩეულ იქმნა 26 ხმოსანი ქალაქის მომავალ თვით-მართველობისა. ამორჩეულთა შორის 19 ქართველი იყო, 4 ბერძენი და 3 რუსი. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ სამისავე ეროვნების ამომრჩეველთა რიცხვს და მათ მიერ ამორჩეულ ხმოსანთა რაოდენობას, თებერვლის არჩევნები, ამ მხრივ, კანონიერი და მიუ-

კერძველი უნდა გვეჩვენოს. გარნა აქ გატყდა ტაბიკი. იმას, რასაც ყოველი თვალხილული დღესავით ნათლად მიიჩნევდა, ყინა დასცეს—ზნელიაო; ის, რასაც არავითარი ლარი და ხაზი არ უნდოდა—უსწორო გამოვიდა და ათასი დაეა და კამათობა გამოიწვია. ვინც არა მგონია, მეგრელებზე გამოილაშქრა. რა არ დაუძახეს, რა არ დასწამეს: ცხენის ქურდები, მეურმეები(?), ყაჩაღები! აი, ასეთი ხალხი ხმოსნებად აირჩიეს, თუ ესენი აქ დარჩნენ და უფლება არ ავხადეთ, სხვას აქ ყოფნა არ შეუძლიაო. უნდა აქედან ავებარგოთო... ან მეგრელებს, მსგავსად ებრაელთა, უფლებანი წავართვათო.

აირია მონასტერი. შეჩერდა თებერვალში არჩეულ ხმოსანთა დამტკიცება.

ახლა მოგახსენოთ, ვინ აამღვრია წყალი.

ეს ის ვაჭბატონები გახლავან, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს მხარეს შემოეჩვივნენ და დევიზად დაიდვეს: რაც შეუძლიანთ უდიერად ახსენონ ჩვენი ხალხი საჯაროდ თუ კერძოდ და თავს მოახვიონ ყოველივე დანაშაული, რასაც კი წარმოიდგენს გონება ადამიანისა. ამ უმსგავსის და წრეს გასულის ქცევითა ჰსურთ, სახელი მოიხვეკონ(?) და ყურადღება მიიქციონ. ამ ჯურის უკერემონიო ხალხმა განსაკუთრებით შავის ზღვის პირად მდებარე ადგილებზე და იქაურს მკვიდრზე მიიტანეს იერიში; ხალხი გაუნათლებელია, რაც უნდა ვსთქვა იმათზე, შემრჩება, პასუხის გამცემი და კრიქაში ჩამდგომი არავინ გვეყოლებო.

ძილს უფრთხობს ამ უსავეანო გადამთიელებსა და მათს დამქაშებსა ის ფაქტი, რომ შავის ზღვის პირას, მეტადრე აფხაზეთში, მეგრელობა ასეთის სიძლიერით ფეხს იკიდებს; პირიდან ცოფსა ჰყრიან, როცა ხედავენ, რომ მეგრელობა ამ მხარეში თვისის გამპრიახობით, ბუნებრივის ნიჭით, შრომის მოყვარეობით, მხნეობით სხვაზე მეტად ფონს გადის, ქონებას იძენს, სწავლა-განათლებას ეწაფება, აქაურს ჰაერს ყველაზე უკეთესად ჰგუობს, აქაურს ბუნებასთან საბრძოლველად უფრო მეტს შნოსა და მოხერხებას იჩენს, ვიდრე გადამთიელნი; გუ-



ლი უსკდებათ, შურით თვალები უბრმავდებათ, როცა ხედავენ, რომ მეგრელობა, ეს სიძლიერის წარმომადგენელი ელემენტი, ცხოვრების მეჯლისში სუფრის თავზე ყოველთვის თვითონ დაიჭერს ალაგსა და, თუ მოინდომა, სხვას სუფრის ბოლოს დაჯდომის ნებასაც არ მისცემს, თავისს გვერდით არ აბოგინებს....

ამ ვაჭბატონთ, რომელნიც სხვათა თვალში ძელს ადვილად დაინახავენ და თავისაში ბეწვის დანახვაც კი უმძიმთ, უფრო იმაზე მოიკიდეს ცეცხლი:—სოხუმში 26 კაცში 19 კაცი ქართველი გავიდა ხმოსნადაო! ამასთანავე, —დახე მათს დაბრმავებასა, —არ უარყოფენ, რომ მთელი სოხუმი თითქმის მეგრელობისაა, არ უარყოფენ იმასა, რომ მეგრელობის ხელშია მთელი ვაჭრობა, მთელი აღებ-მიცემა, არც იმის უარს ამბობენ, რომ მეგრელები დღესა და ღამეს ასწორებენ მუშაობაში, წელლებზე ფეხს იდგამენ, შრომით ჯანს იკდებინებენ, გროშს გროშზედა სდებენ, რა არის, ქონება შევიძინოთ, სხვაზე დამოკიდებული არ ვიყოთ ნივთიერადაო, —და იმის უარყოფის კადნიერება კი აქვსთ ამ უცნაურ ვაჭბატონთ, რომ ჩემის ქონების მოვლისა და პატრონობის ინტერესი და უფლება მევე უფრო უნდა მქონდეს, რომ მე უფრო უნდა დავკანკალებდე წვითა და დავგვით მონაგარსა, ჩემის ოფლითა და სისხლით განბანილსა, ვიდრე რომელიმე გადამთიელი. არა, კადნიერება გაგონილა, მაგრამ არც მაგრე წრეს-გასული!... ეგ ხომ იმასა ნიშნავს, რომ სოფელი უძალლოდ მინდოდეს დავინახო და ზედ უჯოხოდვე მოვიწოდოთ ვავლა...

თებერვლის არჩევნების დროს გაშავებულთა შორის ურგვია ერთი ვინმე რიბინსკი. მეგრელებმა დიად გააშავეს, გააშავეს კი არა სულ კუდით ქვა ასროლინეს. ამბობენ, რისთვის გააშავესო? ზოგი მეგრელებსა ჰკითხონ —რისთვის უნდა ვაეთეთრებინათ? რაც უნდათ, ისა სთქვან ამ ვაჭბატონებმა, და აქაური მეგრელობა არც მაგრე უვიცია, არც მაგრე შეუფხებელია, რომ ელემენტარული კანონი არ ესმოდეს თავის თავის დაცვისა და არსებობისათვის ბრძოლისა, რომ მტერი და



დუშმანი მოყვრისა და კეთილის-მყოფელისაგან ვერ გააჩიოს. აქაურებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ის რიბინსკი ბრძანდებოდა, რომელმაც თავისი ლიტერატურული გალიმატია ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა და რომელიც მეგრელებს საჯაროდ უქადიდა აფხაზეთიდან აყრას; მოდის სოხუმში და მეგრელებს ეუბნება, თქვენის ქალაქის თვით-მართველობის ხმოსნად ამირჩიეთო. და მერე, რაკი, ერთის მუქთახორა მწერის არ იყოს, ფეხზე დაისვამდნენ, იმას თავზე ასვლისაც არ შერცხვებოდა! დიალაც ემართლებოდნენ მეგრელები გაშავებას ისეთს კაცსა, რომელსაც მთელი თვისი დღენი მეგრელების თრევა-გინების მეტი არა გაუკეთებია—რა, და სხვა უკეთესი საქმე, ძალიანაც რომ უნდოდეს, ხელიდან არ გამოუვა; რომელსაც ხმოსნობა ხელის მოსათობო საშუალებად უნდოდა გაეხადნა; რომელსაც უფლებაც კი არა ჰქონდა ყუთის დადგმისა, ხოლო გაიძვერობით მოპოვებული უფლება სასამართლოს წესით არჩევნების შემდეგ ერთს კვირაზე ჩამოერთვა.

სხვათა შორის, სოხუმის ქალაქის თებერვლის არჩევნების კანონიერების მოწინააღმდეგეთა ხელზე დაიხვიეს ერთი გარემოება. ქალაქი როგორ არ დაიღუპება—გაიძახიან ეს ბატონები ვახეთებში,—როცა თებერვლის არჩევნებში მარტო მეგრელები, უსწავლელი ხალხი იღებდა მონაწილეობას, ხოლო „სანიტარულ“ ადგილებზე მცხოვრებნი, განათლებულნი, ნასწავლნი და შეგნებულნი არჩევნებში არ მოიწვიეს, არ უთხრეს, მხარში ამოგვიდექითო. თუ ისინი არ გაერივნენ ქალაქის საქმეში, სოხუმის ბედ-იღბალი უფიცებს (ესე იგი მეგრელებს) ჩაუვარდებათ ხელში და მათს ვადამკიდე ქალაქს წყალი წაიღებს მდინარით.

ვნახოთ, რამდენად საფუძელიანია ეს იერემიას გოდება; ვნახოთ ვინ არიან დამნაშავენი: მეგრელები, თუ თვითონ „სანიტარები“, რომ ეს უკანასკნელნი არჩევნებში არ ერივნენ. გავიგოთ ისიცა, რამდენად სანუკარი და ხელსაყრელია სოხუმისათვის „სანიტარების“ გარევა თვითმართველობაში და, სა-

ზოგადად, მათი ჩარიცხვა დანარჩენ მოქალაქეთა რიცხვში, — მაშასადამე, მათთვისაც მინიჭება დანარჩენ მოქალაქეთა უფლებებისა, აგრედვე დაკისრება ამ უკანასკნელთა მოვალეობისა ქალაქის წინაშე.

ჯერ მოკლედ მოგახსენებთ თვით ისტორიას ამ სანიტარულ ადგილებისას, ისტორიას საკუთრებისას ამ ვითომ და დაჩაგრულ პატრონებისას.

რუს-ოსმალოს ომამდე სოხუმს თითქმის უტეხი ტყე ერტყა გარშემო; ეს ტყე შიგ იჭერდა სინესტეს და დიდადაც ხელს უწყობდა სოხუმში ციებ-ცხელების გავრცელებასა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს და შეუდგნენ ზრუნვასა, რომ გაეწმინდათ სოხუმს გარშემო მდებარე ადგილები ციებ-ცხელების გამავრცელებელ მცენარეებისაგან და, ამ სახით, როგორმე გაეუმჯობესებინათ ქალაქის დახაშული ჰაერი. ამ ზრუნვის შედეგი იყო 1870 წელს უმაღლესად დამტკიცებული წესდება სოხუმის გარემო-მდებარე თავისუფალ ადგილების დარიგების შესამუშავებლად.

ამ წესდების თანახმად, ზემოდ დასახელებული ადგილები უნდა დაყოფილიყო 1—3 დესიატინიან ნაწილებად და დაპრიგებოდა მსურველთ. ვინც აიღებდა ამ ადგილებს, მოვალე იყო ერთის წლის განმავლობაში გაეწმინდა ნაყარ-ნუყარ მცენარეთაგან, გაეშრო ნიადაგი და შეურნეობა დაეწყო. ამ მიწების მიზომვის შემდეგ ერთი წელიწადი რო გაივლიდა, სოხუმის ოლქის უფროსის განკარგულებით შესდგებოდა კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სოხუმის პოლიციის სამმართველოს და მოქალაქეთა წარმომადგენელნი და ექიმნი შესამოწმებლად იმისა, თუ რა რიგ შეიმუშავეს ზემოხსენებული ადგილები პატრონთა. ეს უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, სცდილობდნენ უსასყიდლოდ შექცენილი ადგილები, პირობისამებრ, შეემუშავებინათ. მაგრამ ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ პატრონის ან უთაურობის, ან შეუძლებლობის ან სხვა მიზეზისა გამო პირობა შეუსრულებელი რჩებოდა და ადგილი ხელ-უხლებელი. მაშინ სოხუმისავე ოლქის უფროსის განკარგულებით პატრონს ჩამოერთმეოდა მინაცემი



ადგილი იმ განზრახვით, რომ ახალ მებატრონესათვის გადაეცათ. დაბოლოებითად 10 წელიწადი ჰქონდა ვადა სანიტარულ ადგილის პატრონს ადგილის შემუშავებისა. ამ ვადის განმავლობაში უნდა შეესრულებინა ყოველივე დაკისრებული მუშაობა. თუ პირობა პირნათლად ექმნებოდა ასრულებული, მიწარჩებოდა საშვილი-შვილო საკუთრებად.

„სანიტარული სოხუმში ადგილები შეიცავს 234 დესეტინას. დარიგებული აქვთ, უმეტეს ნაწილად, მოსულ მდიდარს რუსებს (ქართველობა 5—6 კაცია ამ ადგილების პატრონი). ზედ გაშენებულია ხეხილი, ვენახები, ტროპიკული მცენარები. ზოგ მებატრონემ უკვე გაყიდვაც დაუწყო ამ ადგილებსა.

მღებარეობს ეს ადგილები, როგორცა ვსთქვით, სოხუმის გარშემო თითქმის ზედ აკრავს სოხუმსა, ზოგი კი 4 ვერსზედაც არის დაშორებული ქალაქზე. იმავე თავითვე გამოურკვეველი იყო მათი დამოკიდებულება სოხუმთან: არ იცოდნენ ეისთვის მიეწერათ სანიტარული ადგილები: სოხუმისათვის და დემორჩილებინათ ამ ქალაქის საზოგადო წეს-წყობილებისათვის, თუ ცალკე სოხუმზედ დამოუკიდებელი ყოფილიყო მათი და მათთა მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება: ამ გამოურკვეველ მღგომარეობისავე ბრალი იყო, რომ სოხუმის პოლიციის მმართველობას ვერ გადაუწყვეტნია სანიტარულ ადგილებზე მცხოვრებთათვის საქალაქო ბევარი გადაეხდებინებინა, თუ არა. ეს საჭირ-ბოროტო კითხვადიღს ხან იყო ასე გამოურკვეველი.

ხოლო 1888 წელს სოხუმის უძრავ ქონებათა დასაფასებლად შემდგარმა კომისიამ სცადა „სანიტარების“ ქონებაც დაეფასებინა და იმათთვისაც მიეღებინებინა მონაწილეობა ქალაქის გაჭირვება-დაღხინებაში. „სანიტარებმა“ იხუცეს ეგეთი განზრახვა დამფასებელ კომისიისა. ჩვენ ცალკე ვართ, ქალაქის ინტერესებთან საერთო არა გვაქვს-რაო. ბატონი ბრძანდებითო, მოახსენა, ცოტა არ იყოს, კრძალვით კამისიამ „სანიტარებსა“, და თითქმის 6 წელიწადს არავის გაუბედნია მათი შეწუხება.

1895 წელს, როგორც ვიცით, მთავროვამ გამოუცხადა ქ. სოხუმს თვითმართველობა ენიჭებაო. მაშინ სოხუმის პოლიციის

მმართველობამ ხელახლა აღძრა ეს საბედისწერო კითხვა. ხუმის მომავალ თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები მოახლოვებულია და როგორ მოვექცეთ „სანიტარებს“: გადავანდევინოთ ქალაქის საჭიროებისათვის დადებული ხარჯი და ქალაქის არჩევნებში ხმა მივსცეთ თუ არა? გადაახდევინოთ კიდევ უფრო ხარჯი და ბორჯი ქალაქისა და ხმაც მიეცით არჩევნებში, — უპასუხა გუბერნიის მთავრობამ სოხუმის პოლიციას, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ახლად შემოღებულ თვითმართველობის თავდარიგი ეკისრნა. თანახმად გუბერნიის მთავრობის ამ განკარგულისა, დამფასებელი კომისია ხელახლა მიადგა კარზე „სანიტარებს“: თქვენც უნდა შემოუერთდეთ სოხუმის მოქალაქეთაო.

ჩააცივდნენ საკირესაო! — დაიძახეს სანიტარებმა. დაფაცურდნენ, კოლლექტიური თხოვნა გაგზავნეს პირდაპირ მინისტრთან: ჩვენ, იმდენის ხარჯის მნახველთ (?), არ შეგვიძლია ქ. სოხუმს ხარჯში შემოვუდგეთო.

ხელახლა განკარგულება იქმნა გუბერნიის მთავრობისაგან — „სანიტარები“ თავისთავად იყვნენო. ასეთის განკარგულების შემდეგ „სანიტარები“ არავის შეუწყნებია და არც არავის უთქვამს — მობრძანდით, ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღვეითო. არც „სანიტარებს“ ამოუღიათ ხმა ამის შესახებ.

„სანიტარებმა“ მხოლოდ არჩევნების შემდეგ წამოაწყვეს თავი და გააბეს ყაყანი: ჩვენ ვიზე ნაკლები ვიყავით, გარედრად დაგვტოვევითო? ახირებულზე მეტი როგორ არ იყო მათის მხრივ ასეთი საყვედური!

საჩაფარი საჩივარზე წავიდა. მეგრელებმა განგებ გააძვეეს „სანიტარები“ ქალაქის საქმეებისაგანაო. და სანამ გამოირკვევოდეს ამ საჩივრების უსაფუძვლობა, სოხუმს, ორ წყალს შუა ჩავარდნილს, თავისი დავმართა. სხვა ქალაქებში არჩევნები დამტკიცდა კიდევცა, ქალაქის მოურავებიც აირჩიეს და თვით მმართველობა თავისს საქმეს შეუდგა. სოხუმს კი დღესაც არა ეშველა-რა, თებერვალში გაგზავნილი სია ხმოსნებისა დღესაც დაუმტკიცებელია. ქალაქის დებუტატები, გრძნობენ რა მოახ-



ლოვებას იმ ეამისას, როცა მათს „უკონტროლო“ ფართაშს ბოლო მოედება, სცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი მოსთალონ ქალაქის მსუქანსა და გემრიელს ღუმასა. მშვენიერი ქალაქის ტყე გაოხრდა და გაჩანაგდა, მალე სახრესაც ვერ გამოსკრის კაცი ამ ტყიდან. საზოგადოდ, მთელი ეკონომია ქალაქისა ფლავად გამხდარა, — ვინც მოუხსწრებს, არხეინად მოუჯდება და მადიანად ორისავ ხელით ილუკმება. ყველა იმას გაიძახის: ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო!...

სჩივიან, „სანიტარებსაც“ ხმა უნდა მიეცესთ ქალაქის საქმეების გადაწყვეტაშიო. ვსთქვათ, მათი საჩივრები დაკმაყოფილებული იქმნა, მაშინ სერიოზულად ჰმართებთ სოხუმელთ დაფიქრება. რაკი ესენიც შემოუერთდებიან სხვა მოქალაქეთა, ქალაქი იძულებული იქმნება, „სანიტარებსაც“ იმ ნაირადვე მოუაროს და უბატონოს, როგორც დანარჩენ თვისთა მოქალაქეთა. მათზე დახარჯული ფული თითქმის დაეტოლება სოხუმელებზე დახარჯულს ფულსა. სულ უკანასკნელი 10 ცხენოსანი ყარაული უნდა დაენიშნოს ბბ. „სანიტარებსა“ და ეს ქალაქს სულ უკანასკნელი 3,000 მანეთი დაუჯდება. ახლა განათება, ახლა გზები, ახლა სხვა ათასი წვრილმანი ხარჯი, რასაც სულ უკანასკნელი, ყოველწლივ 7—8 ათასი მანეთი მოუნდება, თუ არ მეტი. ეს ამოდენა ფული ვის უნდა ამოხდეს კისერში? ოციოდვე კაცს სანიტარებს? რა თქმა უნდა, არა. ისევ სოხუმელების ჯიბე უნდა შემოეგლოს ბ.ბ. „სანიტარებსა“ სანთელსაკმეველად. მაგრამ, თქვენს ღზენას, გაუძლებს ოჯახი ამ უსარგებლო ხარჯსა? ან სადაური ანგარიშია კაცმა 8 ათასი მანეთი ხარჯოს 20 კაცზე, როცა, სამაგიეროდ, ამ ოცი კაცისგან ათას მანეთსაც ძლივს აიღებს? ან უნდა ხარჯის დაკვალოდ გააწეროს სოხუმმა „სანიტარებს“ გადასახადი, რაზედაც ესენი არ დასთანხმდებიან, ან სოხუმმა თავის თავს მოაკლოს ბ.ბ. „სანიტარებს“ სასიამოვნოდ. აი რამ უნდა გასტეხოს, ჩემის ფიქრით ხიდი „სანიტარებისა“ და სოხუმელთ შორის! აი, სადა მართებთ სოხუმელთ თავის გამოდება და თავიანთის ინტერესების დაცვა და ფრთხილად ყოფნა. თორემ ახლანდელს დროში, ამ ანგარიშის დროში, ასეთს სიუხვეს სოხუმელთ არაფინ უქმებს...

აქამდის სოხუმის ქალაქის არჩევნების მოწინააღმდეგე ჩუმად, ფარულად გვითხრიდნენ სამარეს, ახლა ისე გაკადნებულან, რომ გაზეთებთანაც მოიტანეს მეგრელებზე იერიში. შემოხსენებული არჩევნები გაიხადა საბაბად თავისის გამოლაშქრებისა მეგრელების წინააღმდეგ პეტერბურლის გაზეთმა „Новое Время“-მ. ამ გაზეთმა ამ წლის 7296 №-ში, სოხუმიდან გაგზავნილ კორესპონდენტში კალმის წვერზე ააგო მეგრელები, საზოგადოდ, და, კერძოდ, სოხუმის მკვიდრნი. ჭკვათა მყოფელ კაცს გაააცებს ის შეუქოწმელობა ამ კორესპონდენტში დასახელებულ ფაქტებისა, ის უზრდელობის კილო, ის ზნეობრივი სითაღლითე, რომლითაც „Нов. Вр.“-ის კორესპონდენტი გამოეკამათა სოხუმელთა წარსულს არჩევნების გამო. ასეთი კილო წერისა „Новое Время“-საგან პირველი არ არის (და არც უკანასკნელი იქმნება), ასეთია წესი მისი, ადათი, ჩვეულება. და, რა თქმა უნდა, არც ერთს უღალატებს, არც მეორესა და არც სესამესა. „Нов. Вр.“ უამისოდ ვერ მოისვენებს. „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“ ტყუილად კი არ უთქვამსთ. „Новое Время“-საგან ის გაგვიკვირდება—კარგი რომ სთქვას ჩვენზე, თორემ ავის გაგონებას ხომ დიდი ხანია შეგვაჩვია.

„Нов. Время“ და მისი დამქაშებები ვერ შეპრიგებიან იმ აზრს, რომ დღეს მეგრელები არიან ფაქტიური პატრონები სოხუმისა და საზოგადოდ მთელის აფხაზეთისა. ეს გარემოება დღე და დამ მოსვენებას არ აძლევს იმათა. ეს გაზეთი გამომდგარა და უკეთინებს მეგრელებს: მეგრელებმა მთელი აფხაზეთი დაიპირესო, მკვიდრთ (ესე იგი აფხაზთ) თავის მიწა-წყალზე ხელი დააბანინესო(!), შავის ზღვის სანაპირო ადგილების აღებ-მიცემობა ხელთ ჩაიგდესო. თითქო სააუგო საქმე ექნათ მეგრელებსა იმითი, რომ აფხაზთაგან თავ-მინებებულ ადგილებს და მიწა-წყალს კანონიერად დაეპატრონენ და ზედ გააშენეს მშვენიერი სოფლები, გადასჭიმეს საუცხოვო კარ-მიდამო; თითქო ვისგანმე ეძრახვოდეს მეგრელებსა, რომ უღრანი ტყეები სამოსახლოდ გახადეს და ზედ გააშენეს ვენახები; ჭკვათა-მყოფელი

კაცი როგორ ეტყვის მეგრელებს საყვედურს, რომ ამ უკანასკნელთ მთელს აფხაზეთში მიძინებული აღებ-მიცემობა გააჩაღეს, მისვლა-მოსვლა გაახშირეს? მუშაობა, გარჯა, თავისის ოფლით პურის შექმნა მეგრელებს მარტო „Новое Время“-სა და მისის ბანაკის გაზეთებისაგან თუ ეკიჟინება და სასირცხვილოდ ჩათვლება!

არჩევნების დროსაო, — განაგრძობს რიხითა „Новое Время“ თავისის კორესპონდენტის პირითა, — სოხუმის ქალაქის ამომრჩეველთა სიაში ასეთის ქონების პატრონები იყვნენ დასახელებულნიო: ნახევრად დანგრეულის და ჯინჯიბაზ შედგმული სახლებისაო, უკედლო შენობებისაო და მ. სხვ. აი, ძალათი თვალის დაბრმავებას ამას ვეძახით! თუ თვალის დაბრმავება არ არის, მაშ რა არის, რომ დასახელებულ სიაში კორესპონდენტმა დანგრეულ სახლების გვერდით მრთელი სახლი ვერ წაიკითხა, რომელიც 15—20 ათას მანეთად არის დაფასებული?! და რომ ერთი სახლი მისს პატრონს უეჭველ უფლებას მისცემდა თებერვლის არჩევნებში მონაწილეობა მიეღო?

დრო კი არის, მე და ჩემმა ღმერთმა, „Новое Врвмя“-მ და მისმა დამქაშებმა ასეთი კილო წერისა მოიშალონ, კილო წერისა, რომელიც ნაყოფია დაბრმავებულის თვალისა, შურიანის გულისა და რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ განაპირა ადგილების მშრომელი და მშვიდობის მოყვარე მკვიდრთა შორის შური და განხეთქილება სთესოს. „როგორიც მოხვალ სვინაო, ისეთი წახვალ შინაო“, — უთქვამს ჩვენის ხალხის გენიოსსა.

თ. სახაკაია



# გიგლიოზგრაფია

Разборъ учебныхъ руководствъ на русскому языку—Якова Гогобашвили. Тифлисъ 1996 г. цѣна 50 коп. (გარჩევა რუსულის ენის შესასწავლად შედგენილი სახელმძღვანელოებისა.— იაკობ გოგებაშვილისა, ტფილისი ფასია ათი შაური.)

რც და სუთი წელიწადი დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველო რუსულს ენას განსვენებულის უშინსკის ცნობილ სასკლმძღვანელოს Родное Слово-ს შემწეობითა სწავლობდა. მთელი 25 წელიწადი ჩვენს სკოლებში ისეთს სასკლმძღვანელოსა სმარობდნენ, რომელიც შედგენილი იყო მხოლოდ რუსის და მარტო რუსის ბავშვებისათვის, იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ეს წიგნი წინ უშლიდა ნაწნობ სურათებს, არა-ერთსელ ნახულსა, ნაწნობ ამბებსა—არა-ერთსელ გაგონილსა.

ჩემს ზატარაობაში, მასსოკს, კალანდარაშვილის მიერ შედგენილი სასკლმძღვანელოცა გეჭონდა რუსულის შესასწავლად. მაგრამ ამ უკანასკნელს Родное Слово-სავით მოქალაქობა არა ჰქონდა მოპოვებული ჩვენს სკოლებში; ზოგან ასწავლიდნენ, — ზოგან არა, — დამოკიდებული იყო მისი სმარება რომელისამე მასწავლებლის ფანტაზიაზედ.

Родное Слово-ს შემწეობით სწავლის სიმწარე ეველა ჩვენგანს გამოუცდაია; ეველა ჩვენგანს ახსოვს, თუ რა რიგ იყო ჩატეხილი ხადა ჩვენს სოფლის ცხოვრებასა და ამ წიგნში აწერილ უცნობ ცხოვრებას შორის; ისიც კარგად ესსომებათ, რა რიგ გვაძულებდა ეს სასკლმძღვანელო საზოგადოდ სწავლასა, რა ტანჯვად გადაგვიქ-



ცის სკოლა და კერძოდ რუსულის ენის მასწავლებელი და მასწავლებელი თილი.

ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა რიგ შეგნატროდით იმ თაობის მდგომარეობას, რომელსაც ჩვენმა შედაგოვმა თვისი თანამედროვე შედაგოვის შეფარდებით შედგენილი სასკოლმძღვანელო Руское Слово მისცა სკოლაში.

მაგრამ ამავე დროს თავი წამოჭყვეს სხვა ავტორებმა რუსულის ენის სასკოლმძღვანელოებისად: ლევიცკიმ, ვოლპერმა, ჩერნიაკ-სკიმ, რომელთაც დატკმეს საჭიროება სამშობლო ენის დანმარებისა რუსულის ენის შესწავლის დროს; რომელთაც დატკმეს ის სახან-ხანო ჭეშმარიტება, რომ ადვილიდან ძნელზე უნდა გადასულიყვნენ ბავშვები, ხელუღიდან—უხილავზე; რომელთაც თვისის სასკოლმძღვანელოების წყალობით ვერას აცვეს მოსწავლენა და მასწავლებელიცა. ლევიცკიმ თვისის ტენდენციურის ფანტაზიის გაკლების ქვეშ შედგენილ «თვალსაზრის» მეთოდით უხინარ და უკენით მოცულ ჭეშმან რუსული ენა ჩვენი ბავშვებისათვის. ბავშვები და მასწავლებელი კლასში, ლევიცკის მეთოდით საჩსავით ბღავიან, სუფრა აქვთ გაშლილი, ზედ დალაგებული მწკანე კიტრი, მწკანილი, მოთაღი, ასლი თვე-წი, რამდენიმე სელადა ვასური ღვინო, მცროსანი მწკაღი—გულს უხარებს მოჭედიფეთა; ერთი ბანაობს, მეორე კალატოზობს, მესამე ქათამსავით ვაკანებს, მეოთხე კეკრცხსა სდებს, მესუთე ვითომ მაკე ძროხასა და სცდილობს სხო მოაგოს... ამ ხიარად, რუსული ენის გაკეთილი ტაკიმსხსარობად აწის გადაჭედილი.

იმის წყალობით, რომ ასეთი სასკოლმძღვანელოს ავტორი გაკლენიანი გავიდა, მისი შედგენილი სასკოლმძღვანელო მთელს დასავლეთ საქართველოს მოეფინა. განსაკუთრებით ვერას ერკვა სამეგრელოს ბავშვები, რომლებიც უნდათ ქართველებად არ ჩასთვალონ და არც ბეჭი ბოდიში მოინადონ ასეთი სასკოლმძღვანელოს შეძლევის დროს.

რისთვის დაშურენ ეს ავტორები, როცა არა-რუსის შეგირდებიან სკოლებისათვის ამ სასკოლმძღვანელოებს არდგენდნენ? მასუხი მარტივად გადაკეშლებათ წინ: განდვენა სკოლიდან იმ ენისა,

რომელსაც დედას კტიტინებოდა ბაკში მთელი 7—8 წელიწადი; დათრგუნვა თანამედროვე ჰედაგოგის-მიერ საქვეყნოდ აღიარებული და მოწონებულ პრინციპებისა, დათრგუნვა ნებსითი და მით უფრო შეუძლებელი, მით უფრო გასაკიცხი ეოკელის ფსიხელის გონების აღმინის-მიერ, რომლისათვისაც ძვირფასია ხალ-თაობის ბედ-იღბალი, რომელიც ამ ხალ-თაობის ბედ-იღბალს მთელის ერის, მთელის სიხელმწიფოის ბედ-იღბალს მჭიდროდ უკავშირებს და რომლისათვისაც მეორის ბედნიერება უპირველად წარმოუდგენელია. ძალიან ცუდი და, რუსების არ იყოს, დათრგუნვა სამსახური გაუწიეს ამ ჰედაგოგებს თვითონ იმ რუსულ ენასაც, რომლისათვისაც ეთომ ასე თავ-გამოდებით იღვწიან...

ამ გუნდს უკუღმართის მიმართულების ჰედაგოგებისა ვრატა-ში უდგა და მათის ზედ-მოსკვისაგან ჩვენის ბაკშეების ინტერესებს იფარავდა ჩვენი დაუღალავი ჰედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. ადგილობრივ გასეთებში—როგორც ქართულში, ისე რუსულში—დაბეჭდილი იყო თავის დროზე წერილები ამ ჰედაგოგისა, რომელიც ბოლნისკით წინ უშლიდა ყველას სრულს უპარგობას ზემოხსენებულ ავტორების სახელმძღვანელოებისა ჩვენის სკოლებისათვის.

დღეს საჭიროდ დაუნახავს ჩვენს პატივცემულს ჰედაგოგს ზემოხსენებულ წერილებისათვის თავი ერთად მოკვარა და ზემოაქ-მოკვანილის სათაურით ცალკე წიგნად დაბეჭდა, რათა, როგორც თვითონა ბრძანებს წიგნის წინასიტყვაობაში, მასწავლებელთა შორის რუსული ენის სახელმძღვანელოების გარჩევით გაეგრძელებინა გონიერი, ერთად შეკრებილი წარმოდგენა რუსული ენის სწავლების შესახებ უნდა ერთა სკოლებში. საბუთიანადაც იმედოვნებს იმავე წინასიტყვაობაში ჩვენი სასაქადულო ჰედაგოგი, რომ ამნაირი გარჩევა სახელმძღვანელოთა ერთი რომ გაფართოვდება შემდგენელთა სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოთა, რომ ჩვეულებრივი შედგომები არ მოუვიდეთ, მეორედ—გაუადვილებს, რომ მკაფიოდ გამო-



არკვიონ ძნელი კითხვა ჰედგოგისა — შედგენა გონიერული — სკოლის  
სკოლისკანონებისა რუსულ ენისა უცხო ერთთვის.

სასურველია, დასახელებულს წიგნს უკვე აღადგინოს კონკრეტული  
ჩვენებურის ინტელიგენტის — როგორც მასწავლებლის, ისე არა-მას-  
წავლებლის — წიგნთ-საცავში, მით უფრო, რომ წიგნის ფასი — ათი  
შაური — უკვლასათვის აღვიდად სულ-მისაწდომია.

S.

### რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) ვაზა, მისი მოშენება და მოვლა თხზულება პრაფესორის  
ვასილ პეტრიაშვილისა, წიგნი I — იაფ-ფასიანი სამეურნეო წიგნე-  
ბის თანხის გამოცემა № 1. ქუთაისი 1896 წ. ფასი სამი კაპ.

2) ნაპერწკალი გასართობი, ნაკვეთი, მოსწრებული სიტყვა,  
ანდია, იგაე-არაკი, საოხუნჯო ამბები და სხვ. — ნაწილი I, შეკრე-  
ბილი და ნათავში ალ. ი. მირაქოვის-მაერ, ტფილისი 1896 წ.  
ფასი ერთი აბაზა.

3) სატყვა თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავება-  
ზედ ბლალოჩინის ერმალოზ კანდელაკის - მაერ. — ახალ-სკენჯი  
1896 წ. ფასი ერთი შაური.

4) დარვინისა — თხზულება ე. ფერიერისა, კოლაუციონ-უ-  
რა თეორია, — წიგნი პირველი ცხოველთა და მცენარეთა შესახებ;  
წიგნი მეორე ადამიანის წარმოშობის შესახებ ი. ფანცხავას-მაერ. გა-  
მოცემული ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით, №№ 13  
და 14. ტფილისი 1896 წ. ფასი № 13-სა ერთი აბაზა, № 14-სა  
სამი შაური.

რედაქტორი  
ალექსანდრე ჭეხინია.

გამომცემელი  
ალექსანდრე ჭაბადაძე.

# ბანცხაღებანი

კამოვიდა ახალი წიგნი

## მთიულეთი 1804 წელს

ისტორიული ამბავი

ა. ფრონელისა

თასი თოთხმეტი შაური

წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა გადადებულია „წერა-  
კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

---



# „სნობის ვურსელი“

1896 წლის ოქტომბრის 20-დან

გამოვა ეოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც

**ფასი გაზეთისა:**

ერთის წლით . . . . 6 მან. ო ერთის თვით . . . . . 1 მან.  
ნახევარის წლით . . . 4 მან. ო ცალკე ნომერი . . . . . 3 კ.

ოქტომბრის 20-დან წლის გასულამდის—**ერთი მანეთი.**

(სხვა ვადით გაზეთის დაბარება ან შეიძლება)

სოფელის მასწავლებელთ გაზეთი დაეთმობათ 5 მანეთად.

ვისაც ერთბაშად შემოტანა ეძნელება, რედაქცია აძლევს შეღავათს: ხელის-მოწერის დროს შეუძლიანთ შემოიტანონ 2 მანეთი, ხოლო დანარჩენი 4 მანეთი შემდეგ ოთხ თვეში თვე და თვე.

**ხელის-მოწერა მაილება:**

ტფილისში, წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილთან, ბათუმში, მ. ნიკოლაძესთან, ოზურგეთში და სხალ-სენაკში, კ. თავართქილაძესთან, სოხუმში თედო სახოკიასთან, თელავში ილია იმერლიშვილთან, სიღნაღში, დ. მახანელთან (ნადირაძე) გორში, არსენ კალანდაძესთან, კავკავში, ლუარსაბ ბოცვაძესთან.

განცხადებას ფასა: პირველ გვერდზედ სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზედ 5 კაპეიკი.

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію газеты Цнобисъ-Пурцели“, Фройлинская ул. д. Мирзоева.

რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნაა.



ქართულთა ამხანაგობის გამოცემა № 36.

# ღვინის ღაყენება

შედგენილია

პროფესორის ვ. ბუჭრიაშვილის-მიერ.

ფასი 2 მან. და 50 კაპ.

ისეილება საკუთარს კიოსკში ღორის-მულიჯოვის ქუჩაზე.



# НАСТОЛЬНЫЙ Энциклопедическій Словарь,

изданіе Т-ва А. Гранатъ и К<sup>о</sup>.,  
ОКОНЧЕНЪ ПЕЧАТАНІЕМЪ.

Цѣль изданія—въ сжатомъ изложеніи дать точныя и обстоятельныя свѣдѣнія по всемъ отраслямъ знанія и болѣе важнымъ вопросамъ жизни и тѣмъ содѣйствовать самообразованію и болѣе разностороннему развитію.

Въ „Настольномъ Энциклопедическомъ Словарѣ“ приняли участіе: маг. П. С. Абельманъ, проф. Д. Н. Анучинъ, губ. агроп. В. Г. Бажаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, прив. доц. П. И. Вознесенскій, Д. С. Вольнинъ, маг. М. Я. Герценштейнъ, маг. Викт. А. Гольцевъ, инж. А. Н. Гранатъ, П. Ни. Гранатъ, В. Н. Григорьевъ, прив.-доц. П. Я. Гурляндъ, инжен. А. М. Донде, Гр. А. Джаншиевъ, В. Е. Ермиловъ, д-ръ Р. М. Жирмунскій, инж. П. М. Зиновьевъ, Н. Н. Златовратскій, проф. Н. П. Ивановскій, Е. Н. Каменецкая, маг. А. И. Каменка, Я. Н. Колубовскій, инж. В. Г. Крапивинъ, В. Ф. Лазурскій, М. Е. Ландау, проф. В. Ф. Левитскій, д-ръ М. Е. Лионъ, прив.-доц. П. Л. Лось, проф. П. В. Лучицкій, прив.-доц. П. Н. Милуковъ, проф. С. А. Муромцевъ, проф. В. А. Мякотинъ, проф. П. А. Некрасовъ, проф. В. М. Нечаевъ, М. М. Нечаевъ, Викт. П. Острогорскій, проф. В. В. Пашутинъ, М. Л. Песковскій, проф. Э. Ю. Петри, М. В. Познеръ, С. Пругавинъ, проф. Э. Л. Радловъ, А. С. Размадзе, М. Н. Ремезовъ, прив.-доц. А. Р. Свиричевскій, прив.-доц. В. Д. Соколовъ, Н. П. Сокулинъ, В. Н. Сторожевъ, Н. Г. Тарасовъ, проф. А. С. Тауберъ, маг. М. И. Туганъ-Барановскій, проф. Н. А. Умовъ, проф. А. Θ. Фортунатовъ, проф. О. Д. Хвольсонъ, проф. А. И. Чупровъ, проф. Щегловъ и мн. др.

Все изданіе составляетъ 8 томовъ (до 11000 столбцовъ Убористой печати). Въ изданіи помѣщено 71890 статей и замѣтокъ, 1567 портретовъ и рисунковъ, 26 географическихъ картъ, 150 таблицъ рисунковъ, хромо-и олеографій, статистическихъ таблицъ и картограммъ. Первые шесть томовъ вышли третьимъ стереотипнымъ изданіемъ, 7-ой—вторымъ стереот. изд.

ЦѢНА полному изданію на обыкновенной бумагѣ безъ перепл. 38, въ переплетѣ 42 р. ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 5 руб., при полученіи шести томовъ 5 руб., остальные деньги выплачиваются ежемѣсячными взносами по 2 рубля.

ПОДРОБНЫЕ ПРОСПЕКТЫ съ отзывами печати, выдержками изъ текста и условіями разсрочки высылаются по требованію БЕЗПЛАТНО. Главная Контора: Москва, Больш. Никитская, д. 5 (Рихтеръ), рядомъ съ университетомъ.

მე გარდაიცვალა მეფე გიორგი და დაჰშთა ძე ლუარსაბ მეორე. ხოლო ესე ლუარსაბ მეორე ეკურთხა მცხეთას მეფედ ცხებულად და იმეფა წელი ათორმეტი. ხოლო დროსა ამისა მოსრულმან ყაენი დამ თეიმურაზ პირტლუმან (პლმან) მეფემან კახეთისამან ჰსთხოვა ლუარსაბს ცოლად და მისი ხვარაშან, და არა ინება მიცემად მეფემან ლუარსაბ ნათესაობისათვის, არამედ იძულებითა შაჰაბაზისათა მიჰსცა და აქორწინა მისთანა. მერმე მეფე ლუარსაბ ყაენმან შაჰაბას მართლმადიდებლობისათვის პატიმარ-ჰყო შეიდ-წელ ციხესა შინა გუჯაბისასა, და შემდგომად მოაშთვეს მასვე ციხესა შინა მეფე ლუარსაბ და შეირაცხა მოწამედ წმიდათა მოწამეთა თანა და იტყვიან მუნვე დაკრძალვასა წმიდისა გუამისა მისისასა.

შემდგომად ამა მეფისა და მოწამისა ლუარსაბისა დაჰსჯდა მეფედ ბაგრატ, ძე დავითისი, შობილი კახეთის მეფის ნათესავისაგან და ძმისწული მეფისა სიმეონ პირტლლისა და იმეფა წელი ვიდრემე სამი, და მერმე გარდაიცვალა მეფე ბაგრატ, და დაჰშთა ძე ერთი ვიდრემე სიმეონ მეორე.

ესე უკუტ იქმნა მეფედ შემდგომი თვისისა მამისა და იმეფა წელი ვიდრემე შეიდი, და ამას მეფესა სიმეონ მეორესა არა მორჩილებდენ ქართუტლნი, რომლისთვის უკუტ წარვიდა წინაშე ყაენისა და კუტალად წარმოჰგზავნა ყაენმან მეფედუტ ქართლისად. ხოლო დროსა ამისა მყოფმან მეტემან კახეთისამან თეიმურაზ პირტლუმან, რომელსა ჰსურდა მეფობაჲ ქართლისაცა, ჰსცნა რა შემწეობა არაგვის ერისთვის ზურაბისაგან სიმეონ მეფისა მიმართ, რომელ გამიყვანა ტფილისი დამ ერისთავმან ზურაბ მეფე სიმეონ და დააპყრობინა ქართლი სრულიად, მერმე ამისთვის წარვიდა წინაშე ყაენისა მეფე თეიმურაზ, და მოუწერა გზიდამვე ერისთავსა მას ესრეთ: „მეუფევანებელ არსო განწირვაჲ სიმამრისა სიძისაგან, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სიმეონისი.“ ამას ზედა ერისთავმან უკუტ ზურაბ შემთქრებელმან თავსა შორის თვისსა, რომელსა ჰსურდა მეფედ ქართლისად სიმეონ და მეფედ კახეთისად თეიმურაზ, განიზრახა ბოროტი, მოვიდა ღამე ცხვილოსს მდგომს სიმეონ მეფისა-

თანა, შვეიდა და მოჰკლა იგი და წარუელინა თავი მისი მეფესა თეიმურაზს. მერმე უკუმოიქცა გზიდამვე მეფე თეიმურაზ და დაიპყრა ქართლი და კახეთი და მოჰკლა არაგვის ერისთავიცა ზურაბ. ხოლო მრავალთა ამათ შფოთთა შემდგომად მსმენელმან და განრისხებულმან ყაენმან შაჰსეფიმ წარმოავლინა მეფედ ქართლისად დიდითა ნიჭითა ხოსრო-მირზა, რომელსა უწოდა როსტომ, და კახეთი მისცა სელიმ-ხანს და კუალადვე განიყო ესრეთ ქართლი და კახეთი.

დროსა გამეფებისა თვისისა იყო მეფე როსტომ წლისა ვიდრემე სამეოცდა შვიდისა და იმეფა წელი ოცდა ოთხი. ხოლო მოიყვანა კოლად თვსად აბაშისშვილი გორჯაბის ასული ქეთავან და უწოდა გულინდუხტ, რომლისა თანა იქორწინა მეფემან როსტომ ქრისტიანებრ და მამადიანებრ, და ოდეს იგი გარდაიცვალა პირტული ცოლი მისი, მერმე ესიძა მეფე როსტომ დადიანსა ლეონს, და მან მოჰსცა დაჲ თვისი მარიამ. ხოლო მეფესა როსტომს არა ესვა შვილი, ამისთვის მოიყვანა შვილად თვსად ისპანიდამ მეფის სიმეონ მეორის ძმისწულის ვახტანგის ძე ლუარსაბ, და ესე ლუარსაბ ნადირობდა რა ქალასა შინა ყარაიისასა, მაშინ ირემთა მიმართ თოფთა სროლასა შინა მოხუდა თოფა ლუარსაბს და გარდაიცვალა იგი. ამისი მსმენელი მეფე როსტომ შეჰსწუხა ფრიად, რამეთუ აღმოჰსწყდა თესლი დიდისა და პირტულის ლუარსაბ მეფისა. და თჳთცა მეფე როსტომ ფრიად მოხუცდა და ვინათვან დაჰშთა უშვილოდ და არღარავინ ჰყვა უმახლობელესი ტომი თვისი, ამისთვის იშვილა მუხრან ბატონის თეიმურაზ პირტულის ძე ვახტანგ მეორე, და ესე ვახტანგ მეფემან როსტომ წარავლინა წინაშე ყაენისა, რათა მისცეს სიცოცხლესა ამა როსტომ მეფისასჲ განმგეობა ქართლისა და შემდგომად მისსა მეფობა. ხოლო ყაენმან შეიწყნარა პატივით ვახტანგ, ვინათვან უსმენდა ყაენი მეფესა როსტომს, რასა იგი ეტყოდა მას, და ვახტან განჰსდრიკა მართლმადიდებლობისაგან და უწოდა შაჰ-ნავაზ. მერმე მოსცა ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა განმგედ ქართლისად და რაოდენთამე ჟამთა შემდგომად იხილა რა შაჰნავაზ მოხუცებულობა და სიკუდიდ მიახ-

ლება მეფისა როსტომისა, აუწყა შაჰნავაზ ყაენსა, ხოლო ყაენმან წარმოავლინა სანდო თვისი ხილვად როსტომ მეფისა, და ამა ჟამთა მოკუტდარ იყო მეფე როსტომ და ვერღარა იხილა წარმოვლენილმან ყაენისამან და წარვიდა. მერმე მოჰსცა მეფობა შაჰნავაზს.

და დაჰსჯდა ესე მეფედ და იმეთა წელი ათვრამეტი. ამან დასვა კათოლიკოსად ბიძაშვილი თვისი დომენტი. ხოლო მეფესა ამას შაჰნავაზს ესხნეს ძენი ვიდრემე ექვსნი, შობილნი როდამ დედოფლისაგან, არჩილ, გიორგი, ლეონ, ალექსანდრე, ლუარსაბ და სოლომონ; ხოლო ასულნი: ანუკა და თამარ, და ოდეს იგი მოკუტდა შაჰნავაზ, დაიბარა ყაენმან ძე მისი მეორე გიორგი, მისცა მეფობა ქართლისა განდრეკილსა მართლ-მადიდებლობისაგან და ნიჰნი დიდნი ანიჰნა და წარმოავლინა მეფედ ქართლისად.

ამ წერილს ეკუთვნის შემდეგი გენეალოგიური ტაბლიცა ცალკე თავახზედ:

ქართლის მეფე კოსტანტინე. ამისი ძე:

თავობა პირტსლი: ბაგრატ, რომელი იყო პირველი მუხრანის ბატონი. ამისნი ძენი:

თავობა მეორე: ვახტანგ პირტსლი, არჩილ პირტსლი, აშოთან პურტსლი და ირაკლი პირტსლი.

ხოლო ვახტანგის ძენი:

თავობა მესამე: თეიმურაზ პირტსლი და ქაიხოსრო პირტსლი, ხოლო პირტსლის თეიმურაზის ძენი:

თავობა მეოთხე: ვახტანგ მეორე, რომელსა ეწოდა შაჰნავაზ, და კოსტანტინე პირველი:

ხოლო პირველის კოსტანტინეს ძენი:

თავობა მეხუთე: თეიმურაზ მეორე, პაპუა პირველი, ირაკლი მეორე და მთავარ-ეპისკოპოსი.

ხოლო თეიმურაზ მეორის ძენი და კერძნი:

თავობა მეექვსე: კოსტანტინე მეორე, ადარნასე და ოტია.

ხოლო კოსტანტინე მეორის ძენი:

თავობა მეშვიდე: თეიმურაზ მესამე და კოსტანტინეც მესამე.

ხოლო მესამის კოსტანტინეს ძე:  
 თავობა მერვე: იოანე. ამისნი ძენი:  
 თავობა მეცხრე: კოსტანტინე მეოთხე, თეიმურაზ მეოთხე,  
 გრიგოლ და დავით.

ხოლო პირველის პაპუას ძე და კერძნი:

ლეონ პირველი და ამ ლეონის ძენი:

წირკნელი ქრისტეფორე, პაპუა მეორე, სიმეონ და იოანე.  
 და ამ სიმეონის ძენი:

ლეონ მეორე, დავით, დიმიტრი, გიორგი და ერმი.

ხოლო იოანეს ძენი: ნიკოლოზ და ედიშერ.

**203.** გუჯარი, 38X22,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება ორ-ორი წერტილი. გუჯარის თავში წითელის მელნით და ხუცურათ სწერია ძიქ. მეფე ალექსანდრე 1362 წელს ცნობილი არ არის. შესაძლოა ქორანიკონი შეცდომით იყოს მოყვანილი და სიგელი ეკუთვნოდეს ალექსანდრე მცხეთის განმანათლებელს 1413—1442. სიგელი გადმოგვცა ვ. გელევანიშვილმა.

**1362.** ქ. ჩვენ კელმწიფემ მეფემ ალექსანდრემ ესე წიგნი მოგართვთ თქუენ (თქუეს?) ჩუენს სასებას და სიქადულს სვეტს ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდისა და სულისა ჩუენისა მეოხსა კათალიკოზს ბასილს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე რაც თქუენი ყმა იყოს ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს თუ საბარათიანოს, თრიალეთზედა, თუ იმერთს, ლაშქარსა და ნადირობას, თქუენი ყმა თქუენ ნუ გაგეყრების, თქუენ ბძანდებოდეთ, თქუენ გაახლოსთ, და თუ თქუენ არ ბძანდებოდეთ, თქუენი სარდალი და დარბაისელნი იყუნენ, მათ იახლნენ, სხვასს სარდლებსა და ამირ-სპასარაღს კელი ნუ აქუს თქუენს ყმასთან, ნურავინ გაგყრის თქუენს აზნაურშვილსა და გლეხსა, ყუელა ჩუენს დროშაზედ უნდა იქნებოდენ, ქვს. შა:

შემდეგ ხელჩართულათ:

მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ.

განის აშიაზე:

ქ. ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, მეორე ირაკლი, მეფე საქართველოსი, ვამტკიცებ აგვისტოს აბ, ქვს უნზ—1769.

ქ. ჩვენ საქართველოს და კახეთის დედოფალთ დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, ვამტკიცებთ სიგელსა ამას აპრილის კა, ქკს უნტ—1770.

ვინ არს მიზეზი არსთა  
**ფცქცქცქც**  
 ფლორისა მკობისა  
 —მაშამ სამისტ ენე ვიგ

ქ. ჩვენ ბატონიშვილი ლეონ ბატონის მამის ჩვენის დამტკიცების თანა მოწამე ვართ, აპრილის კა, ქკს უნტ—1770.

მჩობლობსა მეფეთა ძესა ლეონსახელად შქესა

**204.** სიგელი 31,5X16,2 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რვალი მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება სამ-სამი წერტილი თვითვეულის სიტყვის შემდეგ. აქ მოხსენებული გიორგი უნდა იყოს ჩვენის აზრით გიორგი IX, კოსტანტინე III ძე († 1505). სიგლიდან სჩანს, რომ მამა და შვილს ცალ-ცალკე მიუძეოთ სიგელი ერთი და იმავე შინაარსისა. თავში სიგელს აკლია. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი 37 სიგელ-გუჯარი ვაკუთენის გედევანიშვილებს და ჩვენ დროებით გადმოგვცა პოდპოლკოვნიკმა ვლადიმირ მიხაილის ძე გედევანიშვილმა და იქიდგან გადმოვსწერეთ. დედნები უკან დაუბრუნდათ.

**1505** ...[პატრო]ნმან [მეფემან (?) გიორგი ესე მოუშლელი წიგნი] <sup>1)</sup> და სიგელი გიბოძეთ თქუენ ჭარმა[ულთა] იოვანეს და თქუენსა ძმასა ავთანდილსა, და თქუენთა შვილთა გიორგის და გრიგოლს, და სახლისა თქუენისა მომავალთა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს პატრონსა მეფესა კოსტანტინეს და პატრონსა მამა ჩუენსა და კათალიკოზსა შიოს მცხეთას ამბროსის ძისეული მამული, რომელი ბერინასშვილსა ჰქონებოდა, იგი ყოველივე სამკვდროდ თქუენთს ებოძა, და სოფელი ხატის-წაბენა მეემეობით სხუათა დაეკირა, და ჩუენ პატრონსა მამა ჩუენსა ვიანლენით და მოკითხული ვქენით, ნაშვილებობისა წინგნიცა

<sup>1)</sup> ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების ასოები სანახევროდ არიან დაცული და ჩვენ აზრით წავიკითხეთ.

თქუენ გქონდა და სამართლადცა თქუენ გმართებდა. წიგნი და ნიშანი პატრონმან მამა ჩუენმანც გიბოძა და ჩუენცა სიგლითა ამით შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ხატას-წაბენა მისითა შესავლითა, მითთა, ბართთა, წყლითა, წისქვლითა, ქალითა, სათიბითა, სასართთა, ველითა, ვენაკითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ყოვლითავე. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან საყდრისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა, და ვისცა იმა მამულისა გაცემულობისა სიგელი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გავვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის. დაიწერა ქქს წყგ, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ტიმოთესითა.

(აზის ბეჭედი მუსულმანურის წარწერით).

**205.** გუჯარი მცხეთისა,  $52 \times 24$  სანტიმეტრი, დაწერილია ტყავზედ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეული სიტყვის შემდეგ. თავში გუჯარს აწერია: ჟქ: წირდალს ზარიძებისა<sup>4</sup>. მას ქვემოთ სწერია წითელის მელნით ხუცურათ: სჟჟ. ინდიკტიონი უჩვენებს სვიმონ I-ის გამეფებას 1556 წელს. ალექსანდრე ბიძა უნდა იყოს სვიმონისა, რომელიც ჯერჯერობით კარგად ცნობილი არ არის ისტორიაში.

**1570. ქ.** ჩუენ მონდობილმან ცვა ფარვათა თქუენთამან ალექსანდრემ და სუმეონ პანკრატოვანმან ნებითა ღთისათა ქართველთა მეფემან და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან პატრონმან ნესტან-დარეჯან და ძეთა ჩუენთა: პატრონმან გიორგი, პატრონმან ვახტანგ, ლუარსაბ და ალექსანდრე ესე ვიდრე აღსასრულამდე ჟამთა გათავებული წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგაკსენეთ თქუენ ყოველთა ქალაქთა უაღრესისა, მეორედ იელუსალემისა, დედა ქალაქისა მცხეთისა კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა ღთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა საუფლოსა და ხატსა მაცხოვრისასა, კელით უქმნელსა, მას ჟამსა ოდეს ანეშს ოდიშელიძენი გლეხნი პირველთა მეფე-

თაგან და ერისთავთაგან თქუენთვის შემოწირულნი ყოველი  
 იყუნეს და ჟამთა ვითარებისაგან დავიწყებულ იყუნეს და მომ-  
 ლოდეს პატროსანსა ტაძარსა თქუენსა, ვინათგან მთიულნი და  
 მკეციის ბუნებანი ბოროტნი კაცნი იყუნეს და ყოვლითურთ  
 უმარჯვე იყუნეს სამსახურებელად თქუენდა. ჩუენ ახლად ვი-  
 გულსმოადგინეთ და შენდობის სამუქაფოდ საყდარი ანუ შასა და  
 დაბა მოგაკსენეთ და წარდაღს ჩუენდა მეფისა პატრონისა ლე-  
 ონისაგან წილად მოკდომილნი ორი კუამლი გლეხნი შიოშას  
 ზარიძის შვილნი და მისი განაყოფი გულბათა და მისნი ძმანი  
 ამისთვის, რამეთუ ყოვლითურთ მარჯუე იყო ტაძრისა თქუენისა  
 სამსახურებლად და აღარა-ოდეს მოეშლებოდა. მოგკსენებ[ი]ა  
 ოდიშელიძეთ სოფელი და ზარიძე შიოშას შვილნი და მისი  
 განაყოფი გულბათა და მისი ძმა თქუენთვის და ტაძრისა თქუ-  
 ენისა სამსახურებლად მათითა მამულითა, სახლკართა, ქურ-  
 მარნითა, ვენაკითა, ველითა, ტყითა, ქალითა, წისქვილითა, სა-  
 ნადიროთა, საწყლისპიროთა და მთითა და ბარითა, ნასყიდითა  
 და უსყიდითა, საკმრითა და უკმრითა, მათითა სამართლიანითა  
 მამულითა თქუენთვის მკუიდრად და სამამულოდ და ყოვლისა  
 აღამიანისა კაცისაგან მოუსარჩლელ-მოუდევრად ვითა ჩუენ-  
 გან თქუენთვის შემოწირულსა მართებს, ეგრეთ დაგვმტკიცებია,  
 მოგკსენებია და არავინ გვბრძანებია მშლელი და მეუნებლე  
 ბრძანებულისა ამის ჩუენისა, და თუ ვისმე მათი სიგელი და  
 წიგნი ჰქონდეს, სიგლითა ამით ჩუენითა გაგვიცუდებია და მტკი-  
 ცე ესე ოდენ არის. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება ესე ჩუენი შე-  
 მდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ანუ  
 ერისთავთა, დაუმტკიცეთ და ნურავინ მოუშლით. ხალო ვინ-  
 ცა და რამანც გუარისა კაცმან, ანუ დიდმან და ანუ მცირე-  
 მა ესე ჩუენგან მოკსენებული გლეხნი სუეტსა ცხოველსა და  
 მისსა ტაძარსა გამოაკუას და ამისად შლად კელ-ყოს, რისხავს-  
 მცა დაუსაბამო ჭთი, მამა, ძე და სული წმიდა, კრულმცა არს  
 ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, შემკაედების ძრწოლა კაენი-  
 სი, შიშთილი იუდასი, მეხისტება სამოელისა, დანთქმა დათან  
 და აბირონისი და ქრისტეს უარის მყოფელთანამც არს ნაწი-




ლი და სამკვდრებელი სულის მისისა, ხოლო დამამტკიცებელი  
 ნი ღთან აკურთხნეს და წმიდამან მაგან ეკლესიამან. დაიწერა  
 მტკიცე და შეუცვალელებელი სიგელი და ბძანება ესე ჩუენი ქკსა  
 სნწ, ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა იდ, კელითა ქვათაევეისა  
 წინამძღუროსა მდღელ-მონაზონისა ფილიბესითა. ნესტან-დაწკჳან  
 (ხელჩართულათ). გასტანგ (ხელჩართულათ).

**206.** სიგელი, 62X21 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რვა  
 ლი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამ-სამი წერტილ-  
 თითოეულის სიტყვის შემდეგ. ამაში მოხსენებული კათალიკოზი  
 ნიკოლაოზი არის კახთ მეფის ლეონის შვილი.

**1588.** ქ. ჩუენ ქრისტეს ღთისა მიერ კურთხეულმან ყო-  
 ვლისა საქართველოს მამათ მთავართ მთავარმან, ქართლისა კა-  
 თალიკოზ-პატრიარქმან, კელმწიფის ლეონის ძემან, პატრონმან  
 ნიკოლაოზ, ესე უკუნისამდე ეამთა გასათავებელი წიგნი და  
 სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ დიდისა და ცათა მო-  
 ბაძვისა კათალიკე ეკლესი[ი]სა დედა ქალაქისა მცხეთას შვილ-  
 სა ელიოზის შვილსა გედეონს და შენსა შვილსა დავითს, შვილ-  
 თა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, მას ეამსა ოდესცა მა-  
 მულის წყალობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქვე-  
 ნი, კითხვითა და ჯერჩინებითა ღთიე გვირგვინოსნისა მეფეთ  
 მეფისა პატრონისა აღექსანდრესითა და თანა მეცხედრისა მა-  
 თისა დედოფალთ დედოფლისა პატრონისა თინათინისათა, და  
 მოგიბოძეთ ბაწაუნში ოთხი კომლი კაცი კახია შვილი მისით  
 მამულითა, მაქარა შვილი ბორჯალა მისითა მამულითა, აპრილა-  
 შვილი ფოცხვერა მისითა მამულითა, კეელა შვილი არსა მისით  
 მამულითა, სასახლითა, ქურ-მარნითა, ველითა, ვენაკითა, საკ-  
 ნავითა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათიბითა, ყოვლითა  
 მისითა სამართლიანითა, რაც ოდენ მამულის მქონებელნი იყ-  
 ვნენ, ყოვლითურთ უნაკლულოდ მოგიბოძეთ თქვენ ელიოზის-  
 შვილს გედეონს და შენს შვილს დავითს, ქონდეს და გიბედ-  
 ნიეროს ღმერთმან კათალიკე საყდრის და ჩუენსა ერდგულად

სამსახურსა შინა. შემდგომად ჩუენსა, წმიდანო პატრიარქო, ვინცა ვინ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესი[ი]სა საკეთ მყრობელობა მიითვალათ, თქვენცა სიგლითა ამით დაუმტკიცეთ, რათა ღმერთმან ყოველი გაგებული თქუენი მტკიცე ყოს, და ვინცა ვინ შლად და ქცევად კელყოს ბოძებულისა ამის ჩუენისა ჩუენსა და კათოლიკე ეკლესისა საყდრისა კანონსა ქვეშე არის. რისხავსმცა დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი და ყოველნი წმიდანი ღმერთანი, ზეცისა და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცონი, ედების კეთრი გეზისი და შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ნურათამცა სინანულით ნუ იქნების კსნა მისი, ნესტორ და ოროგი-ნესთანამცა არს ნაწილი და სამკვიდრებელი მისი, დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა სიგელი და ბძანება ესე ქქსა სოგ, კელითა ქადაგისშვილის და მდივნის რომანოზისითა.



ნაკვალავი 1).

**207.** სიგელი, 31X15 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი. თავში სიგელს აკლია.

**1626.** . . . . და საბოლოო წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ გედლონისშეილთა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტ-

<sup>1)</sup> ეს ხელის მოწერა ხელის მსგავსათ არის გამოყვანილი, ხელში დაკერილს ჯვარს წარწერა აქვს ბერძნული:

$$\begin{array}{|c|c|c|} \hline \text{f} & \text{C} & \text{X} \\ \hline \text{N} & \text{I} & \text{K} \\ \hline & & \text{A} \\ \hline \end{array}$$

რეს, გიორგის, აბიათარს, და პაპუნას, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა ოდესცა მამულის საქმეს გუეჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მადრანა, რაც ჩვენი სახასო არის მსახლობელი და ნაოკარი და ზვარი ყუელა კელშეუვალად და უკლებლად გვბოძებია სახლის შვილების მამულს გარდაის და საყდრის ყმებს გარდაის. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღონ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შაგან. დიწერა წიგნი და სიგელი ესე კარისა ჩუენისა მდივანთა უხუცესისა კელითა ლაზარესითა, ქქსა ტად. თეიმურაზ. ხუაჩაშან (ხელჩართულებია).

**208.** სიგელი, 39 X 20 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქალაღზე რგვლი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი.

1626. ქ. ნებითა და შეწეენითა ღთისათა ჩუენ ღთივ გვრგვნოსანმან მეფემან, პატრონმან თეიმურაზ, და თანა მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალმან პატრონმან ხუარაშან, და ძემან ჩუენმან, პატრონმან დავით, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა მტკიცე და უცვალეველი საბოლოო წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ გედავანის შვილთა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა ოდეს მამულის წყალობასა გვაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ მადრანს რაცა ჩუენი სახასო არის, მსახლობელი და ნაოკარი და ზვარი ხობლიას შვილისა და საყდრის მამულის გარდაის, ყუელა კელშეუვალად და უკლებლად გვბოძებია მითთა, ბართთა, სასახლითა, ქუთრითა, მარნითა, ველითა, ვენაკითა, ეკლესია-სასაფლაოთა, წყლითა, წისქვილითა, ქალითა, სათივითა, სასარითა, ყოვლითა შესავალ-გამოსავლითა სამკვიდროდ და სამამულედ, სამართლიანის სამძღურითა, ყოვლის კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩლოვად და უცილებლად თქუენთვის გვიბოძებია, ესე ას-

რე გაგითავდეს და არაოდეს მოგეშალოს არა ჩუენგან და არა ჩუენთა ნათესავთა და მეპატრონეთაგან, არა მეფეთა და არა დედოფალთაგან, არა დიდთა და არა მცირეთაგან. აწე ვინცა და რამანცა კაცმან მოგეშალოს და ესე ასრე არა გაგითავოს, ვითა ამა ჩუენსა ნაწყალობევსა სიგელშიგან სწერია, რისხავს-მცა ლთი და ყოველნი მისნი წმიდანი. დაიწერა მტკიცე და უცვალეებელი სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ქქსა ტად, კელითა კარისა ჩუენისა მდიონთა (sic) უხუცესისა ლაზარესითა. თეიმურაზ. ხუარაშან (ორივე ხელის მოწერა ხელჩართულია).

**209.** სიგელი, 36, X 21,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი. სიგელი აქა-იქ დაზიანებულია. ქორონიკონი დედანში სწერია გარკვეულად ტზდ, მაგრამ ასეთი ქორონიკონი შეუძლებელია, ჩვენის აზრით უნდა იყოს ტად, და მაშინ ეს ქორონიკონი უდრის 1626 წელს, როდესაც მართლა ცხოვრობდა ზაქარია კათალიკოსი (1608—1634). Ист. груз. цер. П. Иоселиана, стр. 150. Brosset. V. arch. Rap. I, p. 37. ბროსეს-მიერ შეკრებილის სიგლებით ზაქარია იხსენიება 1624, 1626, 1627, 1628 და 1631 წლებში. ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ სიგელი დაწერილია 1626 წელს.

**1626.** ქ ჩუენ ქრისტეს ღვთისა-მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ გედევანისშვილთა დაეთოს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოხუედით კარსა დარბაზისა ჩუენისათა და მამულის წყალობასა გუეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი და გიბოძეთ ქარდს მამული კუამლი კაცი ათი: ირემა ბექნიაშვილი გამეხარდი... უჭაური შალულაძე დათი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე გიორგი, არლუნაშვილი გიორგი, აფხაზაშვილი ნადირა, კევსური საგინა... ჩუბინაშვილი ფრიდონა, გვბოძებია მკვიდრად და მოუშლელად უთუოდ და უთუშკაოდ და უკუნისამდე მოუშლელად მითთა, ბართა, წყლითა წისქვლითა, ზუართა, სა-



კნავითა, შესავალითა, გამოსავალითა, ჭურითა, მარნითა, ჭმრითა და საძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა ყოველითურთ უნაკლოლოდ და მოუკლებლად, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და სვეტმან ცხოველმან ჩუენსა ერთგულსა და ერთგულად სამსახურსა ქუეშე. ამისად გასათავებლად იყოს ღმერთი და სვეტი ცხოველი და ყოველნი წმიდანი ღვთისანი, ზეცისანი და ქუეყანისანი, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუენეს ღმერთსა ჩუენსა იესოს ქრისტესა. აწე ვინცა და რამანცა მონათესავემან კათალიკოზმან შემოდგომად ჩემსა მოგიშალოს მეფემან ანუ დედოფალმან, რჯულიერმან ან ურჯულომან, რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და ცხოველს მყოფელი პატიოსანი ჯუარი, რომელსა ზედა განიპყრნა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან უხრწნელნი მკლავნი თვისნი კსნისათვის ჩუენისა, მოციქულნი, წინასწარმეტყუელნი, მღვდელთმოდღუარნი, მოწამენი და ნეტარნი მამანი, მასზედამცა დაესრულებს მეთავერგასისა ფსალმუნისა წყევა, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკორესი, ძრწოლა კაინისი, კეთრი გეზისი, მატლით განლევა ეროდესი, დანთქმა დათან და აბირონისი, და ნურათამცა იქმნების კსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთით, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან ღვთის-მშობელმან. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქქსა ტად (?). კათალიკოზი ზაქარია (ხელჩართული).

**210.** სიგელი, 26 × 15,3 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი. ზოგიერთ სიტყვებს ხმოვანი ასოები უმნიშვნელოთ აქვს მიმატებული.

1628. ქ. ჩუენ ქრისტეს ღმერთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ესე უკუნისამდინ ქამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალებ[თ] და გიბოძეთ თქუენ ქარმაულსა პატასა და შენსა შეილსა იასეს, შეილთა თქუენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ქამსა როდეს მოხვედით და უმამუ-

ლობასა ჩიოდით, და შეგიწყალეთ გრემის-ხეგს ორი კომლი<sup>1)</sup> კაცი ფილაძე გრიგოლ და მწიკვალაური ომოსიკა მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, რისაც მამულისა მქონებელნი ყოფილან, უკლებად მართლის სამართლიანის მზღურითა თქუენთვის გვიბოძებია, არა მოგეშალოს ჩუენგან და არა შემდგომად მომავალთა ჩუენად კათალიკოზთაგან. ამისნი დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქსა ტავ. თუ ვისმე ამ მამულის ნიშანი ჰქონდეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია. კათალიკოზთა (ხელჩართულია).

**211.** სიგელი, 37×19,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებით იხმარება სამ-სამი წერტილი.

**1640.** ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმა ქართლისა კათალიკოზმა, პატრონმა ქრისტეფორე, ბძანებითა და ნება-დართვითა მეფეთ მეფისა, პატრონისა როსტომისითა, და თანამეცხედრისა მათისა, დედოფალთა დედოფლისა, პატრონისა მარიამისითა, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალელებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა გედვანიშვილთა: დავითს, გაბრიელს, პეტრეს, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა ოდეს მოგვდევით კარსა და შეგუს რომ ქარციძეს ოთხი კუამლი კაცი ჰქონდა, იმის წყალობასა დაგვიჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ შეგუს ბადრიაშვილი და ოქრუა მათის მამულითა ყოველითურთ უნაკლოოდ, და ამისადა სანაცულოდ და სამუქჟოდ ქარციძეს მივეცი თქუენი ოთხი კუამლი კაცი, ტრძმას და შეგუს ქარციძეს კელი აღარა ჰქონდეს ამ ორს კუამლს კაცს გარდაისათ,

<sup>1)</sup> დედანში სწერია გარემის-კეგას ორი კომალი. ისო ანი სხვა შემთხვევაშიც არის მიმატებული, მაგრამ არ ვიმეორებთ.

ქარციძეს რომ გლახები ჰქონდა, ის სახასოდ დაიდგა საყდრი-სათვინ. ეს ორი კუამლი კაცი ბადრიაშვილი და ოქრუა, და ძეგვს მოურაობა თქუენთვის სამკვიდროდ და საბოლოოდ გვბოდებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. გქონდეს და გიბედნიაროს ღმთან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან, ესე ჩუენგან ნაწყალობევი მამული და მოურაობა. არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომათ სხუათა მეპატრონეთაგან. თუ ვისმე ან მამულინსა და ანუ მოურაობისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს, ყუენლა ტყვილი არის და სიგლითა და ბძანებითა ამითა გავგიკუდებია და მტკიცე ესეოდენი არის. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქკს ტკჭ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა მარტიროზიშვილის შალვასითა. კათაღაკოზა (ხელჩართულია).



**212.** სითარხნის სიგელი,  $44 \times 19,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმრთელ რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორორი წერტილი. თავში ხუცურათ და წითელის მელნით სწერია: **შეყოყისე ნიშე.** აქ მოხსენებული შაჰნავაზ არის შაჰნავაზ I, ანუ ვახტანგ V, რომელიც მეფეთ იქმნა აღიარებული 1658 წელს, ასე რომ ინდიკტიონი ამართლებს მიღებულ ქრონოლოგიას.

**1660, ანგრას 26.** ქ. ნებითა და შეწეენითა ღთისათა ჩუენ იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატიონიანმან, მეფეთ მეფემან, პატრონმან შაჰნავაზ, და თანამეცხედრემა ჩუენმა დადიანის ასულმა, დედოფალთ დედოფალმა, პატრონმა მარიამ,

<sup>1)</sup> წარწერა ბეჭედისა აქა და № 206-სა ხუცური ასომთავრულია.

პირმშობა და სასურველმა ძემა ჩუენმან პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ და პატრონმან ლევან, ესე სითარხნისა წიგნი მოგართვით თქუენ ჩუენს ძმას კათალიკოზს პატრონს დომენტის, მას ჟამსა ოდეს ქართლის ჯრჱშენდა ძუელთაგან სუეტის ცხოველის შეწირული ყოფილიყო და, ჟამთა ვითარებისაგან აოკრებულ იყო, თქუენ იმის აშენებასა და სითარხნეს დაგუიჯუენით, ჩუენ სიგლითა ამითა ასრე მოგართვით, რომე რა ააშენოთ არაფერისთანა საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები და არც სათათრო არა ეხთოებოდეს რა, არა კოდის პური, არა საბალახე, არა ნახირის თაფი, და პირის თაფი, არა საბაზინრო, არა საჯინიბო, არა საური და არა სეფეობა. ვინცა ვინ გლეხი კაცი სხვის ქუეყნიდამე მოიყუანოთ და იქ დაასახლოთ, არც ის აგიყაროთ და არცავენ შემოგაცილოთ. გქონდეს და გბედნიეროს ჭთან ჭთის სამსახურსა სუეტის ცხოველის შენობასა და ჩუენსა ერდგულობასა შინა. უხედდესთა მოგანსენებთ და უქუედდესთა გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რა რიგადაცა ამა ჩუენს სიგელშიგან ეწეროს, ნურაოდეს ნურას შეუშლით, თუნიერ თანადგომისა და შეწეენისაგან კიდე. დაიწერა ესე მტკიცე და უქცეველი ქქსა ტმშ, იანვრის 33, ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა ორსა, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა გორელის ყანდურალიშვილის ფირალისითა. შანაგაზ (ხელჩართულია).

**213.** ნასყიდობის წიგნი, 43 X 32,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღ-ზე რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. წიგნი თავში და არში-ებზე რამოდენიმეთ დაზარალებულია. გრძელი შესავალი თორმეტ ნახევარი სტრიქონი განგებ გამოვტოვეთ.

**1665 ფებერვდის 1.** .... ესე მტკიცე და უცვალებელი და უკუნისამდე ჟამთა გასათაეებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩუენ იესაშვილმან ფასინამა

და შეიღმან ჩემმან ოჰანამან და შეიღთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა თქუენ ბატონის შეიღსა პატრონსა ბაგრატს და ძეთა თქუენთა: ბატონსა ნიკოლოზს და სვიმონს, და შეიღთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ასრე და ამა პირსა ზედა, მოგყიდეთ **სას[ხლ]რას** <sup>1)</sup> ჩუენი ალალი და ყოვლის კაცი-საგან მოუდევარი და უცილებელი ხერადინა შეიღისა მიხითარასაგან მოსყიდული ვენაკი ჩუენი კერძი ნახევარი და ნახევარი კიდევ სახლ-კარი და ნახევარი ქუევრი, მარანი მისის სამართლიანის სამძღურითა, წყალით, <sup>2)</sup> ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩუენი გული შეგჯერდებოდა და გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან დღეგრძელობასა და კარგად ყოფაში. არიან ამისნი მოწამენი დამხდომნი და შუამდგომნი: იეზა შეიღი ბატონი შეიღის კათალიკოზის მამასახლისი ზურაბა, მისი განყოფი ავთანდილა, ტუხა შეიღი ბერინა, შაჰოანთ ფიბინა შეიღი ზალინა. ვინცა და რამანცა კაცმან მოგიშალოს, რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და ამა ზემო წერილთ წმიდათ მადლი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან ღვთის-მშობელმან. დაიწერა სიგელი ესე ქქსა **ტნგ++**

ქ. აგრევე ჩუენცა ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ამა ზემო წერილთათა ესე უკუენისამდე საბოლოოდ გასათავებელი ნასყიდობისა წიგნი დაგიწერეთ და მოგართვით ჩუენ იაზა შეიღმან ოტინამა და ჩემმა ძმის-წულმა გასპარამა შეიღთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა თქუენ ბატონის შეიღს ბატონს ბაგრატს და შეიღთა თქუენთა ნიკოლოზს და სვიმონს ასე და ამა პირსა ზედა, რომე მოგყიდეთ **სასხლრას** ჩუენი ალალი და ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი ხერადინას შეიღის მიხითარასაგან მოსყიდული ვენაკი ჩუენი კერძი ნახევარი და ნახევარი კიდევ სახლ-კარი და ნახევარი ქვევრ-მარანი მისის სამართლიანის სამძღურითა, წყალით, <sup>3)</sup> როგორცა ამ ზემოთ

<sup>1)</sup> ფრჩხილებში ჩასმული ასოები ამ სიტყვისა სხვა მელნით არის მიმატებული.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა სხვა მელნით არის მიმატებული.

<sup>3)</sup> ეს სიტყვა სხვა მელნით არის მიმატებული.

# „მ ო ზ მ გ მ“



წელიწადი მესამე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7-10 თაბახი (224-320 გვ.)

## ფასი შურონალისა გავზავნით:

1 წლით 6 თკით 3 თკით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.

საზღვარ-გარედ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: პირველად—4 მან., 1 პირილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მოამწერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Моамбе“

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ევლარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერა, დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს შექმნულად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდე ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი

ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი

ალექსანდრე ჯანადაზი